ეკლესიანური

თარგმანი
თინათინ კოპლატაძისა

საბჭოთა მწერალი
19 თბილისი 61

839. 5-82
ხ 572

მოთხრობათა ეს კრებული ქართულად ქვეყნდება პირველად. აქ დაბეჭდილია ისლანდიის, დანიის, ნორვეგიისა და შვედეთის პროგრესული მწერლების ნაწარმოებები. ზოგი მათგანი ცნობილია საბჭოთა მკითხველისათვის, კერძოდ ჩვენში კარგად იცნობენ ისლანდიელ ჰალდორ ლაქსნესსა და დანიელ მარტინ ანდერსენ ნექსეს.

მოთხრობებში ასახულია ცხოვრებისაგან შევიწროებულ და დაჩაგრულ ადამიანთა მძიმე ყოფა, რომელთაც უამრავი დაბრკოლება ეღობებათ გზაზე, მაგრამ ძლიერი სულისა და ნებისყოფის ადამიანთ არ აშინებთ არავითარი წინააღმდეგობა, მათ აქვთ უკეთესი მომავლის იმედი.

წინასიტყვაობის მაგიერ

ამ კრებულში შემავალი მოთხრობები სკანდინავიის ხალხთა საკუთრებაა. დანია, შვედეთი, ნორვეგია და შორეული ისლანდია... ცხადია. ეს ოთხი ქვეყანა წყლის წვეთებივით არ ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ მაინც შეიმჩნევა საერთო ნიშნები. ეს ეხება მატერიალურ ყოფასა და სულიერ ცხოვრებას.

ამ ქვეყნებს შორის გამოირჩევა ისლანდია — მსოფლიოს ერთი ყველაზე უფრო კოლორიტული კუთხე. თავისებური გეოგრაფიული პირობები. თავისებური სულიერი ცხოვრება, სხვათაგან განსხვავებული ყოფა. ბევრის თვალში ისლანდია საგათა და სკალდთა ქვეყანაა. არცთუ სტყუიან, აქვთ კიდეც ამის საფუძველი. ამ შორეული კუნძულის მკვიდრთ შეუძლიათ იამაყონ თავიანთი პოეტური საგებით, რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ეგრეთ წოდებულ გვაროვნულ საგებს. ზეპირსიტყვიერების ეს ბრწყინვალე ძეგლები იქმნებოდნენ ისლანდიელთა ისტორიის ადრეულ პერიოდში და ასახავენ კიდევაც ხალხის ისტორიის შორეულ წარსულს. ასე რომ, ადამიანურ ვნებათა მხატვრულ აღწერას საგებში კარგად ეხამება მატიანისა და ისტორიული ქრონიკის სიზუსტე. ისლანდიურ საგებში აღწერილი ბევრი ადამიანური ვნება დღევანდელი ცივილიზირებული ადამიანისათვის უკვე დრომოჭმული და გაუგებარია. განსაკუთრებით ეს ეხება სისხლიერ შურისძიებას,

დაუნდობლობასა და გაუტანლობას. მაგრამ საგების წიაღში დაინტერესებული მკითხველი იპოვის ბევრ ისეთ საკაცობრიო ვნებას, რომელსაც დაბერება არ უწერია. ჩვენ ვთქვით, რომ ამ შესანიშნავმა საგებმა საქვეყნოდ სახელი გაუთქვეს ისლანდიის ხალხს. ისიც უნდა დავძინოთ, რომ თვით კუნძულის მკვიდრთათვის ეს საგები მოქმედი კულტურული ღირებულებაა. მას ისტორიასა და ლიტერატურის ისტორიას არ ანებებს ისლანდიელი ხალხი. მოგზაურთა ჩანაწერების მიხედვით, ისლანდიაში იშვიათი სანახავი არ არის უბრალო მებადური, რომელიც გატაცებით ამბობს მშობლიური ზეპირსიტყვაობის მარგალიტებს.

ცნობილია, რომ წარსულის მოვლენანი უკვალოდ არ ქრებიან ერის ცხოვრებაში. მათ უმჭიდროესი კავშირი აქვთ გაბმული აწმყოსთან. ხალხთა დღევანდელი დღე კი ჩვენი ადამიანების განსაკუთრებული ყურადღების საგანია. ამიტომაცაა, რომ ისლანდია ჩვენს თვალში არის არა მარტო საგათა ეგზოტიკის ქვეყანა, არამედ მხარე, სადაც ცხოვრობს თანამედროვე ადამიანი, რომელიც იბრძვის, შრომობს, ქმნის მატერიალურ დოვლათს, სულიერ კულტურას. თანამედროვე ისლანდიამ მსოფლიოს მისცა ჰალდორ ლაქსნესი — დიდი საკაცობრიო ტკივილების მწერალი, ნათელი მოაზროვნე, სიტყვის უბადლო ოსტატი, თანამედროვე ისლანდიელის გულის მესაიდუმლე. ჰალდორ ლაქსნესი დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენში და მას მრავალი მკითხველი ჰყავს.

ახლა ისევ პირველთქმულს — ისევ კრებულს დავუბრუნდეთ. ზედმეტია ლაპარაკი იმისა, რომ ეს მოთხრობები სრულ შთაბეჭდილებას შეუქმნის მკითხველს სკანდინავიურ ლიტერატურაზე. რთულია ის გზა, რაიც სკანდინავიურმა ლიტერატურამ განვლო. ახალ დროში იგი იყო ასპარეზი სხვადასხვა მიმართულებათა შერკინებისა. ეს ბრძოლა ყოველთვის და ყველა მწერლისათვის როდი მთავრდებოდა რეალიზმის ძლევამოსილი გამარჯვებით. მიუხედავად ამისა, კრებული დანიშნულებას მოკლებული არ არის. მას თავისი ნათელი მიზანი აქვს. იგი მკითხველს აზიარებს სკანდინავური ლიტერატურის თავისებურებას, მის წინაშე გახსნის ჩრდილოეთ ევროპის ხალხთა ეროვნულ თვისებებს და თანაც დაანახვებს რამდენი საკაცობრიო

ენებანი ბობოქრობენ ამ ქვეყნის შვილთა გულში, რამდენად ეხ-ჰაურება მათი ცხოვრება ზოგად ადამიანურ პრობლემებს.

თუ ამ მოთხრობათა საერთო ნიშან-თვისებაზე ვილაპარაკებთ, არ შეიძლება არ შევამჩნიოთ დიდი ჰუმანიზმი მათი. ეს მოთხრობები თავს დასტრიალებენ დამცრობილთა და ხელმოცარულთა. იმედითა და ხალისით აღსავსე უერთდება ადამიანი ცხოვრების ორომტრიალს და აღსასრულის საბედისწერო საათს მთლად გატეხილი და სასოწარკვეთილი ხდება. ჯერ ისევ ბალღია ო. სიგურდსონის მოთხრობა „ბოქლომის" გმირი. იგი შორს უდგას ცხოვრების დიდ შარაგზას, მიამიტი თვალით უცქერის გარემოს, ახარებს მზე და ბალახი, მდინარის ჩუხჩუხი. მაგრამ პირველი ცდა ცხოვრების ფერხულში ჩაბმისა და მიამიტი ახალგაზრდა საშინელ სიმძიმილს გადაეყრება — მონაგროვები ფულით ბოქლომს იყიდის. მართალია თავისი ნებით იყიდა, მაგრამ მთავარია, რომ პირველი, რაც ცხოვრებამ ამ მეოცნებისთვის გაიმეტა, იყო ბოქლომი — საწინდარი იმისა, რომ კვლავაც ბევრ ბოქლომს შესთავაზებს საწუთრო, ბევრ სიკეთეს ჩაუკეტავს, ვინ იცის რამდენ ოცნებას მოუკლავს.

განა ასევე დამაფიქრებელი არ არის ბედი ჰალდორ ლაქსნე'ის გმირის, სოფელ კოტჰაგის მკვიდრის იონ გუდმუნდსონისა („ნაპოლეონ ბონაპარტე")? იონი უბრალო სოფლის ბიჭია. მაგრამ კაცთათვის დამახასიათებელმა პატივმოყვარეობამ ოცნების აფრები აუშალა. რაღაც დიდს, სახელის მოსახვეჭს ესწრაფვის იონი. ასპარეზად მშობლიური სოფელი არ ჰყოფნის, ამიტომაც შორს გაჭრას ოცნებობს. და ისე დიდია ზღვარი იონ გუდმუნდსონის ოცნებასა და სინამდვილეს შორის, ისე ულმობელია ცხოვრება, რომ საბრალო ყმაწვილის უმწიფარი გონება ვერ უძლებს ამას, იგი შეიშლება.

მაი ჰირდმანის მოთხრობა „ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიის" გმირი (ჩვენ მისი ნამდვილი სახელიც არ ვიცით, ავტორი მას პორტრეტული მსგავსების გამო პაპა დიურერს ეძახის) სრული სახეა ხელმოცარული ადამიანისა. ავტორი არ ბევრსიტყვაობს, წვრილად არ გვიამბობს თავისი გმირის ცხოვრებას, მაგრამ ძუნწად ნათქვამიდანაც ცხადია: პაპა დიურერი მუსიკის თავდავიწყებული ტრფიალი იყო, მაგრამ მისგან არაფერი გამოვიდა, ჩვეულებრივი ადამიანიც კი. პაპა დიურერს ჰყავდა

თავისიანები — ნათესავები და მეგობრები. ყველანი დაეხოცნენ და ახლა მარტოა. ოცნების მხარეღა დარჩენია ბერიკაცს და ერთი სურვილი, დაე, ხალხი ნუ დასცინებს მას. მაგრამ... ხალხი მაინც იცინის.

ამავე რიგისაა შვედი მწერლების ლუ-იოჰანსონისა და ფრიდეგორდის მოთხრობები — „ორი ძმა" და „ბატონიანთ მეეტლე". მთელი თავისი გაუხარელი სიცოცხლე შრომაში გაატარა ორმა ძმამ. სიცოცხლე კი მართლაც გაუხარელი ჰქონდათ, რადგან იგი გულისგამაწვრილებლად ერთფეროვანი და მოსაწყენი გახლდათ. ძმები ნიადაგ შრომა-გარჯაში იყვნენ და ერთი იმედი ასულდგმულებდათ: სიბერე უზრუნველი გვექნება, შრომა დაგვიფასდებაო. ამ იმედსაც ახდენა არ ეწერა.

ასევე ტრაგიკულია ბატონიანთ მეეტლის ბედი. მასაც არ დაუფასდა ბატონის ერთგული სამსახური. როგორც კი შრომა ველარ შეიძლო, უყურადღებოდ მიაგდეს და ნათლად აგრძნობინეს უმისოდაც მომაკვდავ ბერიკაცს, სრულიად უმაქნისი ხარო.

ცხოვრების სიმკაცრე და ადამიანის უძლურება განსაკუთრებული ძალით არის ნაჩვენები შვედი მწერლის კ. ბოიეს მოთხრობაში „დიდი შესაძლებლობის ადამიანი". ამ მოთხრობის გმირნი ორნი არიან. ერთი ის, ვინც დიდ იმედს იძლეოდა ყმაწვილკაცობაში, ყველაფერი ეხერხებოდა, ყველაფრის ნიჭი ჰქონდა, მეორე (გარკვევით არ არის ნათქვამი, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ) ნაკლები ნიჭისა, მაგრამ უფრო ზომიერი ადამიანი. ორივეს სამოქმედო ასპარეზი ხელოვნება იყო. პირველი შემაძრწუნებელი სისწრაფით დაპყოლია ცხოვრების თავდაღმართს, ერთი საშინელი ნიჰილისტი და ცინიკოსი გამხდარა. მეორეს ცხოვრებამ აღმართი არგუნა. და აი ეს აღმართისა და დაღმართის ადამიანები ხვდებიან ერთმანეთს. და რა ირკვევა: ისიც კი, რომელიც ბედის ნებიერი ჩანს, სინამდვილეში ულმობელი საწუთროს მიერ ჩაწიხლულია. თითქოს ცხოვრებისაგან ბევრი რამ ებოძა, მაგრამ მაინც რა შორსაა ეს ყველაფერი ყმაწვილკაცური სპეტაკი ოცნებისაგან. სადაა ის ბრწყინვალება, რასაც ბედი უქადდა ცხოვრების გარიჟრაჟზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ზედაპირულად სანეტარო და მშვიდ მდგომარეობას აღმართის კაცმა არა ერთი და ორი მძიმე კომპრომისით მიაღწია.

ამ რიგის მოთხრობებს, სადაც ძირითადია დაჩაგრულთა და უმწეოთა ბედი, შეიძლება ერთი შევნიშნოთ: მათ აკლიათ გამოსავლის ძიება. ზოგჯერ მეტად მძიმე და დამთრგუნველია ამ მოთხრობების ბნელი უნათელო. სასურველი სიმძაფრით არ არის ხაზგასმული სოციალური მხარე ცხოვრებისა, მაგრამ ჭეშმარიტად დიდი არს ძალი სიტყვისა. ოსტატურად დაწერილი ეს მოთხრობები დიდად ჩააფიქრებენ მკითხველს. რეალურად დაანახვებენ საშინელებას იმ სამყაროსი, სადაც ადამიანი ადამიანისათვის მგელია, სადაც პარპაშობს ძალმომრეობა, ერთისაგან მეორის მიმძლავრება. ასეთი მოთხრობები მკითხველის გულში არსებულისადმი პროტესტს ბადებენ და ადამიანის სულიერი განწმენდის დიად საქმეს ემსახურებიან.

კრებულში არის ერთი მოთხრობა. მას „ბედნიერება" ჰქვია. მისი ავტორია ნორვეგიელი მწერალ ი. ბორგენი. ამ მოთხრობის გმირი — დედაბერი ლიზა ლირსია გვერდში ამოუდგეს მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა ქალებს. შესანიშნავადაა დახატული ეს სულით ძლიერი და გაუტეხელი ქალი. ლიზას სულიერი სამყარო ერთი შეხედვით თითქოს კნინი და შეზღუდულია. მისი ცხოვრება სამ მნიშვნელოვან მოვლენას დასტრიალებს თავს. ესენია: „ტიტანიკის" დაღუპვა, იონის მოკვლა ომში (იონი ლიზას ერთადერთი ვაჟი იყო) და ლატარიაში მოგება. სამივე ეს ამბავი გამოსავალი პუნქტია ლიზას შინაგანი სამყაროს გახსნისა. „ტიტანიკის" დაღუპვამ (რაიც ქალმა ამ ტრაგიკული ამბიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ გაიგო) უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ლიზაზე. სხვათა უბედურების ასე გულთან ახლო მიტანა მხოლოდ სულბუმბერაზთა, ეგოიზმისა და სიმდაბლისაგან სრულიად თავდახსნილთა ხვედრია. განსაცვიფრებელი სტოიციზმით შეხვდა ლიზა ერთადერთი ვაჟის დაღუპვას ომში. გერმანელმა ფაშისტებმა მოუკლეს პირმშო. ლიზამ ძროხა გაყიდა და რადიომიმღები შეიძინა. რადიომ მსოფლიო ამბების კურსში შეიყვანა ლიზა. ქალი უსმენდა ომის ამბებს, მერე სოფელში ჩადიოდა და სხვებს უამბობდა გაგონილს. თუ გავიხსენებთ, რომ გერმანელები ამისთვის სიკვდილით სჯიდნენ, ნათელი გახდება ლიზას გამბედაობა და უსიტყვო პროტესტის ძალა.

ლატარიაში მოგებული ფული ლიზამ იონის მამას მისცა —

მისი ცხოვრების ერთადერთ მამაკაცს, რომელსაც სულ ორჯერ შეხვდა. ესეც ნიშანი იმისა, რა სპეტაკი, ფაქიზი ქალი იყო ლიზა, რა დიდი სიყვარულის შემძლებელი.

უდიდესი ნაწილი კრებულში შესული მოთხრობებისა ოსტატურად არის დაწერილი. მათი ავტორებისთვის დამახასიათებელია ზომიერი ლაკონიზმი, დახვეწილი სტილი, დეტალების მკაცრი შერჩევა.

სულ სხვადასხვანი არიან ამ კრებულის მოთხრობათა გმირები. იქნებ მათთვის მკითხველმა ერთი პატარა სამყარო შექმნას. მაშინ გარდა ზემოთ ჩამოთვლილთა ამ სამყაროს მკვიდრნი იქნებიან საბრალო ანა-ფეთხუმი (კ. აბელის „ქოლგათა ამბოხი"), იუბილეს მოწადინე ნილს ჰანსენი (ოგე პალესენის „იუბილე"), უერთგულესი მიჯნური ნებუკადნესარ ნებუკადნესარსონი (ჰალდორ ლაქსნესის „ლილიას" გმირი), ხეიბრები: მორტენი და ჟენეტა (მ. ანდერსენ ნექსეს „ხეიბართა შეხვედრა"). ამ სამყაროში ადგილი დაეთმობა ანცსა და ხალისიან მებადურს სივერტს (ეივინ ბოლსტადის „ეშმაკეული ნავი"), ორანძა ნავის მთელ ეკიპაჟს, ერთმა პატარა თაგვმა რომ სული შეუშფოთა (ა. სანდემოსეს „თაგვი"), თავისუფლების მოტრფიალე, ბორკილისა და ციხის მოშიშარ უსახელო ყმაწვილს (ო. სიგურდსონის „საიდუმლო საქმე"). არც სულნამცეცა პასტორ ვიკს (ბ. ბერგმანის „პასტორი ვიკი"), ულირს ოჯახს (გ. ტეგენის „ღირსეული ოჯახი") და არც ღვარძლით სავსე ტორას უნდა ეთქვათ უარი.

კრებული თავის დანიშნულებას გაამართლებს, თუკი მკითხველს სკანდინავიის ქვეყნებისადმი ინტერესს აღუძრავს.

თინათინ კოპღატაძე

ისლანდიური

პოეტური

ჰაიდორ დაქსნესი

ნაპოლეონ ბონაპარტე

სოფელი კოტჰაგი მდებარეობს ზღვის პირად, იმ ქარაფის ძირას, რომელიც შიგ ზღვაში ეშვება, ფიორდ ტრიმის ყურეში. ამ მიყრუებულ სოფელში ნახავდით ორი ხელმწიფის პორტრეტს: ერთი გახლდათ მდიდრულად მორთული ვიქტორია, დაბადებული სიმდიდრესა და სიუხვეში, მეორე იყო ნაპოლეონ ბონაპარტე. მას პორტრეტზე თეთრი კიტელი ეცვა, თმა გაბურძგნოდა, შუბლი ღრმა ნაოჭს დაეღარა. იგი ღარიბ ოჯახში დაიბადა, მაგრამ მსოფლიოს დიდი ნაწილის მპყრობელი გახდა, ვინემ არ გამოუჩნდა უძლეველი მტერი, რომელმაც სამუდამო განძევება არგუნა. ამ ორი სახელქებული ადამიანის პორტრეტი როგორღაც აღმოჩნდა ზღვის პირად მდებარე მიყრუებულ სოფელში. ძლევამოსილი, მაგრამ აქაურთაგან დავიწყებული იმპერატორის და მდიდრულად მორთული დედოფლის ხატება კიდევ კარგა ხანი შემორჩება ამ ყრუალა ადგილს, თუმცა ეს მბრძანებელნი რა ხანია წავიდნენ ამიერ სოფლიდან და მმართველობის საჭეს სხვანი მოეჭიდნენ.

სოფელ კოტჰაგში ერთი ქვრივი, სამი შვილის პატრონი დედაკაცი ცხოვრობდა. მის პატარა სახლს, უფრო სწორად ქოხს, ჰქონდა სულ რაღაც შვიდი-რვა წყრთა სიგრძე და მხოლოდ ორი ფანჯარა. სახლი მეტისმეტად ძველი იყო, მაგრამ ქვრივი დედაკაცი ირწმუნებოდა, ამ ქოხსაც არაფერი უშავს, ჩემი ვაჟები — გვენდური და ნონი მომესწრებიან, ისინი ამიშენებენ ახალ სახლს, ამასობაში სიგაც გათხოვდებაო.

იზრდებოდნენ ბავშვები დედის მეთვალყურეობით, ორი დიდებული პიროვნების ჩრდილქვეშ. პატარა სიგა გაიზარდა და დედის წინასწარმეტყველებისაებრ გათხოვდა. ბარში იშოვა სამუშაო და სოფელში აღარ გამოჩენილა. ახალი სახლის აშენება მაინც არ მოუხერხდათ, თუმცა ბიჭები წამოიზარდნენ.

მაგრამ სჯობს ყველაფერი რიგზე გიამბოთ.

უფროსი ვაჟი, გვენდური, გაიზარდა, ერთი აყლაყუდა ბიჭი დადგა, ჭკუა-გონებით ვერაფერი შვილი. გამჭრიახობით არ გამოირჩეოდა და ცხოვრებისაგანაც ბევრს არ მოითხოვდა, თუმცა ორი გვირგვინოსნის პორტრეტთა ჩრდილქვეშ გაიზარდა, დაარხეინებული ქოხს მაინცადამაინც არ იწუნებდა. დედას ბევრი ჩიჩინი დასჭირდა, სანამ შვილს ნეხვით გაალესინებდა სახლის სახურავს იქ, საიდანაც განსაკუთრებით ჩამოდიოდა წყალი. გვენდური ერთი უქნარა ვინმე იყო, ცხვრის ჯავრი არა სჭირდა და არასოდეს დროზე არ აულესავს ნამგალი. პასტორმა მისი კონფირმაციის დასტური მხოლოდ მაშინ თქვა, როდესაც ბიჭმა ორი წლით გადააბიჯა სათანადო ასაკს. „მამაო ჩვენოს“ მეტი ვერაფერი ისწავლა. ქვრივი ამბობდა, ახალ სახლზე ფიქრიც ზედმეტია, სანამ ნონი არ გამეზრდებაო.

1

ერთხელ, ზაფხულზე პატარა ნონი ცხვარს მწყემსავდა, თავისი ფარა ფიორდის ისარაზე გაშალა და თვითონ ზღვის ნაპირზე ჩამოჯდა. მის წინ გადაშლილიყო მოლივლივე, უკიდეგანო და ოცნებასავით მიუწვდომელი ზღვა. ოცნებაო? წინათ არასოდეს არ დაფიქრებულა, რომ ამ ზღვის იქით არის შორეული ქვეყნები და მშვენიერ ქალაქებში ცხოვრობენ ბედნიერი ადამიანები. ბიჭს ბევრი სმენია უცხო ქვეყნების შესახებ — განსაკუთრებით იმ ქვეყნების ამბავი, რომლებსაც ისე სახელოვნად განაგებდნენ მდიდრულად მორთული დედოფალი ვიქტორია და სახელგანთქმული იმპერატორი ნაპოლეონი. ჯერჯერობით თვითონ თვითმპყრობელობას არ აპირებდა. მას ხომ შუბლზე ერთი ნაოჭიც არ აჩნდა, ისუთი ახალგაზრდა იყო. მაგრამ დღეს ზღვის პირად მჯდომს რაღაც უცნაური და გაუგებარი რამ დაემართა.

კარგ ამინდში ცის დასალიერზე ჩანდა გემები. ხანდახან ზღვაზე, ორ პატარა ნავსადგურს შორის მიმოდიოდნენ ნამცეცა კატერები, ხან გამოჩნდებოდა მებადურთა წითელიალქნიანი ნავები და სამგზავრო ხომალდები. თუ ნათელი დღე იყო, კაცის თვალი გაარჩევდა დიდ სამგზავრო გემებს, რომლებსაც შორეულ ქვეყნებში გადაჰყავდათ მგზავრები და გადაჰქონდათ ტვირთი. დღეს ბიჭმა სულ სხვა გემი შეამჩნია. ადრე ასეთი არ უნახავს. დღევანდელ გემს ბევრი მილი ჰქონდა. თეთრზე თეთრი მიემართებოდა წინ და უკან, ზღვის წყალზე სტოვებდა ბოლის ბოლქვებს, რომლებიც გაპენტილ მატყლს მოგაგონებდათ. გემი ისე ბრწყინავდა მზეზე, როგორც ვეება ცვარი. განცვიფრებული ბიჭი შესცქეროდა გემს, სანამ იგი თვალს არ მიეფარა.

ამ სანახაობამ მკვიდრად დაისადგურა ბიჭის გულში. შინაურებს უამბო რა უცნაური გემი ნახა. მაგრამ შინ არ დაუჯერეს. დედამ უთხრა — მოგეჩვენებოდაო, დამ — დიდი თეთრი ფრინველი იქნებოდაო, ხოლო გვენდურმა განაცხადა, რომ სულაც არ არსებობენ ეგეთი გემები.

მაგრამ მათთან ერთხელ პასტორი მოვიდა. და კვერი დაუკრა ბიჭის ნათქვამს, ასეთი გემი ნამდვილად ნახესო. ეს იყო გემი გასართობი მგზავრობისათვის. ასეთი გემით მოგზაურობენ მეფეები, დედოფლები და სხვა დიდებული პირებიო. მზიან ნაპირებზე დგას ქალაქები, სადაც ისინი ცხოვრობენო. იქ დღე და ღამე მოლხენაა, იქ მუდამ მხიარულებაა და იქაურ გემებსაც საზეიმო ელფერი ადევსო. კაიუტებში ბალახფიჭვას პანელია, ოქრო-ვერცხლის ჭურჭელზე ჭამენ, სადილობისას მშვენიერი მუსიკა უკრავსო. მერე პასტორმა გამოხვრეტილ სახურავს ახედა და თქვა:

— ეს ქოხი დიდხანს ვერ გაძლებს.

— მართალია, — დაუდასტურა ქვრივმა, — მაგრამ მალე ბიჭები მომესწრებიან.

— ერთიც ვნახოთ, ქვიან ნაპირს შეელეწოს, — უეცრივ თქვა ნონიმ.

— რას ამბობ? — ჰკითხა პასტორმა.

— მე დიდ ხომალდებზე მოგახსენებთ. მაშინ რა მოხდება, თუ ის გემი ჩაიძირება?

— ჯავრი ნუ გაქვს. დიდ გემებს არაფერი ემართებათ. ისინი ღრმა წყალში დაცურავენ, ნაპირს მოშორებით.

2

მას შემდეგ ბიჭი სულ შორეულ ქვეყნებზე ფიქრობდა. ოცნებით იპყრობდა სახელმწიფოებს, მბრძანებლობდა მთელ მსოფლიოში. სანიადაგო შრომა შეიძულა, იგი ჯაჭვივით ბორკავს ადამიანსო. და ბიჭი იმ ძალის თაყვანისმცემელი გახდა, რომელიც ხელისუფლებას ანიჭებს ადამიანს. ნონი ისე ცხოვრობდა, თითქოს სიზმარში ყოფილიყო.

ეს უთქმელი ბიჭი ხარბად ისმენდა ნაცნობთა თუ უცნობთა მონაყოლს, ვითომ იქ იპოვიდა პასუხს მისთვის საინტერესო კითხვებზე. ყოველი შორს მიმსრბოლი ცხენის მიერ ადენილი მტვერი სინანულს ჰგვრიდა. სულ უფრო და უფრო იზიდავდა საგმირო ამბები და სულ უფრო და უფრო ნაკლებს ფიქრობდა საკუთარ მეურნეობაზე. პასტორმა წერა-კითხვა ასწავლა და დანიშნულ ვადაზე მოახდინა მისი კონფირმაცია. მაგრამ ბიჭს ძველებურად იზიდავდა გვირგვინოსნები. ყურადღებით ათვალიერებდა ვიქტორიას მოქარგულ კაბას და დიდხანს შეჰყურებდა ნაპოლეონის ნებისყოფის გამომხატველ თვალებს. წელი წელს მისდევდა და ქოხს სულ უფრო ეტყობოდა ქამგადასულობა.

ნონი ერთი გამხდარი ბიჭი იყო, მეტად სხარტი, გამოხედვა მოუსვენარი ჰქონდა, ამიტომ სოფელში ფიქრობდნენ, მაგისგან კაცი დადგებაო, ვინ იცის, იქნებ პასტორიც გამოვიდესო. მაგრამ ნონი თვითონ ამბობდა, სწავლის ნება რომ მომცენ, არავითარ შემთხვევაში პასტორი არ გამოვალო. მაინც ვინ იქნებოდა ნონი? ამის თქმა ყმაწვილს არ უნდოდა.

— შენ თვითონაც არ იცი, რა გინდა გამოხვიდე, — ხშირად უთქვამთ მისთვის ტოლ-სწორებს.

— არა, ვიცი და კიდევაც მივაღწევ მიზანს.

— მე კი ვფიქრობდი, რომ შენ ახალ სახლს ამიშენებდი, — ამოიოხრებდა ხოლმე დედა.

— შენ არაფერი გესმის, დედილო! — სიტყვას ბანზე აუგდებდა ნონი.

იჯდა გამხდარი, დაღლილი, ძალაგამოლეული დედა და წინსაფრის წვერი მიეფარებინა თვალებზე.

— მე მინდა ქვეყნიერება ვნახო, დედი! — ამბობდა ბიჭი, — და მანამ არ მოვისვენებ, ვინემ დიდი კაცი არ გავხდები. მაშინ ორსართულიან სახლს აგიშენებ. — „იქნებ სასახლეც კი წამოგიჭიმო“, — დაუმატა გუნებაში, მაგრამ ხმამაღლა არ უთქვამს. რა საჭიროა ზედმეტის დაპირება.

და აი ნონი სახეტიალოდ წავიდა.

შრომას დიდი გასავალი არა აქვს, ნონის კი სხვებზე ნაკლებ გასამრჯელოს აძლევდნენ. ან კი რა მუშაა ეს მეოცნებე, გულჩათხრობილი და ჩია ბიჭი, რომელსაც შეუძლია ყოველი წვრილმანის გამო ცრემლი ღვაროს. ამუშავებდნენ, ქანცს აცლიდნენ, მაგრამ მაინც უქნარას ეძახდნენ. ხშირად იცვლიდა სამუშაო ადგილს და ჩუმ-ჩუმად ტიროდა. ზოგს ეცოდებოდა: ამბობდნენ, ამ ბიჭს რაღაც აქვსო, მაგრამ მაგისაგან ხეირი არ გამოვაო.

ნონი მარდი ბიჭი იყო, მშვენიერი მოცურავე. შეეძლო მთაში ეპოვა გზადაკარგული ცხვარი. მაგრამ ისეც მომხდარა, რომ ბიჭი ოცნებას წაუღია და ცხვარი აქეთ-იქეთ გაქცეულა. მიდი მერე და ეძებე. რა უნდა ექნა ნონის, მთის მწვერვალზე აცოცდებოდა და იქაურობას თვალს დააჩენდა — ქვებს გროვად დაახვავებდა. ის ქვები ახლაც იქ არის.

წელი წელს მიჰყვა. ნონიმ სხვადასხვა ადგილები მოიარა. სხვადასხვა ადამიანებს ემსახურა. სხვა ყმაწვილები თამაშით იყვნენ გატაცებული, ჰიდაობდნენ, ნონი მარტო იმას ფიქრობდა, როგორ ჩაეცვა. როცა ორი ახალი კოსტიუმი იყიდა, ბიჭებმა მასხარად აიგდეს. ნონი შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ ქალაქში არ წასულიყო, ძალიან მოსწონდა ქალაქური ცხოვრება. მთელი ზაფხულის მონაგარი შეეძლო ერთ კვირაში გაეფლანგა. წვრილმანებში ეხარჯებოდა ფული და ვერაფრის დაგროვება ვერ შეძლო, თუმცა სასმელს პირს არ აკარებდა.

ტოლებთან არ ამხანაგობდა, მეტისმეტად მარტოსული იყო. უმცროსებთან უფროსობა და ყოყლოჩინობა არ ეხერხებოდა. ერთი ორჯერ გადაწყვიტა საზღვარგარეთ წასულიყო, მეზობლებსაც კი გამოემშვიდობა, მაგრამ გზის ფული არ ეყო.

ქალაქამდე ჩააღწია, იქ წვრილმანებზე დახარჯა უკანასკნელი გროშები და მერე უკან დაბრუნდა. ერთხელ ვერცხლის ჩარჩოიანი სათვალე იყიდა და თუმცა სულაც არ სჭირდებოდა და ხელსაც უშლიდა მუშაობაში, თვალიდან აღარ იშორებდა და მხოლოდ დაძინების დროს იხსნიდა.

— დიდი ახირებული ვინმეა ეს ყმაწვილი, — ამბობდნენ მის შესახებ, — ურჩევნია დედას სახლი აუშენოს.

იქნებ ნონი ფიქრობდა, როდესაც სათვალე მიკეთია, სწავლულს ვგავარო, მაგრამ იგი სხვებზე მეტს არ კითხულობდა და თანაც განურჩეველი კითხვა იცოდა. რასაც მოახელებდა, ყველაფერს კითხულობდა. ეს იყო მოთხრობები ისლანდიაში მოთარეშე თურქი თუ ალჟირელი მეკობრეების შესახებ, ჯვაროსნული ომები და სხვა ამის მსგავსი ამბები. წიგნებს დიდი გავლენა არ მოუხდენიათ მასზე. თურქებს აღშფოთებით იხსენებდა, როგორც ყველა ის, ვისაც წაუკითხავს ისლანდიაში მათი მეკობრეობის ამბავი, როგორც ბევრ სხვას, მასაც სწყინდა, რომ ჯვაროსნებმა ვერ შეძლეს ქრისტეს საფლავის გამოხსნა და ქრისტიანობის აღდგენა. განსაკუთრებულ აზრებს არასოდეს არ გამოთქვამდა. და რაც წლები გადიოდა, ხალხი უფრო ნაკლებს ლაპარაკობდა მის ახირებულობაზე.

ერთხელ, შემოდგომით მოჯამაგირედ დაუდგა შეძლებულ გლეხს, სოფელ დიგრანესში. დიგრანესი მდიდარი სოფელი იყო და ქვეყნის ცხოვრებაში პატარა როლს როდი თამაშობდა — იგი ძველი ფასების მიხედვით ოც ათას წყრთა ქსოვილად იყო შეფასებული.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ გლეხს სამი ქალიშვილი ჰყავდა და მთელ იმ მხარეში უფრო სახარბიელო საპატარძლოებს ვერ იპოვიდით. მაგრამ აბა სად ეს ქალები და სად ღარიბი კაცი! ქორფა გოგონები შინ ცხოვრობდნენ და ჯერ არ იყვნენ დანიშნულნი. სოფელში ამბობდნენ, მართალია, მეპატრონის ქალებს მეტისმეტად ამაყად უჭირავთ თავი, მაგრამ იმაზეც არ იტყვიან უარს, რომ ხანდახან დრო მოჯამაგირეებთან გაატარონო.

და აი რა მოხდა... აქ გამოჩნდა სათვალოსანი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ორი კოსტიუმი ჰქონდა და რომელიც ნამყოფი იყო ყველა მთის მწვერვალზე. დებმა ინტერესით და-

ფწყეს მას თვალიერება. ღმერთო, რა დიდი ბრალია, რომ ამ ბიჭისათვის სიმაღლე არ მიგიცია. მეპატრონის შუათანა ქალს ძალიან მოსწონდა ყველაფერი იშვიათი. ახალგაზრდები კი ამ სოფელ-ქვეყანაში იშვიათობას წარმოადგენდნენ. ამიტომაც ახალი მოჯამაგირე მისი განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა. ნონიმ, ანუ როგორც მას სრულად უძახდნენ, იონ გუდმუნდსონმა უმალვე საპასუხო ყურადღება გამოიჩინა. როცა გრძელი და ბნელი საღამოები დადგა, ქალ-ვაჟი სულ უფრო და უფრო მიეძალა ბნელ სხვენს — იქ საქმე გაიჩინეს. ქალიშვილს ეხალისებოდა იონთან საუბარი, საათობით ებაასებოდა მოჯამაგირეს. ბიჭიც პასუხობდა. ლაპარაკობდნენ ქალაქზე, თუ რის ყიდვა შეიძლება მაღაზიებში. ორივეს უხაროდა, რომ ახლა მშვენიერი საქონელი იშოვება მსოფლიო ცივილიზაციის მეოხებით! ხანდახან ქალიშვილი ვაჟის სათვალეს იკეთებდა და ხმამაღლა იცინოდა... ეს მუსაიფი ხშირად მოულოდნელად წყდებოდა, აუცილებლად ერთ-ერთ მათგანს დაბლა ეძახდნენ. შობის შემდეგ ქალიშვილი რეიკიავიკში აპირებდა წასვლას.

— ყური მიგდე, სათვალიანო, მაინც ვინ გინდა გამოხვიდე? — ჰკითხა ერთხელ ქალმა ნონის.

პასუხი არ მიუღია. ნონიმ კოპები შეიკრა. ვაჟის დუმილმა ქალის ცნობისმოყვარეობა გააღიზიანა და იგი მოჯამაგირეს ჩააცივდა.

— მაინც, მაინც მითხარი, ვინ გინდა იყო. შენ ერთ ადამიანს ჰგავხარ, რომლის პორტრეტი სადღაც მინახავს.

— არავინ არ იცის, რა გამოვა ჩემგან, — პირქუშად უპასუხა ნონიმ.

— შენ ალბათ მოსამართლე გინდა გახდე? მაგიტომ ატარებ სათვალეს, როგორც ჩვენი მოსამართლე? ეგ რა ჩაგიდვია გულში?

— მე უკეთესი სათვალე მაქვს და არც დავყაბულდები მოსამართლეობას, თუნდაც რომ შემომთავაზონ ეგ თანამდებობა. თვითონ კი თითსაც არ გავანძრევ, რომ მოსამართლე გავხდე.

ქალი უყურებდა ვაჟს იმ შუქზე, რომელიც სამერცხლედან შემოდიოდა. მერე თვალები დახარა და გაიფიქრა: „თუნდაც

რომ შემომთავაზონ ეგ თანამდებობაო? მაინც რა კაცია ეგ. იონი?“ და ვაჟი, რომელიც უარს იტყოდა მოსამართლის თანამდებობაზე, მის თვალში ამაღლდა. ქალმა ვერავის გაანდო თავისი გულისტეხა. შეეშინდა, საცინლად ამიგდებენო. მართალია, იონი ღარიბი გლეხის შვილი იყო, მაგრამ მისმა თვალებმა ქალს მოსვეხება დაუკარგეს. განა არ ყოფილა შემთხვევა, რომ ღარიბი ადამიანი ხალხში გასულა სხვის დაუხმარებლად? ასეთი რამ ქალს წიგნებში წაუკითხავს. ეგების იონი ერთი იმათგანია.

ამ საუბრიდან რამდენიმე დღე გავიდა და ახალგაზრღები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ქალს რაღაც დასჭირდა სხვენის ყველაზე უფრო ბნელ კუნჭულში. რატომღაც ასეთი საჭიროება სწორედ საღამოობით იჩენს თავს. იონი თავისი ბუნაგიდან გამოვიდა. ქალმა უთხრა, რაღაც უხდა ვიპოვოო კარადაში და თანაც ძალიან მეშინია სიბნელის. ამიტომ დაე იონი აქ დარჩეს. ისინი იდგნენ კარადის ახლოს მთლად ბნელ კუნჭულში და როგორღაც მოხდა, რომ ერთმანეთს აკოცეს. კოცნა ხანგრძლივი გამოდგა, ხოლო ქალის ტუჩები — ლბილი და თბილი. მაგრამ როგორც კი ფეხის ხმა გაისმა, ქალი უმალვე გაქრა და სულ დაავიწყდა, რისთვის ამოვიდა სხვენზე. თუმცა შეიძლება იპოვა კიდეც, რასაც ეძებდა.

კარგა ხანი გამოხდა. იონსა და მეპატრონის ქალიშვილს ერთად ყოფნა აღარ მოუხერხდათ. იონი ყოველ საღამოს ელოდა სხვენზე მეპატრონის ქალიშვილს, მაგრამ ქალი არ მოდიოდა. დღისით კი ხვდებოდა ხოლმე ეზოში, მაშინ ქალი მოუცლელი იყო... სახეზე რაღაც ახლებური გამომეტყველება ეხატა... და იონმა შეიყვარა მეპატრონის შუათანა ქალი, ის გაუხდა ფიქრთა მპყრობელად.

შობის წინა დღეს იონმა ქალი ეკლესიაში ნახა, რომელსაც სადღესასწაულოდ რთავდნენ. ქალს სქელი ზედაწელი ეცვა და საკურთხეველთან კანდელაბრებს სწმენდდა. ო, რა ლამაზი მოეჩვენა იონს ჯვარცმის წინ მდგომი სატრფო! თვალი ვეღარ მოაშორა.

ვაჟმა ქუდი მოუხადა.

— არ გინდა ჩემთან ლაპარაკი? — ჰკითხა ქალს.

— არა, — ღიმილით მიუგო ქალმა.

— იმიტომ მიჯავრდები, რომ შენი კითხვა უპასუხოდ დავტოვე?

— მაინც რა გკითხე სამაგისო, რაღაც არ მაგონდება.

— შენ მკითხე, ვინ გინდა გამოხვიდეო.

ნონი ქალს მიუახლოვდა, თვალმოუშორებლად უყურებდა, ვაჟს ძლიერი ნებისყოფის და თავდაჯერების კვალი ანინდა სახეზე. მან თქვა:

— მე მინდა დიდი ადამიანი გამოვიდე და კიდევაც მივაღწევ ამას.

— აქ გინდა მიაღწიო, ჩვენს კუთხეში? — ჰკითხა გაოცებულმა ქალმა და მუშაობას თავი მიანება.

— არა. აქ ცნობილი ადამიანი ვერ გამოვალ. მე მალე საზღვარგარეთ წავალ, დამელოდები?

— თუკი დიდი ხნით არ წახვალ, — უპასუხა ქალმა და ნაღვლიანად დახარა თვალი. — ნუ წახვალ დიდი ხნით.

ნონი ხალისით დაპირდებოდა, დიდხანს არ დავრჩებიო, მაგრამ ვერ გაბედა. გრძნობდა, რომ დიდი ბრძოლა ელოდა, სანამ ქვეყნიერებას დაიპყრობდა და თანაც გამარჯვებას ადვილად ვერ მოიპოვებდა.

— წინ ხანგრძლივი ბრძოლები მელოდება, — თქვა მან, — მრავალი გამარჯვება უნდა მოვიპოვო. ვიცი, რომ ეს ძალიან მძიმე საქმეა, მაგრამ ძველ დროსაც განა ჯვაროსნებს ძნელი გზა არ ედოთ წინ. და ძლევამოსილმა მეფეებმა, მაგალითად ნაპოლეონმა, განა ადვილად დაიმორჩილეს მსოფლიო. მაგრამ მე არაფრის მეშინია, თუკი შენ დამელოდები. დამელოდები კია?

— დაგელოდები, — უთხრა ქალმა და დარცხვენით გაუსწორა თვალი.

ამ ადამიანმა სულ ყირამალა დააყენა ქალის წარმოდგენები ცხოვრების შესახებ. ქალის შეხედულებანი შესაძლებელსა და შეუძლებელზე, დროსა და სივრცეზე. არ იცოდა რა ეფიქრა ამ კაცზე.

ვაჟმა ქალს კოცნა მოუნდომა.

— არა, აქ არა, — დარცხვენილმა ქალმა ჯვარცმაზე მიუთითა, — აქ მაგის ადგილი არ არის.

— ვინ იცის, ეგების მე მაგასაც გავუკეთო რაიმე, — თქვა

ნონიმ. ახალგაზრდებმა ჯვარცმას შეხედეს და ერთმანეთი გადაკოცნეს.

— ახლა კი წადი, — რადგან სულ ინათლა, ქალს ეშინოდა, ეკლესიაში არავინ შემოვიდესო.

ასე დაგვირგვინდა ქალის ღვთის სათნო შრომა.

3

გემები მიმოდიან. იონი ნავსადგურში დგას და იმ ბედნიერებს აყოლებს თვალს, რომლებიც ამ გემებს მიჰყვებიან და მოჰყვებიან. თან იმასაც ფიქრობს, დრო მოვა და მეც გავუდგები გზას. მეპატრონის ქალი ორი წელი არ იყო შინ. ხალხი ამბობდა, საცაა უნდა ჩამოვიდესო. იონი უცდიდა. უნდოდა განშორების წინ გამოთხოვებოდა. როცა ქალი სოფლიდან მიდიოდა, ვაჟს მისი ნახვა ვერ მოუხერხდა. ასეა ყოველთვის. „აი მაგას რომ გამოვთხოვებოდი, მაშინ აღარაფერი დამიშლიდა აქიდან წასვლას“, — ფიქრობდა გუნებაში.

იონმა ახალი ფეხსაცმელი შეიძინა. ძალიან უნდოდა ახალი ფეხსაცმელით მოეწონებინა თავი და ამიტომ ქალაქში დარჩა. მაშინ აქაურ თავკაცებსაც კი იშვიათად ეცვათ ასეთი ფეხსაცმელი. იონმა ფუნდუკის მეპატრონეს ფული გადაუხადა და ისე წავიდა, რომ არავისათვის სიტყვა არ უთქვამს. რამდენიმეჯერ მივიდა ნავსადგურში. იკითხა, რა ღირს საზღვარგარეთ მიმავალი გემის ბილეთი. ასი კრონიო — უპასუხეს. იონი ამოდენა თანხას ვერასოდეს ვერ მოაგროვებს. „მალე ის დაბრუნდება და იმედი მაქვს გული არ ეტკინება იმის გამო, რომ ისევ აქა ვარ, — ფიქრობდა იონი, — დავარწმუნებ, რომ წავალ, წავალ, ვეწვევი უცხო მხარეს, უსათუოდ ჩავიდენ გმირობას, რასაც სჩადიოდნენ სხვა ღარიბი ახალგაზრდები. მათ მსოფლიო მოიარეს და გზა სხვის დაუხმარებლად გაიკაფეს“.

ბოლოს ქალიშვილი ჩამოვიდა. მას ჩამოჰყვა ახალგაზრდა კაცი, რომელიც იონს მანამდე არ ენახა ამ კუთხეში. ეს ახალგაზრდა მოსამართლის ვაჟი გამოდგა. იგი დანიაში სწავლობდა და თვითონაც მოსამართლეობას აპირებდა. მოხელის შავი ტანისამოსი ეცვა. აქ არც ასეთი ტანისამოსი უნახავთ.

იონ გუდმუნდსონი იდგა ნავსადგურში და ელოდა ქალი-

შვილს, რომელმაც იგი ვერც კი იცნო. როცა ნონი მიუახლოვდა, მან ზურგი შეაქცია. ქალი გულღიად მიიღო მოსამართლის ოჯახმა. ქალიშვილი და ახალგაზრდა კაცი, მოხელის ტანსაცმელით რომ იწონებდა თავს, ერთად წავიდნენ ქალაქში. გარშემო მათ მოსამართლის ოჯახმა შემოარტყა ალყა.

იონ გუდმუნდსონი მარტო დარჩა. ვაჟი ხმას არ იღებდა და ვერავინ მიხვდა, რა ხდებოდა მის სულში. სიზმარეულივით შევიდა მაღაზიაში და იკითხა, საჩემო პალტო ხომ არ გექნებათო? იყო ასეთი პალტო — უშნო, მოკლე, შავი, მეტისმეტად ვიწრო სახელოებიანი. იონმა იყიდა პალტო. ასე და ამრიგად მას ჰქონდა პალტო, მაგრამ ფული აღარ დარჩა. დაფიქრებული იონი ქალაქიდან გავიდა და მინდორს გაუყვა. მერე დიდი ხანი ეგდო ხევში, მწვანე ბალახში თავჩარგული. ბინდი ჩამოწვა ზღვასა და ხმელზე. ქალაქმა იყუჩა, დღის ხმაური მინელდა. გემებმა გამგზავრების ნიშანი მისცეს. გაისმა საყვირის ხმა ერთხელ, მეორედ.

ადრე თუ გვიან ყველა დიდი ადამიანი იძულებულია მიმართოს უკანონო მოქმედებას — მათ ხომ ბორკავენ და სდევნიან ამაქვეყნის კანონები. იონმა გადაწყვიტა ჩამჯდარიყო გემში, სანამ ნაპირს მოსცილდებოდა. ვაჟს ახალი ფეხსაცმელი ეცვა, მართალია, ცოტა დიდები. ეცვა ახალი პალტო, მართალია ცოტა ვიწრო, მაგრამ არავის შეუხედავს მისთვის ალმაცერად, არავის დაუშლია გემში ჩაჯდომა.

გემი ნაპირს მოსცილდა. გაშლილ ზღვაში გავიდა და გეზი აიღო სხვა, უკეთესი ქვეყნებისაკენ. იონმა გადაწყვიტა, ყველაფერს მიჯობს ტვირთის უკან დავიმალოო, მაგრამ მალე წვიმა წამოვიდა და ვაჟი გაითოშა. გარდა ამისა, მშიერი იყო, რადგან გუშინ ჭამა დაავიწყდა, თანაც ღელვა დაიწყო და ამიტომ ცუდად გახდა. იონი საფარიდან გამოძვრა, მოაჯირს გადაეყუდა — პირს ასაქმებდა. ერთი მეზღვაური დაკვირებით უყურებდა ამ მარტოხელა მგზავრს, რომელიც შუაღამით ცუდად გახდა. გათენდა. მთლად გალუმპული იონი კასრზე იჯდა. ფეხებს აქეთ-იქით აქნევდა. თავი მკერდზე დავარდნოდა. თვალები ანთებოდა. თითქოს გულ-მუცელი გადმოუტრიალესო. ხალხმა ჩაუარა. უეცრივ ვიღაც შეეხო მხარზე. იონმა დიდი გაჭირვებით აიღო თავი.

— ვინა ხართ? — ჰკითხა კაცმა, რომელსაც მკლავზე წითელი ნაჭერი ეკეთა.

იონ გუდმუნდსონმა გაკვირებული თვალი მიაპყრო და არაფერი უპასუხა.

— საით მიემგზავრებით?

— მე?.. — იკითხა იონმა, — მე გემზე ვარ...

— სად არის თქვენი ბილეთი?

ამ კითხვას პასუხი არ მოჰყოლია და მგზავრს თავი ისევ მკერდზე ჩამოუვარდა.

შტურმანმა ერთხელ კიდევ სცადა გამოეკითხა ყველაფერი, მაგრამ ის კაცი სულ უფრო დაბლა ხრიდა თავს. ბოლოს შტურმანმა გადაწყვიტა იძულებით მიეღო პასუხი. გამოდგა, რომ მგზავრს ბილეთი არა ჰქონდა.

გემზე ყოველთვის საშინელი აურზაური ატყდება ხოლმე, როცა გამოირკვევა, რომ ვინმეს ბილეთი არა აქვს. თუკი მგზავრს ბილეთი აქვს, ჩანს, საქმიანი კაცია და ტყუილ-უბრალოდ არ მილაყუნობს უცხო ქვეყნებში. გემის მეპატრონეთა კამპანიებს თავი მოაქვთ იმით, საქმიანი ხალხი და ტურისტები გადაგვყავს, რომელთაც მოგზაურობის სახსარიც მოეპოვებათო. უბილეთო მგზავრი კი იმსახურებს საყოველთაო ყურადღებას, ყურადღებას ხალხისა და კანონისა, თუმცა მთელი მისი ბოროტმოქმედება სულ ის არის, რომ იქ უნდა წავიდეს, სადაც სხვებს სურთ წასვლა.

გემზე შეშფოთდნენ. რა უყონ ამ ახალგაზრდა კაცს? კაპიტანი მოვალეა პოლიციას ჩააბაროს ეს ახალგაზრდა უახლოეს ნავსადგურში. მაგრამ შეიძლება მხოლოდ უსულგულო კაპიტნები აბარებენ პოლიციას ღარიბებს, რომლებსაც უნდათ სანატრელ მხარეს ეწვიონ და კარგი კაპიტნები კი პოულობენ გამოსავალს? ეგების ისინი უფრო უგებენ ღარიბ-ღატაკებს, ვინემ კანონი! ერთ-ერთ მეზღვაურს ნება დართეს იონ გუდმუნდსონისათვის გაეხადა კოსტიუმი, ფეხსაცმელი და პალტო, რათა ბილეთის ფულის გადახდა შეძლებოდა. უბრალო ლურჯი შარვალი აჩუქეს, კურტაკი და ხის ფეხსაცმელი, რომ დედიშობილა არ გამოცხადებოდა საზღვარგარეთს. ვიდრე გემი ნავსადგურში შევიდოდა, მგზავრებმა რამდენიმე კრონი შეაგროვეს და იონს მისცეს, რათა მას მსოფლიოს დაპყრობა გაადვილებოდა

ყოველივე ეს საუკუნის მიჯნაზე მოხდა. შემოდგომის ერთ საღამოს ეკულსარდალში ჰოფის სამრეველოს დედაკაცი ძროხას წველიდა. მაშინ ჯერ ისევ ხელსაყრელი იყო ძროხების ყოლა. მხოლოდ შემდეგ დაეკარგათ ფასი. ყველასათვის ცნობილია, რომ ეკულსარდალი ოსტურლანდში მდებარეობს და იქით მიმავალი გზა მიუვალ მყინვარებზე გადის. წინაპართა წიგნებში წერია, რომ აქ მყინვარებსა და სამხრეთის სოფლებს შორის იყო ძველი გზა, რომელიც მიდიოდა ჩრდილოეთით ვატნაეკულისაკენ. წინჯთ ეს მხარე საძოვრებს ეკერა. მაგრამ ახლა გარშემო უდაბურებაა. რამდენიმე ასეული წელი იქნება მთის გზას ალარავინ გაჰყოლია. რომ ეს ქვიანი, ყინულით დაფარული ადგილი გადაიაროთ, ერთი კვირა მაინც მოგინდებათ.

გამიგონია, რომ მხოლოდ ერთმა უცხოელმა მხედარმა გადალახა ეს გზა. თანაც ამბობენ, იმ კაცისათვის სულ ერთი იყო, მოკვდებოდა თუ დარჩებოდაო. მთელი გზა ცხენი არ გამოუცვლია და როდესაც დასასვენებლად დაწვებოდა, ცხენის წინა ფეხებს მიებმებოდაო. იმასაც ამბობდნენ, სულ ჩახმახმომართული ეჭირა თოფი და ყოველ წუთს შეეძლო ცხენიც გაეთავებინა და თავიც მოეკლაო.

უეცრივ ძაღლმა ყეფა ატეხა. ქალმა ხელი მოიჩრდილა და დაინახა კაცი, რომელიც მთიდან ეშვებოდა. ერთ ხანს გაკვირვებული უყურებდა — იმ მხრიდან ხომ არავინ არასოდეს არ მოსულა. არც იმის თქმა შეიძლებოდა, რომ ის კაცი მოდიოდა, უფრო დაოთხვილი მოფოფხავდა. ძაღლი გააფთრებით უტევდა. ასე ხოხვა-ხოხვით კაცი მოვიდა ბოსლამდე. აქ გაიმართა და ბოსლის მესერს მოეჭიდა. როცა ადგა, მხოლოდ მაშინ დაინახა ქალი, რომელიც გაოცებული შემოსცქეროდა ფეხშიშველა, დაძენძილსა და ტურტლიან კაცს. მოსულს ხელ-ფეხზე სისხლი სდიოდა. თავშიშველი იყო, თმა გაბურძგნოდა, წვერი ჰოეშვა, ტუჩები დასკდომოდა, თვალები ანთებოდა. მაგრამ მაინც აშკარად ჩანდა, რომ მოსული ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცი იყო. ალბათ, პაწაწკინტელა დააგდეს მთაში და იქ გაიზარდა. კაცმა რაღაც წაიბუტბუტა, ქალმა ვერაფერი გაუგო. უეცრივ მოაფიქრდა, ეს ერთი იმ სომეხთაგანი იქნება, რომ-

ლებიც თურქებისაგან მორბიან და ჩვენს მხარეს აფარებენ თავსო. ქალმა რძე მისცა. რძე ისეთი სქელი იყო, რომ ბოგანო ძლივს სვამდა მას. მერე ჩამოჯდა, თავისი დაღლილი ფეხები გაჭიმა და ზედ დაიხედა. ახლა ქალს აღარ ეშინოდა მისი.

— ვინა ხარ? — ჰკითხა მასპინძელმა.

მოსულს თითქოს არაფერი ესმისო, მაგრამ მერე მაინც გასცა პასუხი ისე, რომ თავისი დასისხლიანებული ფეხებისათვის არ მოუშორებია თვალი.

— მე ნაპოლეონ ბონაპარტე ვარ.

— კეთილი, — ქალს აქამდე არასოდეს არ გაეგონა ეს სახელი. — შორიდან მოდიხარ?

— ვატნაეკულიდან მოვდივარ.

— მაინც რა დაგემართა, შე ბეჩავო?

— მე იმპერატორი ვარ, — განაცხადა მოსულმა.

— რაო, რა თქვი? — გაიკვირვა დამხვდურმა.

— მე ავაღორძინე ქრისტიანობა დანიაში და დავამარცხე თურქები.

— თურქებიო? — დაუბრუნა სიტყვა ქალმა.

— ჰო, თურქები, იმათ ბოლო მოვუღე.

— ჰო, ჰო, — დაეთანხმა ქალი, — მე მგონია თქვენთვის უკეთესი იქნება პასტორს მოელაპარაკოთ.

მოსული კაცი თავის ფეხებს თვალს არ აშორებდა: რა გრძელი და მძიმე სავალი განვლეს ამ ფეხებმა. ქალი ისევ ძროხის წველას მიუბრუნდა. თავის საქმეს რომ მორჩა, ახლად მოსული ისევ მდელოზე იჯდა. მერე სტუმართან მივიდა პასტორი. იგი ბებერი, გულკეთილი პასტორი გახლდათ. მოხარული იყო თავის სახლში მიეღო მოსული და მოევლო მისთვის. მაგრამ ბოგანო ფეხზე ძლივს იდგა და მხოლოდ ფარეხამდე მიატანა. იქვე მიუტანეს საჭმელი, იქვე დაიძინა, ბაგასთან გაუშალეს. მალე მადა მოუვიდა. მესამე დღეს პასტორმა ცელი მისცა და ისიც სხვა მუშებთან ერთად სათიბში წავიდა. მოჯამაგირეებს უკვირდათ, რომ იმპერატორი ნაპოლეონი მათთან ერთად მუშაობდა სათიბში, ამას ერთგვარი გამოცოცხლება შეჰქონდა მათ ერთფეროვან ცხოვრებაში. უნდოდათ დაწვრილებით გამოეკითხათ იმპერატორისათვის, როგორ ააღორძინა დანიაში ქრისტიანობა, ანდა როგორ მოუღო ბოლო თურქებს.

მაგრამ სტუმარი მოშორებით დაჯდა, დანარჩენებს ზურგი შეაქცია, კითხვებზე პასუხის მიუცემლად ჭამდა თავის სადილს, თვალებში ისეთი რაღაც უკიაფებდა, რაც მოგაგონებდათ ძაღლმისეულ ნადირს, რომელსაც თავდაცვის უნარი აღარ აქვს. ბებერმა პასტორმა ყველანი დამოძღვრა, არაფერი აწყენინოთ ბონაპარტესო და ყველას გამოუცხადა, ძალზე ბედშავი ადამიანია ნაპოლეონიო.

კაცმა რომ თქვას, არც არავინ ახლებდა ხელს ნაპოლეონს, ანდა როგორც მერე შეარქვეს, პარტეს. თვითონ პარტე არავის აწყენინებდა, ძაღლსაც კი არ გაუჯავრდებოდა. ძნელი წარმოსადგენი იყო უფრო მშვიდი ადამიანი, ვინემ ეს ძველი მეომარი იმპერატორი. გამრჯე კაცი იყო, ყველაფერს დროზე აკეთებდა და შეხსენება არა სჭირდებოდა. მაგრამ სოფლის არც ერთ სახლში არ დაიდო ბინა და ისევ ფარეხში ცხოვრობდა. პასტორის ცოლმა მას ტანსაცმელი და რბილი ისლანდიური ჩექმები მისცა. თიბვის დასასრულს ყველასათვის ნათელი იყო, რომ პარტე საზრისიანი მუშაა და ხელიდან ყველაფერი გამოუდის. მან ინვენტარი მოაწესრიგა. სადაც ხინჯი რამ შეამჩნია, მოსპო. ყოველ დღე ასუფთავებდა ეზოსა და გომურს. როცა ზამთარი დადგა, პასტორის საქონლის მოვლა იკისრა. მარტო მას მიანდვეს ეს საქმე. მხოლოდ ერთ რასმე ვერ იტანდა პარტე — გაჯავრებასა და შენიშვნას. ეს გულს აუმღვრევდა და მაშინ ბრაზიანად ყვიროდა ხოლმე:

— მე ნაპოლეონ ბონაპარტე ვარ!

ერთხელ მივარდა მოჯამაგირეს, რომელმაც ჭკუის დარიგება მოუნდომა. ამ შემთხვევის შემდეგ პასტორმა აკრძალა ნაპოლეონ ბონაპარტეს შეურაცხყოფა. აქ იგი სოფლის სტუმარი იყო და არავის ჰქონდა უფლება, ხელი ეხლო მისთვის. პარტეს ნება მისცეს სამუშაო თავის გუნებისად აერჩია. მისი სამუშაო კი ყოველთვის მოიძებნებოდა. ერთხელ ვიღაცამ იონი დაუძახა. ჯერ ნაპოლეონმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს არ გაუგონიაო, მაგრამ რაკი მოჯამაგირე არ მოეშვა და „იონ, იონო“, დაუჟინა, პარტე გაბრაზდა და დაიყვირა:

— მე ნაპოლეონ ბონაპარტე ვარ!

— არა, შენ იონ გუდმუნდსონი ხარ.

მაშინ პარტემ სულ აუშვა ბრაზის აფრები და თქვა:

— აქედან გაეთრიე, არამზადავ, — და ცოტა დააკლდა, რომ მუშტშემართული არ მივარდა მოჯამაგირეს.

პასტორმა ბრძანება გასცა, ყველამ ის დაუძახეთ მოსულს, რაც მას სურსო. თვით პასტორი ყოველთვის პატივისცემით მიმართავდა, ნაპოლეონ ბონაპარტეს ეძახდა. როდესაც საბოლოოდ გამოირკვა, რომ პარტე პასტორის სახლში არ იცხოვრებს, მას პატარა ქოხი აუშენეს, შიგ თექა გამოუკრეს და პასტორის ცოლმა სანთელი მისცა. მერე ბატკნებისათვის ახალი ბინა ააგეს და ძველი მთლად ნაპოლეონ ბონაპარტეს დაუთმეს. ზაფხულს პარტემ ქოხი ახალი ყაერით გადახურა. მას საკუთარი დანა ჰქონდა, თავისი მათლაფა და კოვზი. ერთსა და იმავე მათლაფაში აძლევდნენ წვენს, ხორცსა და თევზს. თუკი დიდხანს არ მოუტანდნენ საჭმელს, მაშინ სადღაც მიდიოდა და საქონელი უჭმელი რჩებოდა. და პარტე იმ დღეს უკვე აღარაფერს გააკეთებდა. ამიტომ პასტორმა თავის მოჯამაგირეებს უთხრა, ერთი წუთითაც არ დაუგვიანოთ პარტეს საჭმელიო.

ერთხელ, შემოდგომით სოფელში ჩრდილოელი კაცი მოვიდა. მას აქეთ რაღაც საქმე ჰქონდა და, სხვათა შორის, ნაპოლეონ ბონაპარტესაც მიაკითხა.

— გამარჯობა, ძვირფასო ნონი!

პასუხი არ იყო.

— ნუთუ არ გახსოვარ? მე და შენ ხომ ერთად ვმუშაობდით სოფელ დიგნარესში?

არავითარი პასუხი.

— მე იონი ვარ, შენი სიძე, შარშან შევირთე შენი და სიგა.

ბონაპარტე შეიშმუშნა და სახეზე უკმაყოფილების ნიშნები დაეტყო.

— დედაშენი წელს ჩვენთან გადმოვიდა საცხოვრებლად. მოკითხვა შემოგითვალა და მთხოვა ეს ხელთათმანები გადმოგცე. — ჩრდილოეთიდან მოსულმა კაცმა პარტეს ღია ფერის ლბილი და თბილი ხელთათმანები გაუწოდა.

ნაპოლეონი გაბრაზდა, რაღაც წაიბურტყუნა — ეს კი ავის მომასწავებელი იყო. ასეთ შემთხვევაში ყველაფერს დუმილი სჯობდა. პარტემ განაცხადა, მე ნაპოლეონ ბონაპარტე ვარ და არ მსურს ვიცოდე, ვინ არის ეს კაცი და ვინ გამოგზავნა იგი

აქაო. ხელთათმანები კი ყველაზე უფრო ავ დაცინვად მოგჩვენა და ღობის იქით გადაისროლა, თან წყევლა-კრულვაც მიუსართა. იქიდან მოკიდებული არც ერთი ჩამოსულის ნახვა არ უნდოდა.

5

წლები მიდიოდა. ბებერი პასტორი მოკვდა. იგი დამარხეს და ერთ ხანს მოევლს მღვდელი არა ჰყავდა. მერე ახალი პასტორი მოვიდა.

— შენ ვინა ხარ? — ჰკითხა მან პარტეს.

— მე ნაპოლეონ ბონაპარტეს მეძახიან, იმპერატორი ვარ.

— საკვირველია, — თქვა პასტორმა, — როგორ გახდი იმპერატორი?

— მე ვარ შვილი ნაპოლეონ პირველისა და დედოფალ ვიქტორიასი.

— ჰო, აქ როგორღა მოხვდი? — ჰკითხა ახალმა პასტორმა.

— რამდენიმე წლის წინათ ჩამოვედი გემიდან. ჩემი გემი დაიღუპა.

— მე მგონია, შენ ცდები, — მიუგო პასტორმა.

ნაპოლეონს სიბრაზის ნიშნები დაეტყო.

— გამიგონია, რომ შენ ოდესღაც დანიაში ყოფილხარ. მართალია? — ჰკითხა პასტორმა.

— მართალია, — უპასუხა ნაპოლეონმა, — მე ავაღორძინე ქრისტიანობა დანიაში. მე დავიპყარი თურქები მას შემდეგ, რაც მათ სხვა ქვეყნები დაიპყრეს.

— ეგ ძალიან კარგი საქმე გაგიკეთებია, მადლობელი ვარ, ნაპოლეონ, რით შემიძლია დაგეხმარო.

— ჩემი დახმარება არავის არ შეუძლია, ნაპოლეონს არც სჭირდება სხვისი დახმარება.

ამაყი და ქედმაღალი ნაპოლეონი ახალ პასტორს განშორდა. მას არავისი მეგობრობა არ სჭირდება, არცა კაცისა და არცა ძაღლის, იგი მარტოხელაა და ძლევამოსილი, ყველაფერი ეჯავრება და წუთისოფელს ზემოდან დასცქერის. ვერავინ ვერაფერს შემატებს ნაპოლეონ ბონაპარტეს. ადგილობრივი მცხოვრებლები ასწავლიდნენ ახალ პასტორს, როგორ უნდა

მოპყრობოდა პარტეს. და ისიც ყურს უგდებდა მრევლის ხმას: პასტორისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მას თავისი მოვალეობა აღესრულებინა ნაპოლეონ ბონაპარტეს წინაშე.

ნაპოლეონ ბონაპარტემ ორი მღვდელი ამოიჭამა და მესამის დროსაც მოუხდა ცხოვრება. იგი მრევლშივე დარჩა, თუმცა სხვები მოდიოდნენ აქ და მიდიოდნენ. არავის ახსოვს, რომ ნაპოლეონი გასცილებოდა სოფლის მიდამოებს. მისი ქოხი სულ უფრო და უფრო ჩავიდა მიწაში, ხელისგულისოდენა ფანჯრები დარჩა, კარი ისე მოიქცა, რომ ნაპოლეონი თავის ბინაში წელგამართული ვერ შედიოდა. რამდენიმეჯერ, როდესაც პარტე შინ არ იყო, ცნობისმოყვარეებმა მის ბუნაგში ჩაიხედეს. მაგრამ ერთი გაუბედურებული საწოლის გარდა იქ არაფერი არ იყო. იქვე იდო კოვზი და თიხის მათლაფა, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში არ გაუტეხავს. პარტეს თმაწვერს მაკრატელი არ მიჰკარებია და ისე გაეზარდა, რომ პერანგს ზემოდან სცემდა. თმა ნაადრევად გაუჭაღარავდა და ახლა მთლად თეთრი იყო.

პასტორის ცოლები ყოველთვის თვალყურს ადევნებდნენ, რომ მას ტანსაცმელი ჰქონოდა. ადგილობრივ მცხოვრებლებს კარგ ნიშნად მიაჩნდათ, რომ ასეთი კაცი მათ სოფელში დასახლდა. ნაპოლეონმა ავადმყოფობა არ იცოდა. არასოდეს არ დაინტერესებულა ფულით და მრევლს იმისი შიში არა ჰქონდა, სარჩენად დაგვაწვებაო... ეს იყო სანდო, უანგარო ადამიანი. არასოდეს გასამრჯელო არ მოუთხოვია. ყველანი პატივისცემით ეპყრობოდნენ ამ უიმპერიო იმპერატორს, რომელიც ასე მხნედ და ღირსეულად იტანდა სამშობლოსაგან გაძევებას.

წელი წელს მისდევდა. ნაპოლეონი უფრო და უფრო იშვიათად ახსენებდა თავის წარმოშობას და საქვეყნო დიდებას. ახლა იმის კმაყოფილიც იყო, რომ უბრალოდ პარტეა — დაუსრულებელი ომებით თავგაბეზრებული კაცი. წლები ათეულებად დალაგდნენ და ჟამთა სვლის რიგს მიემატნენ. ახლა უკვე თვალში საცემი იყო, რა ხშირად ჩერდებოდა პარტე მუშაობის დროს. ერთ წერტილს მიაჩერდებოდა და გაღიზიანებული მოიფხანდა ყურს: თითქოს რაღაცის გახსენება უნდა და ვერაფრით ვერ გაუხსენებიაო. მაინც რა აწუხებდა ბებერ ნაპოლეონ ბონაპარტეს? უეცრივ გაახსენდა:

— მე მგონია, სადღაც დავკარგე ხელთათმანები, ღია ფერის ლბილი და თბილი ხელთათმანები.

არავინ არაფერი არ იცოდა იმ ხელთათმანებისა, რომლებიც დაეკარგა ბონაპარტეს. პასტორის ცოლმა მისცა ხელთათმანები, თვითონვე დართო ძაფი, თვითონვე მოუქსოვა.

— იქნებ ეს ხელთათმანებია?

— არა, ეს არ არის.

როგორი ხელთათმანებიც არ მოუტანეს, ისეთი მაინც არ გამოდგა, როგორიც დაეკარგა ნაპოლეონ ბონაპარტეს. იგი ხშირად იდგა ქუჩის მოაჯირთან და გამვლელ-გამომვლელს ეუბნებოდა:

— ერთი მითხარით, გზაში ხომ არ გინახავთ ხელთათმანები, ღია ფერის ხელთათმანები?

არავინ იყო ნაპოლეონ ბონაპარტეს ხელთათმანების მნახველი.

ჩაზამთრებამდე ეძება ხელთათმანები. და აი ერთხელ, როცა პასტორს გომური დაულაგა, სამზარეულოში დააკაკუნა. ასე იქცეოდა ყოველთვის, როდესაც საჭმელისათვის მოდიოდა.

— რა გინდა, პარტე, ნუთუ ასე მალე მოგშივდა? — ჰკითხა მას მზარეულმა.

— არა, საჭმელისათვის არ მოვსულვარ, — უპასუხა მან. — მინდა პასტორს მოველაპარაკო.

როცა პასტორი გამოვიდა, პარტემ თავისი ბებრული, ჭუჭყიანი, დაძარღვული ხელი გაუწოდა და უთხრა:

— მადლობელი ვარ.

— რის მადლობას მიხდი? — შეეკითხა პასტორი.

— მადლობელი ვარ, რომ შემიფარე, ჭერი და ლუკმა მომეცი, — მიუგო ნაპოლეონ ბონაპარტემ, — გადავწყვიტე, სამშობლოში წავიდე.

— სამშობლოშიო? — გაიკვირა პასტორმა.

— ჰო, სამშობლოში. გამახსენდა, რომ ერთ ქალს სახლის აგებას დავპირდი.

— ვინ ქალს დაპირდი?

— ერთ ქალს დავპირდი.

— ყური მიგდე, პარტე, ეგების ეგ დაგესიზმრა, ეგების არა ხარ ნაპოლეონ ბონაპარტე?

პარტემ კეფა მოიფხანა, კოპები შეიკრა, პასტორი დამცინისო, გაიფიქრა.

— განა შენ არ აღადგინე დანიაში ქრისტიანობა?

— მე ალბათ დამავიწყდა ეს, — დარცხვენით უპასუხა ნაპოლეონ ბონაპარტემ. როგორც ჩანს, ახლა მისთვის სულ ერთი იყო, ქრისტიანები იყვნენ დანიელები თუ არა.

— განა შენ არ დაამარცხე თურქები, რომლებმაც ბევრი ქვეყანა დაიპყრეს?

ნაპოლეონ ბონაპარტემ თავი გაიქნია. როგორც ჩანდა, არ სურდა თავი დაემძიმებინა ისეთი სადავიდარაბო საქმით, როგორიც არის თურქებთან ბრძოლა. იქნებ თურქები იმათზე ცუდები არ იყვნენ, ვინც დაიპყრეს.

რა ფუჭი გვეჩვენება ჩვენი საამქვეყნო დიდება, როდესაც საწუთროს იმ მიჯნას ვუახლოვდებით, რომლის წინ არარაობად იქცევა ყველა გამარჯვება და ყველა მარცხი.

— რომელი საათია? — იკითხა ნაპოლეონ ბონაპარტემ. წინათ არასოდეს არ დაინტერესებულა დროით, — დროა გზას გავუდგე. დღეს მეტისმეტად შემაგვიანდა. დიდი თავაზიანობა ვამოიჩინეთ, ბატონო პასტორო, რომ შემივრდომეთ, როდესაც მთიდან ჩამოვედი. მაშინ დიდი ხნის უჭმელი გახლდით და ვატნაეკულზე გავლა მეშინოდა. ახლა ძალ-ღონე მოვიკრიბე. იმედი მაქვს, შინ მაინცადამაინც არავის შეშინებია.

და ნაპოლეონი წავიდა. იგი სოფელ-სოფელ მიდიოდა და მადლობას უხდიდა ყველას, ვინც უავით გაუმასპინძლდებოდა.

— საით გაგიწევია, შე კაი კაცო? — ეკითხებოდნენ მას.

— შინ მივდივარ, — პასუხობდა პარტე, — ერთ ქალს რაღაცას დავპირდი, მაგრამ გზაში შემაგვიანდა.

— განა შენ ნაპოლეონ ბონაპარტე არა ხარ?

მან თავი გადაიქნია და ამით უარყო ეს სახელი.

— განა შენ არ აღადგინე დანიაში ქრისტიანობა?

— რა ქრისტიანობა?

— შენ არ დაამარცხე თურქები?

პარტე თავს აქნევდა, არც კი ესმოდა, რას ელაპარაკებოდნენ. სულ ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა. გზად შეხვედრი-

ლები მოუტრიალდებოდნენ, თვალს ატანდნენ. ის კი მიდიოდა, გაყინულ ჭაობსა და პარტახ ადგილებს არ ერიდებოდა. მიდიოდა ეს ძალ-ღონე გამოცლილი ბერიკაცი, რომელსაც ხელთათმანებიც კი არ ჰქონდა. ხელში წაწვეტებული ჯოხი ეჭირა.

შობის წინადღეს თავს დაატყდა საშინელი ქარიშხალი. ის ქარიშხალი ჩვენ ყველას გვახსოვს. იმ კაცზე მეტი აღარაფერი გაგვიგონია. მაშინ იპოვეს, როცა გაზაფხული დადგა და თოვლი გადნა. იგი იწვა ფიორდ ტრიმის იმ ქარაფის ძირში, სადაც ოდესღაც მდებარეობდა სოფელი კოტკაგი.

როგორც იქნა, დაუბრუნდა ის კაცი თავის შინას.

ლ ი ლ ი ა

ნებუკადნესარ ნებუკადნესარის სიცოცხლისა და სიკვდილის ამბავი

ასეთი სახელი იმ კაცს მხოლოდ იმიტომ შევარქვი, რომ მკითხველმა ჩემს მოთხრობას ყურადღება მიაქციოს და იფიქროს: „ეს ალბათ ძალზე თავშესაქცევი ამბავი იქნება!“ ეგ რომ არა, მხოლოდ ინიციალებს დავწერდი: ნ. ნ. რადგან სიმართლე გითხრათ, დამავიწყდა, უფრო სწორად, არასოდეს არ მცოდნია რა ერქვა მას. ან რაში გეჭირვებათ მისი სახელი? როგორც მკითხველი შეამჩნევდა, აქ მეორე სახელიც არის და სწორედ ისაა საქმის თავი და ბოლო.

ამბავი, რომელიც მინდა გადმოგცეთ, ძალზე გრძელია, მეტისმეტად გრძელი. შეგეშინდება კიდეც კაცს, იმდენად გრძელი ამბავია. მისი დასაწყისი დაკავშირებულია უმოკლეს მელოდიასთან, რაც კი ოდესმე გამიგონია. ეს მელოდია არც იყო, უფრო რომელიღაც მელოდიის ბოლო აკორდი, თუმცა საიმისოდ ცოტა გაჭიანურებული კი ჩანდა. თუ კარგად დაუფიქრდებით, შეიძლება წარმოიდგინოთ, რომ ეს არის რომელი-

ღაც ცნობილი კომპოზიტორის სიმფონიის დასასრული. მე გავაცანი ეს მელოდია ერთ ჩემს მეგობარს, ვინაც კომპოზიტორობას აპირებდა. მან გადაწყვიტა ამ მელოდიის საფუძველზე დაეწერა სიმფონია, როცა აღმაფრენა მოუვიდოდა, და ქვეყნად აღეძრა ინტერესი იმ თემისადმი, რომელიც ქალაქ სნეფელსნესის ერთი მცხოვრების გულში დაიბადა.

ახლა კი მომისმინეთ.

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა მოწაფე ვიყავი და რეიკიავიკში ვცხოვრობდი, პატარა ქოხში. ამ ქოხის გვერდით მეზობელი სახლის საქვაბე იდგა. საქვაბე ჩვენგან გამოყოფილი იყო თხელი ტიხარით. ზამთრობით ხშირად გამიგონია, ვიღაც იმ მელოდიას ღიღინებდა, განსაკუთრებით საღამოობით, როცა ღამისათვის ივსებოდა ქვაბი. ვიღაც დაუსრულებლად იმეორებდა მას ბოღმიანი ხმით, რომელიც დაძენძილ კანაფს მოგაგონებდათ. ბოლო ნოტების აღებისას, თითქოს მომღერალს სულის მოთქმა დაავიწყდაო, იყუჩებდა და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა, გეგონებოდათ კაცი სიმღერას შეაკვდაო. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გაისმოდა ზმუილი, რომელიც დროდადრო წყდებოდა და ბოლოს მელოდიად გადაიქცეოდა. იგრძნობოდა, რომ მელოდია კვლავ ცოცხლობდა მომღერლის გულში, თუმცა იმ კაცს ჩახლეჩილ-ჩახრენწილი ხმა ჰქონდა და სიმღერაც თითქოს ყელში ეჩხირებოდა. ჩანდა, ეს ადამიანი მთელ თავის სულს მელოდიას ატანდა, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, დრო-ჟამის შემდეგ დიდი სიმფონია იქნება.

მთელი ზამთრის მდუმარე საღამოობით მღეროდა ვიღაც. მე ვცდილობდი გამეგო, ვინ მღეროდა ამ მწუხრის სიმღერას. გამოირკვა, რომ მას ღიღინებდა ცეცხლფარეში. იგი შუაღამეობით მიდიოდა.

ერთ საღამოს საქვაბეში შევედი. კარგამოღებულ ჭურაში ნაკვერცხალი ღვიოდა. ჭურის წინ, სიბნელეში თითქმის უჩინარი ნებუკადნესარ ნებუკადნესარსონი იჯდა და მღეროდა.

— საღამო მშვიდობისა, — ვუთხარი მე.

— საღამო მშვიდობისა, — გაისმა სიბნელეში ბებრული ხრინწიანი ხმა.

— როგორ თბილა და რა კარგია აქ ყოფნა. — შევნიშნე მე.

— უკვე ჩემი წასვლის დროა.

— განა შენ აქ არ ცხოვრობ?

— არა, — მიპასუხა ცეცხლფარეშმა.

— უყურე ერთი. საღამოობით ხშირად მესმის შენი სიმღერა.

— მე არა ვმღერი, — წაიბუბუნა ბერიკაცმა.

— მე მაინც ხშირად მესმის შენი ხმა, — დავიჟინე მე.

— არა, მე არასოდეს არ ვიცოდი სიმღერა.

— კი მაგრამ, მე მელოდიაც დავიმახსოვრე, — შევეპასუხე. მე.

ცეცხლფარეშმა რაღაც წაიდუდუნა ცხვირში. ჩანდა, ჩემი თავიდან მოშორება უნდოდა.

— კარგი, მეტს აღარ შეგაწუხებ, — ვუთხარი მე.

— ძილის დროა, — გაიმეორა მან და წავიდა.

ერთხელ პიანინოს ყუთი მაჩვენეს, რომელიც ზღვის ნაპირზე იდგა ლოდებს შუა. აქ შეყუჟულიყო ნებუკადნესარ ნებუკადნესარსონი, თუმცა მაშინ საშინელი ყინვები იდგა და ქარიშხალი მძვინვარებდა. „აი რატომაა ბერიკაცი მუსიკალური, თურმე მუსიკალური ინსტრუმენტის ყუთში ცხოვრობს“,— გავიფიქრე მე.

რამდენიმე საღამოს საქვაბეში სიჩუმე იყო. ხანი რომ გავიდა, ეტყობა, ბერიკაცს დავავიწყდი და ისევ აღიღინდა, როგორც ძველად, იმავ დაბალ, ჩახლეჩილ ხმაზე. მე ისევ შევუარე.

— საღამო მშვიდობისა, — მივესალმე მე.

— საღამო მშვიდობისა.

— მესმის, რომ მღერი.

— არა, — მიპასუხა მან.

— სად გისწავლია ეგ მელოდია?

— მელოდიაო? ეგ მელოდია არ არის.

— შენ ყოველთვის ერთსა და იმავეს მღერი.

— განა მე ვმღერი, — თქვა მან, — მე არც არასოდეს მცოდნია სიმღერა და არც ვიცი. ოდესღაც კი მინდოდა სიმღერა მესწავლა. მაგრამ ის დრო დიდი ხანია წავიდა. ახლა უკვე ამას აღარ ვფიქრობ. მეხალისება ცეცხლის გაჩაღება და ქურასთან ჯდომა.

— სადაური ხარ? — ვკითხე მე.

— დასავლელი.

— მაინც სადაური?

— ულაფსვიკელი.

— ეგ კარგი ადგილია?

— ულაფსვიკში ზღვის მაგარი მოქცევა იცის, თუმცა ისე იცის სხვაგანაც, — თქვა მან.

— გყვანან ნათესავები დასავლეთში?

— დამეხოცნენ.

— შენ რიღასთვის ჩამოხვედი რეიკიავიკში?

ცეცხლფარეში ერთ ხანს სდუმდა და მერე მიპასუხა:

— იქ, დასავლეთში, აღარაფერი დამრჩა... აღარაფერი.

— შენ, რა თქმა უნდა, სწორად მოქცეულხარ, რომ რეიკიავიკში ჩამოხვედი, — ვთქვი მე.

— მე რეიკიავიკი ქვეყნის საუკეთესო ქალაქად მიმაჩნდა.

იგი ჩუმად იჯდა ქურასთან. ამჯერად საქვაბეში სინათლე იყო, ისე რომ, მას შეეძლო თავისი გახვრეტილი ფეხსაცმელები დაენახა.

— პირველი ღამე აქ, სამხრეთში, სასაფლაოზე გავათენე, — ბოლოს წამოცდა მას.

— რას ამბობ, — გავიკვირე მე და მისდა ნუგეშად დავძინე: — ახლა ბევრი ათევს ღამეს სასაფლაოზე და არა ერთ ღამეს.

— მართალია, — დამეთანხმა იგი.

სახეზე ჭუჭყის ხაზები ჩასჯდომოდა, შავი წვერი აბურძგნოდა.

— ცუდი ჩექმა გაქვს, — შევნიშნე მე.

— არც ისე ცუდია, მე ისინი შარშანწინ ვიპოვე ვატნემირში. ალბათ ვიღაცას დაავიწყდა ტორფის ჭაობში.

ბერიკაცი წამოდგა, ჩამოიღო ქუდი, ღუმელს იქით რომ ეკიდა კაუჭზე. ეს იყო ქუდი, რომელსაც ვაჭრები ატარებენ. ასეთ ქუდებს ჩვეულებრივ ნაგვის ყუთში ყრიან, როცა მათ ფარფლები შემოეძენძებათ, ახდა ბავშვები მოიხელთებენ და ქუდს გახვრეტენ.

— შეიძლება შენი ქუდი დავათვალიერო? — ვკითხე მე.

ქუდი ისე იყო გახვრეტილი, რომ შიგ ბიჭის მუშტი გაეტეოდა.

— ძალზე ძველი ქუდია, — შევნიშნე მე და ნახვრეტიდან სინათლეს გავხედე, — თუმცა ოდესღაც კარგი ქუდი იქნებოდა.

ბერიკაცს დავუბრუნე ქუდი, იმან ხელში აიღო და ისევ ნახვრეტში გახედა სინათლეს.

— ყველას როდი შეუძლია თავის ქუდში გაიხედოს და მაშა ზეციერი დაინახოს, — თქვა მან და ჩაიცინა. მაშინ მე შევნიშნე, რომ ბერიკაცს მხოლოდ ერთი კბილი ჰქონდა.

დაბოლოს დალოცვილი გაზაფხული მოვიდა. სწორედ გაზაფხულს, როცა უნდა იჯდე და გამოცდებისათვის ემზადებოდე, როგორ გინდა გამოჰყო თავი ფანჯარაში და დაინახო, რა ხდება ქუჩაში. ყოველი წვრილმანი საყურადღებოდ გეჩვენება და გგონია, რომ ფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს.

შეორე სართულის ბინაში ახალი მცხოვრებლები ჩასახლდნენ. მე მათთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. მარტო ის შევამჩნიე, რომ ‘ვიდიოდე წლის გოგონა ჰყავდათ და მას ლილიას ეძახდნენ. გოგონას გარეგნობა ადასტურებდა, რომ ეს ახალი ბინადარნი აქაურნი არ უნდა ყოფილიყვნენ. მას ქერა ნაწნავები ჰქონდა, ხოლო ფეხთ შინ ნაქსოვი წინდები ეცვა. გოგონა ხშირად თამაშობდა თავის ტოლებთან ერთად ჩემს კარებთან. შევამჩნიე, რომ დედას გაგიჟებით უყვარდა. ქალი მთელი დღე ფანჯარასთან იდგა და გოგონას იქიდან ისე მბრძანებლობდა, თითქოს ბავშვი კი არა, ჯარისკაცთა პოლკიაო. ბრძანებები ერთმანეთს მოსდევდა: „აბა! — ყვიროდა დედა, — ფრთხილად იყავი! მოერიდე ძაღლს! მოერიდე მთვრალს! მანქანას მოერიდე! ლილია, ფრთხილად!“

იმ დროს ჯერ კიდევ არსებობდა ‘ყორეები, რიყის ქვისაგან ნაშენი ყორეები. ისინი ორივე მხრივ ჩასდევდნენ ჩვენს ქუჩას, რომელიც, სხვათა შორის, ძალზე წყნარი იყო, დიდი მოძრაობით არ გამოირჩეოდა.

ერთხელ ნებუკადნესარ ნებუკადნესარსონი დავინახე. იგი ყორეზე იჯდა, საგაზაფხულო მზის ოქროს სხივებზე თბებოდა და ეზოში მოთამაშე ბავშვებს შესცქეროდა. მის გამურულ სახეს სიხარული აჩნდა, გაწეწილ წვერსაც ეტყობოდა ამ სიხარულის ანარეკლი.

როცა დაბინდდა, ბავშვები დაიღალნენ და შინისაკენ გას-

წიეს. მარტო ლილია დარჩა. იგი გატაცებით ხტუნავდა ასკინკილა. ნებუკადნესარ ნებუკადნესარსონმა დაუძახა გოგონას:

— ლილია!

გოგონამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი ესმისო. მაგრამ ერთი კი გახედა ფანჯარას — დედა არ მიყურებდესო. დედა არა ჩანდა. სამზარეულოში წასულიყო ვახშმის მოსამზადებლად.

— პატარა ლილიას არ სურს დღეს მოხუც ნებუკადნესარ ნებუკადნესარსონს ელაპარაკოს? — ჰკითხა ბერიკაცმა და ჯიბიდან ქაღალდის ტოპრაკი ამოიღო.

გოგონამ ცოტა ფრთხილად გადასერა ეზო და ზურგზე ხელდაწყობილი მიუახლოვდა მოხუცს, თანაც ხან მის ტოპრაკს უყურებდა, ხანაც ფანჯარას. ტოპრაკაში ჩამიჩია, რა თქმა უნდა, ჩამიჩია. მაგრამ ლილიას არ უნდა შეიმჩნიოს, რომ ჩამიჩი მისთვის უცხო ხილია... საბოლოოდ ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ ორივენი ყორეზე ჩამოსკუპდნენ და ჩამიჩს შეექცნენ. ვინემ ბერიკაცი ერთ ჩამიჩს გადაყლაპავდა, გოგონა ათს მოუღებდა ბოლოს. გოგონა აქეთ-იქით აპარტყუნებდა ფეხებს და ათვალწუნებით ათვალიერებდა მოხუცის აბურძგვნილ წვერს. მერე ყორიდან ჩამოხტა და ისევ ასკინკილა დაუარა. დედამ ვახშამზე დაუძახა. ვახშმობის შემდეგ გოგონა ისევ მობრუნდა. ლილიამ იცოდა, რომ ტოპრაკაში კიდევ რაღაც დარჩა.

მოვიდა ზაფხული. ლილიას ნებუკადნესარ ნებუკადნესარსონის შიში გაუქრა. როგორც კი დაინახავდა, მისკენ გაექანებოდა, ჯიბეში ხელს ჩაუყოფდა და იქიდან ჩამიჩიან ტოპრაკს ამოაცლიდა, საღამოობით ხშირად ისხდნენ ყორეზე და მე მეგონა, ბერიკაცი ლილიას ძალზე საინტერესო ამბებს უყვებოდა, ისეთი ყურადღებით უსმენდა მას გოგონა.

— შენი ნათესავები არიან? — ვკითხე ერთხელ ბერიკაცს.

— ეგენი დასავლეთიდან არიან, — მიპასუხა მან.

— იცნობ მაგათ?

— კი, — მიპასუხა მან, — პატარა ლილიას ვიცნობ.

მე ყოველთვის როდი მესმოდა მოხუცისა. იგი ცოტა უცნაური ვინმე გახლდათ. მაგრამ ამის ფიქრით თავს არ ვიწუხებდი. ამ დროს ჩემი გონება სხვაგან ქროდა. და თუმცა მეგონა,

რომ ეს ოჯახი დასავლეთიდან კი არ იყო, ჩამოსული, არამედ ალმოსავლეთიდან, არ მინდოდა მოხუცთან კამათი.

ყურში ჩამეწვეთა ნებუკადნესარ ნებუკადნესარსონის სიტყვები:

— ...ვაჟი ოცი წლისა გახდა, ქალი მარტის თვეში დაიბადა და რამდენიმე თვით უმცროსი იყო ვაჟზე. ბავშვობიდანვე იცნობდნენ ერთმანეთს. ვაჟს უნდოდა ქალისათვის მწვანე მდელოზე სახლი დაედგა და ბაღჩა გაეშენებინა. იმ დროს ვაჟი ცხონებულ გუდმუნდურთან ერთად იჯერდა თევზს, საქმე ცუდად არ მიუდიოდა, მაგრამ არასოდეს არ შეეძლო სიმღერა. ქალს ლილია ერქვა.

— მერე რა მოხდა? — იკითხა გოგონამ...

მე ყური აღარ დამიგდია, დრო არა მქონდა. გავიფიქრე, ალბათ მოხუცი ოდესღაც დასავლეთში მომხდარ ამბავს თუ უყვება-მეთქი გოგონას.

შემოდგომით ისევ დავბრუნდი ჩრდილოეთიდან რეიკიავიკში. ერთხელ ჩემს მეგობრებს ქუჩაში ვესაუბრებოდი, როცა შორიახლო შევამჩნიე კაცი. იგი მე მომჩერებოდა. ეტყობოდა ელოდა, როდის გამოვეთხოვებოდი ამხანაგებს და როცა მათ დავეშშვიდობე, ჩემკენ გამოემართა და თავისი ჭუჭყიანი ხელი გამომიწოდა:

— გახსოვართ? მე ნებუკადნესარ ნებუკადნესარსონი ვარ.

— რა არის შენკენ ახალი? — ვკითხე მე.

— მაინცადამაინც არაფერი.

— ჩემთან რამე საქმე გაქვს?

— არა, — მიპასუხა, — მაინტერესებდა, თუ მიცნობდით.

— როგორ არ გიცნობდი, — ვუთხარი მე, — ის მელოდიაც მახსოვს, შენ რომ ღიღინებდი. როგორ არის შენი პატარა მეგობარი?

— მე წამართვეს პენსია — ის ოცდაათი კრონი, სიბერის გამო რომ მეკუთვნოდა.

— რატომ?

— იოსეპმა დამაბეზღა, ვითომ ამ ფულს ჩამიჩზე ვხარჯავდი. თქვენ ალბათ ერკვევით კანონებში. მითხარით, რა უნდა გავაკეთო?

— გინ არის ეგ იოსეპი?

— ჩემი ნათესავია. იგი ხანდახან მაძლევს თევზს და კიდევ რაღაც-რაღაცეებს.

— ბურგომისტრს მიმართე, — ვურჩიე მე, — მე თვითონ სამწუხაროდ დრო არა მაქვს, რომ ეგ საქმეები მოგიგვარო.

— არ ვიცი გამოვა თუ არა რაიმე. იქნებ ერთ ოჯახს დავუდგე მოჯამაგირედ.

— როგორ თუ მოჯამაგირედ?

— აი, როგორც შარშან.

— განა ახლა ცეცხლფარეშად არ მუშაობ იმავ სახლში?

— არა, — შიპასუხა მან. — იმ სახლთან საერთო აღარაფერი მაქვს, აღარაფერი...

— ეგ როგორ მოხდა?

მან მხრები აიჩეჩა:

— თვითონაც არ ვიცი.

— აბა, მშვიდობით, — ვუთხარი მე.

— მშვიდობით, მადლობელი ვარ ყურადღებისთვის.

ბერიკაცმა ქუდი მოიხადა.

დიდი ხნის შემდეგ მე კვლავ შევხვდი იმ ბერიკაცს. მაშინ მედიცინას ვსწავლობდი. იგი ანატომიის ოთახში შემოიტანეს თეთრ ზეწარში გახვეული. მე უმალვე ვიცანი იგი, თუმცა უკვე მოესწროთ მისი განბანვა. მაშინ მან არავითარი განსაკუთრებული გრძნობები არ მომგვარა, გარდა იმისა, რასაც საერთოდ განიცდიან მიცვალებულის ნახვისას. დასაფლავების შემდეგ დავუფიქრდი მხოლოდ მისი სიკვდილისა და სიცოცხლის ამბავს. აი კაცი, რომელსაც არასოდეს არავისთვის უწყენინებია და მარტოდმარტო მოკვდა თავის უუთში. და არავინ იცოდა არც მისი სახელი, არც მისი წარმოშობა, და ცხადია, არც მისი აზრი, არც მისი გრძნობა.

მისი გაკვეთის დღეს ის მელოდიაც კი დამავიწყდა, რასაც ბერიკაცი ოდესღაც ღიღინებდა. იგი ძალიან გულმოდგინედ გაკვეთეს, ანატომიის ყველა კანონის მიხედვით. ცხედარი ისეთი საგანგებო ყურადღების საგანი გახდა, რაიც ცოცხალს არ ღირსებია.

თუმცა რაღა დროის ეგ ლაპარაკია, მე დიდი ხანია მედიცინის ინტერესი დავკარგე და ახლა სულ სხვა დარგში ვმუშაობ. იმ დროიდან კარგა ხანი გამოხდა და სწორედ ამიტომ

შემიძლია გითხრათ: მიცვალებულს ცუდად მოექცნენ: მისი ჩონჩხი აიღეს, დანარჩენი გადაყარეს. მართალია, ეს ჩაიდინეს მეცნიერების სახელით და ის ჩონჩხი ახლაც ემსახურება სამეცნიერო მიზნებს, მაგრამ... თუმცა ჩუმად, ამ საიდუმლოებასა და შეთქმულებას მეცნიერების სიყვარული უძევს საფუძვლად. კუბოში ქვები ჩააწყვეს და ჩვენ რამდენიმე მედიცინის სტუდენტი გავყევით მიცვალებულს სასაფლაომდე. გვეშინოდა, არავინ მოინდომოსო კუბოს დათვალიერება და ჩვენ თვითონ შევიტანეთ კუბო ეკლესიაში, ჩვენვე გამოვიტანეთ იქედან. შობის წინა დღე იყო. მოღრუბლული, ყინვიანი აბინდი იდგა. გვინდოდა, რაც შეიძლება მალე დაგვემთავრებინა ცერემონია. ეკლესიის კედლები შავი კრეპით იყო მორთული — სწორედ ამ დღის თორმეტ საათზე ვიღაც დიდ მოხელეს ასაფლავებდნენ.

იმავე ეკლესიაში შევიტანეთ ნებუკადნესარ ნებუკადნესარსონი. სასაფლაოს ადმინისტრაციამ ეს უკანონობა იმიტომ დაუშვა, რომ დღესასწაული დგებოდა და ნებუკადნესარ ნებუკადნესარსონი სწორედ დღეს უნდა დაესაფლავებინათ, თორემ ისე შეიძლება სულაც ვერ მიებარებინათ მიწისათვის.

ნამდვილად თავმოსაჭრელი ამბავი იყო, ასეთ არარაობას ასე მორთულ ეკლესიაში უხდიდნენ პანაშვიდს.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ცივი, გამჭოლავი ქარი ქროდა. ძლივს მიგვქონდა კუბო. ბოლოს ეკლესიას მივაღწიეთ. ყველაზე ძალიან იმისი მეშინოდა, ვაითუ შუა ცერემონიის დროს კუბოს ფსკერი გაძვრეს და ქვებს იატაკზე აუტყდეს ბრახაბრუხი. ამ დროს ჩამესმა კუბოს ქვების ჩხარუნი. მე შევკრთი და ცოტას გასცდა, ხმამაღლა არ შევუკურთხე იმ იდიოტს, ვინაც ეს მოიგონა. როცა კუბო ეკლესიაში დავასვენეთ, წინა სკამზე ჩამოვჯექით, როგორც მიცვალებულის ჭირისუფალს მართებს. მღვდელი ქოროდან ჩამოვიდა. რასაკვირველია, იგი შეძრწუნებული იყო ასეთი მკრეხელობით (კიდევ კარგი, დიდი მოხელის ოჯახს ყურში არ ჩასწვეთებია ეს ამბავი). მღვდელმა სასწრაფოდ წაიდუდუნა წირვა, რომელიც მან გასულ კვირას შეთხზა ერთი გლეხის ქალის გარდაცვალების გამო. ცხადია, სულ ეშლებოდა და სიტყვა უწყდებოდა. როცა უნდა ეთქვა: „ჩვენი მიცვალებული ძმაო“, ამბობდა: „ჩვენი მიცვა-

ლებული დაო“. ესეც კი წამოცდა: „სადღაც შორს, უცხო მხარეში ჩვენს მიცვალებულ დას დასტირის დაობლებული ქმარ-შვილიო“.

მეშინოდა არავის მიექცია ყურადღება ამ შეცდომისათვის და შიშით აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალს. ეკლესიაში, გარდა სასაფლაოს დარაჯისა, ერთი დედაბერი იყო. იგი კარებთან იჯდა და გეგონებოდათ ყრუაო, როგორც კედელი. მე გავიფიქრე. ალბაი დედაბერმა აქ უამინდობას შეაფარა თავი და მიცვალებული მისთვის უცხო ადამიანია.

მაგრამ, როცა კუბო გამოვიტანეთ და საზიდარი სასაფლაოს გზას შეუდგა, როგორ ფიქრობთ, ვინ მოგვყვებოდა ჩვენ? ის ლურჯწინსაფრიანი დედაბერი, რომელსაც თავშალი ჩარჩოსავით ედგა დანაოჭებულ სახეზე. ჩვენც იძულებული ვიყავით კუბოს გავყოლოდით, რათა დედაბერს სასაფლაოზე დავიდარაბა არ აეტეხა. მაინცადამაინც არ გვჯეროდა, რომ საქმეს კეთილი ბოლო ექნებოდა და ამიტომ ვერ დავწყნარდებოდით, ვინემ საფლავს მიწას არ მივაყრიდით. მაგრამ ჩემს მეგობრებს მოსწყინდათ ძვირფასი დროის ტყუილ-უბრალოდ კარგვა და კაფე „უფსალირისაკენ“ გასწიეს. ხოლო მიცვალებულის სამარის კარს მიყვანა ჩემზე მოაგდეს. ჩვენ ნელ-ნელა მივყვებოდით კუბოს — დედაბერი, მე, მღვდელი და სასაფლაოს დარაჯი.

საფლავს მიწა მიაყარეს, მღვდელი და სასაფლაოს დარაჯი წავიდნენ. დედაბერი კი იდგა და თვალს არ აშორებდა თოვლის გორაკს. ერთი ხანი ვიდექი სასაფლაოს მესერთან, მაგრამ მოხუცი დედაკაცი არ განძრეულა და მეც უკან დავბრუნდი.

— აქ რას უდგახარ, დედი, — ვკითხე მე, — იცნობდი განმაგ კაცს?

დედაბერმა შიშით შემომხედა და მის სახეზე ნაოჭები აიყარა, ტუჩები აუკანკალდა, პირი მოეღრიცა და უკბილო ღრძილები გამოუჩნდა. ბებრულად ანთებული თვალები ცრემლით აევსო. მე უკვე სადღაც აღმიწერია, რა ძნელია მტირალი მოხუცის ცქერა.

—ნუ ტირი, ჩემო კარგო. იგი ღმერთმა მიიხმო,—ვუთხარი მე.

— ჰო, — ამოიკვნესა მან და თვალები წინსაფრის ყურით ამოიწმინდა.

— შინ წადი, თორემ აქ გაითოშები, — ეურჩიე მე.

სულ მეშინოდა, ამ ქალმა ნამდვილი ამბავი არ გაიგოს-მეთქი. ჩვენ ერთად წამოვედით სასაფლაოდან.

— საიდან ხარ, — ვკითხე.

— დასავლეთიდან ჩამოვედი, — მიპასუხა მოხუცმა დედაკაცმა.

— ულაფსვიკიდან ხომ არა?

— ჰო.

— იცნობდი ბერიკაცს?

— ჩვენ კბილანები ვართ. მაგრამ მე გავთხოვდი და სამხრეთში წავედი. იქ ორმოცი წელი გავატარე.

— შენი სახელი?

— ლილია.

— ქმარი ცოცხალი გყავს?

— დიდი ხანია მოკვდა.

— შვილები?

— ცამეტი შვილის დედა ვარ, — უნუგეშო ხმით მითხრა ქალმა და ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მას ცამეტი შვილის გარდა მთელი გროვა შვილიშვილები ჰყავს.

— ქვეყნად ბევრი საოცრებაა, — ვთქვი მე, — ეს ბერიკაცი მუდამ მარტო იყო.

დედაბერი ჩუმად მომყვებოდა. არც მეგონა, რომ მიპასუხებდა. სამხრეთიდან, შერიად ფორდიდან ავდარი გვიახლოვდებოდა.

სასაფლაოს კარიბჭესთან გადავწყვიტე განვშორებოდი დაჭუდი მოვუხადე.

— მშვიდობით! — ვუთხარი მე.

მან დანაოჭებული ხელი გამომიწოდა, თვალებში შემომხედა ერთადერთ ადამიანს, რომელმაც მისი მწუხარება გაიზიარე, და მითხრა:

— მეც ყოველთვის მარტო ვიყავი.

სახე ისევ დაემანჭა, თვალებთან სასწრაფოდ მიიტანა წინსაფრის ყური და ზურგი მომაქცია.

ამით ვასრულებ ამბავს ნებუკადნესარ ნებუკადნესარსონისა, რომელმაც მხოლოდ ერთი ღამე გაატარა სასაფლაოზე.

ოლაფურ იოჰან სიგურდსონი

საიდუმლო საქმე

მშვენივრად მოეწყო ჩემი საქმე. ის იყო ფამცილებელ ბიჭს გამოვემშვიდობე, რომ შორს ავტობუსიც გამოჩნდა. მანქანა ერთი ყოფით ამოუყვა აღმართს, უკან მოიტოვა კვამლის მუქი ღრუბელი და ამით დაამუქა მზის ოქროსფერი სხივების ციალი, რომელშიაც განისვენებდა დაბლობი. ხელი ავწიე, ავტობუსი გავაჩერე და შოფერს მოველაპარაკე. მან ბილეთი მომაწოდა და ჩემი ბარგი უმალვე მიიღო. უკანასკნელად თვალი გადავავლე მანანათი გადაბარდნილ დაბლობს, საშემოდგომო ფერებით რომ ღაღანებდა. მოგონებები მომეჯარნენ. მთელი ზაფხული ამ დაბლობში გავატარე და ბევრი ნათელი ღამე გავათენე თეთრად. მაგრამ როდესაც ჩემი სამუშაო დავასრულე, სევდა მომაწვა — შინა მეძახდა, რეიკიავიკი მომენატრა. ავტობუსით მოგზაურობა მაინცადამაინც არ მიყვარს. არასოდეს ასეთი მგზავრობა სიამოვნებას არ მანიჭებდა. რათა თავი ავარიდო სამგზავრო მასლაათსა და საგუნდო სიმღერას, ყოველთვის ვცდილობ ხოლმე სადმე უკანა ადგილზე მოვკალათდე. საავტობუსო მასლაათში ზოგჯერ საინტერესოც გამოერევა, მაგრამ ღმერთმა დაგიფაროთ სიმღერისაგან! მგზავრებს წესად აქვთ ჯერ ქოხში შეყუჟულ მიჯნურებს უმღერონ, მერე თეთრ ცხენზე ამხედრებულ კაცს მიუძღვნიან სიმღერას, შემდეგ გაიხსენებენ ქალს, რომელიც სატრფოს დაემშვიდობა, სატრფო ზღვაში გავიდა, ათრთოლებული ქალი კი

დიდხანს გაჰყურებს მიმავალ გემს და მერე დაიფიცებს: ისე ხმამაღლა ვიტყვი შენს სახელს, რომ მთელმა ქვეყანამ გაიგონოსო. ხანდახან ადამიანებს აქვთ მომადლებული ასეთი მძლავრი ხმა. ყოველ შემთხვევაში, ფილტვები საღი აქვთ, მე კი არ მგვანან... ყოველთვის აღშფოთებით ვუსმენდი, როგორ აფუჭებენ მგზავრები სიმღერით მგრძნობიარე და ნაზ ლექსებს.

ამჯერად ბედმა გამიღიმა და უკანასკნელ ფანჯარასთან დავჯექი, საიდანაც ისე სასიამოვნო იყო გარემოს თვალთვალი. პეიზაჟი კი ამ ადგილებში ერთობ ცვალებადია. მოპირდაპირე ფანჯარასთან ახალგაზრდა კაცი იჯდა. თავი ჩაექინდრა. ეტყობოდა, მაინცადამაინც არ აინტერესებდა გზად შემოხვედრილი სოფლები. არ ვიცი რატომ, თვალს ვერ ვაშორებდი ამ ყმაწვილს. როგორც მახსოვს, პირველი შეხედვითვე უცნაური მომეჩვენა. შესახედავად ოცდახუთ წელზე მეტს ვერ მისცემდით, მაღალ-მაღალი, მხარბეჭგადგმული ახალგაზრდა იყო, კუნძივით უხეში. მაგრამ სახის ნაკვთები და გამომეტყველება ბავშვური და უმწიკვლო ჰქონდა. ძველი ქუდი ეხურა, შავი თმა შუბლზე ჩამოშლოდა, სახე მოღუშული და ფერმკრთალი. მიუხედავად სახის მუქი ფერისა. ცუდად იყო ჩაცმული. გაცვეთილი უხეში შალის პიჯაკი გაურკვეველი ფასონისა, გახუნებული სვიტრი და ვიწრო შარვალი. მთელი მისი ტანსაძოსი სიღარიბესა და მომჭირნეობას მოწმობდა. სამაგიეროდ ტყავის ფეხსაცმელები საკმაოდ კარგი ჰქონდა და წინდები ხომ მთლად უზადოდ სუფთა ეცვა.

ძე უკვე ვთქვი, რომ მას სახე ბავშვურად მიამიტი და გულუბრყვილო ჰქონდა, მაგრამ რაღაც ნიშანი ამ სახისა ხასიათის სიმტკიცეს ამჟღავნებდა: კოპებშეკრული შუბლი, მოკუმული ტუჩები, უხეში ნიკაპი — თითქოს საშინელი ლახვარი გადაუტანია, რაღაც გადაწყვეტილება მიუღია და მთლად იმის აღსრულებისთვის გადაუდვია თავი. ბოლოს მალულად შემომხედა და მაშინ კი ვეღარ მოვითმინე.

— რა ჰქვია ამ სოფელს? — ვკითხე და ფანჯრის იქეთა სახლებზე მივუთითე.

— არ ვიცი, — ცოტა დაფიქრების შემდეგ მიპასუხა მან.

— შენ ალბათ არ იცნობ აქაურობას? — განვაგრძე მე.

— არა, — წაიბუტბუტა ყმაწვილმა.

— თვითონ საიდან ხარ?

მან დამისახელა სოფელი, რომელიც მე არ გამეგონა. მაგრამ როდესაც ოლქიც მითხრა, მაშინ მივხვდი, რომ ეს იქნებოდა ერთობ მიყრუებული ადგილი, რადგან ის ოლქი ძალზე დაშორებულია ქვეყნის ცენტრს.

— საით მიდიხარ?

— რეიკიავიკში, — უხალისოდ მიპასუხა და თავის ხელებს ჩააშტერდა. სახეზე უნდობლობა აესახა, თითქოს ჩემი ჩაძიება არ ესიამოვნაო.

მე გავჩუმდი და ისევ ფანჯარას მივაპყარი თვალი. საუბრის გაბმას აღარ ვცდილვარ, ვიდრე დიდ სადგურში არ გავჩერდით და ყველანი სადილის საჭმელად არ ჩავიდნენ. მარტონი დავრჩით.

— შენ არ წახვალ სასაუზმოდ? — ვკითხე მე.

— არა, — მიპასუხა მან.

— იქნებ მაინც გაგვევლო, სუფთა ჰაერი ჩაგვეყლაპა და ცოტა მუხლი გაგვემართა? მეც არ მინდა ჭამა.

ახალგაზრდა კაცმა არ მიპასუხა, მაგრამ მაინც წამოდგა. წარბშეკრული და ოდნავ წელში მოხრილი მომყვებოდა. შევამჩნიე, რომ ცდილობდა არ შეეხედნა დაბის გარეუბანში მდებარე უაზარმებისათვის. უეცრივ ხვანჩი აუმოძრავდა, თითქოს რაღაცის გადაყლაპვა უნდაო.

— ეწევი? — ვკითხე მე და სიგარეტები გავუწოდე.

— არა, — მიპასუხა მან.

ჩანდა, რომ ეს იყო უნდო და გულჩათხრობილი კაცი, თითქოს რაღაც ქენჯნიდა, მაგრამ ისიც აშკარა იყო, რომ ბუნებით მორცხვი და თავმდაბალი გახლდათ. მე პაპიროსი გავაბოლე. დიდხანს ასე უხმოდ მივდიოდით მხარდამხარ. მაღიზიანებდა მისი ნაბიჯის ყრუ ხმა. ისე მძიმედ მიაბიჯებდა ქვიშაზე თავისი ვეება ფეხსაცმელების გამო, შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ ჩემ გვერდით სპილო მოაბოტებდა. მე უკვე ვნანობდი, რას გამოველაპარაკე-მეთქი, როცა ყმაწვილმა ყინულის მდინარის მეორე მხარეს მდებარე სკოლაზე მიმითითა და ცოტა ყოყმანის შემდეგ მკითხა:

— რეიკიავიკში უფრო დიდი სახლებია?

— ორის უფრო დიდი სახლები, — ვუპასუხე მე, — შენ იქ არასოდეს არ ყოფილხარ?

— არა, მე ჩვენი ოლქიდან ფეხი არასოდეს არ მომიცვლია.

— დიდი ხანი გინდა დარჩე რეიკიავიკში?

— ეგ, იქ რომ ჩავალ, გამოჩნდება.

— შენ ალბათ გინდა სამუშაო იშოვო.

— ეგ იქ გამოჩნდება, — გაიმეორა მან.

— ახლა სამხრეთში ძნელი არ არის სამუშაოს შოვნა. ბოლო ხანებში სამხედროებს ბევრი სხვადასხვა საქმე გაუჩნდათ

— ეგ ვიცი.

— იქნებ შენ უბრალოდ დედაქალაქის დათვალიერება გინდა?

— არა, საქმეზე მივდივარ.

ჩვენ ხიდზე გავჩერდით, თვალი მივაპყარით მღვრიე მორევს და ორივემ საკუთარ ფიქრს მივეცით თავი. მე შევამჩნიე, რომ იგი ისე ძლიერ მოეჭიდა მოაჯირს ხელებით, უფრო სწორად თათებით — სახსრები გაუთეთრდა.

— ყური მიგდე, წაგიკითხავს თუ არა შენ საგები? — მკითხა ახალგაზრდა კაცმა და ხმა ისე აუთრთოლდა, თითქოს თავს შეუძლოდ გრძნობსო.

— ჰო, რა თქმა უნდა, წამიკითხავს. თუ ყველა არა, ყოველ შემთხვევაში, ბევრი გადამითვალიერებია, — ვუპასუხე გაკვირვებით, — კი მაგრამ, ასე უეცრივ რამ მოგაფიქრა ამის კითხვა?

— იმათ მოსდგამთ ძალ-ღონე.

— მაგას ვისზე ამბობ?

— ძველ ვაჟკაცებზე მოგახსენებ. აი, მაგალითად, გრეტირ აუსტმუნდარსონი და სკარპჰედინი. ღონეც ჰქონდათ და ხერხიც იცოდნენ, — თქვა მან, ქვედა ტუჩი მოიკვნიტა და ისევ ხიდის ქვეშა მორევს მიაპყრო თვალი.

მე არ ვიცოდი რას ფიქრობდა ჩემი თანამგზავრი, მაგრამ მისი სახის გამომეტყველება ადასტურებდა ფარულ ტკივილს. ძძიმე ტვირთს, რაიც მას უნდა ეტარებინა, და დაუნდობელ სიმკაცრეს. თვალებში რაღაც ჩრდილები უელვარებდა. მე ჩავახველე, საათს დავხედე და ჩემს თანამგზავრს გავახსენე. დროა ავტომობილს დავუბრუნდეთ-მეთქი. ავტობუსი ალბათ

საცაა დაიძრება, ხომ არ შეიძლება მგზავრებმა უსასრულოდ გააგრძელონ თავიანთი საუზმე. მაგრამ ჩემი ახალი ნაცნობი ადგილიდან არ დაძრულა, იგი ისევ მდინარეს უყურებდა და მე შევამჩნიე, რომ იგი ისე მოეჭიდა მოაჯირს, თითქოს მის სიმაგრეს სინჯავსო. ამ დროს სახსრები გაუთეთრდა და საფეთქელზე ძარღვები დაებერა. მე ხელი ვკარი და ვუთხარი:

— ჩვენი დაბრუნების დროა.

ახალგაზრდა შეკრთა და გაკვირვებით შემომხედა. ახლა იმ პატარა ბიჭს მოგაგონებდათ, ვინაც სწორედ მაშინ გამოაღვიძეს, როდესაც სიზმრად ნახა, რომ საცაა ხრამში გადავარდება. ბოლოს როგორც იქნა მანქანისაკენ გავემართეთ. ჩვენ აუჩქარებლად მივდიოდით და თან გზადაგზა სახლებს ვათვალიერებდით. ზღვიდან სუსხიანი ქარი უბერავდა, მოქცევის ხმა ისმოდა. ჰაერში მტვერი აიშალა. გზის მეორე მხარეს აუღებელი თივა დავინახე და ვთქვი:

— აქეთ, ალბათ ცუდი მეურნეები არიან, რაკი სექტემბრის თვეშიაც არ აუღიათ თივა და ზვინებად არ დაუდგამთ.

— ჩვენ კი ავიღეთ თივა, — წყნარად წარმოთქვა მან და თან გაწითლდა, თითქოს მისთვის გადამეკრას მათრახი.

ცოტა დუმილის შემდეგ დაუმატა: — ისინი ახლა შინ არ-იან.

— ვინ ისინი? — ვკითხე მე.

— დედა და მამა.

— აჰა, აჰა... — გავაგრძელე მე, — ერთი ეს მითხარი, დაძმა გყავს?

— ჩემი და შარშან რეიკიავიკში წავიდა, — საჩქაროდ მიპასუხა მან და შემომხედა. მისი შემოხედვა გამომცდელი იყო. მერე მძიმედ ამოიოხრა და სახე ოდნავ მოეღრუბლა, — მე და ტორა ტყუპები ვართ.

— შენ ალბათ ჩვენი ქვეყნის ტყუპებში ყველაზე უფრო მოსული ხარ, — სიცილით შევნიშნე მე. რატომღაც მეგონა რომ ტყუპები უთუოდ ტანმორჩილები უნდა ყოფილიყვნენ. კინაღამ ეს არ წამომცდა, ალბათ არც შენი და ტორაა სუსტი არსება, თუკი თავის ტყუპის ცალს ჰგავს-მეთქი. მაგრამ დროზე გონს მოვეგე და თავი შევიკავე. ქარის ქროლვა და მოქცე-

ვის ხმა შეწყდა. მე ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩვენს ირგვლივ ჰაერი ირხეოდა.

— კვირა დღეს დედა მარტო დარჩება შინ, — აღმოთქვა ჭაბუკმა, — ბამა ცხვარში წავა.

— ჰო, ჰო, — წაიდუდუნე მე მხოლოდ იმისათვის, რომ რაღაც მეთქვა.

თვალდახრილი მძიმე ნაბიჯით მოდიოდა. ხელები მოემუშტა, თითქოს ისევ და ისევ მოაჯირს იყო ჩაჭიდებული. სახე ისევ გაუშეშდა, მერე დაუღონდა და ისევ მიუკარებელი გაუხდა.

— შენ როგორ ფიქრობ, ისინიც ისევე ჯანიანები არიან, როგორც გრეტირი და სკარფჰედინი?

— ვინა?..

— აი ის... ჯარისკაცები.

მე ვერაფერი გავიგე და თავი გავაქნიე.

როცა ისევ ავტობუსში ავედით, ისე ვიგრძენი თავი, თითქოს მხრებიდან ჯავრის მთა მომხსნოდა. ჩვენ ისევ უკან დავსხედით, ჩვენ-ჩვენს ფანჯარას მივუსხედით. ჩვენ შორის თავისუფალი ადგილები იყო და ამან გაგვყო ერთმანეთისაგან. ავტობუსმა ჩაუარა ყვითელი პერგამენტის მსგავს დაუსრულებელ ჭაობებს. გავიფიქრე, შემოდგომა მხოლოდ ახლა შეუდგა გაზაფხულისა და ზაფხულის მწვანე ფერების წაშლას, მაგრამ მალე პატარა არყის ხეები თავის მწვანე სამოსს გაიხდიან და იქ, ზევით, მდინარე, რომლის ნაპირებზე გავატარე ზაფხული, ჩამუქდება-მეთქი, მერე საოქტომბრო წვიმა დაუშვებს, იგი მთლად ჩამორეცხავს ფერთა სიუხვეს და ძლევამოსილი ყინვაც თავის საბურველს დააფენს დედამიწას... რატომღაც ფიქრად მომივიდა ჩემი თანამგზავრის დედა: ალბათ იგი ახლა თავის თავს საშინლად მარტოხელად გრძნობს და ვერ დაუძინია შემოდგომის სიბნელეში მაცქერალს. დაღლილი და შეშფოთებული ალბათ ახლა თავისი გულის ძგერას უგდებს ყურს, ანდა მარტოხელა ჩიტების გალობას, რომლებიც ხვალ თბილ ქვეყნებში გაფრინდებიან. ან იქნებ დამჭკნარი ბალახის ბუტბუტს, ანდა წყაროს რაკრაკს უსმენს... და ჩურჩულით ეკითხება ღმერთს: „რა მიზეზია, რომ ეს საცოდავი და უძლური ქალი ამ ბნელი ღამით მარტოდმარტო დამაგდესო?“

ფიქრთა დენის გრეხილი გამიწყვიტეს, გამხიარულებული მგზავრები ახმაურდნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, როგორი კემრიელი სადილი მიირთვეს ახლა ხანს. გემოს უქებდნენ ნედლ კალმახს. ერთმა თქვა, სიმღერა ურიგო არ იქნებოდაო, მეორემ უპასუხა, კარგა ხანია მეც მაგას ვფიქრობდიო. მესამემ დაუბეჭდა — დროა გამოვფხიზლდეთ და ერთი სიმღერა ვუქროთო. და მართლაც გაისმა სიმღერა. ქერა ყმაწვილმა, რომელიც ავტობუსის შუაში იჯდა, დამწყების როლი იკისრა. მას მხარი აუბა ახალგაზრდა ქალმა, რომელიც სულ ახალ ახალ ბელოდიებსა და კუპლეტებს იგონებდა, ისეთებს, რაც წინათ არ გამეგონა. ამ სიმღერებშიაც დიდი საკაცობრიო პრობლემები აისახებოდა, მაგრამ უფრო თანამედროვე, ვინემ არის შეყვარებულთა ამბავი, თეთრტაიჭოსანი რაინდი, ანდა ზღვის პირად გასული ჭმუნვით აღსავსე მიჯნური ქალი. მომღერალს ძლიერი ხმა გამოადგა და უკვე რამდენიმე საათი დაუღალავად მღეროდა, ფანჯრებს იქით კი კვლავ გადაჭიმულიყო ჭკნობაშეპარული მინდვრები.

როგორც მახსოვს, ჩემი თანამგზავრი არ გამომლაპარაკებია, ვინემ ბოლო გაჩერებამდე არ მივედით. აქ უკვე გემში უნდა გადავმსხდარიყავით.

— ზღვაში დიდი ხანი ვიქნებით? — მკითხა მან.

— რეიკიავიკში ათ საათზე ვიქნებით, — მივუგე მე.

— ასე მალე მივალთ? — წყნარად წარმოთქვა მან და მე ძის ხმაში ფარული შიში ვიგრძენი.

— მე არასოდეს არ ვყოფილვარ ზღვაზე ამის მეტად, — დასძინა მან.

როგორც კი გემი ნავსაყუდელს მოშორდა, გემბანზე ერთი ძველი ნაცნობი დავინახე. წარსულის მოგონებებმა წაგვიღო. ამასობაში ბინდი დაეცა მჩქეფარე ტალღებს, დედაქალაქის სინათლეები სულ უფრო და უფრო ახლო გამოჩნდა. მე საბოლოოდ გადამავიწყდა ჩემი თანამგზავრი. ისეთი აურზაური ატყდა გემიდან ჩამოსვლის დროს, რომ ალბათ გამოთხოვებაც დამავიწყდებოდა, მაგრამ თვითონ მომიახლოვდა. მე უკვე ქალაქისაკენ ავიღე გეზი სხვა მგზავრებთან ერთად. ქუჩის ლამპიონების სინათლეზე ძალიან ფერმკრთალი მეჩვენა ბიჭი,

მთლად გზაკვალარეული ჩანდა და დაბნეული აქეთ-იქით იყურებოდა.

— შენ ალბათ ზღვის ავადმყოფობა დაგემართა? — ვკითხე მე.

— არა, — მიპასუხა მან, — ხომ არ მეტყვი, სად შეიძლება აქ ღამის გასათევი ადგილი ნახოს კაცმა?

— სცადე ხსნის არმიას მიმართო.

— არმიასო? ხსნის არმიას მიემართო? — გაიმეორა თავზარდაცემულმა და კიდევ უფრო გაფითრდა.

გზადაგზა ავუხსენი, რომ ხსნის არმია — ეს ქრისტიანული ორგანიზაციაა, რომლის მთელი შეიარაღებაა ბიბლია, ფსალმუნი, ბუკი, მანდოლინა და იგი ამ იარაღს იმისათვის იყენებს, რათა გზასაცდენილნი მოაქციოს. მერე ვუამბე, რომ ამ არმიის მოღვაწეებს აქვთ რაღაც ფუნდუკის მაგვარი, სადაც ჩამოსულთ შეუძლიათ ძალიან იაფად გაათენონ ღამე. ასე რომ. მას სხვა ადგილის ძებნა არ დასჭირდება, აიღოს ბარგი და გამოგვყვეს.

— მე ბარგი არა მაქვს, — ცივად თქვა მან და წარბშეკრული გამოგვყვა, თითქოს დიდ ფიქრსა და წყვეტებაშიაო, ისე უცნაურად გაჭიმული მოდიოდა, გეგონებოდათ, სარი გადაუყლაპავსო. ერთხელაც არ გაუხედავს განზე. ადალსტრაიტზე ტროლეიბუსებიც კი არ შეუმჩნევია და არც ხალხთა ნაკადი მოხვედრია თვალში, ისე დაჟინებით სდუმდა, თითქოს ჩვენ გარშემო ყველაფერი ჩაკვდაო.

— აი ეს არის ხსნის არმიის სახლი! — ვუთხარი მე და უპალის ქუჩის კუთხეში გავჩერდი, — აქედან არის შესასვლელი.

— რა ჰქვია სახლის პატრონს? — იკითხა მან.

— ეგ მე არ ვიცი. — მივუგე მე, — შენ უბრალოდ განაცხადე, რომ ღამის გათევა გინდა.

— ჰო, ეგრე ვეტყვი, — ნაღვლიანად გამომეპასუხა და მერე ხელი გამომიწოდა, — მშვიდობით!

— ძალიან მწყინს, რომ არ შემიძლია ღამის გასათევი ადგილი შემოგთავაზო, — დამნაშავის სახით წავიდუდუნე. ამით თავი გავიმართლე და მერე ქალაქის დასავლეთი ნაწილისაკენ გავეშურე. გზაში შევეცადე გამეფანტა ის შთაბეჭდილება, რაიც მოახდინა ჩემზე შეხვედრამ ამ უცნაურ ადამიანთან, რო-

მელიც ჩემ გვერდით იჯდა ავტობუსში და მთელი გზა ჩუმად იყო, სანამ ჩვენი მანქანა დაუსრულებელ მინდორ-ველებს შორის გაჭრილ გზას მიუყვებოდა.

მაგრამ მაინც მთელი საღამო ფიქრიდან ვერ მოვიშორე ის ყმაწვილი. მან ძილის საშუალება არ მომცა... იგი ისევ იდგა იქ, უფსალის კუთხეში, ქუჩის ლამპიონების კაშკაშა შუქით განათებული. იდგა მიუნდობელი და შეშფოთებული... მის მკრთალ სახეზე იყო გამომეტყველება ყრუ ტკივილისა და მტკიცე გადაწყვეტილებისა. იგი თითქოს გაჭიმული სიმი იყო, რომელიც საცაა უნდა გამწყდარიყო. მე დიდი სირცხვილი ვიგრძენი, რატომ ვინმე ჩემს ნაცნობთან არ მოვაწყვეისიც კი არ ვიკითხე, მიიღეს თუ არა იგი ხსნის არმიის სახლში. ხომ შეიძლება, რომ ამ ღამით იგი მარტოხელა დაძრწის ქალაქის ქუჩებში, მშიერი და დაღლილი, ყველასათვის უცხო. მე ისიც ვიცოდი, რომ მას არაფერი უპამია მას შემდეგ, რაც გუშინ ერთმანეთს შევხვდით. ალბათ, ქალაქში ძალიან სასწრაფო საქმე აქვს, რაკი ცხვრის პარსვის დასრულებას ვერ დაუცადა. დედაც კი მარტო დატოვა შინ.

მე ლოგინში ვტრიალებდი, სირცხვილი მაწუხებდა, თუმცა. რა თქმა უნდა, მე არავითარი პასუხისმგებლობა არ მეკისრებოდა სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდა კაცის გამო. მაგრამ მან სრულიად მოულოდნელად ჩამიშხამა სიხარული, რაც უნდა განმეცადა ჩრდილოეთის იმ მინდვრებიდან შინ დაბრუნებულს, სადაც ისე ხმამაღლა მირაკრაკებენ ნაკადულები. ახალმა ნაცნობმა ჩემი ჭკუა-გონებიდან განდევნა ყველაფერი, მთლად თვითონ მოიკალათა იქ. „ეშმაკმა წაიღოს, რა ჩემი საზრუნავია ეგ ყმაწვილი? — გავიფიქრე მე და მხარი ვიცვალე, — რატომ ვერ დამივიწყნია?“

მეორე დილით იგი კირკუსტრაიტიზე შემხვდა. აქ, დაბლა, ცენტრში თბილოდა და მზეც ანათებდა, მაგრამ აუსტურვეულურზე ყვავილები უკვე ჭკნებოდნენ.

ყმაწვილი კაცი რაღაცით მეტად შეწუხებული ჩანდა, თავი დაეხარა და აქეთ-იქით მიმოდიოდა ქუჩაში. მე რომ დამინახა, თითქოს გაუხარდა. გამბედაობა ვერ მოვიკრიბე და ვერ ვკითხე, როგორაა შენი საქმე-მეთქი. ვერც ის ვკითხე, მისცეს

თუ არა ხსნის არმიაში ბინა. მაგრამ მაშინვე ჭიქა ყავაზე დავპატიჟე.

— სამაგისო დრო არა მაქვს, — ნაღვლიანად ამოიკვნესა მან.

— ეგ რაღა მიზეზია, — გავიკვირვე მე, — ასეთი სასწრაფო საქმე რა გაგიჩნდა.

— ო, ძალიან სასწრაფო საქმე გამიჩნდა.

— შენი და ნახე?

— ტორა? არა, ის ჯერ კიდევ ზაფხულში მოკვდა, — მიპასუხა მან ისე, რომ ტროტუარისთვის თვალი არ მოუშორებია. — მე მის სანახავად არ ჩამოვსულვარ აქ. ვიცოდი, რომ ტორა უკვე აღარ არის ცოცხალი.

ახლა უკვე იმის ფიქრში ვიყავი, ღირს თუ არა ამ საუბრის გაგრძელება. მაგრამ ხომ არ შემეძლო უეცრივ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე ზურგი შემექცია მისთვის. მაშინ გადავწყვიტე, ქალაქის დათვალიერებას შევთავაზებ-მეთქი. აქ ხომ მრავალი ღირსშესანიშნავი ადგილია. ალტინგის სახლი, ტაძარი, სასტუმრო „ბორგი“, აფთიაქი, რადიოს სახლი და მისი მრავალრიცხოვანი ანტენები...

— გინახავს როდისმე ამდენი იალქანი? — ვკითხე მე.

ყმაწვილი მხოლოდ შეიშმუშნა, ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა და კეფა მოიფხანა.

— შენ იცი სად მდებარეობს სკოულავერდის პარკი? — ხმადაბლა მკითხა მან, — ძალიან მინდა იქ წავიდე.

— მე გიჩვენებ სკოულავერდის პარკს.

ჩვენ უხმოდ გადავსერეთ ქალაქი პარკის მიმართულებით. ახალგაზრდა კაცი ფართო და მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა, თითქოს მინდორში მიაბიჯებსო. მისი ტყავის ფეხსაცმელები ისე რახრახებდნენ ქვებზე, რომ ხალხი ჩერდებოდა. ზოგიერთი გაჩერდებოდა და ჩვენ შემოგვხედავდა, ან ხმამაღლა იცინოდა.

ახალგაზრდა კაცს პარკი დავანახე. ჩვენ ლეიფ ერიკსონის* ძეგლთან შევჩერდით. მე ვუთხარი, რომ ეს ძეგლი აშშ გვა-

---

* ლეიფ ერიკსონი — 1000 წლის ახლო ხანებში ცხოვრობდა. ნორვეგიიდან გრელანდიაში მიმავალს გზა შეეშალა და ჩრდილოეთ ამერიკაში გადმოვიდა. ეს იყო 999 წელს. იგი გარდაიცვალა 1021 წელს.

ჩუქა 1930 წელს ამერიკის აღმოჩენის სახსოვრად, რომელ ამერიკასაც ლეიფმა მაშინ ვინლანდია უწოდა. მაგრამ ყმაწვილი კაცი ტუჩებს იკვნეტდა და ნაღვლიანად უყურებდა პარკის ბოლოში მდგომ სამხედრო ბარაკებს და იმ ღობეს, ამ ბარაკების ირგვლივ რომ შემოევლოთ.

— მე ცოტა ახლო მივალ, რომ რიგიანად დავათვალიერო აქაურობა, — თქვა მან და უკვე დააპირა მავთულხლართიანი ღობის გადასვლა.

— ჭკუა ხომ არ დაგიკარგავს? — დავუყვირე და მხარში ხელი ჩავაკარი. — დაგხვრეტენ. ყოველ შემთხვევაში, ციხე არ აგცდება. მაგას სჯობს, ბარონის ბილიკზე ჩავიდეთ, იქიდან უკეთ ჩანს სამხედრო ნაგებობანი.

ყმაწვილი კაცი ცოტა ჩაფიქრდა, მერე ტუჩების კვნეტით გამომყვა. ასე მივედით ბარონის ბილიკამდე და აქედან დავუწყეთ თვალთვალი მაღლობს. მაღლა ჯარისკაცების ერთი ჯგუფი სწორედ ამ დროს ხიშტის ხმარებას სწავლობდა, ჯარისკაცები თავის ხიშტს არჭობდნენ ბალიშებში, რომლებსაც მტრის როლი ეკისრათ. მინდორზე, სკოლის აღმოსავლეთ მხარეზე, სამწყობრო მეცადინეობა მიდიოდა. სერჟანტების ბრძანებები მათრახის ტლაშუნივით ისმოდა ჰაერში. ამ ხმას ერთვოდა ხმაური მძიმე ყუმბარმშენისა, რომელიც ფიორდისაკენ მიმავალ წყალქვეშა ნავს მისდევდა.

— ცას შეხედე, თვითმფრინავი, — ვუთხარი მე და თან ზევით ავახედე.

იგი ხმას არ იღებდა.

— გაიხედე, აი, ტანკები მოდიან!

არც კი შეხედა ტანკებს, ზურგს უკან ხელები დამალა და წაიჩურჩულა:

— ჰოი, რა ბევრნი არიან!

— ვინ არიან ბევრნი? — ვკითხე მე.

— ჯარისკაცები არიან ბევრნი, — თქვა მან, — მე არ ვიცოდი, რომ ასე ბევრნი იყვნენ.

— აქ ჯარისკაცების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია, ირწმუნებიან, ისლანდიაში საკუთარ ჯარისკაცებზე მეტი უცხო ჯარისკაცები არიანო.

— შენ როდისმე გილაპარაკნია უცხო ჯარისკაცებთან?

— მქონია ეგეთი შემთხვევა.

— მაგათ იციან ისლანდიური?

— არა, — მივუგე მე. — ეგენი მხოლოდ ინგლისურად ლაპარაკობენ.

— მერე რას ლაპარაკობდით?

— სხვადასხვა წვრილმანებზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი. ისინი ერთობ თავაზიანი ყმაწვილები არიან.

— ინგლისური ძალიან ძნელია?

— არა, მაინცადამაინც ძნელი არ არის, — ვუპასუხე მე. — ხომ არ გვიჯობს, ქალაქში ჩავიდეთ და თითო ჭიქა ყავა დავლიოთ.

— ხომ არ გინდა, ერთი პატარა სამსახური გამიწიო? — მოულოდნელად მკითხა მან.

— სიამოვნებით, თუკი შემიძლია.

— აქ არის ორი სახლი, რომელთა ნახვა მე მინდა. აი ისინი რომ მაჩვენო...

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ მოდი, ჯერ თითო ჭიქა ყავა დავლიოთ, შენ ალბათ გშია.

— სად არის ის სახლი, სადაც ოფიცრები ცხოვრობენ? — ჩურჩულით იკითხა მან და ფრთხილად მიმოიხედა, თითქოს იმის შიში აქვს, ვინმე ყურს არ მიგდებდესო.

მე ვუპასუხე, წარმოდგენა არა მაქვს, სად ცხოვრობენ ოფიცრები-მეთქი. ალბათ ისინი ყველა ქალაქში არიან მიმოფანტული, ერთნი ცხოვრობენ რეიკიავიკში, სხვანი აკურეინში, კიდევ სხვანი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. მე არასოდეს არც ერთი ოფიცრის ნაცნობი არა ვყოფილვარ. ის კი არა, არც სერჟანტთან მქონია ნაცნობობა.

— კი მაგრამ, შენ ხომ გილაპარაკნია მათთან, — გაჯიქდა ჩემი თანამგზავრი. — ხომ არ იცი ერთი ასეთი ოფიცერი, გვარად შონი.

— როგორ თქვი, რა გვარია?

— შონი, — გაიმეორა მან ფრთხილად და თან გაწითლდა, — შონი.

მე თავი გავაქნიე და ვუთხარი, არასოდეს არ გამიგონია-მეთქი ეს გვარი.

— ის რიღაცის ოფიცერი იყო, — წაიბუტბუტა ჩრდილო-

ეთიდან ჩამოსულმა უხალისოდ. — საზღვარგარეთ მას მაღაზია ჰქონია, მანამდე სანამ აქ ჩამოვიდოდა.

მე ყოველმხრივ ვცდილობდი — ამ კაცისათვის ჩამეგონებინა, არაფერი ვიცი შონის შესახებ-მეთქი და არც მისი მაღაზია ვიცი-მეთქი საზღვარგარეთ. ისიც ავუხსენი, რომ საზღვარგარეთ უამრავი მაღაზია და დუქანია. მაგრამ ყმაწვილმა ერთი კი შემომხედა ალმაცერად და მერე ისევ ტუჩების კვნეტა დაიწყო. და მე ისევ მომეჩვენა, თითქოს ჩვენ ირგვლივ ჰაერი ირხეოდა, როგორც მაშინ, როდესაც ჩემმა ახალმა ნაცნობმა მიამბო, მე და ტორა ტყუპები ვიყავითო. ისევ დამუშტა ხელები, სახე მკაცრი გაუხდა და ისეთი მტკიცე, როგორც ქვა.

— მეორე სახლი რომელია? — ვკითხე მე, როდესაც ჩვენ ისევ პარკში აღმოვჩნდით და სრული დუმილით გვერდი ჩავუარეთ ლეიფ ერიკსონის ძეგლს, — შენ ხომ ამბობდი, ორი სახლის ნახვა მინდაო.

— ეგ მართალია, — მითხრა მან, — მე მინდა ვნახო საპატიძრო.

— საპატიმრო გინდა ნახო? — ისეთი სახით ვკითხე მე, თითქოს ძალიან ხშირი იყოს, რომ შორეთიდან ხალხი ჩამოდიოდეს დედაქალაქში საპატიმროს სანახავად და აქ საკვირველი არაფერი იყოს. — საპატიძრო აქ სულ ახლოსაა. ჩვენ ეს არის გვერდი ჩავუარეთ.

— როგორ თუ გვერდი ჩავუარეთ? — გაუკვირდა ყმაწვილს და კოპები შეიკრა, — ხომ არ მატყუებ?

— რაში მჭირდება შენი მოტყუება? — გაკვირვებით ვკითხე და თავი ისე დავიჭირე, თითქოს მეწყინა მისგან რაიმე, — ერთ წუთში იქ გავჩნდებით.

და აი, ვაჩვენე საპატიმრო და ის მაღალი კედლები, რომლებიც გარს ერტყა საპატიმროს ეზოს. ეზოში პატიმრები სეირნობდნენ და სუფთა ჰაერით ტკბებოდნენ. აშკარად ჩანდა, რომ ყმაწვილმა არ დამიჯერა. მეტი რა ჩარა იყო, პოლიციელი გავაჩერე. იმანაც დაადასტურა, ეს საპატიმროაო.

— ხომ ხედავ? — თავი მოვიწონე მე.

ყმაწვილმა კაცმა ერთი სიტყვაც კი არ დასძრა. გაქვავებულივით იდგა უღიმღამო ქუჩაზე და თვალებით ჭამდა საპატიმროს. სახე უმალვე ჩაუქრა. თვითონ მოიკუნტა, ტუჩები

აუკანკალდა. მუშტები გაშალა და ხელები უღონოდ დაუშვა ძირს. მე ფეხიდან ფესვზე გადამქონდა სიმძიმე. უეცრად მომეჩვენა, რომ ეს ადამიანი არანორმალურია. იგი იდგა და მანამდე უყურებდა დედაქალაქის საპატიმროს, სანამ იქიდან ორი ელეგანტური მამაკაცი არ გამოვიდა პაპკებით იღლიაში. მზე ანათებდა, თუმცა ისე არ კაშკაშებდა, როგორც იქ, ჩრდილოეთში იცის ხოლმე. ყმაწვილმა უნებურად უკან დაიხია და მორჩილად თვალი გააყოლა მხიარულ, გულდინჯ და ტანად ახალგაზრდებს, მერე საკუთარ ტანისამოსზე დაიხედა და ისე შერცხვა, როგორც იცის პატარა ბიჭმა. როდესაც რაიმე ხელმარცხიანად გამოუვა.

— რას იტყვი, მოგეწონა საპატიმრო? — ვკითხე მე.

— მე არასოდეს არ ვფიქრობდი, რომ იგი ასეთი მდიდრულია, — ძლივს გასაგონი ხმით მიპასუხა და თან თვალი ამარიდა, — როგორ ფიქრობ, დღეს რაიმე გემი გადის ჩრდილოეთისაკენ?

— მაგას რას ამბობ, ნუთუ შენ გინდა დღესვე დასტოვო ქალაქი?

— ჰო, — თქვა ყმაწვილმა კაცმა და გამშრალი ტუჩები ენით მოილოკა, — მე მინდა შინ დავბრუნდე.

მაშინ ვიგრძენი, რომ ჩრდილოელმა ყმაწვილმა კაცმა უარი თქვა იმ საქმის შესრულებაზე, რისთვისაც ჩამოვიდა დედაქალაქში. დინჯად და თავაზიანად ავუხსენი, ხვალამდე მაინც დარჩი-მეთქი. მაგრამ ისიც დავძინე, რომ თუ მაინცადამაინც დღეს გინდა შეიძინო ბილეთი, მაგ საქმის მოგვარებაც შეიძლება-მეთქი.

გოქლომი

უკვე ჩაცმული ჩვენი სახლის ფანჯრის წინ რომ ვიდექი და ლორთქო ბალახით დაფარულ მდელოს შევცქეროდი, გუმახს არ უთქვამს ჩემთვის, რამდენიმე საათის შემდეგ უბედურება დაგემართებაო.

იმის ფიქრში ვიყავი, შეძლებს თუ არა მზე თავი დააღწიოს ღრუბელთა მსუბუქ ფენას, რომელსაც დღეს შემოდგომის წყნარი ცა დაუფარავს. ამ დროს მამის ხმა მომესმა:

— აბა, შვილო, საუქმეო ტანისამოსი ჩაიცვი!

მამამ, რომელიც მუდამ ყელამდე ჩაფლული იყო საქმეებში, გადაწყვიტა მე გამგზავნოს უახლოეს ქალაქში, რათა ვუყიდო ნალის ლურსმანი, ვარდკაჭა და ოცი გირვანქა ფქვილი. ერთი ჩვენი ცხენი უნდა დაგვეჭედა და გარდა ამისა, მალე იალაღებიდან ცხვარს ჩამორეკავდნენ და საამისოდ ფქვილი უნდა მოგვემარაგებინა. მამამ ჩემი რვეულიდან უკანასკნელი სუფთა ფურცელი ამოხია, თავის მაღალ საწერ მაგიდას მიუჯდა, კალამი სამელნეში ჩააწო და ვაჭრისათვის გასაგზავნი. მეტად მნიშვნელოვანი ბარათის წერას შეუდგა შუბლშეკრული: „მოწყალეო ხელმწიფეო, ვბედავ გთხოვოთ, რომ ჩემს ვალს მიუწეროთ ღირებულება ერთი კოლოფი ნალის ლურსმანისა, ერთი კოლოფი ვარდკაჭა „ლუდვიგ დავითისა“ და ოცი გირვანქა ფქვილისა“.

— ძაფი არ დაგავიწყდეს, — შეახსენა დედამ.

— ძაფიო? — გაიმეორა მამამ და თვალი დააჭყიტა, — იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ მთელი ის ძაფი დახარჯე, რაც შარშან გაზაფხულზე გიყიდე, აი მაშინ, როცა ბაზარზე მატყლი წავიღე?

— რა თქმა უნდა, სულ დავხარჯე, მე მეჭირვება შავი ძაფი.

— და ერთი კოჭი თეთრი, — დასძინა ჩემმა დამ.

— რა ვქნა, თეთრი რაღა საჭიროა?

— ზეწრები და ბალიშის პირები უნდა დავაკერო.

— სისულელეა! — გაჯავრდა მამა, — ვითომაც შავ ძაფს დამიწუნებ ბალიშის პირებისათვის.

მაინც მოხდა ის, რომ სიას დაემატა ორი კოჭი ძაფი და ნახევარი ყუთი საღეჭი თამბაქო. მერე გამოირკვა, რომ გასანთლული ძაფის მარაგიც საცაა გაგვითავდებოდა.

— აი ნახე, სულ ეს დარჩა, ორი აგებაც არ იქნება. ნუთუ ფიქრობ, რომ გასანთლული ძაფი გაგვითავდება და ჩვენ მაინც შევძლებთ მამაკაცებს ცხვრის ჩამორეკვის დროისათვის ფეხსაცმელები შევუკეთოთ?

— ცეცხლი როგორღა გავაჩაღოთ, თუკი ასანთი არ გვაქვს? აგე, იქ უკანასკნელი კოლოფი დევს. რამდენიმე ღერი თუ ჩარჩა.

— ნატეხი შაქარი სულ გავათავეთ. ლილაც აღარა გვაქვს, მწვანე საპონი კვირამდე ძლივს გვეყოფა.

ამ უყაირათობის შემყურე მამა ბრაზით ოხრავდა და სიის შესავსებად ისევ კალამს მიმართავდა. ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარი არ აგვცდება, თუკი ეგრე გაგრძელდებაო, — ამბობდა მამა, — რა სათქმელია, ამოდენა სიის წაკითხვაზე ვაჭარი ცოფებს გაჰყრის. იქნებ სულაც დაგვიხუროს კრედიტი და შინ ხელცარიელი გამოგიშვანო. მე ხომ უსათუოდ ავურ-დავურევ ყველაფერს, რაკი ამდენი დავალება ამკიდეს. საჭირო ნივთების ნახევარი უთუოდ დუქანში დამავიწყდება, დანარჩენს გზაში დავაბნევ, ქურდები უნაგირსა და ლაგამს მომპარავენ. მე და ჩემი ცხენი უთუოდ საშინელ ფათერაკს გადავეყრებით და თავს მხოლოდ განგების ძალით დავიხსნით.

ვინემ მამა ბუზღუნებდა, მე ჩემი საუქმეო ტანისამოსი ჩავიცვი, ხელ-პირი დავიბანე, თმა დავივარცხნე. შეუმჩნეველად შევყავი ხელი სკივრში, რომელიც ლოგინის თავთან იდგა. მერე ორკრონიანი მონეტა სამი ნაქარგი კნუტით მოკაზმულ ცხვირსახოცში გავახვიე. ეს იყო პირველი დანაზოგი. მოუთმენლად მოველოდი წასვლას, მაგრამ თავი ისე მეჭირა, თითქოს არაფერი არ მაინტერესებდა.

მამამ მელნის ბოთლს საცობი დაუცო, ფრთხილად დაკეცა წერილი და პიჯაკის გულის ჯიბეში ჩამიდო. რომ იქიდან წერილი არ ამომვარდნოდა, ქინძისთავებით დამიმაგრა.

მე ძმის ყვითელი კუბოკრული ლაბადა ჩავიცვი. მართალია, ცოტა ხალვათად მადგა, მაგრამ დედა ძომეშველა — სახელოები გადამიწია და ახალი ხელთათმანები მომცა, რომელიც თვითონ მოექსოვა და ცხვრის ჩამორეკვის დროისათვის ინახავდა.

შემდეგ ყველანი გზაზე გამოვედით, იქ უკვე შეკაზმული ცხენი მელოდებოდა. ცხენმა ნაღვლიანად შემომხედა, თითქოს გრძნობდა, რომ მე ასეთი პასუხსაგები მოგზაურობისათვის არ ვვარგოდი. ქალაქში წასვლა ბავშვური გართობა ხომ არ არის!

უნაგირთან დამაგრებული იყო ჩემი ფუთა, რომელშიც ელაგა ჩემი საგზალი, რათა გზაში წამეხემსა, და თან სასყიდლების ტომარა. ურიცხვი დარიგებანი ამკიდეს. მე ფქვილიანი ტომარა ფრთხილად უნდა დამემაგრებინა წინ, სხვა სასყიდლები — უნაგირის უკანა საპალნეში. ხიდის სიახლოვეზე ცხენიდან უნდა ჩამოვმხდარიყავი და ხიდი ისე უნდა გამევლო, დოყლაპიასავით პირი არ უნდა დამეღო და აქეთ-იქით არ დამეწყო ჭყეტა, ცხადია, არც გიჟმაჟი დინებისათვის გამეყოლებინა თვალი. შემდეგ ბელსი სავაჭროს გვერდით მდებარე თავლაში უნდა შემეყვანა და ვინემ ვაჭრის ლოდინში ვიქნებოდი, თვალი არ მომეშორებინა, არავინ წაიყვანოსო. მაღაზიაში პიჯაკი უნდა გამეხსნა, ჯიბიდან წერილი ამომეღო და მომეთხოვა თვით ვაჭრის გამოსვლა. როცა ვაჭარი გამოვიდოდა, აუცილებლად მივსალმებოდი, ხელი ჩამომერთმია და ძალიან თავაზიანად მეთქვა: „მამა გულითად მოკითხვას გითვლით“. გაუთლელობა არას მარგებს, როდესაც ვაჭრისთანა დიდ კაცს ველაპარაკები. ვაჭრებს წესად აქვთ, მხოლოდ მაშინ გამოგეპასუხონ, როდესაც თავაზიანად ელაპარაკები. ერთი სიტყვით, ასე უნდა მომეხსენებინა: „მამამ მთხოვა გულითადი სალამი გადმოგცეთ და ეს წერილი მოგართვათ“.

მერე წყნარად და დინჯად უნდა ვმდგარიყავ, ვინემ არ გამისტუმრებდნენ. თან ფხიზლადაც ვყოფილიყავი, რათა ანგარიშში ჩაწერილი ნივთები ფუთაში მოეთავსებინათ. დაბოლოს — ამას მეტისმეტი მნიშვნელობა აქვს — უცხოებთან ლაპარაკი ჯერ გაჭეშა. მკაცრი ბრძანება მივიღე: არავისთან ხმაკრიალი არ დამეძრა.

— რაღგანაო, — დამარიგა მამაჩემმა, — სანდომიანი გარეგნობის კაცი შეიძლება ავაზაკი იყოს, ფარაში ცუდი ცხვარიც ჯანმრთელია და ფონის გასვლა ზევით სჯობს, ვინემ ქვეყანაზე ამა, ცოტა მარდად გაისარჯე! — ასე დაასრულა მამაჩემმა თავისი სიტყვა.

— არ დაგავიწყდეს ლილა და ძაფი, — მომაგონა დამ.

— ბოდიშს ავტოს! — დასძინა დედამ.

ბოლოს ბოლოს დავადექი, ამდენი ჭკუის დარიგებისაგან თავი ბიბრუოდა. ამდენი „ვაითუ“ მითხრეს, რომ შიშით სიკვდილის კარს მიმიყვანეს. ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი

პასუხისმგებლობა და ეს მძიმე ტვირთად დამაწვა. მე მესმოდა, რომ ჩემთვის უცნობ ადგილებში მრავალი ფათერაკი დამალულიყო.

მაგრამ შინიდან გამოვედი თუ არა, ღრუბლის თხელი საბურველიდან თავდახსნილმა მზის მცხუნვარე სხივმა წყნარი ფიორდი ლურჯ სარკედ აქცია და ცვარგამშრალი ბალახი ოქროსფერი ციაგით დაჰფარა. მაშინვე გულიდან გადამვარდა შიში, ცხენს დეზი ვკარი და გავაჭენე.

ლაბადა გავიღელე და ხელები ჯიბეში ჩავიყავი. სიამაყე ვიგრძენი, როდესაც ხელი მომიხვდა ორკრონიანი მონეტისათვის, რომელიც მოქარგულ ცხვირსახოცში მქონდა გამოხვეული. ისე ბედნიერი ვიყავი, რომ მომეხალისა სიმღერა, ხტუნვა, სიცილი. ერთი პირობა მინდოდა ხელი დამექნია მთაზე შეფენილი ცხვრისათვის, ან დამესტვინა ცაში მოფარფატე წეროებისათვის, საკვებს რომ ეძებდნენ შემოდგომის გატიტვლებულ მინდვრებზე. მაგრამ ეს არ გამიკეთებია, პირიქით, შევეცადე დარბაისლურად დამეჭირა თავი, როგორც შეშვენის ზრდადასრულებულ ადამიანს. შევეცადე შემეკავებინა აღტაცების გრძნობა და მთელი ჩემი აზრი საჭირო და გადაუდებელი საქმისაკენ მიმემართა.

მაინც ვერ გადამეწყვიტა, როგორი რვეული მეყიდა — ყავისფერყდიანი თუ მწვანეყდიანი, შავი ფანქარი თუ ფერადი. დარჩენილი ფულისათვის რაღა მექნა, რით გამეხარებინა დედ-მამა და და-ძმანი? შაქარყინული მეყიდა თუ ლეღვის ჩირი?

ფიქრადაც არ მომსვლია, რომ მამა ასეთ მფლანგველობას არ მომიწონებდა, და ამიტომ არც ნებართვა მითხოვნია მისთვის. საქმე ის გახლავთ, რომ მე გულში დიდი საიდუმლო მქონდა დამარხული და ამიტომ არად ვაგდებდი მომჭირნეობის კანონებს, რომლებიც უნდა დაეცვათ ჩვენისთანა ყელვადაგდებულ ღარიბ-ღატაკებს, ასეთ საშინელ სიდუხჭირეში მცხოვრებთ. მე ეს საიდუმლოება ერთი წლის წინათ აღმოვაჩინე, გაზაფხულის პირველ ღამეს, როდესაც ის იყო, ათი წლისა გავხდი.

ამ აღმოჩენას განსაკუთრებული გარემოებანი ახლდნენ, ამიტომ ახლაც ყველაფერი დღევანდელ დღესავით მახსოვს.

ორი დღე-ღამე გადაუღებლივ წვიმდა. ყინვა-თოვლი დნებოდა, წყლის რუებსა და ნაკადულებს მოექცელათ გარემო. იმ აპრილის დღეს ცას ღრუბლის მსუბუქი თეთრი საბურველი ეფინა, მთებს თოვლი დახსნოდა, მწვანე ხავსს მოცემოდა ძალი და ჰაერში რაღაც უცნაური ხმაური იდგა, თითქოს თვით დედამიწა გუგუნებსო. მე იმ დღეს დილიდანვე რაღაც სასოება დამეუფლა, ხოლო საღამოს ჩვენი სახლის წინა მდელოზე მდგომს თვალი ვერ მომეშორებინა ცის დასავალისათვის, სადაც ძოწისფერი დაისი ღუოდა. ღრუბელთაგან იბადებოდნენ ვეება ქნარები და მათი უხმო სიმები. აღტაცებული შევცქეროდი. ჩემს სიცოცხლეში არაფერი მინახავს ისეთი, რაიც სილამაზით შეედრებოდა ამ ციურ მუსიკალურ ინსტრუმენტებს. მაგრამ აი, შუქი ჩაქრა, სიმები გაწყდა, ქნარები უღონოდ დაეკიდნენ ცაში და ბოლოს ხშირ ბინდში შთაინთქნენ.

მთელი ჩემი არსება რაღაც უცნაურ გრძნობას მოეცვა. უხმოდ შევედი სახლში. არავისათვის არ გადამიშლია გული, არ მითქვამს, როგორ გუნებაზე ვიყავი, რადგან ინსტინქტურად ვგრძნობდი, ვერავინ გამიგებდა. მერე როდესაც აღტაცებამ გამიარა, გარეთ გამოვედი და სანთლის შუქზე სამი ფურცელი ავაჭრელე. აღვწერე ქნარები და მზის ჩასვლა. იმ დღიდან მოკიდებული ჩემში რაღაც გადატრიალება მოხდა. ხშირად მიყრუებულ კუთხეს ვეტანებოდი და სანთლის მკრთალ შუქზე ვწერდი ყველაფერს, რასაც კი ვხედავდი. ქაღალდი ცოტა იყო და ამიტომაც მოკლე და არცთუ ისე სრულყოფილი ნაწარმოებით უნდა დავკმაყოფილებულიყავი.

მაგრამ ეს ზაფხული სულ სათიბში გავატარე და ერთი სიტყვაც არ დამიწერია. თანაც ძველი რვეული სულ დაწერილი მქონდა და აკი მამამაც დღეს ამოხია უკანასკნელი ფურცელი. ქვეყნად კი რამდენი რამაა ისეთი, რაიც აღწერის ღირსია. აბა ერთი სიტყვა მაინც თუ დამიწერია იმ მდინარეზე, რომელიც მდელოზე პატარა ყურეს ქმნის. მე კი რამდენჯერ ვწოლილვარ მის ნაპირას, ანკესი გადამიგდია და კალმახის მოლოდინი დამიჭერია. ერთხელ ზედიზედ ხუთი კალმახი დავიჭირე. ჰო, ის მდინარე ღირსია აღწერისა, რამდენიმე სიტყვა მაინც ეკუთვნის.

მე არ მიცდია აღმეწერა მისი წყნარი მდინარება და ის კი

ისე გამჭვირვალეა, რომ მასში ყველაფერს დაინახავ: მოცურავე გედებსაც და ფერმრავალ ტყეებს, რომლებიც მდინარის გაღმა ნაპირზე ჩანან.

მე სულაც არ აღმიწერია ყვავილები და გაზაფხულის ცვრით მონამული ბალახი, არაფერი ბითქვამს მზის სხივზე, რომელიც მდელოზე დაიკლაკნება. დამავიწყდა პოემა მიმეძღვნა პატარა, ხალისიანი და დაუღალავად ფორმის მცვლელი ღრუბლებისათვის, რომლებიც მთებს დასტრიალებენ თავს. როცა მათ გაზაფხულის თბილი ნიავი დაუბერავს, თითქოს დამალობანას თამაშობენო.

ეს წვრილმანები როდია. ეს ხომ თვით სიცოცხლეა, რომელიც მზისა, მთვარის და ვარსკვლავთა ქვეშეთში მიმდინარეობს, ესაა მისი სიხარული, მისი სილამაზე. რაც მეტს ვფიქრობდი, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ერთი რვეული არ მეყოფოდა საამისოდ, ორი რვეული უნდა მეყიდა. ახლა ანგარიში დავიწყე, რა მოუნდება ორ რვეულს. ეგების ერთი რვეული ოცდათხუთმეტი ერე ღირს. ორ რვეულს სამოცდაათი ერე მოუნდება. შარშან უბრალო ფანქარი ათი ერე ღირდა. იქნებ ახლაც იმავე ფასად იყიდება. სულ ერთად დაჯდება ოთხმოცი ერე. რჩება ერთი კრონი და ოცი ერე შაქარყინულისათვის და ლეღვის ჩირისათვის. საჯავრო არაფერია. ჩემი ფული თავზე აუვა ორ რვეულს. შემდეგ ამ რვეულებში საბუკვრელ ოცნებას ჩავწერ. წერისათვის დრო მაშინ მექნება. როცა შემოდგომა მიილევა და მერე კი ზამთარიც მოგვიკაკუნებს კარზე.

ამ ფიქრში ვიყავი, როდესაც ბილიკიდან შარაგზაზე გამოვედი. მანქანები ჯერ ჩანდნენ არც აქეთ და არც იქით. გუბურებზე ბენზინის ლაქები ბრწყინავდა. მთელი გარემო თავისუფლებასა და თავგადასავალს მოგაწყურებდა. მე დიდი გზა გავიარე და სულ მიდამოს ვათვალიერებდი: აგე უზარმაზარი მოყვითალო-მორუხო ჭაობი გადაშლილა, აი ფერმერთა სახლები დგას. აგერ მღვრიე მდინარე, რომელიც ყინულეთში იწყება და მინდვრისაკენ მოედინება.

მეგონა, ამ მდინარესავით თავისუფალი ვარ-მეთქი და ფათერაკი ვინატრე. მაგრად მოვქაჩე სადავე და ბებერი ბელსი გავაჭენე.

მე უკვე გადავწყვიტე ყველაფერს მიჯობს, სამი რვეული ვიყიდო-მეთქი, როდესაც გზის სიახლოვეს დავინახე ვიღაც კაცი. მართალი გითხრათ, მის დანახვაზე გული ამიძგერდა: გამახსენდა მამის გაფრთხილებაც და ყველა ის შემთხვევა, როდესაც ბოროტმოქმედნი თავს ესხმიან მოგზაურებს.

ეს მომხდარა წინათ, ეს ხდება ახლაც. ის კაცი კი გზის უბრალო მუშა გამოდგა. როცა მივუახლოვდი, მიწის თხრას თავი დაანება და მხიარულად მკითხა: საით გაგიწევიაო?

— ქალაქში მივდივარ, — მივუგე მე ამაყად.

— ქალაქში? — ჩაიქირქილა მან და თავის ბარს დაეყრდნო.

მერე ისეთი ძალით გადააფურთხა, რომ ფურთხმა გვარიანი რკალი მოხაზა და გზის გადაღმა დაეცა.

— ქალაქში რისთვის მიდიხარ, ყმაწვილო?

— საცაა ცხვარს ჩამორეკენ მთიდან, სურსათია საჭირო, ქალაქში ამიტომ მივდივარ, — ვუპასუხე მე.

— საცაა ცხვარს ჩამორეკენო? — გაიმეორა მან, — მაინც საროდიოდ ელოდებით.

— საოთხშაბათოდ გვაქვს იმედი.

— მე მგონია, ეგ დიდი ამბავია.

— ჰო, — ვუპასუხე გაუბედავად, არ მესმოდა რატომ ჩააცივდა ასე ცხვრის ამბავს.

— ვერ მეტყვი, ბევრი ხდის თქვენკენ არაყს?

ამ კითხვამ შემაშინა.

— არა, — ვუთხარი მე, — ჩვენთან არავინ ხდის არაყს.

— კარგი, ეგრე იყოს, — თქვა მუშამ და ისევ გზის მოხვინჭვას შეუდგა. — მე ვხუმრობ, ყმაწვილო, — რატომ არ უნდა გავესაუბრო კარგ ადამიანს. ასე არ ზრის, ყმაწვილო?

ხმა არ ამომიღია. არ ვიცოდი, რა მეპასუხნა. ბებერი ბელსი მოუთმენლად ახრამუნებდა ძველ ლაგამს, გზის გაგრძელება მიუჩქაროდა.

— როგორც გორაკამდე მიხვალ, ქალაქი გამოჩნდება, — მითხრა მუშამ,—როცა გზაბოძალზე გახვალ, ხიდთან შეუხვიე.

მე მადლობა გადავუხადე და ვკითხე:

— ხომ არ მეტყვი, ეს რა სახლი ჩანს გორაკზე?

— ეგ სახლი არ არის. ეგ ძველი, ნახევრად დანგრეული ქვისსამტეხლოა, მაგის უკან ჩვენი კარვები დგას.

ერთხელ კიდევ გადავუხადე მადლობა და რადგან ბებერი ბელსი წინ მიიწევდა, ჩორთით გავუშვი.

— ჰეი, — მომაყვირა მუშამ, — ქალაქის გოგოები მოიკითხე.

მე იქნებ უკანაც გამოვბრუნებულიყავი, რათა დაწვრილებით გამეგო გოგოების ამბავი, მაგრამ ამ დროს შარაგზაზე გამოგორდა ქვიო დატვირთული დიდი საბარგო მანქანა, მე საჩქაროდ გზა მივეცი, რათა ბელსი არ შეშინებულიყო მოტორის ხმაზე. ცხვირძი ბენზინის სუნი მეცა. ვინემ საბარგო გადატვირთეს და იქი მობრუნდა, მე მანქანა შევათვალიერე, ხოლო როდესაც მეორედ ჩამიარა, უკვე უზანგში ფეხი გავუყარე და ცხენი გორაკისაკენ გავაჭენე.

მუშა მართალი გამოდგა, იქ მე დავინახე ქვისსამტეხლო და იმის გვერდით კარვები. გორაკის ძირში რამდენიმე ‘კაცი’ იდგა და საბარგო მანქანას ტვირთავდა. მე ერთი შემოხედვაც კი არ მაღირსეს.

შორიახლოს გზაბოძალი დავინახე, მერე ჭაობები და მღვრიე მდინარე, რომელსაც თოში მოჰქონდა. ამათ იქით სავაჭრო პუნქტი გამოჩნდა. ეს იყო გაშლილ მინდორში მდებარე პატარა და დიდი სახლების რიგი, რომელსაც მზის მოწითალო სხივები ანათებდა. ახლა უკვე აღარ მეეჭვებოდა, რომ სწორედ ორი რვეული მჭირდება, თუხდაც შაქარყინულისა და ლეღვის ჩირის ხარჯზე.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერ მოვისვენებდი, ვიდრე ვრცლად არ აღვწერდი ჩემი მოგზაურობის ამბავს. გუბურაზე მოლაპლაპე ნავთობის ლაქები, ბენზინის სუნი, ძველი მიგდებული ქვისსამტეხლო, გზად შემოხვედრილი, თამბაქოსაგან ტუჩგაშავებული კაცი, ვინაც უმაწვილი მიწოდა — ამეებმა დაისაკუთრეს ჩემი გონება და ჩუმი საღამოების სანთლის შუქზე გულმოდგინე მუშაობაში გატარებას მიქადდნენ.

წინ მედო სავაჭრო პუნქტი — თავგადასავლისა და ფათერაკის მთავარი ადგილი. როცა მე დიდი ხიდი დავინახე, მისი უზარმაზარი დასაყრდენი კოლონები, ფოლადის ჩარჩოები, რომლებიც ცის ფონზე გამოირჩეოდნენ, მძიმე დაკიდებული ტროსები, მაგარი კარკასი და ფოლადის მოაჯირი, საბოლოოდ მოვიხიბლე. ასეთი შესანიშნავი სანახაობა რომ აღვწერო,

ოთხი რვეული და ორი ფანქარი მაინც დამჭირდება, ნაკლები არ მეყოფა.

ცხენიდან ჩამოვხდი და ხიდს მივადექი. შიში და ცნობისმოყვარეობა ერთმანეთს შეებრძოლა ჩემში. მალ-მალ მოაჯირთან მივდიოდი და მღვრიე ტალღებს ვუყურებდი. თოში ხიდს ეჯახებოდა და მერე გამალებით მიეშურებოდა მქუხარე ორომტრიალში. ჟრუანტელმა დამიარა, თითქოს მე ვიღებდი მონაწილეობას ამ შმაგი სტიქიის ალაგმვაში, თითქოს მე ამეშენებინოს ეს ხიდი. ანდა ოდესღაც მე თვითონ მომეფიქრებინოს მისი აგება.

მეჩვენებოდა, რომ უფრო ძლიერი, თამამი და გამბედავი ვყოფილიყავი და ვიგრძენი, რომ შიში გამეყარა.

ბოლოს მე სავაჭრო ცენტრამდე მივაღწიე. მაშინ დავინახე სახლი, რომელსაც უამრავი ფანჯარა ჰქონდა. ეს ფანჯრები უზარმაზარი თვალებივით შემომცქეროდნენ. დავინახე ქუჩაში მოსეირნე ხალხი, მთლად განცხადებებით აჭრელებული ტელეფონის ბოძები, რომლებსაც თავზე თეთრი ბურთულები ედგათ. დავინახე ბენზინის სვეტი და მაღაზიასთან მდგომი ორი მბრწყინავი ავტომობილი. მალე ვიგრძენი, როგორ მოეწამლა ჰაერი ბენზინის სუნს და ამან მამის დარიგებანი გაახსენა. საბედნიეროდ, ვიღაც სიმპათიური წვეროსანი დავინახე: ის ძალზე გაუგებრად ლაპარაკობდა, მაგრამ საჯინიბო კი ბაშინვე მიმითითა.

საჯინიბოში სიბნელე და სიწყნარე იყო. მე უმალვე მოკეშვი უნაგირს მოსართავები და გულის ჯიბიდან მამის წერილი ამოვიღე. ისევ მთელი ძალით ვიგრძენი, თუ რა პასუხისმგებლობა ავიღე თავზე, როდესაც ქალაქის გზას დავადექი. ამ გრძნობამ ისე დამიმორჩილა, რომ საბრალო ბელსისათვის თივის მიცემაც კი დამავიწყდა. ტომარა ეღლიაში ამოვიდე. კარი გავიხურე და სანამ მაღაზიაში შევიდოდი, გარშემო მიმოვიხედე, მაგრამ ვერც ქურდი და ვერც საეჭვო პიროვნება ვერ შევამჩნიე. გარშემო მშვენივრად ჩაცმული ადამიანები ირეოდნენ. ისინი სიცილით ერთი სახლიდან მეორეში მიდიოდნენ და თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ. ჩანდა, ამ მოვალეობის ასრულება სასიამოვნოდ ეჩვენებოდათ. მერე დახლთან აღმოვჩნდი, ერთი ჩავისუნთქე და დარცხვენით გადავხე-

დე დუქანში მყოფ ახალგაზრდებს. ყოველ მათგანს ერთ ხელში ტოლჩა ეჭირა, მეორეში — ანთებული სიგარეტი. ისეთი თამამები ჩანდნენ, თითქოს სათავგადასავლო რომანის გმირები ყოფილიყვნენ. ამ ახალგაზრდების გვერდით თავი მეტად უხეშ და უმაქნის არსებად მივიჩნიე. მალვით გადავხედე ჩემს კუბოკრულ საწვიმარს. იგი დიდი მქონდა და მთლად ტალახში იყო ამოსვრილი. ალმური მომედო და ქუთუთოები ამიკანკალდა. როცა ერთმა ნოქარმა — მხარბეჭიანმა, ოცდაოდე წლის ქალა კაცმა მკითხა, რა გინდათო, ენა დამება და ძლივს ვუპასუხე:

— არ შეიძლება ვნახო ბატონი ვაჭარი?

— რისთვის გჭირდებათ?

— წერილი მოვუტანე.

ყმაწვილი კანტორის კარისაკენ მიტრიალდა და დაიძახა:

— მამა, შენთან ბიჭი მოვიდა და წერილი მოგიტანა.

მალე თვითონ ვაჭარი გამოჩნდა. მე ხელი გავუწოდე. ვცდილობდი, რაც შეიძლება თავაზიანად, მაგრამ ძალდაუტანებლად დამეჭირა თავი, ისე მივმართე, როგორც ჩვენთან იციან.

— გამარჯობა, — ვთქვი მე, — მამამ მოგიკითხათ... — მაგრამ აქ გავჩერდი, რადგან გამახსენდა, რომ თავაზიანად უნდა მელაპარაკა. რაც შემეძლო ღრმად ჩავისუნთქე და ვაჭარს გავუპრტყელე: — მამა ყოველივე კარგს გისურვებთ! აი ბარათიც, — ამით დავასრულე და თან საშინლად გავწითლდი.

ჩემდა გასაოცრად ვაჭარმა მადლობა მითხრა და მკითხა. საიდან მოხვედიო. მერე ცხვირსე სათვალე დაიკოსა და მამაჩემის წერილის კითხვას შეუდგა. მე დახლს მიყრდნობილი ვიდექი და თვალს არ ვაშორებდი ვაჭარს. თავს ისე ვგრძნობდი. თითქოს განაჩენის მომლოდინე მსჯავრდებული ვიყავი. მაშინ რა იქნება, რაღა ვქნა. თუკი იგი არ მოისურვებს მამას კრედიტი გაუგრძელოს. თუკი ძაფისა და ლილის გაცემის თხოვნას არ შეიწყნარებს. იქნებ ნატეხ შაქარზე და საღეჭ თამბაქოზე მითხრას უარი. ანდა გასანთლულ ძაფს და მწვანე საპონს არ მოგცემო, მომიჭრას. ჰოი, ზენაარო, რა მეშველება, თუკი მკაცრად შემომხედავს და მომახლის: „როდის მოეღება ბოლო ამ უყაირათობას?“ საჯაროდ მეტყვის ამას, გარშემო კი დგანან თავდაჯერებული ყმაწვილი კაცები, რომლებიც ლუდსა სვამენ და სიგარეტებს ეწევიან. არა, ასეთ დამცირებას მე ვერ

ავიტან. რა თქმა უნდა, თავგზა ამებნევა, ენა მუცელში ჩამივარდება და ვერ ვუამბობ ვაჭარს, რა ღარიბად ვცხოვრობთ და რა მომჭირნეობას ვეწევით. მე მხოლოდ მოვიკუნტები ჩემს უზარმაზარ საწვიმარში, ტომარას ხელს დავავლებ და გარეთ გამოვვარდები.

ვაჭარს გამომეტყველება სერიოზული, მაგრამ კეთილი ჰქონდა და სახეზე ვერ შეატყობდი, რას ფიქრობდა. „რა დიდი ხანი კითხულობს", — ვღელავდი მე. მაგრამ ვაჭარმა სათვალე შუბლზე აიწია, შვილს დაჭმუჭნილი წერილი გადასცა და ისე სასხვათაშორისოდ და გულგრილად მითხრა: შენ აქ დაიცადე, ბიჭიკოო, რომ მე შემეშინდა კიდევაც.

ამ სიტყვებზე ზურგი მაქცია, თავის კანტორაში შევიდა და კარი გაიხურა.

ვაჭრის შვილმა სასწორთან ატეხა ფართიფურთი: პარკებში ყრიდა და წონიდა საქონელს. ამასობაში ყმაწვილმა კაცებმა ლუდის ცარიელი ბოთლები დახლზე დადგეს და გარეთ გავიდნენ. მე მარტო დავრჩი.

კიდევ ვერ დავმშვიდდი, ვერ დავიჯერე, რომ ვაჭარმა მართლა გაუგრძელა კრედიტი მამაჩემს და თანაც არაფერი არ თქვა. სიხარული არ მიგრძვნია, პირიქით, რაღაც ავადმყოფურმა მორცხვობამ ყელი გადამიკეტა, ხელები დამინამიანდა, ნაღველი და საკუთარი სიძაბუნის გრძნობა თანდათან დამეუფლა. ვერაფერი გამეწყო. წუთის წინ ყველაზე მდიდარი ბიჭი ვიყავი, ახლა ყველაზე ღარიბი შევიქენი. დედას ხშირად უთქვამს: რიგიანი წინსაფარი არა მაქვს, ვინმე რომ გვესტუმროსო. აქ კი დახლზე თაროები საცაა ჩატყდება ლამაზი, ჭრელაჭრელა ნაჭრების სიმძიმისაგან. ისეთი ფართალი იყო, თითქოს თვითონ ნატრობდა, რა იქნება წინსაფრებად გამომჭრიდნენო. ჩემს დასაც ხშირად უთქვამს, როგორ მინდა ვარდებით მოქარგული თავსაფარი და მოდური სავარცხელიო. ჩემი და ახლა იმ ასაკისაა, როცა გოგონებს ეხალისებათ ჩაცმა-დახურვა, განსაკუთრებით კვირა დღეს, უნდათ კოხტად დაივარცხნონ თმა და კეფაზე მოიდონ. აქ კი რამდენი თავსაფარი და სავარცხელია გამოფენილი დიდ ფერად მუყაოზე, რომელზედაც საზღვარგარეთის ქალები ახატია. ანდა რა კარგი იქნებოდა, რომ მამას შეეძლოს ამ ლამაზი მუნდშტუკის ყიდვა-

მაშინ აღარ მოსწევს თავის შხამიან თამბაქოს და აქეთ-იქით აღარ გადააფურთხებს. ახლა ძმებს როგორ გაუხარდებათ, ეს ქუდები რომ მისცათ, აგერ ჩემს ზემოთ რომ ჰკიდია. მაშინ, რა თქმა უნდა, თავის ფერდაკარგულ ქუდებს გადაისვრიან. რა უცნაურები არიან, იმ ქუდებს რომ დაიხურავენ. აი კიდევ რეზინის ჩექმები, შავი და ყავისფერი ტყავის ქამრები პრიალა ბალთებით, ღია ფერის პერანგები და მუხლამდე განიერი შარვლები. რა.გინდა, სულო და გულო.

მე მთლად დაბნეული ვიდექი დახლთან, გაოფლილი ხელი ჯიბეში მედო და მაგრად მეჭირა ცხვირსახოცში გამოხვეული მონეტა. ვერაფერი მეღონა, ვერაფერი გადამეწყვიტა, ფეხიდან ფეხზე გადამქონდა სიმძიმე, რაღაც ყელში გამჩრიდა და რაც დრო გადიოდა, მით უფრო მახრჩობდა.

მე შევხედე ნაირ-ნაირ საწერ მოწყობილობას. ძალიან მინდოდა მათი ყიდვა, რადგან ისეთი ლამაზები იყვნენ. აქ იყო სამელნეებიც, კალმისტრებიც, ფანქრებიც, გასახვევი ქაღალდიც და რვეულები. დაიბნევი კაცი, ვერ ამოარჩევ, რა იყიდო. მერე შევხედე შოკოლადსა და სხვადასხვა ნამცხვარს, რაიც ქილებით გამოედგათ და გულზე უფრო დამაწვა სევდა. მე დიდხანს დაბნევით ვუყურებდი სხვადასხვა საქონელს. ვერ გადამეწყვიტა, რა მეყიდა. ამ დროს ვაჭრის შვილმა დამიძახა, გაქვს თუ არა სასყიდლებისათვის ტომრებიო.

— კი, — ვუპასუხე მე, — აქ არის, უნაგირის საპალნეში.

— ორი ტომარა? კეთილი! — როცა ჩემი პატარა ფუთა შენიშნა, მკითხა: — ეს რა არის?

— ეს ჩემი საგზალია.

— ძალიან კარგი, — თქვა მან, მაგრამ ღეჭვა კი არ შეუწყვეტია.

მე ძლივს გავაგებინე, რომ დამავალეს ფქვილი უნაგირის წინ დამეკრა, ცხენის ზურგზე, სხვა დანარჩენი უნაგირის საპალნეში. ისე თავაზიანი ხომ არ იქნებით, რომ ყველაფერი რიგიანად გამიხვიოთ, განსაკუთრებით მწვანე საპონი. ხომ იცით, თუ გაჟონა, შაქარს გამიფუჭებს, — ასე ვუთხარი ნოქარს. ყმაწვილმა დაბნევით დამიქნია თავი. მისი მოძრაობა სწრაფი იყო და დაჯერებული, ხელები მარდი ჰქონდა, ყველაფერს ნაჩვევი. ეტყობოდა, დაეძლია საქონლის გახვევის სა-

იდუმლოება და უფრო ძნელ საქმეშიც გაევარჯიშებინა ჭკუა-გონება — ანგარიშების შედგენაც ეხერხებოდა. გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, რომ მან ტომრები და უნაგირის საპალნე იატაკზე დააგდო, დახლის წინ, მე ერთი ფურცელი გამომიწოდა და მითხრა:

— ეს ანგარიშია.

მაშინვე გამოვართვი ანგარიში, შიდა ჯიბეში ჩავიდე და ჯიბე ქინძისთავებით დავიმაგრე. დუქნიდან არ გამოვსულვარ, ერთ ადგილას ვწრიალებდი, ისევ ხელით ცხვირსახოცს ვაწვალებდი და ამაოდ ვცდილობდი ის ჩემი დამხრჩობი რაღაც გადამეყლაპა. ცხოვრებაში არასოდეს არ მიგრძვნია თავი ასე ცუდად, თითქოს გამბედაობას ვიკრებდი, რათა უფსკრულში გადავვარდნილიყავი.

— კიდევ გინდა რაიმე? — შემეკითხა უმაწვილი და სახეში მომაჩერდა.

— ა, არა, — ნელა გამოვეპასუხე და მთლად დაბნეული დახლს მივადექი. ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი არსაით იყო.

ვაჭრის შვილი ისევ წიგნებსა და ანგარიშებს მიუბრუნდა. თან რაღაცას ღეჭავდა. მერე ტუჩები მოილოკა, რაღაც მელოდიის დასასრული დაუსტვინა და ფიქრიანად შეიკრა წარბი. მე ვგრძნობდი, ვაჭრის შვილი თვალს არ მაშორებდა და მაინცადამაინც ჭკუაში არ უჯდებოდა არც ჩემი საბრალო შესახედაობა და არც ის, რომ ამდენ ხანს დუქანში დავრჩი, თუმცა საქმე უკვე მოვითავე.

— შენ ვისმე ელოდები? — მოუთმენლად მკითხა მან.

— ჰო, — მივუგე მე და თავი უხერხულად ვიგრძენი.

— მაინც ვის ელოდები?

— არ ვიცი.

— შენ აქ მარტო არ ჩამოსულხარ?

— არა, მარტო ჩამოვედი.

— მაშინ... — გამომცდელად მომაჩერდა იგი. მერე შაქარყინულის ქილას თავი მოხადა და მომაწოდა, თან მკითხა, ხომ არ წაიღებ ცოტა შაქარყინულს, გზაში გამოგადგებაო.

ისე გავხდი, თითქოს სილა გამაწნესო. იმდენად მეწყინა შაქარყინულის შემოთავაზება. ჩანს, ვაჭრის შვილმა იფიქრა,

ამ ბიჭს იმედი აქვს რაიმე უფულოდ გამომტყუოს და ამიტომ არ მიდისო.

აქამდე ვერ მივმხვდარვარ, როგორ მოხდა, რომ ბოქლომი ვანიშნე დახლთან მდგომს. სამაგიეროდ, ის კი კარგად მახსოვს რომ თავი ისე დავიჭირე, თითქოს არ დამენახოს მოწოდებული შაქარყინული, წელში გავიმართე. ამ დროს აშრიალდა ჩემი კუბოკრული საწვიმარი. ღრმად ამოვისუნთქე და ხმამაღლა ვუთხარი:

— რა ღირს ბოქლომი?

— ბოქლომიო? — გაიკვირვა ნოქარმა.

— ჰო, — მტკიცედ ვუპასუხე მე, თუმცა ცხოვრებაში არასოდეს არ მენახა ბოქლომი და არც ვაპირებდი მის ყიდვას.

— სხვადასხვა ფასი ადევს, — აგდებით მიპასუხა მან. — აი ის, მაგალითად, ორი კრონი ღირს.

— მე მაგას ვიყიდი, — ვთქვი მე.

— შენ გინდა ეგაც მამაშენის ანგარიშს მივაწერო?

— არა, — ვუთხარი მე გამომწვევად და ჯიბიდან ამოვაცოცე ჩემი ცხვირსახოცი, იქიდან ფული ამოვიღე და ორკრონიანი მონეტა დახლზე დავდე.

— ძალიან კარგი, ინებე, მშვენიერი ბოქლომია. — მითხრა ყმაწვილმა.

სწორედ ამ დროს შემოვიდა მაღაზიაში ვიღაც და იატაკზე დაგდებულ ჩემს ტომრებს გაჰკრა ფეხი.

მე ბოქლომი ჯიბეში ჩავიდე, იატაკიდან ნავაჭრი ავიღე, დუქნიდან ისე გამოვედი, „მშვიდობით“ არც კი მითქვამს. ასე გამორბის დამნაშავე საპატიმროდან... როცა კარი მოვხურე, მაღაზიის ახალგაზრდა მეპატრონის ხმა გავიგონე:

— თქვენ რა გნებავთ?

მე საჯინიბოსაკენ გავეშურე და მხოლოდ ახლა გამახსენდა, აკი ჩვენი ბებერი ულაყისათვის თვალი უნდა მედევნებინა. რაღა ვქნა, თუკი მოიპარეს? შიშისაგან მუხლები ამიკანკალდა და კბილების კაწკაწი დამაწყებინა. თავს ძალა დავატანე და საჯინიბოს კარი გავაღე. მეტისმეტად გამიკვირდა, როცა დავინახე, როგორი საბრალო სახით იდგა ჩვენი ბელსი, თითქოს სცოდნოდა, რაც დამემართა და მწუხარების თანაზიარად გამხდომოდა. უჩუმრად დავიწყე ბარგის მიკვრა უნაგირზე. სხვა

სასყიდლების ტომარა მოვიგდე მხარზე, და გარეთ გამოვიყვანე ცხენი და ხიდისაკენ გავეშურე.

სასოწარკვეთილი და გულნატკენი გარშემო არ ვიყურებოდი. ვეღარ ვამჩნევდი ვეღარც სახლებს, ვეღარც ფანჯრებს. ვერც ტელეგრაფის ბოძებს, ვეღარც ბენზინის სვეტს. მე ისევე ვერ ვამჩნევდი ვერაფერს, როგორც სირბილით დაღლილი ლტოლვილი ვერ ამჩნევს თავის მტრებს. მე ერთი საზრუნავი მქონდა — რაც შეიძლება მალე გავშორებოდი აქაურობას. მე უკვე არ მინდოდა მოაჯირთან მისვლა და მღვრიე წყლის ყურება. არც ხიდის უზარმაზარი რაფები, არც ხიდის სქელი ტროსები არ მაინტერესებდა. მე უკვე აღარ მეჩვენებოდა, რომ მონაწილეობას ვღებულობდი ამ უზარმაზარი ნაგებობის აშენებაში. ხიდისათვის არც კი შემიხედავს, თვალით დავუწყე ძებნა პატარა ბექობს, რათა ცხენზე შევმჯდარიყავი.

როცა საწვიმარი შევიკარი, უნებურად ბოქლომს მომიხვდა ხელი და მაშინ მომეჩვენა, რომ ცხენის თვალებში თანაგრძნობამ იელვა. ისე ჩანდა, თითქოს ლაგამის სამკაულმა — ლომის თავმაც — მიაქცია ყურადღება ჩემს უსიცოცხლო, უნიათო მოძრაობას.

— აბა, გეყოფა, სულელო, დინჯად! — გაცხარებით შევძახე ცხენს, თუმცა ბებერი ბელსი გაშეშებული იდგა, — მაინც სად მიგეჩქარება? შენ რა გენაღვლება, თუნდაც გადამაგდო, არაფერს ინანებ.

როცა უნაგირზე შევჯექი, აღვირი უმალვე მოვწიე და მანამ ვურტყი ბელსის ფერდებში, სანამ ჭენებით არ გაქანდა.

უეცრივ ბრაზი დამიცხრა. ცხენი დავაოკე და მან დინჯი ნაბიჯით გასწია. მე ვცდილობდი არაფრით არ მიმეხედა უკანაცა იყო ღრუბლიანი, ქროდა ცივი ქარი. ამინდი ფუჭდებოდა.

აქამდის მახსოვს, როგორი უფერული მეჩვენა მინდვრის ბალახი, როგორი სასოწარკვეთით რბოდა მდინარის ყინულოვანი წყალი და როგორი მწუხარე იყო გზა. მე შინ მივდიოდი. კაბნიერება გამოვიჩინე, დიდ ცხოვრებას ვეზიარე და დამარცხება განვიცადე. იმის მაგივრად, რომ ჩემი მარცხი მეცნო. ვცდილობდი დამევიწყა, უარმეყო იგი. სწორედ იმიტომ, რომ მარცხი ასეთი უაზრო იყო, ასეთი გაუგებარი მე არც ვცდი-

ლობდი გამერკვია, მაინც რა მოხდა, ფიქრი არ მინდოდა. თავჩაღუნული ვიჯექი ცხენზე, ერთ ხელში ლაგამი მეჭირა, მეორეს ტომრებს ვაშველებდი.

მაგრამ ჭკუა-გონება არეული მქონდა. მინდოდა გამოსავალი მეპოვა. ჩემს გულში მაინც ცოცხლობდა იმედი, რომ ამ სირცხვილისა და სასოწარკვეთას თავს დავაღწევდი. მთლად არ მინდოდა გადამეწყვიტა იმედი, საბოლოოდ ხომ არ შემაქცევდა ბედი ზურგს. იქნებ მაღაზიაში უნდა დავბრუნდე, თამამად დავდო დახლზე ბოქლომი და ვაჭრის შვილს ავუხსნა, რომ მოხდა შეცდომა, მე არასოდეს არ მდომებია ბოქლომის ყიდვა? სინამდვილეში მე მინდოდა მეყიდა ოთხი რვეული, ორი ფანქარი, ცოტა შაქარყინული და თუკი ფული დამრჩებოდა, ლელვის ჩირი. მაგრამ როგორც კი უკან ვიბრუნე პირი, მაშინვე მივხვდი, რომ ეს შეუძლებელი იყო. გზა გავაგრძელე და ყოველ წუთს ვგრძნობდი, რამდენად სხვაობდა ქალაქის გზა შინ მიმავალი გზისაგან. როგორ ჩქარა იცვლება ყველაფერი. ნავთობის ლაქები, გზის გუბურებს რომ აჩნდა, მუშა ხალხი, ნახევრად დანგრეული ქვისსამტეხლო. მანქანის ხმაური, და ბენზინის სუნი, — ყველაფერს სხვა იერი დასდებოდა. გზის მუშაც კი გამოცვლილიყო.

— უკან მოდის, — თქვა მან და შეხედა. იგი თავის ბარს დაეყრდნო და ისე გადააფურთხა. სახეზე თავაზიანი გამომეტყველება აღარ ჰქონდა და ხმა ჩახლეჩოდა.

— შენ ისევ აქა ·ხარ?

— ჰო, — ვუპასუხე მე.

— ახალს რას იტყვი?

— არაფერს.

— მაშ, რა აზრი აქვს შენს მოგზაურობას, ქალაქიდან მოდიხარ და ახალი ამბავი არ მოგაქვს! — მან დაცინვით ჩაიფრუტუნა. — გოგოები როგორ არიან? შენ, რა თქმა უნდა, გადაეცი ჩემი მოკითხვა?

— მე არც ერთი გოგო არ მინახავს.

— არც ერთი გოგო არ გინახავს? — გაიმეორა მან და ისე მომაშტერდა, თითქოს გიჟი ვიყავი. — რატომ ვერ ნახე ვერც ერთი გოგო?

— ქუჩაში არ გამოსულან და იმიტომ, — ვთქვი მე და ოან ვცადე შემდეგი გამოკითხვა თავიდან .მეცდინა.

— სისულელეა, — შემეპასუხა იგი და ზლაზვნით თავის სამუშაოს- დაუბრუნდა. — სადაც არ მივსულვარ, ეგენი სულ სავსენი არიან. მაგრამ, მათ, რა თქმა უნდა, პირადად ჩემი ნახვა უნდოდათ და არა შენი. არ გამიკვირდებოდა შენთვის ეამბნათ, რა სიამოვნებით ატარებენ ჩემთან მასლაათში დროს.

— ბოქლომის ყიდვა ხომ არ გინდათ? — უეცრივ ვკითხე და თვითონაც გამიკვირდა ჩემი სითამამე. — სულ ორი კრონი ღირს.

— გამიგონე, რამდენი წლისა ხარ? — მკითხა მუშამ და ალმაცერად შემომხედა.

— მალე თორმეტისა გავხდები, — ვუპასუხე. ვერ გამეგო საით მიჰყავდა საუბარი ჩემს ნაცნობს.

— ამბობ, მალე თორმეტისა გავხდებიო. ერთი ეს მითხარი, გეთაყვა, ვინ გასწავლა უფროსი ადამიანების მასხრად აგდება? — მკითხა მან ჭკუის დარიგებით, ჩანდა, ძალიან უნდოდა მქადაგებელს დამსგავსებოდა. — შენხელა რომ ვიყავი, მე ყოველთვის გონიერი, მოფიქრებული და თავაზიანი გახლდი. ბიბლია თავიდან ბოლომდე ზეპირად ვისწავლე და პასუხს საღვთო წერილის სიტყვებით ვიძლეოდი. მაგრამ იცოდე, მოერიდე მანქანას, — და მან გულიანად გაიცინა თავისავე ოხუნჯობაზე, — მოერიდე მანქანას.

იქნებ მე სწორად ვერ გავუგე ბებერ ტუტრუცანას, მაგრამ ის კია, რომ დიდი მნიშვნელობა მივანიჭე მის ნათქვამს. გზაში სულ იმის ლაპარაკი მახსენდებოდა და გული მტკიოდა.

რა თქმა უნდა, ქალაქიდან ისეთ გუნებაზე არ ვბრუნდებოდი, რა გუნებაზედაც იქით მიმეჩქარებოდა, სევდის ფიქრები მომჯაროდნენ. ცხვირი გამილურჯდა, ლოყები გამიფითრდა. მგელივით მშიოდა, რადგან, რაღა თქმა უნდა, საგზალი დუქანში დამრჩა.

მაგრამ ყველაზე საზარელი ის იყო, რომ მე დავკარგე იმედი, სიხარულის გრძნობა და თავისუფლება. ჯიბეში ბოქლომი მედო. თურმე დიდი ცხოვრებისაკენ იმიტომ მივისწრა-

ფოდი, რომ ჩემი თავისათვის ბოქლომი დამედო. ღმერთო, ეგ როგორ მოხდა? რად მინდოდა ბოქლომი? მშობლებს რა ვუპასუხო, როცა მკითხავენ, რად გინდოდაო? ვითომ გამიგებენ და მაპატიებენ? ეგ ტყუილი იმედია. მე თვითონაც არ მესმოდა, როგორ მოხდა ეს. როგორ ვაპატიებდი თავს ასეთ შეცდომას. სიზმარეულივით მივდიოდი. ჯიბეში ხელი ჩავიყავი და იქიდან ამოვიღე ის სასაცილო, ძვირად ღირებული და უმაქნისი ბოქლომი. იგი ტირანივით მქეჯნიდა, უწყალოდ მაწვალებდა და მაღიზიანებდა, მაგონებდა იმ ნანინანატრ ოცნებებს, რაიც არარად იქცა ამ წყეული ბოქლომის გამო ცხოვრებასთან პირველსავე მიახლოებისას.

მიუხედავად ჩემი ყოყლოჩინობისა, აშკარა იყო, მარცხი განვიცადე. მე სისუსტე გამოვიჩინე, თუმცა დაისის ქნარებმა თავისი საიდუმლოება გამანდეს. მე მალე დავივიწყე დაისის ქნარები და წინააღმდეგობის გაუწევლად დავყარე ფარ-ხმალი. ჩემი მშობლების, ჩემი და-ძმის ნდობა ვერ გავამართლე და ცხადია, დავკარგე ყველაფერი, რაც კი რამ ძვირფასი მებადა. ჯიბეში კი ბოქლომი მედო.

ბებერმა ბელსიმ ნაბიჯს აუჩქარა, ცხენმა იცოდა, რომ გზის კიდევ ერთი მოსახვევი და მერე დაიწყება ჩვენი ფერმისაკენ მიმავალი დაკლაკნილი გზა. მე არ მიცდია ბელსის გაჩერება. ვითომ რა ნუგეში იყო, რომ შინ დაბრუნება გადამედო.

მე უკვე შევეჩვიე იმ აზრს, რომ ჩემს დარდს არაფერი ეშველებოდა, როდესაც ჩემ წინ მძიმედ დატვირთული საბარგო მანქანა დავინახე. ცხადია, მას რაღაც შეემთხვა. არ ვიცი რატომ, მაგრამ უმალვე შვება ვიგრძენი და გული საამოდ ამიჩქროლდა. ალბათ მივხვდი, რომ ეს იყო შეცდომის გამოსწორების უკანასკნელი შესაძლებლობა. მთელი ჩემი გაბედულება მოვიკრიბე, ცხენი გავაჩერე და შოფერს მივესალმე, რომელსაც მანქანის კაპოტი აეხადა და მოტორს დაჰყურებდა. ხელები ზეთით ჰქონდა მოთხვრილი. მან სახრახნისი გადააგდო, სიმქაში აიღო და ცივად უპასუხა ჩემს სალამს. მერე ისევ თავის საქმეს მიუბრუნდა, თითქოს მოტორიდან არც კი აუღია თავი.

მე უმალვე გამახსენდა, რომ ეს კაცი სადღაც მინახავს.

მართლაც იგი ჩემი ნაცნობი გამოდგა. ჩვენკენ მაგას კარგად იცნობდნენ. მისი სახლი მიგდებულ ადგილას იდგა, მაგრამ უკანასკნელი რამდენიმე წელი იგი ემსახურებოდა სამ სამწყოს, თანაც სკოლასა და საავადმყოფოს. ყველა აღტაცებული იყო მისი თავაზიანობითა და ზრდილობით.

შოფერი, ცხადია, მე არ მიცნობდა. მაგრამ ასეთი ცივი მისალმების შემდეგ ერთი ხანი ხმა ვერ ამომეღო. ბოლოს გავთამამდი და შოფერს ვკითხე: სერიოზული დაავადებაა? კაცმა არ მიპასუხა და მუშაობა განაგრძო. ერთი გემოზე შეუკურთხა სიმქაშს, ერთი ქანჩი მოსწია, მეორე მოუშვა და მერე ღრმად ამოისუნთქა, თითქოს იგრძნო. რომ ამაოდ ცოდვილობდა.

— თქვენ არ გჭირდებათ ბოქლომი? — ვკითხე მე. გული ამიკანკალდა. შიში და იმედი ერთმანეთს შეებრძოლა ჩემში. — მე მაქვს შესანიშნავი ბოქლომი, შემიძლია მოგყიდოთ.

შოფერმა ისე დაიჭირა თავი, თითქოს არც გაუგია ჩემი ნათქვამი. მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ რაღაცას ფიქრობდა. იგი ნელა ამუშავებდა თავის სიმქაშს და დიდი ყურადღებით ათვალიერებდა მილებსა და მავთულებს.

— სულ ახალი ბოქლომია, — შევთავაზე, — თანაც ორი კრონი ღირს.

— საიდან მოდიხარ? — მკითხა კაცმა და არც კი შემომხედა.

— ქალაქიდან, — მივუგე მე.

— სადა ცხოვრობ?

მოფიქრების დრო აღარ მქონდა. ხსნა სიცრუეში ვპოვე. ვუთხარი აქვე ვცხოვრობ-მეთქი და ერთი მეზობელი ფერმა დავასახელე. მე არც ერთხელ არ ვყოფილვარ ამ ფერმაში, არასოდეს არ მინახავს, მაგრამ იქაური ამბები გამეგონა. ამბობდნენ, იმ ფერმაში შარშან შემოდგომიდან მოლანდებებმა მოიკალათესო და იქიდან მკვიდრნი გააძევესო. „ეს კაცი, რა თქმა უნდა, შეიბრალებს იმ ბიჭს, რომელიც ასეთ საშინელ ადგილზე ცხოვრობს“, — გავიფიქრე გუნებაში. მაგრამ როდესაც დავინახე, როგორი უნდობლობით შემომხედა შოფერმა, მთელი ჩემი გამბედაობა გაქრა. ისე შემრცხვა, ნეტავი აქვე მიწა გამისკდებოდეს-მეთქი, ვინატრე.

— ჰო? — ესღა მითხრა შოფერმა და სახე სერიოზული გაუხდა. მერე სიმქაში გვერდზე გადადო და ხელები შარვალზე შეიწმინდა, — მეც იქ მივდივარ. ალბათ კიდევ გნახავ ფერმაში. მაინც კი უნდა გითხრა, ყმაწვილო, წინათ არასოდეს არ მინახავხარ, თუმცა ირწმუნები, რომ ჩემი ბიძაშვილის შვილი ხარ. შენი ვიყო, შინ გავწევდი, ბიჭიკო, და ვეცდებოდი ტყუილს გადავჩვეოდი. ეგ ძალიან ცუდია. სირცხვილია! სიმართლესთან სხვა ყველა ტყუის. არასოდეს არ გიმტყუნებს. ეგრე არ არის?

ხმა არ ამომიღია. სადავე მოვუშვი და ბელსის ჩვენს ტლახიან, ქვებით მოკირწყლულ ბილიკზე შევახვევინე. თანდათან იძალა სიცივემ. მთის მწვერვალებზე ღრუბლებმა მოიყარეს თავი. მწუხრის მაქმანი დაეცა ჭაობებს, დილით ოქროსფერ ნისლში რომ იყვნენ გახვეულნი, და ქარმაც რა ხანია დაალღვია მდინარის ერთიანი სარკისებური ზედაპირი.

თავი ჩავღუნე და უსიტყვოდ ავტირდი. მაგრამ ცრემლს არ შეეძლო ჩემი მწუხარების წაშლა. მე ცუდი ბიჭი ვიყავი, ძალიან ცუდი. მე დამავიწყდა პატიოსნება. მე აღარ დამრჩა იმედი, მე აღარ მომელოდა სიხარული ცხოვრებაში. ეგ ხომ მართალია, აკი ყველანი მლანძღავდნენ. მე არად ჩავაგდე მშობლების დარიგებანი, ცხოვრებას წავეპოტინე და თავგზა დამეგბნა. ტყუილი ვუთხარი უცნობ კაცს და ვუღალატე დაისის ქნარებს. მეტი აღარასოდეს არ მეყოფა გამბედაობა ისევ დავჯდე წყნარ კუთხეში და აღვწერო მზის შუქი, რომელიც მინდორზე ბრწყინავს, ანდა დილის ცვარით მონამული ყვავილები. ქარის დაბერვაზე რომ აქეთ-იქით აწყდებიან. ზაფხულის ადრიან დილას ვერვის ვუამბობ, როგორია სიჩუმეში გედის სიმღერა, მშვიდობით. პოემავ, მიძღვნილო ღრუბელთა ქათქათა ქულებისადმი. როგორია მქუხარე მდინარება წყლისა, რა ფერი ადევს მდინარის პირის ტყეს. მე ისეთი წმინდა აღარა ვარ, რომ სილამაზეს ვემსახურო. თუკი ოდესმე ხელში ავიღე კალამი, ალბათ, ჩუმ, ცივ ნაღველს აღვწერ მხოლოდ.

და აი, მე ბილიკიდან გორაკის ძირში მდებარე ყურისაკენ გავუხვიე. რამდენჯერ ვყოფილვარ აქ სათევზაოდ, უზრუნველი და ბედნიერი.

მე საწვიმარი გადავიხსენი, ჯიბიდან ბოქლომი ამოვიღე. ოვალცრემლიანმა დავინახე, როგორ გაიელვა ბოქლომმა წყლის მჩქეფარე ტალღებში, რომლებიც ხან მუქმწვანედ ელავდნენ, ხანაც მუქყავისფრად. და როცა იგი წყალში ჩავარდა, მომაფიქრდა: მე ჩემი მწუხარების აღწერაც კი აღ შემიძლია, რადგან ქაღალდი არა მაქვს.

ლენინური

პოეტიკიდან

კედ'ა ბ ე ლ ი

ქოლგათა ამბოხი

ღმერთმა გაშოროთ ქოლგობა! აბა რა სახარბიელო რამ ეგ არის? როცა კარგი ამინდია, როცა მზე ანათებს, წინკარის ბნელ კუნჭულში უნდა ეგდო. არავის ახსოვხარ, ვინემ წვიმა არ წამოვა. როცა სასეირნოდ წაგიყვანენ, შინ სულ გალუმპული მოხვალ, თუმცა კარგა გამძლე სამოსი გაცვია. კაცმა რომ თქვას, ქოლგა ამასაც შეეჩვევა — მას ხომ სარგებლობის მოტანა უნდა, მაგრამ საბრალოს ის სტანჯავს, რომ ძე-ხორციელს არ აინტერესებს რა ხდება მის სულში. აბა, თუ ერთი კეთილი სიტყვა უთხრან. გაგიგონიათ! თუ აღარ მოწვიმა და ქოლგა შინიდან წამოიღო ვინმემ, ბუზღუნს ზღვარს აღარ დაუდებს, წყევლა-კრულვას აღარ მოეშვება. და შემდეგ უთუოდ სადმე დასტოვებს და მხოლოდ მაშინ გაიხსენებს, როცა ცა წვიმას დააპირებს. რამდენჯერ ეჯაჯგურება ქოლგა ტრამვაიში მას შემდეგ, რაც კმაყოფილი და მოღიმარი პატრონი სასურველ გაჩერებაზე ჩავა. და განა საკვირველია, რომ ქოლგები პირქუშნი და ახირებულნი არიან?

იყო ერთი ქოლგა. ბევრჯერ გამოიცვალა პატრონი და ამიტომაც იერარქია კარგად ჰქონდა შესწავლილი. ბოლოს მოხუც სწავლულთან მოხვდა. ეს ადგილი ძალიან მოეწონა, იმიტომ, რომ ბერიკაცი საზრისიანი გახლდათ და მისი აზრები ჭკუაში დაუჯდა ქოლგას. სამწუხაროდ, სწავლული ხშირად ღრუბლებში დაფრინავდა და ერთხელ ქოლგა სულ დაავიწყდა.

ქოლგა ძალიან შეწუხდა — რაც უფრო ხანში შედიხარ, მით უფრო გიჭირს ზნე-ჩვეულებისა და ადგილის გამოცვლა.

-ს კი უკვე წელთა სიმრავლეს გრძნობდა, შალითაც შემოსძარ-
ცვოდა, ფასონიც მოდიდან გასულა.

მაგრამ წუთისოფლის წარმავლობაზე ბევრი ფიქრი და
წუვეტება არ დასცალდა, რადგან ჰორიზონტზე გამოჩნდა
ფრიად უღიმღამო შესახედაობის ქალი.

ქოლგას სრულებით არ უნდოდა ამ უფერული არსების
სამსახური. სულ მოიბუზა, რათა ქალს არ შეემჩნია, მაგრამ
არაფერი გამოვიდა — ქალი გაჩერდა, შეხედა ქოლგას, აიღო
და სლუკუნ-სლუკუნით განაგრძო გზა.

ქალს სულაც არ უხაროდა ქოლგის პოვნა. იგი ძალზე კე-
თილსინდისიერი გახლდათ, ხოლო ნაპოვნ ნივთთა ბიუროამდე
კარგა გვარიანი მანძილი იყო და იქამდე მისვლა ქალს სულაც
არ ეპიტნავებოდა. თანაც ბიურო ალბათ უკვე დაკეტილი იქ-
ნებოდა.

იგი პარკში შევიდა და სკამზე ჩამოჯდა. ეს იყო ძალზე
ლამაზი პარკი, მაგრამ ქალი ისეთი ნაღვლიანი გახლდათ და
თან ისეთი შავი საბურველი ეფარა მისთვის ყოველივეს, რომ
ეზეს, რომელმაც ის იყო გამოიხედა ღრუბლებიდან, იმასაც კი
ცრემლი მოერია თვალზე.

ქოლგის ახალ პატრონს საქმედ ის გასჩენოდა, რომ წარა-
მარა ცხვირს იხოცავდა. ქოლგას მოსწყინდა ეს, ბრაზიანად
მიუბრუნდა ქალს და უთხრა:

— კარგია ერთი, გეყოფა. ცხვირი გაგიწითლდება, სხვა რომ
არაფერი. ხალხის ამბავი ხომ იცი, ამას სხვა სარჩულს გამო-
უნახავენ.

ამ სიტყვებზე საცოდავ ქალს ცრემლთა ღვარი დაედინა.
სლუკუნით უპასუხა ქოლგას, არასოდეს ვყოფილვარ ლოთიო...
ის მადარდებს, რომ მარტოხელა, ყველასაგან მიტოვებული
და შეუხედავი ვარო.

— შეუხედავი ვარო, ეგ მართალი თქვი, ყველას თვალში
ეცემა შენი გარეგნობა,— უთხრა ქოლგამ, მაგრამ როგორც
ეს ქოლგათა მოდგმის ღირსეულ წარმომადგენელს შეეფერე-
ბა, სცადა ნუგეში ეცა ქალისათვის. ეგ არაფერიაო, უთხრა,
მაინც შეგიძლია საზოგადოებაში შენი ადგილი დაიკავო და
ცხოვრების კმაყოფილი იყოო.

— ო-ო! — აქვითინდა ქალი. — არავინ იცის, რა ადგილი

უნდა დაიჭიროს ცხოვრებაში. მთელი ჩემი ცხოვრება კიბეების რეცხვა-ფხეკაში ვიყავი, სულ სარეცხს შევალიე ჯანი. დღისით ბავშვები დამყავდა სასეირნოდ, საღამოობით ვკერავდი და ვკემსავდი, სადილს ვამზადებდი. რატომაა, რომ მე ყოველთვის მხოლოდ შავი სამუშაო უნდა ვაკეთო!

— შენ ეგ იკითხე, — მხარი დაუჭირა ქოლგამ და უმალვე კეთილი გახდა, — ჩემი ცხოვრებაც არ არის ადვილი. ჩემი დაძმანიც მაგ დღეში არიან. რა თქმა უნდა, ბიძაშვილები არ მყვანან მხედველობაში — აი ისინი, მზის ქოლგებს რომ ეძახიან.

— ბიძაშვილებიო!!! ჩემთან მაგ სიტყვას ნუ ახსენებ, მე ეგ სიტყვა ჭირივით მეჯავრება, — დაიყვირა ქალმა.

ნელნელობით ქოლგამ შეიტყო, რომ ამ ქალს ანა-ფეთხუმს ეძახიან და რომ დღეს ანა-ფეთხუმის ბიძაშვილს სტუმრები ჰყავს და დიდ წვეულებას მართავს თავისი ქალიშვილის დანიშვნისა გამო. ანა-ფეთხუმი კი რაღაც გაუგებრობის წყალობით ამ ქალიშვილის ნათლია გახლდათ...

— შენ არ მიგიწვიეს? — ჰკითხა ქოლგამ, რომელსაც სიბრაზისაგან მთელი ჩონჩხი აუკანკალდა.

ანა-ფეთხუმმა თავი გააქნია უარის ნიშნად.

„რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ ამას სუფრაზე მსხდომთათვის რაიმე სიამოვნების მოტანა შეუძლია, მაგრამ...“ — გაიფიქრა ქოლგამ და ხელის მტვრევას შეუდგა. ფიქრობდა, როგორ ეძია შური ამპარტავან ბიძაშვილზე. მართალია, ანა-ფეთხუმი მაინცადამაინც თვალში არ მოსდიოდა, მაგრამ ეცოდებოდა და თანაც ძნელია, როცა გამოგიყენებენ და მერე უყურადღებოდ მიგაგდებენ.

— წავიდეთ, — უეცრივ უთხრა ქალს, — ეგების რაიმე ვიღონო.

ანა-ფეთხუმმა ვერაფერი გაიგო, დახედა თავის ნაქსოვ ნაცრისფერ ხელთათმანებს, რომლებიც ცრემლით დაესველებინა და ქოლგას გაჰყვა.

უკვე ბნელოდა. სიცივისაგან და გაუთავებელი ტირილისაგან ანას სლუკუნი აუტყდა. ბევრი იარეს ქუჩა-ქუჩა ქოლგამ და ანამ. მთელი ნახევარი ქალაქი შემოიარეს. როცა სულ ჩამობნელდა და ცაზე ნახევარმთვარე გამოჩნდა, ქოლგა შეჩერდა რუხ შენობასთან, რომლის თავზე დიდი თვალი ეხატა.

„დაკარგულ ნივთთა ბიურო“ — ეწერა კარებზე. კუთხეში დოინჯშემოყრილი პოლიციელი იდგა, გვარად პედერსენი და საღამოს სიმშვენიერით ტკბებოდა. ჩინებულ გუნებაზე გახლდათ, რადგან მაძღრისად ეჭამა.

ქოლგამ კარი აჩვენა ქალს და ისინი შენობაში შევიდნენ. და თუმცა ბიურო უკვე დაკეტილი იყო, მაინც თავაზიანად მიიღეს. აქ უამრავ ქოლგას მოეყარა თავი და ყველა ქოლგა იცნობდა ანა-ფეთხუმის ქოლგას. ისინი ხომ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს დაკარგულ ნივთთა ბიუროში, რკინიგზის სადგურზე, რესტორნების საგარდერობოში და სხვაგან.

ქოლგები სულ ულამაზოები და ძველები იყვნენ, თანაც ჩითის შალთები ჰქონდათ. როცა საქმე ეხება აბრეშუმის ქოლგას და თანაც მას ვერცხლის ტარი აქვს, ადამიანები იშვიათად იჩენენ გულმავიწყობას.

ქოლგამ უმალვე გახსნა თათბირი, ანა-ფეთხუმი პოლიციელის სკამზე დასვა, რომელიც ქოლგათა შორის იდგა. ქალს, ცოტა არ იყოს, ეუცნაურა ეს ამბავი. არ გახლდათ ნაჩვევი ასეთ მეგობრულ და გულითად მოპყრობას. მის გარშემო ქოლგათა ღრიანცელი იდგა — ისინი ყვიროდნენ და იცინოდნენ. ძალიან გახალისებულნი ჩანდნენ. განა მთელი დღეობით მოწყენა არ ღრღნიდა მათ და. გაცილებით უფრო არ იტანჯებოდნენ, ვიდრე მოცლილთა მთელი ბრბო, რომელსაც უფასოდ ეშოვა „ლონგრინის“ ბილეთები.

ქოლგამ შესავალი სიტყვა თქვა და შეკრებილთ განუმარტა, ვინ იყო ანა-ფეთხუმი, როგორ ცხოვრობდა და როგორ უსამართლოდ მოექცნენ მას. მართალია, ქალის ქება ცოტა მეტი მოუვიდა, მაგრამ განა ასე არ იქცევიან ორატორები, როდესაც შეიტყობენ, აუდიტორია გვისმენსო.

ქოლგებმა თავიანთი ჩონჩხისა და სახელურების ჩხარუნით ანას პატივსაცემად „ვაშა“ დასძახეს. შეცბუნებული ანა ხელში ხელთათმანს ატრიალებდა, ღელავდა, თითქოს ხელახლა განიცდიდა თავის კონფირმაციას.

საერთო გამოცოცხლებამ ზენიტს მიაღწია. როდესაც ქოლგამ შესაფერი მომენტი იხელთა და დამსწრეებს მოუწოდა, სიტყვები გვეყოფა, ახლა საქმეზე უნდა გადავიდეთო. ვინ გაჰყო მათი საქმე ანა-ფეთხუმის საქმისაგან. მათაც ბევრი სიმ-

წარე უნახავი ცხოვრებაში, ბევრი გაჭირვება გადაუტანიათ მოსაცდელში კალოშებთან და პალტოებთან ერთად. რამდენი მძიმე სამუშაო შეუსრულებიათ და ახლა ცოტა მსუბუქი სამუშაო უნდათ.

შეკრება გახარებული ჩანდა. ყველა ყაიდის სახელური აღიძართა ჰაერში კვერის დაკვრის ნიშნად. მხოლოდ ერთ დამსწრეთაგანს ეტყობოდა სიმხდალე — ეს გახლდათ აბრეშუმნარევი მატერიის ქოლგა, რომელსაც მელანქოლია სჭირდა. არც აცივეს და არც აცხელეს — მელანქოლიის მსხვერპლი სადღაც კუთხეში ჩაჩურთეს და ოთხმოც წლებიანი რომანი მიუჩინეს, საგანგებოდ ახალგაზრდა ქალებისათვის გამოცემული.

ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება — ანას უნდა მივეშველოთო. იგი უნდა უჯდეს ბიძაშვილის უხვ სუფრასო, რათა შეეძლოს გემო გაუსინჯოს შამპინიონიან ქათამს, კაპერტს და სხვა ნუგბარ საჭმელებსო.

საქმემ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ საცა იყო ჭამაზე უნდა ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი, მაგრამ ქოლგამ წესრიგი დაამყარა.

ერთი პატარა ქოლგა კარებისაკენ გაგზავნეს. პედერსენზე თვალი გეჭიროსო. როცა მან შეატყობინა შეკრებილთ, არავითარი საფრთხე არ გვემუქრებაო, ფანჯარა ყურთამდე გააღეს. ქოლგები ერთმანეთს მიჰყვნენ. რაფაზე გადახტენ, ჰაერში გაიშალნენ და გაფრინდნენ. ანა-ფეთხუმის ქოლგამ სხვებს დაუცადა, ვინემ ყველანი თვალს მიეფარებოდნენ. მერე ისიც გაიშალა და გაფრინდა. ანას მის სახელურზე ეკიდა ხელი.

ქალი მაშინაც კი თვალს ხუჭავდა, როდესაც გაზეთში კითხულობდა იმ უცნაური ხალხის ამბავს, ვისაც პარაშუტისტებს ეძახიან. ახლა კი... ჰოი, მოსწრებავ! თვითონ დაჰფარფატებდა ღრუბლებში. ანა ქოლგის ტარს ჩაეჭიდა ისე მაგრად, რომ კინაღამ გაუსკდა ხელთათმანები. ტუჩი კი შიშისაგან სულ მომრგვალებოდა. შემდეგ ერთი თვალი გაახილა და დაინახა, რომ ისინი მდიდართა უბანს დაჰფარფატებდნენ თავს. აგერ იქ, დიდ ბაღში, მისი ბიძაშვილის ვილა ჩანს. ვილა აივნებითა და ტერასებითაა დამშვენებული. ფანჯრები გაუკაშკაშებიათ.

ქოლგა ძირს დაეშვა და სხვა ქოლგებიც მიჰყვნენ მას. ამ

დროს ანა-ფეთხუმს მღელვარებისაგან ისე ატკივდა მუცელი, რომ კინაღამ არ მოკვდა.

ტერასაზე, სასტუმრო ოთახის წინ, ორი გამოწყობილი ქალიშვილი იდგა. ჯერ შეკრებილთ გაჰკრეს კბილი, მათი ჩაცმულობა დაიწუნეს, მერე სუფრაც ტუჩზე დაიდეს. უეცრივ თავზარი დაეცათ და საშინელი კივილი მორთეს. ტერასაზე ანა დაეშვა და მას უამრავი ქოლგა მოჰყვა სიბნელიდან. ქალებმა თავის დაცვა სცადეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ანა შუაგულ ტერასაზე დაეშვა და შვებით ამოისუნთქა.

მაგრამ ქოლგამ ბევრი აღარ დააცალა. ხელი ჩასჭიდა და სასტუმრო ოთახისაკენ წაიყვანა, დიასახლისი იქ არ აღმოჩნდა. იგი კაბინეტში იჯდა და ვიღაც ტანსრულ ქალს ელაპარაკებოდა. ზიზილპიპილოებით მორთულიყო. ის იყო მასპინძელმა სტუმარს უთხრა, მაგას რას ბრძანებო, რომ ქოლგა მიუახლოვდა, ანა კი რბილ სავარძელს უკან დაიმალა.

დინჯად, თავშეკავებულად აუხსნა ქოლგამ აქ მოსვლის მიზეზი და თავაზიანად სთხოვა, ანა სუფრაზე მიიწვიეო.

ბიძაშვილმა ჯერ თავი ამპარტავნულად დაიჭირა, ისე რომ, სასაცილოც იყო. არაფრად ჩააგდო ქოლგა, ვითომ ვინა ბრძანდებაო, რომ ეგ ბებერი რაღაცას მოითხოვს ჩემგანაო. მართალია, თაგვების, ობობების და ვინ მოსთვლის კიდევ რისი ეშინოდა, მაგრამ ქოლგების შიში ვის გაუგონია.

ქოლგა გაჯავრდა და ახლა იერიში მიიტანა — მუცელში დაეჯახა დიასახლისს.

— ვაი! — დაიყვირა დიასახლისმა, თუმცა ტკივილი არ უგრძვნია — ეტყობოდა კაბის ქვეშ კარგა საიმედო ჯავშანი ეცვა.

დიასახლისის ყვირილზე სტუმრებმა მოიყარეს თავი, მაგრამ დანარჩენი ქოლგები გამოესარჩლნენ თავიანთ ამხანაგს. საოცარი ორომტრიალი შეიქნა. ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა. ყველას ეშინოდა — ქოლგამ თვალები არ გამოგვთხაროსო.

ვინემ ეს ორომტრიალი იყო, ქოლგამ ანა იპოვა. მან ხელი ჩასჭიდა ქალს, სავარძლის ზურგს მოფარებული გამოათრია და ტყვიასავით გაქანდა. ანას უნდოდა ხმა ამოეღო, მაგრამ კრინტიც ვერ დაძრა — აბა მაგის დრო სად იყო. ჩაეჭიდა ქოლგის ტარს, თან ცდილობდა, როგორმე თავზე შეემაგრე-

ბინა ქუდი, რომელიც ის იყო, იქიდან გადმოხტომას აპირებდა.

ერთ მოახლეს ცივი საუზმე შემოჰქონდა, როცა ანამ ჩაუქროლა, ქალს ლანგარი გაუვარდა ხელიდან და დაიყვირა:

— შენ ხომ ანა-ფეთხუმი ხარ, აქ საიდან გაჩნდი?

— ეჰ, ეგ რომ ვიცოდე, — დაიყვირა ანამ, — ჰკითხე ქოლ-ას, — და მეტი ვერაფერი თქვა, იმიტომ, რომ უმალვე ბურ-გომისტრს დაეჯახნენ.

ბოლოს ბიძაშვილმა ფარ-ხმალი დაჰყარა. შიშისაგან სიკვ-დილის პირას მისულმა ჯოხი აღმართა, რომელზედაც თეთრი ხელსახოცი იყო გამობმული. ეს იმას ნიშნავდა, რომ ანა-ფეთხუმის ბიძაშვილმა ზავი ითხოვა.

ზავის პირობებს ქოლგები კარნახობდნენ. თანაც ბევრმა სტუმარმა დაუკრა კვერი მომხდურებს, ანა სუფრასთან უნდა იჯდესო. ჯერ, მართალია, სტუმრები დაფრთხნენ, მაგრამ მერე ვამოირკვა, რომ ქოლგათა შემოსევამ კიდევაც გამოაცოცხლა ზეიმი, რომელიც მანამდე საკმაოდ მოწყენილად მიმდინა-რეობდა.

ბურგომისტრი წამოდგა, შარვლიდან მტვერი, ჟილეტიდან ფერფლი ჩამოიბერტყა და შესაძლებლად მიიჩნია ქოლგებს დაპირებოდა, სერიოზულად ვიფიქრებ, როგორ გავაუმჯობე-სო თქვენი მდგომარეობაო.

ერთმა ქოლგამ დაიყვირა, უნდა იზრუნოთ და ცნობილ პირებს ქალაქში ძეგლები დაუდგათ, თანაც ეს ძეგლები ქოლ-გებით დაამშვენოთო. მაგრამ მას უმალვე ხმა ჩააწყვეტინეს. სხვებმა მოითხოვეს, მაგაზე უფრო მნიშვნელოვანია გონივ-რული რეფორმები ჩავატაროთ ქოლგების ყოფა-ცხოვრება-შიო.

ბოლოს ანა-ფეთხუმი ქოლგების თანხლებით სუფრისაკენ გაემართა. მას უმალვე მასპინძლობა დაუწყეს. ათასი რამ შეს-თავაზეს. როცა დესერტი შემოიტანეს, ქოლგები სიტყვის წარ-მოთქმაში შეედავენ ერთმანეთს. საუკეთესო სიტყვა წარმოთქვა ქოლგების ვეტერანმა. იგი მთელი ცხოვრება იბრძოდა ქოლ-გათა უფლებების დასაცავად და ახლა თავისი საწადელის ხორცშესხმა ედგა თვალწინ. სულ დაფხრეწილი იყო. ძალები ბრძოლებში შემოლეწოდა, მაგრამ ეს დანარჩენების აღტაცე-ბას იწვევდა მხოლოდ.

ანა-ფეთხუმი იჯდა და პურის ნამცეცებს აგროვებდა. მისი შემხედვარე ვერ იფიქრებდა, ქალი თავს მხიარულად გრძნობსო. გულში უხაროდა, რა თქმა უნდა, მაგრამ მის სახეს არ შეეძლო სიხარულის გამომჟღავნება — ჩვეული არ გახლდათ სიხარულს.

ქოლგები მაგარ ღვინოებს მიირთმევდნენ. რამდენიმე სასმისი დაიმსხვრა. ერთი კანდელიარიც გატყდა, მაგრამ სტუმრებს ჯავრი არაფრისა ჰქონდათ. თუ მხიარულებაა, მხიარულება იყოსო.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, ისინი ისევ ანეგდოტებს ჰყვებოდნენ, ქოლგათა შორის გავრცელებულ ანეგდოტებს. ანა-ფეთხუმი უსმენდა მათ და აღტაცებისაგან ლამის გამდნარიყო. ბოლოს თავისი ნაქსოვი ხელთათმანებიც კი გაიხადა.

დილა იყო, როცა დაიშალნენ.

ქოლგებმა შინ გააცილეს ანა. მზე უკვე ამოსვლას აპირებდა, ქუჩაში არავინ ყოფილა. ქოლგებს უნდოდათ დილის მყუდროება დაერღვიათ და ერთი ომახიანი „ეაშა" დაეპეჭათ.

ანას სახლის წინ ქოლგებმა სერენადა იმღერეს — ვერ ვიტყვით, რომ ძალიან მელოდიურად, მაგრამ სამაგიეროდ კეთილი გულით მიუძღვნეს სიმღერა. ანა მოწყალედ უსმენდა ფანჯარაში თავგამოყოფილი.

ბოლოს ყველანი ერთმანეთს დაემშვიდობნენ, ერთმანეთს ძილი ნებისა უსურვეს. ანა თავისი ქოლგით შინ შევიდა.

ისე იყო დაღლილი ამდენი შთაბეჭდილებით, რომ გაუხდელი დაწვა და უმალვე დაიძინა. ქოლგა მის სიახლოვეს დადგა და თვალმოუშორებლივ უყურებდა მძინარე ქალს.

ანას ქოლგები ესიზმრა: მათ უშველეს და საწადელს მიაღწია. რას არ ეწევა, თუკი ყველა ქოლგა გაერთპირდება და მისი მეოხი გახდება. ბოლოსა და ბოლოს ანას შეუძლია მთელი საწუთროს მბრძანებელი შეიქნეს.

— ეგ რა დარდუბალაა, რომ ყველა ქალი სულ დედოფლობასა და მბრძანებლობას ნატრობს? — დაამთქნარა ქოლგამ. უკვე ცოტა მობეზრდა ანა-ფეთხუმი. ვნახოთ დილა რას მომიტანს. დილის შარი გერჩიოსო, უთქვამთ.

მერე იატაკზე ჩამოცოცდა და დაიძინა.

დილას არაფერი მოუტანია. გაღვიძებულმა ანამ ჯერ გაიფიქრა, ყველაფერი სიზმარში ვნახეო, მაგრამ მალე თავის მხსნელს დაეჯახა — ქოლგა ქალის საწოლის ახლო გაშოტილიყო და მაგრად ეძინა.

მაშ ეს მართალი ყოფილა. მართლა განუცდია ყველაფერი. ანამ ნაზად შეხედა ქოლგას და გადაწყვიტა, რაიმე უნდა შოვახურო, ვაითუ გაცივდესო. ანამ კვლავ შეხედა და გაიფიქრა, ეს რა ძლევამოსილი და საშიში ვინმეაო. ასე გასინჯეთ, მაგას შეუძლია ანა საწუთროს მბრძანებელი გახადოს. ხალხს ეს სასაცილოდ მოეჩვენება, მაგრამ მალე მიეჩვევიან ანას მბრძანებლობას. ხმამაღლა ვერავინ დასცინებს, მის ხელში იქნება ძალაუფლება. მგონი გამგებლობა ძალზე ძნელია! ანა ჩამოჯდა, თავი ხელებზე დაანდო და მთლად ოცნებას მიეცა.

აქ საფიქრალიც არაფერია. ქოლგა ხომ მისი არ არის, იგი ნაპოვნ ნივთთა ბიუროში უნდა წაიღოს. სასწრაფოდ მოწესრიგდა: ქუდი დაიხურა, მართალია, ცოტა გვერდზე მოუვიდა. ფრთხილად აიღო ქოლგა, არ გავაღვიძოო, იღლიაში ამოიჩარა, მერე კიბეზე დაეშვა, მთელი ქალაქი მოიარა და ნაპოვნ ნივთთა ბიუროში მივიდა.

ამ დილით მორიგე იყო არა პედერსენი, არამედ ჰანსენი. მანაც ვერაფერი გაიგო, ვერაფერი გაიგონა. მისთვის თავი წაერთმია დახლართული ბრძანების კითხვას, რომელი ბრძანებაც ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოეცათ.

ანამ ფრთხილად დადო ქოლგა და ფეხაკრეფით გამოვიდა ოთახიდან. კარებში შეჩერდა, ერთი კიდევ ალერსიანად შეხედა ქოლგას და გაიფიქრა: „იმედი მაქვს, რომ სხვა იპოვის ჩემზე შესაფერი, ქოლგა ხომ ისეთი ჭკვიანი და კეთილია“, და მძიმე-მძიმედ წავიდა შინ. იქ ერთი ფინჯანი ყავა დალია და ფრანგული ფუნთუშის ერთი ნაჭერიც ზედ დააყოლა.

ჰიღმარ ვულფი

სანამ წიგნი მოსულა ნორლანში

ბებერმა ჰალვორმა ბინდით მოსილ ტბას შეხედა, მძიმედ ამოისუნთქა და თვალები აუელვარდა. ტყის თავზე ყელგაწვდილი წეროები მიფრინავდნენ და მათი ხმამაღალი ყიყინი არღვევდა გარშემო დამკვიდრებულ საშემოდგომო მყუდროებას. ჰალვორი დაჯდა. ფისიან ფიჭვს მიაპყრო ოთხმოცი წლის ბერიკაცმა ჯერ ისევ მოუხრელი ზურგი, ხოლო დაღლილი ფეხები კლდეს მიაბჯინა. მერე ნაღვლიანად გაიქნია თავი, გუნებაში გაიფიქრა, ისე ეტყობა, წელს ნაადრევად მოთოვსო.

ჰალვორის შორიახლო სალესი ინსტრუმენტების ძველ ყუთზე იჯდა იონსონი. რა ხანია ზურგზე ყუთმოგდებული იონსონი დაეხეტება, მთელი ქვეყანა მოიარა. შორს სამხრეთშიაც კი იყო, ულპანამდე ჩასულა. იონსონმა მაგრად ჩამოიფხატა ნაქსოვი ქუდი. იჯდა მოხრილი, ძველ ტყავის კურტაკში ჩაედო დაძარღვული, ნიკრისის ქარისაგან დაავადებული ხელები. ბოლოს თავი ასწია და აღგზნებული თვალი მიაპყრო ბებერ ჰალვორს.

— შენ ყველაფერი იცი, ჰალვორ! შორს დამნახავი კაცი ხარ! მირჩიე, მაინც რა არის ისეთი, რის მოყოლაც ხალხს გულზე მოეფონება.

— შენც ბევრი გივლია ამქვეყნად, ბევრი გაქვს ნაწვნევი. უამბე ხალხს, რაც გინახავს, რაც თავს გადაგხდენია. მეც ეგრე ვიცოდი. ხალხს იმას ვუამბობდი ხოლმე, რაც ამ წუთისოფელში ხდებოდა. ზოგჯერ გამოგონილიც უნდა დაურთო, მაგრამ მუ-

დამ გახსოვდეს, რომ შენს მოყოლილში უნდა ჩანდეს ცხოვრება. ხალხი მოუსმენს გამოგონილ ამბავსაც, თუკი ცხოვრებაში მსგავსი რამ შეიძლება მოხდეს. მე უკვე ოთხმოცი წლისა მოვიყარე, კაი ოცდაათი წელიწადი იქნება, რაც ხალხში დავდივარ და საწუთროს ამბებს ვყვები. ჩემივე გამოგონილი ამბავი ხშირად მითქვამს ხალხისათვის, მაგრამ არავის უკადრებია, მატყუარა ხარო. რიგზე აწყობილი გამონაგონი ტყუილი როდია. იგი ისევე კარგია, როგორც სიმართლე სანახევრო, ნამდვილ სიმართლეს კი ვერსად იპოვი.

იონსონი ისევ მოხრილი იჯდა თავის ბევრის გადამხედ ყუთზე და შორს იცქირებოდა. უეცრივ მის თვალში შუქმა იელვა, გეგონებოდათ შორეთში სხვებისაგან დაუნახავი რამ დაინახაო. მერე ბებერ ჰალვორს მიუბრუნდა და ისეთი ჩურჩულით ჰკითხა, თითქოს საიდუმლო რამ უნდა გაანდოსო:

— რისგანაა, რომ შენ ყოველთვის გზიანად მიგყავდა საქმე. ხშირად მიფიქრია ეგ. შენთვის მუდამ ღია იყო ყველა კარი და არასოდეს საძებარი არ გქონია ლუკმაპური. თუმცა ხელში არასოდეს გჭერია იარაღი, ლაღ ფრინველს ჰგავდი მუდამ და არასოდეს ყოფილხარ მშიერი.

— ამას, რომ დაღამდება, მაშინ გიამბობ, იონსონ! ამაღამ სამუდამო ძილი დამიხუჭავს თვალს. იმიტომ დაგიძახე, რომ ჩემი საწვიმარი მოგცე. ჩემს საწვიმარს მემკვიდრეობად მიიღებ და ამით გაგრძელდება ამქვეყნიური სიცოცხლე ჩემი. როცა კი ხალხი ამ საწვიმარს დაინახავს, ბებერი ჰალვორი მოაგონდება. ჩვენი გზები არა ერთხელ შეყრილა და როცა ერთად ჩაგვიმუხლავს მდინარის პირას ანდა ტყეში, შენ გიამბნია ჩემთვის სამხრეთში მოგზაურობის ამბავი. მაშინ მე მივხვდი, რომ შენც გაქვს ნიჭი, მხოლოდ შენ თვითონ არ იცი ეს. ჩემი არ იყოს, შენც გინდა თავისუფალი მოამბე იყო. ეგ რომ არა, ხეტიალს არ დაიწყებდი.

სიკვდილი შეყუჟულა ბებერ ჰალვორის თვალებში. ნაღვლიანი ღიმილით უყურებს მოხუცი ჩაბნელებულ ტბას და ყურს უგდებს ლეგა ბატების ყიყინს. მან იცის, რომ მალე ადრეული თოვლი დაფარავს მთებსა და ტყეებს. ჰალვორს ფეხები გაეთოშა, მაგრამ ბერიკაცი არ გრძნობს ამას, იგი

ფეხებით მიყრდნობია კლდეს. და ეგრეთვე დარჩება, ვინემ სიკვდილის სუსხი არ შეუჩერებს გულის ნელ ფეთქვას.

ნორლანის ცხელმა ზაფხულმა ჩქარი ნაბიჯით მოიყვანა მოხეტიალე მთქმელი თავისი ცხოვრების უკანასკნელ შემოდგომამდე. და როცა არყნალის ნორჩ ფოთლებს საშემოდგომო ფერები მოეძალა, ბერიკაცმა იგრძნო, ფეხები მიღალატებენ, გაყინულ მდინარეებსა და ტბებს ვეღარ დამატარებენ, თვალის ჩინიც მიმტყუნებს, გზას ვეღარ მაჩვენებსო. მაგრამ ბებერი ჰალვორი რა ხანია გრძნობდა, რით დასრულდებოდა მისი ცხოვრება. საყვედური არ ეთქმის, კარგად დაუღამდა წუთისოფელი. თავისუფალი კაცი იყო და თავისი ნაამბობით ალამაზებდა ხალხის უღიმღამო ცხოვრებას. ღარიბ ხალხს უყვარდა იგი და პატივს სცემდა. ის სიხარული, რაიც მას შეჰქონდა ხალხის ცხოვრებაში, არ უნდა გაქრეს უკვალოდ. მას არ უნდა დაედოს დავიწყების მტვერი. ბებერ ჰალვორს სურს მოამბის ნიჭი იონსონს უანდერძოს. დაე, სიცოცხლის დასასრულამდე იონსონი იყოს ამ მადლის მფლობელი და ვინ იცის, იქნებ იმანაც სხვას გადასცეს მოამბის ნიჭი. მაშინ ბებერი ჰალვორი არ მოკვდება თავისი ხალხისათვის. ახალი მოხეტიალე მოამბე მუდამ გაჰყვება მის კვალს და ბერიკაცი დავიწყებას არ მიეცემა. ქოხმახების მცხოვრებთა გულიდან არ ამოვა ბებერი ჰალვორის სახე, მათი მეხსიერება შემოინახავს ბერიკაცის ზღაპრებს, ხალხის ცხოვრებიდან აღებულ შემთხვევებს, რომელთა სიტყვიერი გამოთქმა მათ უჭირდათ.

როგორ უნდოდა მოხეტიალე მოამბეს ხალხს არ დაევიწყნა იგი! არა, ისინი ვერ დაინახავენ თოვლზე გაშხლართულ ბებერ ჰალვორს. ისინი ვერ იფიქრებენ, რომ მან თან წაიღო თავისი ამბები. როცა მოხუცმა იგრძნო, ჩემი დასასრული დადგაო, უყოყმანოდ დაიწყო საფლავის ძებნა. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ტბის ნაპირებს თეთრ არშიას მოაცლებდა ყინვა, ბებერმა ჰალვორმა აირჩია ადგილი, სადაც უნდა განესვენა სამუდამო ძილით. მერე მეტივეები მიუგზავნა იონსონს და ვინემ სიცოცხლე კიდევ ბჟუტავდა მის ტანში, უნდოდა თავისი ნიჭი გადაეცა იონსონისათვის. ნორლანის ქარი დაპბერავს ფიჭვებს, ტოტებს ააშრიალებს ბებერი ჰალვორის საფლავზე და მათ ჩურჩულით ეტყვის იმ ადამიანის ამბავს, ვინაც

სიცოცხლის ზღაპარი იცოდა. როცა მდინარის თოვლი გალხვება და ბალახი თავს დახრის ჰალვორის ხავსით დაფარულ საფლავზე, სამარეს ჩაუვლის იონსონი თითქოს და იმის ნიშნად, რომ ბებერ ჰალვორის ხეტიალს ამაოდ არ ჩაუვლია.

— შენ ნიჭი გაქვს, იონსონ, ნორლანის მცხოვრებთათვის მთხრობელი უნდა გახდე. ჩემი არ იყოს, შენთვისაც ყველა კარი ღია იქნება. შენ ყველგან გულღიად მიგიღებენ, მთის სოფელში თუ ტყის მცველის ჯიხურში. ხალხი ყურს დაგიგდებს და მერე ბედნიერ გზას გისურვებს. შენ მიხვალ ხალხთან ისე, როგორც შეეფერება დამოუკიდებელ ადამიანს, რათა შენი სიტყვით გადასცე მათივე აზრები. და მაშინ მსმენელნი ჩანთაში თვითონ ჩაგიგდებენ ლუკმაპურს, შენ არ დაგჭირდება ამის თხოვნა.

— ამის იმედი არა მაქვს. მე ვიცნობ ნორლანის მცხოვრებლებს. თვითონ ლესავენ თავის დანებს და მხოლოდ ბარში თუ იშოვი რაიმეს.

— შენ არ იცნობ ხალხს, იმიტომ რომ მარტო მათ დანებზე ფიქრობ. გაიგე, ადამიანო, ეს მუშა ხალხია. ყინვა აზრობს მათ ნათესებს, ხშირად კარზე უკაკუნებს შიმშილი, ამიტომაც პურის ყადრი იციან და ისეთი სამუშაოს საფასურად არ იძლევიან, რომელიც შეუძლიათ თვითონ შეასრულონ. აი რატომ არ უნდათ მათ შენი ალესილი დანა, როგორც სამხრეთის მცხოვრებლებს. ბარში კი პური ბარაქიანად მოდის და იქაურები თეთრ პურსა სჭამენ. ამიტომაც შეუძლიათ დაიქირაონ დამხმარებლები. დამიჯერე, იონსონ, ნორლანის ხალხი ალალია და ყოველთვის მიიღებს ადამიანს, რომელსაც მისკენ უდევს გული. ეს დღე ნიშანი იყვეს. როდესაც მე ფიქვის ძირას დამმარხავ, შენი იარაღები ტბაში ჩააგდე, რომ აღარაფერი გაკავშირებდეს სამხრეთთან. მერე ნაჩემარი საწვიმარი აიღე და წადი, ყველა კარი ღია იქნება შენთვის. ისინი ყურს დაგიგდებენ, სამუშაოს ხელიდან არ გაუშვებენ და ბებერ ჰალვორსაც მოიგონებენ. შენ არ დაგჭირდება პურის მოთხოვნა, თვითონ მოგცემენ. და საყვედურსაც არ გეტყვიან, ტყეში ან მინდორში რატომ არ მუშაობო. ჩემსაეით შენც ენით უნდა გამოთქვა მათი საფიქრალი. ისინი გზას დაგილოცავენ და გაიგებენ, ეს კაცი იმიტომ მოსულა ჩვენთან, რომ გვითხრას ჩვენივე საქმე და

ფიქრი, რაც თვითონ ვერ გამოგვითქვამსო. შენ იქნები მათი ცხოვრების მაცნე — ცით მოვლინებული.

ბებერი ჰალვორი ლაპარაკობდა ჩუმი, მოღიღინე ხმით, რომელიც ნიავით ახმაურებული ნაძვის შრიალს ჰგავდა. ჩამუქებული ტბა გაეტვრინა თოვლს და თანდათან ყინული ბორკავდა მას. ბებერმა მთქმელმა ნელა დაუშვა გაყინული ფეხები და იგრძნო, რომ მალე სიცივე თეძოებამდე აატანდა. გული ისევ უცემდა და გონება ნათელი ჰქონდა. ბებერმა ჰალვორმა გაიფიქრა, ახლა კი შემიძლია მშვიდად მოვკვდეო. მაგრამ ვინემ ცხოვრებას გამოსალმებია, უნდა იცოდეს, რომ სხვა ვინმე აასრულებს მის ვალს ნორლანის მცხოვრებთა წინაშე. ისიც უნდა იცოდეს, რატომ დაჰგმო იმ სხვა კაცმა ამა საწუთროს ამაოება და რად გახდა მოხეტიალე.

— ახლა რაღაც უნდა გკითხო, იონსონ, და შენ უნდა მიპასუხო, თუმცა ეს შენი პირადი საქმეა. ცოტა არ გიცხოვრია ამქვეყნად, ვინემ მოგზაური გახდები. მანამდე რას აკეთებდი, ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ერთი ის მითხარი, რამ გაიძულა ამ გზას დადგომოდი?

— ამას არავინ მეკითხება და არც ვისი საქმეა... მაგრამ შენ, ჰალვორ, ყველაფერს გეტყვი, რადგან ამბობ, ამაღამ მოვკვდებიო.

იონსონმა სიცივისაგან გალურჯებული თითებით მხარზე თასმა გაისწორა, შუბლზე ნაქსოვი ქუდი ჩამოიფხატა და დაიწყო:

— მე სამხრეთში დავიბადე, იქ რა არ ხდება. მე მინახავს დიდი ქალაქები და ურწმუნო ხალხთანაც მილაპარაკნია. ისინი კარგად ცხოვრობენ და ხშირად სიმდიდრესაც შეიძენენ ხოლმე. მაშინ მაგისი არაფერი გამეგებოდა. მამა პასტორი მყავდა და უნდოდა მეც პასტორი გამოვსულიყავი. ბავშვობაში ზეპირად ვიცოდი ლოცვანი და შემდეგშიაც ვერ გამეგო, როგორ უნდა იყოს ურწმუნო ადამიანი ბედნიერი.

იონსონმა მთლად წარბებზე ჩამოიფხატა ქუდი, ბებერი ჰალვორისაგან სახე იბრუნა და გაწითლებული თვალები სამხრეთს მიაპყრო.

— მე წიგნების კითხვა დავიწყე. უამრავი სქელ-სქელი წიგნი წავიკითხე. ისე რომ, მეც დავკარგე რწმენა და ლოცვანი

გვერდზე გადავდე. პასტორობაზე გული ავიყარე. მამას უნდოდა ძალა დაეტანებინა ჩემთვის, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მას შემდეგ ბევრი რამ გადამავიწყდა. ღამღამობით ვკითხულობდი და დღისით წაკითხულზე ვფიქრობდი. დაბოლოს გავიგე, რომ ქვეყანა სავსეა ბრძენთაგან, რომლებიც ერთმანეთს ეპაექრებიან. მე მათი რწმენაც დავკარგე და სიცოცხლის აზრსაც ვერ ვხედავდი. ამიტომაც დავიწყე ხეტიალი. გზაში რა გიჭირს. ვინ რას დაგიშლის. ახლა კი მჯერა სიცოცხლისა. იგი ყველაფერშია, რაც მზის შუქით და სითბოთი იზრდება. ჰე მჯერა პურის და ძილის. ეს კარგია, რომ შენ აქ, ტყეში დაიძინებ სამუდამოდ. და როცა ჩემი რიგი მოვა, მეც ეგრე მოვიქცევი, მაგრამ ჯერ ადრეა. მანამდე მე კიდევ ვივლი ულუკმაპუროდ. ყველაფერი, რაც შენს ცხოვრებას შეადგენდა, აქ არის, ჰალვორ, თუმცა ბარშიც შინაური კაცი ხარ. ახლა სხვა დრო დადგა. ბარის ხალხი მხოლოდ ფულზე ფიქრობს და სიკეთისათვის არ სცალია. კარზე სულ ბოქლომი უდევთ და ჩემი ხელობა პურს ვერ მაჭმევს. ბებრები იხოცებიან და ახალგაზრდები დანებს აღარ მალესვინებენ. რა ხანია სამზარეულოში აღარ მეპატიჟებიან და არც მეკითხებიან, როგორაა ნორლანელი ჰალვორიო. აღარ აინტერესებთ შენი ასავალ-დასავალი.

ბებერი ჰალვორი სადღაც შორს იცქირება, იონსონს იქით და ფიქრიანად აქნევს თავს. იგი იმას ფიქრობს, რომ ცხოვრებაში ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვს. იონსონმა ხეტიალი იმიტომ დაიწყო, რომ ცხოვრება შეეცნო. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ჰალვორმა გაიგო, რომ ამ მოხეტიალე მლესავს მთქმელის ნიჭი აქვს და რომ ამ კაცმა გრძელი გზა განვლო, ვინემ მის სულს დაეხსნა ეჭვი. ისინი ერთად ისხდნენ ხოლმე მდინარის პირას და ტყეში, როცა მათი გზები შეიყრებოდა. იონსონი ქვეყნის სამხრეთ მხარეს აღუწერდა ხოლმე, ამბავს ამბავზე თხზავდა და ამ დროს ძალიან ჰგავდა ბავშვს, რომელიც ზღაპარს ჰყვება და თვითონ სჯერა ამ ზღაპრის.

ბებერ ჰალვორს ჰქონდა მოსმენის უნარი, რადან მან იცოდა, რომ მთქმელის ნაამბობში არ არის არც მდაბალი ტყუილი და არც გაცვეთილი ეშმარიტება. იონსონი ჰალვორივით ლაპარაკობდა ხალხზე, მათს ოცნებებსა და სურვილებზე. ხალხის

სურვილი და ოცნება მისი საკუთარი გამხდარიყო და ბერიკაცს ეჩვენებოდა, რომ იონსონი სწვდება წარსულს და ხედავს მომავალს. ასეც უნდა იყოს. იგი ნორლანის მცხოვრებლებთანაც უნდა მივიდეს და მათ უნდა გაუჩინოს სურვილი მეტი გაიგონ თავისი ცხოვრებისა.

ჰალვორს სჯეროდა, ვისაც სიტყვის ნიჭი აქვს, ადამიანს სულის სიმშვიდეს აპოვნინებსო. დაეხმარება, რათა დინჯად განვლოს ცხოვრების გზა. ცხოვრება უსასრულოა და როდესაც ადამიანი დაჰკარგავს სიკვდილის შიშს, მაშინ ეჭვისა და შეშფოთების გარეშე წაიკითხავს წიგნებს იმ ბრძენთა, რომლებსაც ეშინიათ ცხოვრებისა და ეჭვსა სთესენ სხვათა გულებში.

იონსონი ამბობს, სამხრეთში ახალი დროება დადგაო და ირწმუნება, აქაც, ჩრდილოეთშიაც, მოვა ახალი დროებაო. წიგნთა და მანქანათა სამყარო მოემართება ჩრდილოეთისაკენ, ტყის მდუმარება დაირღვევა, ახალ თაობას დაებადება ახალი ოცნებები და მაშინ მოხეტიალე მთხრობელი ვეღარ ააავსებს მის სულს. ასე იქნება, ასეთია ცხოვრების კანონი. მაგრამ ჰალვორს თავად უამბნია ძველ დროთა ამბავი და არ უნდა მისი დრო მიეცეს დავიწყებას. სურს, ხალხის გულში ცხოვრობდეს მაშინაც, როდესაც მისი საფლავი ხავსით დაიფარება.

როცა ღამის სუსხმა მთლად შებოჭა ბებერი ჰალვორის გამოფიტული სხეული და მას მხოლოდ და მხოლოდ თვალით შეეძლო საუბარი, ბერიკაცმა დაინახა: იონსონმა თავისი ყუთი ლერწმის იქით გადაისროლა. გაიგონა, როგორ გახეთქა იმ ყუთმა ყინულის თხელი ფენა. ისიც დაინახა, წელში როგორ გასწორდა იონსონი, როგორ მიუახლოვდა გორაკს, სადაც იწვა ბებერი ჰალვორი, რომელმაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შეინარჩუნა სითბო სიცოცხლისა. ჰალვორმა დაინახა, რომ იონსონი მტკიცე ნაბიჯით უახლოვდება, როგორც შეშვენის კაცს, ვინაც იცის თავისი გზა და დიდი სიხარულით დახუჭა თვალები მოხეტიალე პოეტმა. სჯეროდა, რომ სამარადისოდ იცოცხლებდა მისი ხსოვნა.

მის გარშემო კი ყელმაღლობდნენ ფიჭვები, კუბოს სანთელივით ტანკენარი ფიჭვები...

ხეიბართა შეხვედრა

კონსტანცაში მორტენი შვარცვალდისაკენ მიმავალ მატარებელში ჩაჯდა და მოუთმენლად ელოდა გამგზავრებას. ხელი ისევ შეხვეული ჰქონდა. მორტენს ეშინოდა, ხელი არ გამიშეშდესო, სწორედ ამ შიშმა გადააწყვეტინა, ბადენბადენში გამგზავრებულიყო ტალახის აბაზანების მისაღებად. მან თავისი სახვევი საბარგო ბადეს მიამაგრა და მოხერხებულად მოკალათდა. მაგრამ როცა ვაგონი შემადგენლობას მიაბეს, ყოველი ბიძგისას მორტენი ტკივილისაგან იკლაკნებოდა.

მეოთხე კლასის ვაგონში იყო სკამები, ამიტომაც არც ჩემოდნებზე ჯდომა იყო საჭირო, არც საკიდარზე მოჭიდება, როგორც ეს ხდება ჩრდილოეთ გერმანიაში. იქაური ვაგონები უფრო პირუტყვის გადასაყვანადაა ნავარაუდევი. აქ, სამხრეთში, გერმანელები თავს იწონებენ თავისი „დემოკრატიული“ მეოთხე კლასით. ამ ვაგონებით მგზავრობს მოსახლეობის ყველა ფენა. მგზაერობა იაფი ჯდება. რამდენიმე მარკად მთელ გერმანიას შემოივლით.

ვაგონში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. ეტყობოდა, თვალში მოუვიდა ადგილი ფანჯარასთან, მორტენის მოპირდაპირე მხარეს. კუთხეში დაჰკიდა თავისი პალტო, სკამიდან მტვერი გადასწმინდა. მეზობლებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. როცა წესიერად დაალაგა თავისი ბარგი, მხოლოდ მაშინ დაჯდა და რაღაცაზე ჩაფიქრდა.

„რა უკარება ვინმე ბრძანებულა!“ — გაიფიქრა მორტენმა

და ფეხები სკამქვეშ შეალაგა, რათა უნებურად არ გაეკრა ფეხი მეზობელი ქალისათვის. სკამებშუა ადგილი ერთობ ვიწრო იყო.

როგორც იქნა, მატარებელი დაიძრა. დიდ ვაგონში ორმოცორმოცდაათამდე კაცი ეტეოდა და მალე მგზავრებს შორის ცხოველი ლაპარაკი გაიმართა. მეოთხე კლასის მგზავრები მალე პოულობენ საერთო ენას. ერთმანეთს ისეთებიც კი გამოეპასუხნენ, რომლებიც ვაგონის სხვადასხვა კუთხეში ისხდნენ. სალაპარაკო ყველას ერთი ჰქონდა — ეს იყო ახალი ფულის გამოშვება. ინფლაციის პერიოდი გათავდა, ახლახანს სტაბილური ვალუტა შემოიღეს, მაგრამ მოსახლეობა მაინც ვერ გამოსულა გაჭირვებიდან.

— აი, რა ვიყიდე მთელი თვის ხელფასით, — თქვა კუთხეში მჯდომმა ქალმა და იქ მყოფთ თავშალი უჩვენა, — როგორც კი ფული მივიღე, უმალვე მაღაზიას მივაშურე. ერთი საათის შემდეგ რომ მივსულიყავი, ჩემი ჯამაგირი ქინძისთავს ვერ აუვიდოდა.

— ამ ფარატინის გამოშვებას, ისევ ის მილიონიანი ბონები სჯობდა, — გაისმა ვიღაცის ბოხი ხმა, — მაშინ ცოტა მაინც გვქონდა ფული და ახლა მარილის საყიდელიც არ გვაბადია.

ყველა ცდილობდა თავისი აზრი გამოეთქვა, თუმცა საუბრის საგანი არავითარ კამათს არ იწვევდა. მგზავრები ჩვეულებისაებრ გულგრილად მსჯელობდნენ ამ საკითხზე. ხალხი იმდენად დაიღალა, რომ გულთან ახლო არაფერი მიჰქონდა.

მორტენის მეზობელი ქალი საუბარში არ ჩარეულა და თითქოს არც ესმოდა, რას ლაპარაკობდნენ. ოდნავ წინ გადმოხრილი იჯდა, ხელები მუხლებზე დაეწყო და ნერვიულად ათამაშებდა თითებს. ეტყობოდა, მისი გონება სხვაგან ქროდა. ოდნავ მოღიავებული ზედაწელი კოხტად შემოტმასნოდა მხრებზე. მისი პატარა თავი ლამაზად დანდობილიყო ყელზე, რომელიც ჯიშიან მტრედის კისერს მიუგავდა. თავზე შემოეგრაგნა შავი ნაწნავები.

ახალგაზრდა ქალს ტანჯული სახე ჰქონდა. ხელები სულ უცახცახებდა, თითქოს რაღაც კვანძის გახსნა უნდაო. დროდადრო თითებს პირში იდებდა და ფრჩხილებს იკვნეტდა.

მორტენმა შეამჩნია, რომ ფრჩხილები სულ დაკვნეტილი ჰქონდა და გაიფიქრა: „საბრალო, როგორ გაუტეხია ომს!“

ქალაქ ზინგენის სიახლოვეზე მატარებლიდან გამოჩნდა მდინარეებითა და მყინვარებით დასერილი ვრცელი ველი. გლეხები თივის აღებას ჩქარობდნენ, იქვე გაეფინათ გასაშრობად. მერე მატარებელმა ჩაუარა ყვითელი ყვავილებით მოჩითულ მინდორს. და მორტენმა გაკვირვებით იკითხა:

— ნუთუ ეს სულ სარეველაა?

— არა, ეს ბოლოკ-ჭარხალაა, — უპასუხა ვიღაცამ.

მორტენი გაკვირვებული შემოტრიალდა. ეს იყო ახალგაზრდა ქალისაგან თქმული პირველი სიტყვები. ქალს უჩვეულოდ სასიამოვნო ხმა ჰქონდა.

— ჰო... მგონი ბოლოკ-ჭარხლისაგან ზეთსა ხდიან, — შენიშნა მორტენმა. ქალი გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ მორტენს პაპიროსის მოწევა მოუნდა. საღი ხელით ჩემოდანი ჩამოიღო და იქიდან ჩიბუხი და თამბაქო ამოიღო. ქალმა გაბედულად გამოართვა ჩემოდანი და თავის ადგილზე დადო.

— ახლა შეგიძლიათ ისევ მიამაგროთ თქვენი სახვევი ბადეზე, კაი ერთი საათი გაჩერება აღარ იქნება.

ასე გააბეს მასლაათი.

— მაპატიეთ, ფრეკენ, მოწყალების და ხომ არ ბრძანდებით? — ჰკითხა მორტენმა, — თქვენ ისეთი მზრუნველობით მოეპყარით ჩემს ხელს და ისეთი მოხერხება გამოიჩინეთ.

ქალმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და ძლივს შესამჩნევად გაიღიმა, თითქოს მზის შუქმა გაუნათა დაღლილი სახე.

რა მშვენიერი ხელები აქვს მორტენის მეზობელს. კაცმა უმალვე შვება იგრძნო, როდესაც ქალი შეეხო. ასეთივე ნაზი და ფრთხილი ხელები ჰქონდა დედას, მაგრამ დედას ხელები გაუუხეშა მძიმე შრომამ. მორტენს უნდოდა რაიმე გაეგო თავისი თანამგზავრის შესახებ, ალბათ, ბევრი რამ გადახდენია თავს, მაგრამ ქალი ისევ განაპირდა, თავის ფიქრს მიეცა და თითები ისევ ნერვიულად აათამაშა. ხანდახან ფარულად გადახედავდა მორტენის ხელს, რომელიც ბადეზე იყო მიმაგრებული. ქალი ძალიან ლამაზია, განსაკუთრებით ლამაზი კისერი და მხრები აქვს. თითქოს ეს მჭმუნვარების იერი სულ ტყუილია და აი, საცაა აჩიკჩიკდება მხიარულად. იქნებ ქალი მომ-

ღერალია? არა, ეგ არ იქნება. მეტისმეტად მორცხვია, და ალბათ არც კი იცის რა მშვენიერებას აძლევს სინორჩე. რამდენი წლისა იქნება? ალბათ ოცი-ოცდაორისა.

უეცრივ ქალმა ისეთი სახით შემოხედა მორტენს, თითქოს რიღაცის კითხვა უნდაო.

— მე ბადენ-ბადენში მივდივარ სამკურნალოდ, — თქვა მორტენმა.

— ხელის სამკურნალოდ? — დაინტერესდა ქალი.

— დიახ, მაღლობიდან დავცურდი და ხელი ვიღრძე. საშიში არაფერია, მხოლოდ ღამღამობით მტკივა და არ ვიცი როგორ დავწვე, რომ ხელმა არ შემაწუხოს, — უპასუხა მორტენმა ღიმილით. ესიამოვნა ყმაწვილი ქალის ყურადღება.

ქალმა უამბო, კარგად ვიცნობო ბადენ-ბადენს. კვირა დღეს ხშირად იქ ვატარებო. ეს აგარაკი სულ ერთი საათის სავალია კარლსრუედან, სადაც ვცხოვრობ და ლანდტაგში ვმუშაობო. ქალს თურმე ავადმყოფი დედა წაუყვანია შვეიცარიაში ნათესავებთან და ახლა შინ ბრუნდება. მას მოუთმენლად ელის მამა და ლანდტაგშიაც მოელოდებიან.

— მამას ახლა ძალიან უჭირს მარტოობა, ძალიან უჭირს თავის თავზე ზრუნვა,—დინჯად და მინდობილად უთხრა ქალმა.

ქალის გარეგნობა ამტკიცებდა, რომ დინჯი ადამიანი იყო, მხოლოდ თითებს ამოძრავებდა ძველებურად, ისე მაგრად მუჭავდა ხელებს, რომ ფრჩხილები ხელისგულში ესობოდა.

პატარა სადგურში მორტენმა ხილი იყიდა. ვინემ იგი ხურდის მიღებას უცდიდა, მატარებელი მძიმე-მძიმედ დაიძრა და მან მხოლოდ ბოლო ვაგონში მოასწრო ახტომა. მთელი შემადგენლობის გავლა მოუხდა. როცა თავის კუპეში შევიდა, დაინახა, რომ ქალი იდგა და ფრჩხილებს იკვნეტდა. ჩანდა, ნერვიულობდა. მორტენი რომ დაინახა, გაიღიმა.

— ძალიან შემეშინდა. მეგონა, რომ დარჩით.

— მადლობელი ვარ, — უთხრა მორტენმა და უნდოდა ქალისათვის ხელზე ეკოცნა.

მაგრამ ქალი გაწითლდა, ხელი უკან წაიღო და დარცხვენით თქვა:

— მე ისეთი საშინელი ხელები მაქვს.

მორტენმა თავი გაიქნია.

— მაგას რად ამბობთ? რომელ ხელსაც სხვისი განკურნება შეუძლია, ის საშინელი ვერ იქნება. მე უნებლიეთ დედაჩემი მომაგონდა. დედას ჰქონდა ალერსიანი, ჩემთვის უძვირფასესი ხელები. ისინი თქვენს ხელებს ჰგვანდნენ.

ვინემ ყურძენს ჭამდნენ, მორტენმა თავისი მოხუცებული დედის ამბავი უამბო. დედაჩემი მთელი ცხოვრება შრომობდა და დასვენება არ იცოდაო. ვინმესთან სტუმრად რომ მისულიყო და მასპინძლის ჩვილს ტირილი დაეწყო, დედას გული არ მოუთმენდა, ბავშვთან მიირბენდა. ზოგჯერ ეს სხვებს აბრაზებდა, მაგრამ ისეც მომხდარა, რომ გზად შეხვედრილებს მორტენისათვის უთქვამთ: „რა შესანიშნავი დედა გყავთო“.

ყმაწვილი ქალი ყურადღებით უსმენდა მორტენს. ვინემ ის ლაპარაკობდა, ქალს მუხლებზე მშვიდად ეწყო ხელები, რომლებიც ორ გაშლილ ყვავილს მიუგავდა.

მატარებელი ბად-ოსში მივიდა. აქ მორტენი უნდა გადამჯდარიყო სხვა მატარებელში, რათა ბადენ-ბადენში მოხვედრილიყო.

— მადლობელი ვარ, თქვენ მშვენიერი თანამგზავრი გამოდექით! — უთხრა მორტენმა ქალს.

ქალმა ხელი ჩამოართვა, მერე მორტენის ჩემოდანი ბაქანზე გაიტანა და ვინემ თავისი მატარებლის საფეხურზე ახტებოდა, ყარგა ხანი უყურა კაცს.

— ერთი ხეიბარი ცდილობს მეორე ხეიბარს შეუმსუბუქოს ბვედრი, — წაიჩურჩულა მორტენმა.

რაღაც უხერხულობა იგრძნო და შეეცადა სასწრაფოდ დაეტოვებინა ბაქანი. აი, ის უკვე დაემშვიდობა თავის თანამგზავრს! ძალიან უნდოდა კიდევ ერთხელ დაენახა ის ქალი. ფრთხილად გაიხედა ბაქნის ბუფეტის კუთხიდან. ქალი ღია ფანჯარასთან იდგა და როგორც მორტენს მოეჩვენა, მას ეძებდა თვალით. დაბოლოს ქალმა შეამჩნია მორტენი, კაციც უმალვე მივიდა ვაგონთან.

— მე გადავწყვიტე ერთხელ კიდევ გამოგემშვიდობოთ და მადლობა გადაგიხადოთ ყურადღებისათვის. — დარცხვენით თქვა მან, — ეს შესანიშნავი შეხვედრა იყო. მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ მას გამეორება აღარ უწერია.

— მე და ჩემი მეგობრები კვირას სწორედ ბადენ-ბადენში

ვაპირებთ წამოსვლას. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია შევხვდეთ ერთმანეთს, თუკი თქვენ სამ საათზე მოხვალთ „მერკურისთან“ ბოლო გაჩერებაზე.

მაგრამ აი მატარებელი დაიძრა და მალე თვალს მიეფარა. მორტენმა ისევ იგრძნო რაღაც სიცალიერე. ახლახანს მის თვალწინ თითქოს ნათელმა გაიელვა. თითქოს აიხადა ბნელი ფარდა, რომელიც მას სხვა ხალხისაგან ჰყოფდა. აქამდე ხომ საოცარ მარტოობას გრძნობდა. და მოულოდნელად სხვის გულში თანაგრძნობა ჰპოვა, რაც ასე იშვიათია ხოლმე. კაცმა რომ თქვას, გერმანელები მხოლოდ გარეგნულად არიან მკაცრნი, სინამდვილეში კი ძალზე გულისხმიერნი არიან. ახლა მუქი ფარდა ისევ ჩამოეშვა. მაგრამ, ვინ იცის, კვირა დღეს ისევ შეხვდეს იმ ქალს, რომელმაც მორტენის გულში უჩვეულო სინაზე დაჰბადა.

პაემანი კინაღამ არ ჩაიშალა. ტრამვაი „მერკურამდე“ ნახევარ საათში ერთხელ დადიოდა. მორტენი ბოლო გაჩერებამდე მივიდა. ტრამვაის გაჩერებასთან იდგნენ მხიარულად მობაასე ქალიშვილები, მაგრამ მორტენის ნაცნობი მათ შორის არ ჩანდა. გადაწყვიტა წამოსვლა და მარტო იმას უცდიდა, რომ ტრამვაის წრე შემოევლო. ძალზე ნაწყენი იყო და თუმცა თავს არ უმხელდა, სასოწარკვეთას აღარაფერი უკლდა. მაგრამ აი ტრამვაი ახლო მოვიდა და წინა ბაქანზე მან ის ქალი დაინახა. როცა ქალმა შეამჩნია, ტრამვაიდან გადმოხტა.

— მე მეგონა. შენ აღარ მოხვიდოდი, — უთხრა მან. ქალის თვალებში მორტენმა საყვედური ამოიკითხა. — მამას ჰგონია, რომ შენ ავანტიურისტი ხარ და მირჩევს, თავი შორს დაიჭირეო.

— შენ უამბე მამას ჩემი ამბავი? მე იმიტომ გეუბნები „შენობით“, რომ შენც ასე მომმართე.

— შენ თვითონ მომმართე „შენობით“ რამდენიმეჯერ, როდესაც მატარებელში ვიყავით, — ხმამაღლა გაიცინა ქალმა.

— არა მართლა?

— მართლა, როცა რისამე ჩვენება გინდოდა, ასე მეუბნებოდი: შეხედე, აი, იქ გაიხედე.

— კიდევ რა თქვა მამაშენმა?

— რა თქმა უნდა, მას არათერი არ დავუმალე. მამამ იცის, რომ ჩვენ შეხვედრა გადაგვიწყვეტია.

— მამაშენს ავაზაკი ვგონივარ?

ქალმა თავი დაუქნია.

— მეც ეგ გავიფიქრე, როდესაც შენ აქ არ დამხვდი. და უკვე შინ წასვლა დავაპირე. მაინც რა კარგია, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ავცდით, თორემ...

მორტენს გულმა რეჩხი უყო, მართლაცდა ქალის მისამართიც არ დაუწერია.

ბავშვებივით ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და უდარდელი საუბარი გააგრძელეს. ყოველი მათგანი ეული იყო და ახლა სულიერი ერთობის გამო სიხარული იგრძნეს.

— როგორ კარგად ვგრძნობთ თავს ერთად ეს ორი ხეიბარი, — თქვა მორტენმა.

— მართალია, მე შენ გვერდით თავს მშვიდად ვგრძნობ, ისე კი ყოველთვის რიღაცის მეშინია.

— რიღაცის გეშინია?

— საშინლად მეშინია. იქნებ ეს ნერვების ბრალია, მაგრამ მე სულ რიღაცისა მეშინია.

— გინდა, ხშირად შეეხვდეთ ერთმანეთს?

ქალმა თავი დაუქნია.

— ჰო. შენც ხომ მარტოკა ხარ. მე მგონია, შენც არ ყოფილხარ ბედნიერი.

— ჰო, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის. შუახნის კაცს უჭირს გულის ჭრილობის მოშუშება, თანაც თუ ახალგაზრდამ დასჭრა. მაგრამ მე ნელინელ მოვდივარ გონს.

კაფეში შევიდნენ, მყუდროდ მოკალათდნენ, ცისა და ბარის ამბავი გაიხადეს მუსაიფის საგნად. ყველაფერი მნიშვნელოვანი ეგონათ, ლაპარაკობდნენ, უსასრულოდ ლაპარაკობდნენ. მორტენმა შენიშნა, რომ მისი თანამოსაუბრე ძალზე ლამაზი იყო. ამდენ ხანს ქალი მას ხიბლავდა არა გარეგნობით, არამედ სულიერი სითბოთი.

— რატომ მიყურებ აგრე უცნაურად? — ჰკითხა ქალმა.

— მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ ლამაზი ხარ.

— ო, მარტო ახლა... — დაცინვით თქვა მან.

და ისევ დაიწყეს ყოველგვარ წვრილმანზე ლაპარაკი. თითქოს დიდი ხნის ნაცნობები არიან და თან წინ დიდი მანძილი უდევთ, რათა ერთმანეთი უკეთ გაიცნონო.

მორტენს ხელთ ეპყრო ქალის ნაზი, ლბილი მარჯვენა და უეცრივ იგრძნო, როგორ აუკანკალდა ქალს თითები, თითქოს ამით ნიშანს აძლევსო მარცხენას. მორტენმა მიუალერსა ამ ათრთოლებულ ხელებს, ფრჩხილმოკვნეტილ თითებს. ქალმა ვედრებით შეხედა, მაგრამ ხელი არ წაურთმევია.

— ეს სულ ნერვების ბრალია, — წყნარად თქვა ქალმა, — მე ფრჩხილების კვნეტა ომის დროს დავიწყე, მერე ჩვეულებად მექცა. როცა ყუმბარებს გვიშენდნენ, ჩვენ სარდაფში ვიმალებოდით და არ ვიცოდით, რა მოგველოდა. მამა მაშინ ფრონტზე იყო.

— ახლა მე შევულოცავ შენს ხელებს და ისინი ჩემი გახდებიან! თანახმა ხარ? მეტს აღარ მოიკვნეტ ფრჩხილებს?

ქალმა დასტურის ნიშნად ოდნავ თავი დაუქნია და წყნარად წაიდუდუნა:

— თუკი შემეძლება... მე გონს მაშინ მოვეგები, როდესაც უკვე გვიანაა.

— ხშირად იმალებოდი სარდაფში?

— თითქმის ყოველ დღე და კარგახნობით ვიჯექი იქ. დედა შუაღამით გვაღვიძებდა, როდესაც საჰაერო განგაშს გამოაცხადებდნენ. საწოლის თავთან ყოველთვის გვედო ტანსაცმლის ფუთა. მაშინვე სარდაფში მივრბოდით და იქ ვიცვამდით ხოლმე.

— სარდაფები საიმედო გქონდათ?

— ჰო, ყუმბარებისაგან გვიცავდნენ, მაგრამ ჩვენ სულ გვეშინოდა, რომ გაზები მოგვწამლავდნენ. იქ დაძინება არ შეგვეძლო და რადგან არც ერთ ჩვენგანს არ უნდოდა ფანჯარასთან ჯდომა, ამიტომაც მუდამ ვჩხუბობდით ადგილის გამო.

— განა „საჰაერო ურჩხულები“ მხოლოდ ღამეობით გბომბავდნენ?

— არა, ერთხელ დღისითაც მოფრინდნენ. ეს მოხდა კვირით, მე დეიდაჩემის საფლავზე ვიყავი, უმალვე შინისაკენ გამოვიქეცი. გზაში დავეცი, წამოვდექი, ისევ დავეცი და ბოლოს გონება დამეკარგა. იმ დღეს ყუმბარა მოხვდა ცირკს, იქ ბევრი ბავშვი იყო. ას ოთხმოცი ბავშვი დაიღუპა. იმდროიდან ყოველთვის გრძნობას ვკარგავდი, როდესაც ჩვენს ქალაქს ბომბავდნენ. ლანდტაგის ქალები, რომლებთანაც ვმუშაობდი, ყურადღებას არ მაქცევდნენ, ვინემ გონს არ მოვიდოდი. ეგო-

ნათ, თავს იკატუნებსო. მე იმათ შორის ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი და უფროსს ვებრალებოდი.

ბომბარდირების გახსენებისას ქალმა მორტენს ხელი გამოსტაცა, მაგრამ როცა პირთან მიიტანა, შიშით უკან წამოიღო.

— არ გვინდა წარსულის მოგონება! — თქვა მორტენმა და წამოდგა. — ჯობს, სასეირნოდ წავიდეთ. როდესმე მიამბობ დაწვრილებით და მაშინ ყველაფერი დავიწყებას მიეცემა.

ციცაბო აიარეს და გორაკის წვერზე ავიდნენ. იქიდან მშვენიერი სანახაობა გადაიშალა, ჩანდა შვარცვალდის ტყეები და დაკლაკნილი მდინარე რაინი, ჰორიზონტზე კი სტრასბურგის ტაძარი. გორაკის წვერზე ისეთი ქარი ქროდა, რომ მორტენს და მის თანამგზავრს უნდა ეყვირათ, თუკი უნდოდათ ერთმანეთისათვის გაეგებინებინათ რაიმე. აქ, მაღლა, ქარი ქროდა, ხოლო დაბლა მინდორი მზის სხივებში ბანაობდა.

— აბა, ყოჩაღად, — ხალისობდა მორტენი, — ჩანს, კუდიანები მიჰქრიან რაინშტეიგის გზაზე, ეშინიათ, შაბაშზე არ დაეგვიანდეთ.

— მე შენ მოგეჭიდები, — უპასუხა ჟენეტამ, ხმამაღლა გაიცინა და მორტენს მოეხვია.

ქარმა ქალს მძიმე ნაწნავები გაუწეწა და შავი ბაირაღივით გაუშალა. მორტენმა სახვეული მოიხსნა და ორივე ხელით ქალს თმის მოწესრიგება უშველა.

— თურმე შენ უკვე ხმარობ ნატკენ ხელს, — მხიარულად წამოიძახა ჟენეტამ. — კიდევ დამადე თავზე ხელები, ეს ისე სასიამოვნოა!

მორტენმა ქალის თავი მკერდზე მიიხუტა. ჟენეტა მთლად აკანკალდა, თითქოს ციებამ შეუტიაო, მერე დაწყნარდა და ნეტარებით დახარა თვალები. მორტენს უნდოდა თვალები დაეკოცნა მისთვის, მაგრამ ამის სამაგიეროდ ტუჩებში აკოცა.

შორს დარჩა ბნელი,
შორს დარჩა ძველი,
მოდი, მიჯნურო,
მომხვიე ხელი.

წაიჩურჩულა ჟენეტამ და უფრო მიეკრა მორტენს.

შემდეგ გორაკიდან ჩამოვიდნენ, ლიხტენტალში გაემართნენ და იქიდან ბადენ-ბადენის გზას დაადგნენ.

სადგურში ჰატარებლის გასვლის წინ მორტენმა ჰკითხა ჟენეტას:

— ნუთუ მეტს ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს?

— ეს შენზეა დამოკიდებული, — უპასუხა ქალმა და მაგრად მოუჭირა ხელი.

— განა მე შემიძლია გრძნობას გზა მივცე? მე არა ვარ თავისუფალი კაცი.

— ეგ არაფერი... მოდი, შევხვდეთ ერთმანეთს. ჩამოდი ჩვენთან კარლსრუეში.

— როგორ, თქვენს სახლში მოვიდე?

ჟენეტამ თავი დაუქნია.

— არა, აკი გითხარი, მამას ყველაფერი ვუამბე-მეთქი, მამამ იცის, რომ მე და შენ ერთმანეთს უნდა შევხვდეთ. მამამ ეგ არ მირჩია. ჰგონია, ერთი იმათგანი ხარ... შენ იცი, ვისზედაც არის ლაპარაკი. შაბათს ჩამოდი და ბაზრის მოედანზე დამელოდე. ასე, რვიდან ცხრა საათამდე. მე ამ დროს ვყიდულობ ხოლმე სურსათს.

მძიმე დღეები დაუდგა მორტენს. სინდისი ქენჯნიდა. საკუთარი თავის საყვედურში ვერ ამოდიოდა. გადაწყვიტა, კარლსრუეში აღარ წავალო, რათა სამუდამოდ გაეწყვიტა ეს ნაცნობობა. რაც უფრო მალე მოეღებოდა ბოლო მათ შეხვედრებს, მით უკეთესი მათთვის.

მაგრამ მორტენი სულ ქალზე ფიქრობდა, გუნებაში წარმოიდგენდა, როგორ მიდის კარლსრუეში, როგორ დადის ბაზარში, როგორ დაეძებს ქალს. როცა ტალახის აბაზანებს იღებდა, ჟენეტაზე ფიქრობდა და გული უკვნესოდა, როცა გაიფიქრებდა ქალი პაემანზე არ მოვაო. საშინლად გაწვალდა მორტენი. დაღალეს საკუთარმა საყვედურებმა, რომელთაც დროდადრო მაინც გააშუქებდა ფარული იმედი.

დათქმულ დღეს ის ადრე ადგა და პირველივე მატარებლით კარლსრუეში გაემგზავრა. ბაზარზე ხილისა და მწვანილის გახურებული ვაჭრობა იყო, მაგრამ მორტენმა საყასბოები ვერ დაინახა.

მალე მან შენიშნა ჟენეტა, იგი დახლებშუა დადიოდა და პროდუქტებს არჩევდა. ქალს ქუდი არ ეხურა. ნაწნავები თავზე გვირგვინად ედო. დაფიქრებული და დაბნეული ჩანდა. მაგრამ უმალვე გამოცოცხლდა, როდესაც მორტენი დაინახა.

— მე უკვე გადავწყვიტე, რომ შენ არ მოხვალ და შინ წასასვლელად მოვემზადე, — თქვა ჟენეტამ და ხელი გაუყარა,— სახვევი რად მოგიხსნია, ნუთუ ხელი აღარ გტკივა?

— ცოტა მტკივა, მაგრამ საშინელია ხელშეხვეული სიარული, თავს სულ ხეიბრად გრძნობ. მე უბრალოდ ცერს ჟილეტში ვიდებ და ასე მიჯირავს. რად ამბობ, რომ შინ წასვლა გინდოდა, როდესაც ჯერ არაფერი გიყიდია, — ჰკითხა მან ქალს და ჩანთა შეუთვალიერა.

— ეგ განგებ გითხარი, მინდოდა გამებრაზებინე.

ჟენეტამ და მორტენმა იყიდეს ბოსტნეული და პარკში წავიდნენ. იქ იპოვეს განცალკევებული სკამი. მორტენმა ხმა ვერ ამოიღო, თითქოს ყელში რაღაც მოაწვაო. გადადება აღარ შეიძლება, ახლა მან ყველაფერი უნდა უამბოს ქალს, რა ჭირვარამი გადახდენია, ყველა გაუზიაროს, თვით მორტენს არ შესწევს ძალა დასტოვოს ჟენეტა, მაგრამ როცა ქალი ყველაფერს გაიგებს, თვითონ ჩამოშორდება. ვინემ ლაპარაკს დაიწყებდა, მორტენმა მონდომებით ჩაახველა: ძნელია შენივე თავისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა.

— რა დაგემართა? — ჰკითხა ჟენეტამ და ფრთხილად შეეხო. — ხმა ამოიღე.

— განა დღეს სამუშაოდ არ უნდა წახვიდე?

— არა, დღეს მამაჩემის დაბადების დღეა. მე მინდა ცოტა გავანებივრო. ის ხომ ძალიან დარდობს დედაჩემს. მე ვუთხარი მამას, კვირა დღეს შევხვდი-მეთქი და საერთოდ ველაპარაკე შენზე.

— შენ ხომ არაფერი იცი ჩემი, გარდა იმისა, რომ მწერალი ვარ.

— მამას გაუგონია შენი სახელი და მაინცადამაინც არ გენდობა... ამბობს, მწერლები სანდო ხალხი არ არისო.

— რაც მწერლებზე უთქვამს, ეგ მეც მეხება, ამიტომ მოშერიდე.

ჟენეტამ გაკვირვებით შეხედა მორტენს.

— შენ, რა თქმა უნდა, ხუიოობ...

უეცრივ ქალი მიხვდა, მორტენი სიმართლეს მეუბნებაო და ხელი სტაცა.

— არა, სერიოზულად გეუბნები, — მორტენმა მძიმედ ამოიოხრა და ხელი წაართვა, — მე ხანში შესული კაცი ვარ, შენზე ორჯერ უფროსი. თანაც ცოლ-შვილი მყავს.

— შენ ხომ გაყრის საქმე აღძარი?

— სასამართლომ რომ უარი მითხრას? თანაც მყარი ჯამაგირიც არა მაქვს.

— მერე შენ ხელი გტკივა, მერე... კიდევ რა მერე? — ქალმა პირზე ხელი მიაფარა მორტენს.

— კიდევ ბევრი რამ, — ქალის შეხებამ მორტენს თითქოს გამბედაობა წაართვა. — მე შენ ტკივილს მაყენებ, თანაც მე რევოლუციონერი ვარ.

— ეს რას ნიშნავს? — დინჯად იკითხა ჟენეტამ.

— რევოლუციონერები ისეთი ხალხია, რომლებიც ვერ შეერიგებიან, რომ ერთს ყველაფერი აქვს, მეორეს — არაფერი. მე ყოველ წუთს შეიძლება გადამასახლონ გერმანიიდან.

— მაშინ შენ შეგიძლია შენს სამშობლოში წახვიდე!

მორტენს უნებურად გაეცინა.

— სამშობლოში მაინცადამაინც არ გაუხარდებათ ჩემი ნახვა, ყოველ შემთხვევაში, ძალაუფლება მოსილთ, უბრალო ხალხს კი ვუყვარვარ.

ჟენეტამ გაკვირვებით შეხედა კაცს. იგი ვერ შეაშინა მორტენის ნაამბობმა. უფრო ის აწუხებდა, რომ მორტენი არაფერს ამბობდა მათ დამოკიდებულებაზე და საკუთარ ოჯახზე.

— თქვენსა, ჩანს, სულ არ კითხულობენ გაზეთებსა და ჟურნალებს? — ჰკითხა მორტენმა ქალს.

— ეგ მართალია. რაც კაიზერი ჩამოაგდეს, მამამ გაზეთების ინტერესი დაკარგა. გვაქვს რაღაც წიგნები, რიკარდა რაუხის რომანები, მაგრამ ჩვენგან არავის იტაცებს კითხვა. საღამოობით მუსიკით ვერთობით. მამა ვოლტერნაზე უკრავს, ძმა ვიოლინოზე, მე ვმღერი. როცა ჩემი და ბეტა ჩვენსა ცხოვრობდა, ჩემი აკომპანიმენტი მას ეკისრა. მერე გათხოვდა და ქმრის გამო კათოლიკობა მიიღო. ამით მშობლების გულისწყრომა გამოიწვია.

— ნუთუ ასეთი გადაბრჯნილი პროტესტანტები ხართ?

— მამა, მე, ბეტაც, სანამ გათხოვდებოდა, საეკლესიო ქოროში ვმღეროდით. ამიტომაც ყველა აღშფოთდა, როდესაც ბეტამ რწმენა გამოიცვალა.

მორტენს დაავიწყდა, რომ ქალის დაშინება უნდოდა.

— ჩანს, მაინცადამაინც საინტერესო ცხოვრება არა გქონია, — აღელვებით თქვა მან და ჟენეტას ხელი მოჰკიდა.

— რატომ, ომის წინ მშვენივრად ვატარებდით დროს შინ. საღამოობით, როდესაც მამა დაბრუნდებოდა სასამართლოდან, მუსიკით ვერთობოდით. ზოგჯერ მამა კაბების ფასონებს გვიხატავდა და დედა თვითონ გვიკერავდა. დედას არ უყვარდა უქმად ჯდომა. მერე მამა ფრონტზე წავიდა და ჩვენთვის მძიმე დრო დადგა. ჩვენ საკმაოდ წელმაგარ ოჯახად ვითვლებოდით. მშობლებს ბანკში ჰქონდათ 150 ათასზე მეტი მარკა. ეს იყო განკუთვნილი ჩემი და ბეტას მზითევისათვის. რაც დავიბადეთ, იმ დღიდან აგროვებდნენ. როცა ომი დაიწყო, მშობლებმა სამხედრო სესხის ობლიგაციები იყიდეს.

— შიმშილი გამოგიცდიათ?

— რა თქმა უნდა, გვიშიმშილია. ომმა სულ გააგიჟა მამაჩემი. იგი ღამეობით ულვაშს იყენებდა, რომ დილით ისეთი ულვაში ჰქონოდა, როგორიც ჰქონდა კაიზერს. მთელი ჩვენი ნივთები — ნიშნობის ბეჭდები, დედაჩემის განძეული — რაც კი გადაიდნობოდა, ყველაფერი სახელმწიფოს შესწირა. გლეხების ხელში გადავიდა მთელი ჩვენი სასადილო ვერცხლი. კინაღამ ავად არ გავხდით, რადგან მხოლოდ კომბოსტოს ვჭამდით. ერთხელ დედამ მომცა ვერცხლის კოვზი და მითხრა: „წადი სოფელში და შეეცადე პური იშოვო და ხორცსაც თუ დაამატებ, ხომ კარგიო“. ასე მეორდებოდა ხშირად. ჩემს დაკაკუნებაზე გლეხები მხოლოდ ღრიჭოდ გააღებდნენ კარს, ეს იმის ნიშანი იყო, რომ კოვზი უნდა მიმეცა და გლეხი დედაკაცი მაძლევდა ცოტა პურსა და კარტოფილს. ეს ძალიან ცოტა იყო, მაგრამ მე ესეც მიხაროდა და მხოლოდ იმის მეშინოდა, ვაითუ გზაში ჟანდარმებმა წამართვან პროდუქტებიმეთქი. მაშინ სასტიკად იყო აკრძალული სურსათის მომარაგება. აი რა გზას გავუყენეთ მთელი ჩვენი ვერცხლეული. ახლა აღარაფერი დაგვრჩა. როცა გავიგეთ, რომ სახელმწიფო-

სათვის მიცემული ჩვენი დანაზოგი დაიკარგა, დედას დამბლა დაეცა, მამა კინაღამ არ გაგიჟდა. ახლა ამბობს, მორალური უფლება არა მაქვს გაგათხოვოთო.

— ნუთუ მხოლოდ იმისათვის, რომ მზითევი არა გაქვთ?

ჟენეტამ თავი დაუქნია.

— იმასაც ამბობს, თუ გათხოვდები, მემკვიდრეობას წაგართმევო. მე მაგაზე მეცინება, მამა კი ბრაზობს. ჩვენ ხომ გროშიც არ მოგვეპოვება. გარდა ამისა, ვერ ვიტან მამაკაცებს.

— ეს ადვილი სათქმელია, სანამ ვინმე შეგყვარებია.

— მე ბევრი ვინმე მყვარებია, მაგრამ ვერ ვიტან, როცა მამაკაცები თავს გაბეზრებენ.

მორტენს არ ახსოვდა, როგორ აიღო ჟენეტას ხელი და როგორ დაუწყო მას მოფერება.

ჟენეტამ თავი გააქნია.

— ფრჩხილების კვნეტა მივატოვე მას აქეთ, რაც ჩვენ „მერკურში" ვიყავით. მამაჩემს ძალიან უკვირს, როგორ გადამაჩვიე ფრჩხილების კვნეტას. თვითონ ეგ ვერ შეძლო და ახლა ამბობს, ალბათ, ჰიპნოზი გაგიკეთაო.

— თუნდაც ჰიპნოზი გამეკეთებინოს, ამისათვის ბოროტი აზრი არ დამიდევს საფუძვლად. მე ვხედავ შენ ძალზე მდიდრული ბეჭედი გიკეთია. ეგ როგორ გადაურჩა ომს?

— ეს ბედნიერი ბეჭედია. მამამ იპოვა ერთი კაცის ქაღალდებში. ის კაცი მკვლელობის გამო დასაჯეს. ხანდაზმულობის გამო საქმე უნდა მოესპოთ. „ეს ბეჭედი, ალბათ, ბედნიერების მომტანია, — თქვა მამამ, — მე მას ხაზინას არ ჩავაბარებ, შენ გაჩუქებ". შენ გჯერა ბედნიერება, მორტენ?

— მჯერა, მაგრამ ისეთი ბედნიერება არა მჯერა, რომელიც სახრჩობელასთან ამოსულ სარეველას ჰგავს, არც ბრძოლის ველს შეუძლია ბედნიერების მოტანა. როგორც ჩანს, მხოლოდ ერთი ბედნიერება არსებობს — ესაა საყოველთაო ბედნიერება. მე მგონია შენს ხალხს არასოდეს არ უგემნია ნამდვილი ბედნიერება და არც მამაშენი მოსწრებია მას.

— არა, პირიქით, თავს ბედნიერად გრძნობდა; ვინემ 70-71 წლის გამარჯვების მოგონება შეეძლო. მოიყრიდნენ თავს მამაკაცები ლუდხანაში და მოხსნიდნენ თავს მოგონებათა ბოხჩას. რაც ომში დავმარცხდით; შენ მართალი ხარ, მამამ და-

ივიწყა რა არის ბედნიერება. ცხოვრების ნირი დაეკარგა. მეც მოწყალების დობის გარდა აღარაფერი დამრჩენია.

— მუდამ შავი კაბა გეცმება და ავადმყოფების მოელაში იქნები?

— ეგრე იქნება. მოწყალების დების პროტესტანტულ სკოლაში შევიტანე განცხადება. მაგრამ იქ მომთხოვეს, მიმეტანა ტანისამოსის მთელი კომპლექტი, თორმეტი წინდა, თეთრეული, კაბა — ეს სულ შავი ფერისა. მაგას ჩვენ ვერ აუვალთ.

— ამჯერად შენ მართლა გაგიღიმა ბედმა, — ხმის კანკალით თქვა მორტენმა.

— მაშ შენ არა გჯერა, რომ ღმერთს მართლაც მოაქვს ბედნიერება, როგორც ამას კათოლიკები ამბობენ? იქნებ შენ პროტესტანტიც არა ხარ?

— მართალია, ჩემო კარგო, როცა საქმე ზეციურ სასუფეველსა და სხვა მისთანებს ეხება, მე ათეისტი და წარმართი ვარ. მირჩევნია, ხალხი უკეთ გრძნობდეს თავს მიწაზე. ბოლოსდაბოლოს, ერთხელ ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე.

— მაშ შენ საიქიო არა გწამს? მამას კი სწამს. როცა თავს ზედმეტ ლუდს აუკრძალავს, იტყვის, „ეს საიქიოს ჩამეთვლებაო“, მამას თვალი უჭირავს ერთ პასტორზე, უნდა ამას მიმათხოვოს. პასტორი ძალზე სიმპათიურია, შენხელა იქნება. „უზრუნველად იცხოვრებ“, — მითხრა მამამ, — თანაც პასტორი მალე მდიდარ მრევლს მიიღებსო.

— აი შენ მაგ პასტორს უნდა გაჰყვე, — თქვა მორტენმა დამცინავი ღიმილით.

— მაგას რად ფიქრობ? ნუთუ გგონია, რომ ცხოვრების მოკვარახჭინებისათვის ყველაფერს ავიტან? თითქოს მეტს არაფერს არ უნდა მოელოდე ცხოვრებისაგან, თითქოს ყველაფერი გამოვცადე და არაფრის იმედი არ უნდა მქონდეს, — და ჟენეტამ გაბრაზებით დაუმატა: — არ მინდა პასტორის პარპაშა მეუღლე შევიქნე და ოქროს გალიაში ვცხოვრობდე. სჯობს, შენზე ვილაპარაკოთ, მე ისედაც ბევრი დავაფრქვიე. თქვი, გიყვარვარ?

— ეგ რა საკითხავია! — მორტენს თითქოს ხმა წაერთო, ისეთი გულის ფრიალი აუტყდა. ძალიან უყვარდა ეს გასაკვირველი არსება — ქალისა და ბავშვის ასეთი საოცარი ნა-

რევი. უყვარდა მისი წმინდა და პირდაპირი სული, მისი ნერვიული ხელები. არ იცოდა რა ეპასუხნა, იტანჯებოდა, თავს საყვედურობდა, ხან კი იმას ოცნებობდა, როგორ დაეხმარება ჟენეტას, თავი დაახწიოს დუხჭირ ცხოვრებას.

— რას ნიშნავს „მიყვარხარ", — მორტენი იჯდა, წინ გადმოხრილ თავზე ხელები შემოეწყო. მის ხმაში ნაღველი იგრძნობოდა, — განა მე ყველაფერი არ გიამბე: მე თავისუფალი არა ვარ და არც ახალგაზრდა. ისიც ხომ გითხარი, რომ პირველ ცოლს გავეყარე, ახლა მეორე ცოლს ვეყრები? მე ორი წყება ცოლ-შვილი უნდა ვარჩინო, თუმცა მყარი შემოსავალი არა მაქვს. გარდა ამისა, მე სამშობლოდან განმდევნეს და იძულებული ვარ უცხო მხარეში გავიქაფო გზა... ნუთუ დაგავიწყდა ეს?

— იქნებ დავივიწყე კიდევაც, ან არც გამიგია ხეირიანად. შენ მომავლისა გეშინია?

— არა, არ მეშინია, მე აქ კარგად მიცნობენ, სხვაგანაც იციან ჩემი ფასი. მაგრამ შენ ჩემი საქმიანობისა არაფერი გაგეგება და ეს მაშინებს.

— მე მჭირდება არა შენი წიგნები, არამედ შენ თვითონ! თუკი გიყვარვარ, ჰაიდელბერგში წამოგყვები.

— დღესვე წამომყვები?

ქალმა პასუხად თავი დაუქნია.

— ჟენეტა! — მორტენი ქალის ხელებს დასწვდა, უნდოდა დაეკოცნა.

— ნამდვილად მაკოცე, — სერიოზულად უთხრა ქალმა, — მაგრამ არც დედამ და არც მამამ არ უნდა იცოდნენ, რომ შენ ორი ცოლი გყავდა...

— არც ის, რომ ჩემი ორი ქალი შენზე უფროსია, — ტკივილით დაუმატა მორტენმა, — მშობლებს არ გინდა შეატყობინო, მაგრამ შენ თვითონ როგორი თვალით შეხედავ ამას?

— მართალი გითხრა, არ ვიცი. წავიდეთ აქედან. ჩვენი ქუჩის კუთხემდე მიმაცილე, მხოლოდ ხელი არ გამომდო, რა საჭიროა ერთად დაგვინახონ.

მაშ, მორტენმა მიაღწია იმ მიზანს, რაც დაისახა. ჟენეტა შეშინდა. მას სხვა დროს ასეთი რამ არ უთქვამს. ახლა ყველაფერს აღსასრული დაუდგა. რას დაუდგა აღსასრული? განა

თვითონვე არ გადაიჭრა ბედნიერების გზა, განა თავმკვლელი არ არის?

გაოგნებული მორტენი ქალაქში დახეტიალობდა, სასადილოში ისადილა და სადგურისაკენ გაემართა. ისიც კი გაიფიქრა, მოდი, სულ გადავდებ ჰაიდელბერგში წასვლას, დაე გამომცემელმა თვითონ გაართვას თავი საქმესო.

მოსაცდელ დარბაზში მორტენი მრგვალ მაგიდას მიუჯდა, რომელიც შუა დარბაზში იდგა. სტანჯავდა უსაქმურობა. მისი მატარებელი მხოლოდ ორი საათის შემდეგ გავა. როცა სულიერ ტკივილებს გრძნობდა, თავის ტკივილი იცოდა. ახლაც ასე დაემართა, თავი მაგიდაზე ჩამოსდო და ჩაეძინა. მალე ჩაესმა, რომ გვერდით ვიღაც კვნესის, მორტენი გამოერკვა. მის პირდაპირ მაგიდას უჯდა გლეხის ქალი და ეტყობოდა, კბილი სტკიოდა. იგი კვნესოდა, აქეთ-იქეთ ირწეოდა, თითები ჩაევლო ფესვიანი კბილებისათვის. ქალის შემყურე მორტენს საკუთარი ტკივილები დაავიწყდა.

უეცრივ ვიღაც შეეხო მის მხარს. მორტენმა შიშით მოიხედა. მის წინ იდგა ჟენეტა. ყვითელი კოსტიუმი ეცვა და ხელთ პატარა ჩემოდანი ეჭირა.

— წავიდეთ, — გადაწყვეტით უთხრა ქალმა, მორტენს ნიდაყვი გაჰკრა და პასუხს არ დაუცადა, ასე გაემართა ბაქანზე გასასვლელად. შესახედაობა მეტად სერიოზული ჰქონდა.

მხოლოდ მაშინ, როცა მატარებელი დაიძრა, ჟენეტამ ალერსიანად აიღო მორტენის ხელი და თქვა:

— მამა ძალიან გამიჯავრდა, სულ მეუბნებოდა, მემკვიდრეობას წაგართმევო. მაგრამ ჩემოდანი ტრამვაიმდე მაინც მოვიტანა. დედასთან მოთათბირება მე არ შემეძლო, ხოლო ფრაუ კოლმა მითხრა: „წადი, ჟენეტა, შენ არაფერს არ კარგავ, უკიდურეს შემთხვევაში, შეგიძლია უკანვე დაბრუნდე“. აბა, ახლა მაკოცე!

ოგე პაღესენი

ი უ გ ი ლ ე

ზღვიდან სუსხიანი ქარი უბერავდა. ბრტყელი კილით უზარმაზარ ძელებს დაყრდნობილი „მატილდა“ მოტივტივე დოკში იდგა. მისი ანძები ოდნავ კიაფობდა ღამეული ღრუბლებით დაფარულ ცის ფონზე. კორპუსს დოკის ფოლადის მისადგომის ბნელი ფარავდა.

მოტივტივე დოკის ბოგირზე ნაბიჯის ხმა მოისმა. მომავალს ხის ფეხსაცმელი ეცვა. ეს გახლდათ ნილს ჰანსენი — იმ ბრიგადის უფროსი მუშა, რომელიც „მატილდას“ ცისტერნებს აცემენტებდა. ნაპირზე მიეჩქაროდა, ოსტატისათვის უნდა შეეტყობინებინა, სამუშაო დასასრულს უახლოვდება, ბრიგადა საცაა უკანასკნელ განყოფილებასაც მორჩებაო.

ოსტატ ბერგესენს სახე გასწითლებოდა, ისე ცხელოდა კანტორაში. მაგრამ ვინ იცის, იქნებ რამდენიმე ტოლჩა ლუდი დალია? ნილსი ისე ელაპარაკა ბრიგადირს, როგორც ტოლი ტოლს, თუმცა უბრალო მუშა გახლდათ. მართალია, ნდობით სარგებლობდა, მაგრამ მაინც უბრალო მუშა იყო. შემთხვევით ბერგესენმა „შენობით“ მიმართა. შემთხვევით? იქნებ ეს განგებ გააკეთა და ამით ჰანსენს აგრძნობინა, ხვალიდან კოლეგები ვიქნებითო? ბერგესენს ერთი ისეთი ფრაზა წამოცდა, რომ ჰანსენმა დიდი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, ტყუილ-უბრალოდ არ იტყოდაო მაგას.

— რა გაგიჭირდება, თუკი ისეთი კაცი გყავს, ვისაც სამუშაოს ანდობ, — თქვა მან.

ნილს ჰანსენს მაინცადამაინც არ ეჩქარება გემბანზე დაბრუნება. უნდა მოიფიქროს ყველაფერი, გაერკვეს. იგი მოტივტივე დოკზე იდგა და სიბნელეში ძლივს გასარჩევ გემს შესცქეროდა. გემის კიჩოზე, სადაც ბრიგადა მუშაობს. ელექტრონათურა ენთო. ალბათ მისი ამხანაგები გემბანის სხვა მუშებთან მივიდნენ. ვინ იცის, კიცხავენ კიდევაც, რატომ აჩქარდა და ბრიგადირს წაუღო ამბავი, სამუშაო უკვე დავამთავრეთო. ჰანსენი კი იმიტომ წავიდა ბერგესენთან, რათა რაიმე გაეგო ხვალინდელი დღის შესახებ... და მაინც ბერგესენმა არაფრით არ გასცა თავი. მხოლოდ ეს ერთი ფრაზა წამოისროლა: „რა გაგიჭირდება, თუკი ისეთი კაცი გყავს, ვისაც სამუშაოს ანდობ“. ეს იმიტომ თქვა, რომ ჰანსენი ხვალინდელი დღისათვის შეემზადებინა. ალბათ, დირექციას უნდა არაფერი გაამჟღავნოს ხვალამდე, თორემ ბერგესენს როგორ არ ეცოდინება, რომ ხვალ ოცდახუთი წელი ხდება, რაც ნილს ჰანსენი ნავსაშენში მუშაობს.

დროდადრო ნილსს ეშინოდა, ვაითუ უფროსობამ დაივიწყოს ეს ამბავიო. უნდოდა შეეხსენებინა ბერგესენისათვის. მაგრამ შეეშინდა, თავხედობად არ ჩამომართვასო. თანაც ეს ცნობები სარეგისტრაციო წიგნებში მოიძევება.

ამხანაგებმა იცოდნენ მისი იუბილეს ამბავი. ისინი ლაპარაკობდნენ, ჰანსენს ნამდვილად გამოუძახებენ დირექტორთან და მედალს გადასცემენ მრავალი წლის ერთგული სამსახურისათვისო. ჰანსენს თავი ისე ეჭირა, თითქოს ხუმრობად მიაჩნია მათი ლაპარაკიო და მხოლოდ აგნესს — თავის ცოლს გაუმხილა, იმედი მაქვს, ამ შემთხვევით ისარგებლებენ და ერთგულ მუშას დამაჯილდოვებენო. აგნესს ხმა არ ამოუღია, მაგრამ ეტყობოდა დაეჭვდა. როგორ უნდოდა ჰანსენს ცოლისათვის ეამბნა, რომ დღეს ბერგესენმა მას გაანდო იმ მოსალოდნელი სიურპრიზის ამბავი, რასაც უფროსობა უმზადებდა.

ის მცირედიც, რაც ბერგესენმა უთხრა, ისიც უნდა შეატყობინოს აგნესს. ნილსს გულში ხინჯად ჰქონდა, ცოლი ყოველთვის არ მექცევა საჭირო პატივისცემითო. შვილებიც დედის კვალს ადგანან. ახლა ყოველ შემთხვევაში ის მაინც იცის, რა აზრისაა მასზე ბერგესენი. ხოლო ხვალ, დღის მიწურულს,

როცა ყველაფერი დასრულდება, ცოლ-შვილიც სხვა თვალით შეხედავს მას.

მაგრამ ნილსს მაინც ეშვი ღრღნიდა. მოხდება კია მოსახდენი? ეშინოდა, ვაითუ ცოლ-შვილი ვერ გაახაროს და ამხანაგებსაც ვერ მისცეს გაკვირვებისა და შურის საბაბი. ნილს ჰანსენს იმედი ჰქონდა, რომ მას არა მარტო მხარზე ხელს მოუთათუნებენ, როგორც ეს დღეს გააკეთა ბერგესენმა (დაე ეს იყოს თვით დირექტორი). არა, ჰანსენი სხვა რამეს ელოდა თავისი ოცდახუთი წლის მუშაობის ჯილდოდ. როცა ამხანაგები დასცინოდნენ, მედალს მიიღებო, ჰანსენიც ხუმრობითვე პასუხობდა, მაგრამ გუნებაში ფიქრობდა: „აი, მოვა ის დღე და მარტო მედალს კი არა, სხვა რამესაც მივიღებო“.

დოკისაკენ უბერავდა დეკემბრის ცივი ქარი. ჰანსენი ცივ ცემენტს დასტრიალებდა თავს და მთლად დასველდა. საცაა ზამთარი დადგება — წლის ყველაზე მძიმე დრო. ზამთრობით ცემენტის ორმოები იყინება, სველი ტანისამოსი სხეულის სითბოთი ვეღარ შრება და ჯავშანივით ბორკავს ადამიანს. სიცივე ძვლებამდე ატანს. ხოლო ღამით კი, როცა გათბები, რევმატიზმები აგეშლება. ნილს ჰანსენი ისევ ქარში იდგა და ვერ გადაეწყვიტა: დაბრუნებულიყო გემბანზე თუ არა. სულ ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა, ეშვს იმედი სცვლიდა. უნდოდა ყველაფერი აეწონ-დაეწონა, მოეფიქრებინა, ამხანაგების ლაუბობამ კი შეიძლება ხელი შეუშალოს... რა თქმა უნდა, ბერგესენს შეეძლო ენიშნებინა, ხვალიდან კოლეგები ვიქნებითო. ალბათ, დირექტორი ჰკითხავდა ბერგესენს, რა აზრისა ხართ ნილს ჰანსენის ოსტატის თანაშემწედ გადაყვანის შესახებო. ბერგესენის სიტყვებით მარტო იმას მიხვდება კაცი, შენი დანიშვნით კმაყოფილი ვიქნებიო.

ოსტატთა კანტორაში ყოველთვის თბილოდა. მყუდროება სუფევდა. აქ ხშირად იყრიდნენ თავს ოსტატები ზამთრის ცივ დღეს და მასლაათობდნენ. იქნებ ზოგ ვინმეს არ ეპიტნაოს ჰანსენის ოსტატის თანაშემწედ დანიშვნა. მაგრამ ნილს ჰანსენმა იცის, რომ დაიმსახურა დაწინაურება და სრული უფლება აქვს თავისი ადგილი დაიჭიროს ოსტატთა კანტორაში. ისიც ივარაუდა, სად უნდა დაჯდეს: ბირგესენის დიდ კარადასა და საწერ მაგიდას შორის. ნილს ჰანსენმა თავისი თავი წარ-

ბოიდგინა ოსტატის თანაშემწედ, როცა მისი ამხანაგები დაბლა ყინულს ალხობენ. ხანდახან გამოვა და დახედავს მუშებს და მაშინ ბერგესენი აშკარად ეტყვის თავის კოლეგებს, არც ისე ძნელია ოსტატად მუშაობა, როცა გყავს თანაშემწე, ვისაც ენდობი...

ახლა როცა ნილს ჰანსენი ბრიგადაში უფროსია, წინააღმდეგი არ არის მონაწილეობა მიიღოს წვრილ-წვრილ ეშმაკობებში, რათა ცოტა ფული იშოვოს. როცა ოსტატი გახდება, ამას თვალს აარიდებს. არავის ათქმევინებს, აგე ნილს ჰანსენი — ყველაზე მკაცრი ზედამხედველი ისაა, ვინც ოდესღაც თვითონ იყო მუშაო. ძალიან ესიამოვნება, თუკი მასზე იტყვიან: „დალახვროს ეშმაკმა, ნილს კაცური კაცია, ბერგესენი მაგასთან სად მოვა“.

ეგ ხომ ეგრეა, მაგრამ მეორე მხრივ ჰანსენს არ უნდა უფროსების მოტყუება — ისინი ხომ ენდობიან ოსტატის ახალ თანაშემწეს. დირექტორმა ნამდვილად იცის თავის საქმისა, როცა ასეთ კაცს ნიშნავს ოსტატის თანაშემწედ. ნილს ჰანსენს უნდა მთლად უფროსობას ჩააბაროს თავიცა და მუშაობის ოცდახუთი წლის გამოცდილებაც. ერთხელ წინადადება შეიტანა, კორპუსის ფსკერზე მეტი მოქლონი გავაკეთოთ, რათა ტალახი და ნალექი მალე ჩაიწმინდოს ცისტერნიდან, ეს დაზოგავს დროსა და შეამცირებს ხარჯებსო. ბერგესენმა მაშინ მხოლოდ პირი დააღო. დროისა და სახსრების დაზოგვის ასეთი წესი არასოდეს მოსვლია თავში. მაინცადამაინც საქმე საფუძვლიანად არც გაუჩხრიკავს. ტყუილად ხომ არ არის, რომ ლაპარაკობენ, ოსტატს თანაშემწე სჭირდებაო. ეგების დირექტორსაც აქვს რაიმე ღრმა მოსაზრება და ბერგესენის მდგომარეობა არც ისე მყარია. რა იქნება ხვალ? ნილს ჰანსენს ისევ მიეძალა ეჭვი, როცა „მატილდას“ გემბანზე ნაბიჯის ხმა მოესმა. მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ სიცივემ ძვლამდე გაატანა, რადგან მთელი ეს დრო აზრით ბერგესენის ფართო სავარძელში იჯდა.

სიბნელეში ძლივს არჩევდა ამხანაგებს, რომლებიც დოკის დაქანებულ კიბეზე ჩამოდიოდნენ.

— რაო, უთხარი, რომ ყველაფერი მზად გვაქვს? — ჰკითხა ერთმა მათგანმა.

— ჰო, — უპასუხა ჰანსენმა.

— ბერგესენს გაუკვირდა, როგორ მოასწარით და ცისტერნებს თავი გაართვითო?

— ეშმაკს წაუღია ბერგესენი! წავიდეთ აქედან. ჩვენ უკვე ვიფიქრეთ, ნილსი ალბათ დაიხრჩოო, იმდენი ხანი შეგაგვიანდა. ვინ იცის, სქელოსთან თბებოდი და იუბილეს ანგარიშში წინასწარ ლუდს მიირთმევდი.

ნილსმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს არც გაუგონია ხუმრობა და იკითხა, ხომ ყველაფერი წამოიღეთ ნაპირზე, რაც საჭიროაო. მუშები ცემენტის ვედროებს რეცხავდნენ.

— შეგიძლია წახვიდე და ნახო, — მიიღო პასუხად.

სიჩუმე ჩამოვარდა. დიდი და მძიმე შრომის შემდეგ ადამიანს მოთმინება აკლდება. როცა მოედანზე გამოვიდნენ, ნილსი ყველაზე უკან იყო. ისეთი გუნება გახდომოდა, თითქოს ამათ წრეს აღარ ეკუთვნოდა. და ეს უსიამოვნო იყო. ნეტავ ეჭვობენ თუ არა რასმე მუშები. ლაპარაკობდნენ თუ არა მის შესახებ, როცა იგი მათთან არ იყო? სასადილოში, სადაც მუშების ტანსაცმლის კარადები იდგა, ჰანსენმა ამხანაგებს სიურპრიზი მოუმზადა: კარადაში დამალული ჰქონდა ლუდის ბოთლები, რომლებიც წინასწარ ეყიდნა დუქანში. და ახლა ისინი სუფრაზე ჩამოდგა. სუფრას ოცამდე კაცი უჯდა. მუშების დაღლილ, ფერნამკრთალ სახეებს სიცოცხლე დაეტყო. ყველანი რიგრიგობით უჯახუნებდნენ ჭიქას ნილს ჰანსენს, სვამდნენ სადღეგრძელოს იუბილარისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე დანიის სავაჭრო ფლოტს შესწირა. იქნებ ეს ლაპარაკი ცოტა მაღალფარდოვანი ჩანდა, მაგრამ განა ნილს ჰანსენისთანა ხალხი არ შველის გემის პატრონებსა და აუქციონერებს შემოსავალი გაიბევრონ? ისინი კი, რომლებიც ნილს ჰანსენივით დაუსვენებლივ შრომობენ ოცდახუთი წელიწადი, არ ზოგავენ ძალასა და ჯანს, ისინი რას იღებენ? სწორედ იმდენს, რომ შიმშილით არ მოკვდნენ. როცა ძალ-ღონე შემოაკლდებათ, პანღურის კვრით გამოაგდებენ გარეთ — მხოლოდ ამის იმედი უნდა იქონიონ. ერთ პირზე დგომა და გამტანობა — აი, რა დარჩენიათ მათ, ვინც კაპიტალისტებისათვის შრომობს. მოდი, ჩვენი ძმაკაცობისა დავლიოთ!

კაცი, რომელიც ამას ამბობდა, წაქეზების ოსტატი იყო, ნილს ჰანსენი ვერ იტანდა მას. თანაც ძმაკაცობის სადღეგრძე-

ლოში დაცინვას გრძნობდა. თითქოს ამით ეუბნებოდნენ, ხვალ შენ უკვე ჩვენი ამქარი აღარ იქნები, ექსპლოატატორების მხარეზე გადახვალო. ჰო, სწორედ ამის თქმა უნდა წამქეზებელს— ოსტატი ხომ დაქირავებული მუშა არ არის, იგი მოსამსახურეა, რომელსაც მყარი ჯამაგირი აქვს და თუკი საქმე კარგად წავა, შეიძლება პრემიის იმედიც იქონიოს. ასეთი გახლდათ კეთილსინდისიერი მუშაკების დაჯილდოების მეთოდი. სწორედ ხვალ მოხდება ეს... ასე რომ არა, მართლაც გამოდის, რომ მუშას საბოლოოდ მხოლოდ პანღურის იმედი უნდა ჰქონდეს. გარდა მაგისა, ოსტატი პენსიასაც იღებს, ფიქრობდა ნილს ჰანსენი, როდესაც უკანასკნელ ყლუპ ლუდს სვამდა.

მუშები ერთმანეთის მიყოლებით მიდიოდნენ საკონტროლო საათთან. ერთი წკაპ, და საშვი მზადაა. ნილსი უკანასკნელი იყო. კარებთან მათ ბერგესენი შემოხვდათ.

— ღამე მშვიდობისა, ბიჭებო! — თქვა მან, — ხვალ არ დაგაგვიანდეთ, მშრალ დოკზე „ვიოლას“ ცისტერნა უნდა გავწმინდოთ.

— კეთილი! — უპასუხა ნილს ჰანსენმა, და გუნებაში გაიფიქრა, ამას ალბათ სხვა ვინმე გააკეთებს, თუკი....

დღეს გასასვლელში კაპრალი პეტერსენი იყო მორიგე. იგი არცთუ ისე დიდი ხანია, რაც ნავსაშენში მუშაობს.

— თქვენ, ალბათ, რა ხანია მიირთვით, სასადილოში ილაყბეთ. რა იქნება ნახევარი საათით ადრე გავთავისუფლდე.

— აბა, — წამოიძახა ნილს ჰანსენმა, — მხოლოდ ეგ ოსტატ ბერგესენის საქმეა, ის კი ახლახანს წავიდა, — არ უნდოდა ეამბნა პეტერსენისათვის, ამხანაგები ლუდზე დავპატიჟე ჩემი 25 წლის იუბილის გამოო.

— ჩვენ რეკრუტები არა ვართ! — გაისმა ხმა ხალხიდან და პეტერსენის თაგვის თვალი წამქეზებელს მიაჩერდა.

— ღამე მშვიდობისა! — თქვა მან ცივად და ბრაზიანად.

— ეგ უმაწვილი კაი სილაქების ღირსია, — შენიშნა ერთმა მუშამ, როცა ყველანი ჭიშკარში გამოვიდნენ.

— სად გაქრა ნილს ჰანსენი? — იკითხა ვიღაცამ. ნილსი მართლაც არ ჩანდა.

— აი ნახავთ, თუ „მატილდას“ გემბანზე არ იყოს წასული, ცისტერნების შესამოწმებლად, — უპასუხა მეორე მუშამ.

შინ მიმავალი მუშები ლაპარაკობდნენ, როგორი უცნაური კაცია ნილს ჰანსენი, როგორ სასაცილოდ კეთილსინდისიერია. რაინც ყველა გრძნობდა, რომ იგი კარგი ამხანაგია, რომელსაც შეიძლება ენდო. დღეს მან ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცა, როცა ლუდით გაუმასპინძლდა მუშებს.

ნილს ჰანსენს არ უნდოდა, ამ უკანასკნელ დღეს მისი მუშაობა ვინმეს ტუჩზე დაედო და ამიტომ დაბრუნდა გემბანზე. დასწყევლოს ეშმაკმა, ხვალინდელმა საზეიმო დღემ დააკარგვინა თავისი მოვალეობა... სინათლე ყველგან ჩაექროთ, მაგრამ ჰანსენი დაჯერებით დაალაჯებდა გემბანზე. სანთელი აანთო და ტრიუმში ჩავიდა, გაანათა ერთი ბანის ქვენა და დაათვალიერა იგი. მუშებს წასვლისას დავიწყნიათ ფსკერზე ცემენტის გასწორება და ამიტომაც ზედ დარჩენია მათი ხის ფეხსაცმლის ნაკვალევი. ჰანსენი იატაკზე გაწვა, ბანის ქვენაში შეაცურა და ხელით დაუწყო სწორება ცემენტს. როდესაც ოსტატი იქნება, მუდამ შეახსენებს მუშებს, საქმეს ბოლომდე ჩაჰყევითო. დღეს ეს ცოტა უხერხული იქნებოდა. ნილსმა შემთხვევით სანთელს შეუბერა და ჩააქრო. არ ამდგარა, სცადა ეგრევე მწოლიარეს ამოეღო ჯიბიდან ასანთი, მაგრამ დაცურდა და თავქვე დაეშვა. თითქმის სრული სალტო-მორტალე გააკეთა და პირველ სანთელი აანთო — ცემენტი ნამიანი იყო და სანთელი აწრიპინდა. ჰანსენმა საკმაო დრო დაჰკარგა. ბოლოს თავისი კვალი წაშალა ცემენტზე და ფრთხილად გამოვიდა ბანის ქვენადან. ეშინოდა კიდევ არ წავიქცეო.

მაინცადამაინც არ მიუჩქაროდა ნაპირზე. გემბანზე მიმოდიოდა, ხელში მბჟუტავი სანთელი ეჭირა და ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა. წარმოიდგენდა, როგორ დაიბარებდა დირექტორი. ეგების იქ სხვა უფროსი ბატონებიც იყვნენ... აი, იგი შედის და მას აუწყებენ დაწინაურების ამბავს. რა თქმა უნდა, იგი მადლობას ეტყვის ამ ბატონებს, რომ მათ ასეთი ნდობა გამოუცხადეს უბრალო მუშას. დაპირდება, ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი შემეძლებაო... ასეთ შემთხვევას ჭიქა ღვინო არ აწყენდა! გადავკრათ, ბატონებო! თქვენი დღეგრძელობისა იყოს, ოსტატის თანაშემწე ჰანსენ! ამიერიდან თქვენ ჩვენიანი ხართ!

მოტივტივე დოკიდან გამოსვლისას ჰანსენს მოაგონდა, რომ

აგნესმა სთხოვა. დღეს შინ სპეცსამოსი მოიტანე. უნდა გავიცხოო. რათა მანძილი შეემცირებინა, ჰანსენმა გადაწყვიტა ნავსაშენ მოედანს გავიელი და სასადილოში ისე მივალო. აქ. სადაც საერთოდ ცხოვრება დუღს, როგორღაც განსაკუთრებით იგრძნობა სიჩუმე. სიბნელეში გემები ვეება მძინარე ცხოველებს ჰგვანდნენ... გემებს რომ ჩაუარა, ჰანსენი როგორღაც ალერსით შეეხო მათ ფოლადის ტანს. ახლა ყველაფერს სხვა თვალით უყურებდა. ეს უსულო საგნები გაცოცხლდნენ და დიდი მნიშვნელობა მიეცათ. ხოლო მუშები, მისი ძველი მეგობრები, თანდათან დაშორდნენ, ლეგა ნისლში შთაინთქნენ. მასა და მის მეგობრებს შორის კედელი აღიმართა. ეს კედელი იყო მანქანები, გემები. ნილს ჰანსენი თავს უკვე კედლის იქითა მხარეს ხედავდა, თუმცა ჯერ არ გადაებიჯებინა ზღვარი, მაგრამ ესეც ხომ საცაა მოხდებოდა...

უეცრივ ჰანსენმა იგრძნო, ცოტა შეზარხოშება მისწრეპა იქნებაო, რათა ბოლო დღეების ეპვი დავძლიოო. კარადაში კიდევ რამდენიმე ბოთლი ლუდი დარჩა. სინათლე არ აუნთია, ისე გამოათრია ის ბოთლები და მაგიდას მიუჯდა. ასე იჯდა სიბნელეში, გემრიელ ლუდს შეექცეოდა და თავს მშვენივრად გრძნობდა. ეპვი თანდათან ჩამოიბერტყა. კაცმა რომ თქვას. ცოტა გული წყდება, მეტი ვეღარ დაჯდება ამ ბუნაგში ამხანაგებთან ერთად. ახლა ნილს ჰანსენი თითქოს თავის წარსულს უხდიდა პანაშვიდს, იმ დღეების პანაშვიდს, როცა ის უბრალო მუშა იყო. წარსულს რომ გადახედა, გაახსენდა, როგორ ჩამოვიდა აქ და როგორ ეძებდა სამუშაოს ნავსაშენზე. მაშინ აქ მხოლოდ ის იყო იწყებოდა საქმე, არ იყო ნამდვილი წესრიგი. და დაწესებულება რომ ასეთი გახდა, ამაში ნილს ჰანსენსაც უდევს წილი. ხვალ ამის გამო დაწინაურებაც მოელის... ყოველად შეუძლებელია, რომ მას მომავალი მხოლოდ „პანლურს“ უმზადებდეს, როგორც ამას ის წამქეზებელი ამბობდა. და სანამ ჰანსენი ასე იჯდა და ფიქრობდა, სულ უფრო ბრაზობდა იმათზე, ვინც ცდილობს ამხანაგები უფროსობას აუმხედროს.

რა თქმა უნდა, გვარიანი ხანი გავიდა, ვინემ მისი დამსახურება აღიარეს. მას ხომ ცოტა რაიმეს მოლოდინი მაშინაც ჰქონდა, როდესაც ათი წელი შეისრულა ნავსაშენზე მუშაო-

ბისა. ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ. მაგრამ მაშინ კრიზისი გამწვავდა, დაიწყო შემცირებები, დირექტორი შეცვალეს და ვისლა ეცალა ნილს ჰანსენისათვის. კიდევ კარგი, რომ სხვებივით სამუშაო არ დაჰკარგა. ესეც თავისებური ჯილდო იყო. იმ შავ დროს დაინდეს... თუმცა იმათ შესანიშნავად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ. იმთავითვე მოიპოვა მათი ნდობა, და ის უფროს მუშად აქციეს. და აი ჰანსენი ახლანდელ დირექტორთან უკვე 15 წელი მუშაობს. ეს ხუმრობა როდია. წარმოება სოლიდური გახდა და წვრილ ხარჯებს ანგარიშს აღარ უწევს. მარტო დაწინაურება კი არა — ნილს ჰანსენის დაჯილდოებაც კი შეუძლიათ. ერთი ხუთასკრონიანი რომ მისცენ! იცოცხლეთ. აგნესი მაგ ფულს მოიხმარს და აზრიანადაც დახარჯავს. მას უყვარს კარგი ავეჯი. დაბოლოს, შეუძლია შეიძინოს ხალიჩა. რომელიც ოცნებად გახდომია მრავალი წელი... ხუთასი კრონი არც ისე დიდი ფულია, როცა გაიფიქრებ, რა დიდი ხანი მუშაობდა ადამიანი მათ საშოვნელად. მაგრამ ეგების ამით არ ამოიწუროს ყველაფერი...

ნილს ჰანსენმა ცარიელი ბოთლები შეაგროვა და კარადაში ჩადგა. იგი არ გახლდათ ჩვეული ყოველ დღეს ლუდის გადაკვრას, ამიტომ აგნესი არ გაუჯავრდება, რატომ აღნიშნე შენი იუბილე ამხანაგებთან ერთადო. უთუოდ გაიღიმებს, როდესაც შეამჩნევს, რომ ქმარი გადაკრულშია. ნილს ჰანსენს ცოტა ზარხოში მოეკიდა, ტანში სასიამოვნო სითბომ დაუარა. ახლა მტკიცედ სჯეროდა ხვალინდელი წარმატება.

ნილს ჰანსენი სიბნელეში იდგა და იღიმებოდა. ფიქრობდა ჩემს ცოლ-შვილს გაჭირვება აღარ შეხვდებაო. ოჯახის უფროსი — საამაყო ქმარი და მამა — ოჯახის საიმედო დასაყრდენი იქნება.

ნილს სულ ახსოვდა, რომ შინ უნდა წაეღო სპეცსამოსი. კი მაგრამ, დირექტორთან წასვლა ხომ ჭუჭყიანი სპეცსამოსითაც შეიძლება, თუ არადა მაშინ სუფთა კოსტიუმით მოუხდება „ვიოლაზე“ მუშაობა. აგნესმა ეგ ვერ მოიფიქრა. თვითონ ნილსსაც მხოლოდ ახლა მოაგონდა ეს. ხვალინდელი დღის საზრუნავმა წაიღო მთლად... მას უნდა ხვალ ჭუჭყიანი ტანისამოსი ეცვას. თავმდაბალი კაცი სწორედ ასე მოიქცევა. ამხანაგებიც მოუწონებენ საქციელს. მიღების საათი რომ დაჰკრავს,

იგი ტანისამოსს გამოიცვლის. ისიც კი გაიფიქრა, რომ ახლა მორიგე პეტერსენი საქმეს გაუპირვებს, ამდენ ხანს სად იყავიო. ეს გუმანი მაინცადამაინც არ ესიამოვნა.

საკმაოდ ბევრი დრო გავიდა. იქნებ სჯობდეს გზის შემოკლება, რკინის ჯართზე გადასვლა და ღობეზე გადახტომა? ჰანსენს გაეცინა, როცა გაიფიქრა, როგორ მოვატყუებ იმ ღორის დინგა კაპრალსო. შემდეგ რკინის ჯართის გროვაზე აფოფხდა. აქა-იქ თავი ამოეშვირა რკინის წვერებს. სიბნელეში სიფრთხილე გმართებს, შეიძლება ტანისამოსი შემოგეხიოს...

ნილს ჰანსენი ღობეზე შეხტა და ის იყო უკვე მეორე მხარეზე უნდა გადასულიყო, რომ უფრო იგრძნო, ვინემ დაინახა მისკენ გამოქანებული მყეფარი. „დარაჯის ძაღლია“, — გაიფიქრა ნილსმა და შიშისაგან გააჟრჟოლა. ის საზიზღარი ძაღლი უმ ხორცს იყო ნაჩვევი, ამით სისხლის სიყვარული ჩაუნერგეს. ახლა მტაცებელივით უხაროდა მსხვერპლი. ძაღლი ჰანსენის წინ დადგა, პირი დააღო, ნილსის ერთი განძრევა, და ძაღლი ყელს გამოღადრავდა. პეტერსენმა ფარანი მიანათა.

— აბა, მოშორდი აქედან, — დაუტატანა ძაღლს, — ოჰო, ეს ხომ ნილს ჰანსენია! — მორიგეს გაკვირვებისაგან ხმაც კი გამოეცვალა. — გირჩევნია შენ თვითონ ჩამოდი, თუ არ გინდა, რომ ძაღლმა დაგგლიჯოს. მაგას აქვს ჩემი გაგონება!

პეტერსენმა ძაღლს დაუძახა. ნილს ჰანსენი ღობიდან ჩამოვიდა და მორიგეს მიეკრო. ძაღლი ავად ღრინავდა და ჰანსენს გარშემო უვლიდა.

— იმედი მაქვს, თქვენ გესმით, რომ მე დანაშაულზე წაგასწარით. პატარა ცდა გაქცევის ან წინააღმდეგობის გაწევისა, და, ძაღლი დაგგლეჯდათ, — პეტერსენის ხმაში ბრძანების კილო ისმოდა.

ნილს ჰანსენი არც ფიქრობდა წინააღმდეგობა გაეწია. თავზარდაცემული შესცქეროდა ძაღლს, რომელიც გარშემო უვლიდა მას და თითქოს პატრონის ბრძანებას ელოდა.

პეტერსენი ერთ ხანს ჰანსენს ათვალიერებდა და ბოლოს თქვა:

— რა უნდა მოგეპარათ?

ნილს ჰანსენი გაჯავრდა და ამან უშველა გონს მოსულიყო.

— თუ იმედი გაქვთ, რომ ქურდობას დააბრალებთ კაცს,

ვინც ოცდახუთი წელია ნავსაშენზე მუშაობს, ძალიან ცდებით, — თქვა მან.

ძაღლი ხმამაღლა ყეფდა და საცა იყო, ჰანსენს უნდა მივარდნოდა.

— მოაშორე აქედან ეგ დაწყევლილი ძაღლი, არადა ერთი მაგრად ჩავარტყამ.

— მე არ ვიცი რამდენი წელია თქვენ აქ მუშაობთ, მაგრამ ეს სრულებით არ ეხება საქმეს და აი ის, რომ მე დაგიკირეთ შუაღამით, როდესაც ღობეზე გადადიოდით...

— აჰა, — გააწყვეტინა ნილს ჰანსენმა, — მე სწორედ შინ მივდიოდი! მოაშორეთ ეგ ძაღლი აქედან, თორემ ხვალ გაჩვენებთ თვალის სეირს.

— რაო, იმუქრებით კიდევაც! — მაგრამ ძაღლი მაინც მოიხმო და დააბა. — თქვენ ამბობთ, რომ წასვლას აპირებდით და განა ამავე გზით მოხვედით?

— არა, არა, მე დღეს ამხანაგებთან ერთად გამოვედი. — თქვა ნილს ჰანსენმა. — და იმიტომ დავბრუნდი, რათა ჩემი ჭუჭყიანი ტანისამოსი წამეღო. მინდოდა ხვალ გამომეცვალა... — კინაღამ არ წამოცდა, ჩემი 25 წლის იუბილის გამოო. მაგრამ თავი შეიკავა, არ ღირს მაგას ახსნა-განმარტება დაეუწყოო. ისიც გაიფიქრა, რა ელდა ეცემა ხვალ პეტერსენს, როცა ჩემს დანიშვნას გაიგებსო... ჯერ მხოლოდ უბრალო მუშაა და იძულებულია ზოგ რასმე შეურიგდეს. მაგრამ, საბედნიეროდ, სხვა დრო დგება და ოსტატს შეუძლია თვითონ მოსდოს შარი მორიგეს...

— ეგ რა დიდი ხანი მოუნდით სპეცსამოსს? ალბათ რაიმე საკბილოს ეძებდით? — ჩააცივდა პეტერსენი.

„მაგალითად საბურღ დაზგას ან გემს“ — უნდოდა ეპასუხნა ნილს ჰანსენს, მაგრამ უფრო გონივრულად ჩათვალა, მორიგე აღარ გაებრაზებინა და რადგან იფიქრა, პეტერსენი ტყუილსაც დამიჯერებსო, მორიგეს აუხსნა: მე სასადილოში ვიჯექი და ამხანაგებთან ერთად ქირაზე ვლაპარაკობდიო. ჩამოვარდნილი სიჩუმე იმის ნიშანი იყო, რომ პეტერსენი დაუფიქრდა ნილსის სიტყვებს. და იქნებ დაიჯერა კიდევაც.

— რა ეშმაკი მოგარბენინებდათ ამ ღობეზე? არ გიჯობდათ ჩვეული გზით გევლოთ? ჩანს, სინდისი სუფთა არა გაქვთ.

— აბა, აბა, — უპასუხა ნილს ჰანსენმა, — სინდისი სუფთა მაქვს. უბრალოდ ვერ შევამჩნიე, როგორ გავიდა დრო. ანგარიშები არ გამოგვდიოდა, ამიტომ ძალზე შემაგვიანდა. მერე გავიფიქრე, რომ ღობეზე გადასვლა უფრო ადვილია, ვინემ მთელი მოედნის გავლა.

— კეთილი, — ცივად შენიშნა პეტერსენმა. — ახლა მაინც წამოდით ჭიშკრისაკენ და მე ისე გაგატარებთ, როგორც წესია. იმედი მაქვს, სხვა დროს ღობეზე არ გადაძვრებით.

— არა, არა, — უპასუხა ნილს ჰანსენმა და გაიფიქრა, ოსტატი მაგას როგორ იკადრებსო. მერე პეტერსენსა და ძაღლს გაჰყვა. ძაღლი ისევე ეშვით შესცქეროდა, კბილებს უსვენდა.

— ფუი, ეშმაკო, — აღმოხდა პეტერსენს, როცა ისინი ჭიშკარს მიუახლოვდნენ, — სადა გაქვთ სპეცსამოსი, რომელიც ვითომ დაგავიწყდათ? ეს ამბავიც ისევე გამოიგონეთ, როგორც დანარჩენი სხვა. თანაც თქვენ ნასვამი ხართ, ლუდის სუნი ამოგდით.

ნილს ჰანსენი დაიბნა და წაიპუტბუტა, ადამიანს შეუძლია გადაჰკრას ძმაკაცებში, როდესაც... კინაღამ არ წამოცდა თავისი იუბილე, მაგრამ თავი შეიკავა და გაჩუმდა. არ ენდობოდა პეტერსენს, რომელიც ახლა (ეს ჰანსენმა ნამდვილად იცოდა) ძალზე ეჯავრებოდა, და ტყუილის გზაზე შედგა: სპეცსამოსი ღობის იქით გადავაგდეო, უფრო სწორად, ძაღლის შიშით ხელიდან გამივარდაო. ღობემდე საკმაო მანძილი იყო, და ჰანსენს იმედი ჰქონდა, პეტერსენს აზრად არ მოუვა ჩემი შემოწმებაო. პეტერსენმა მართლაც არ შეამოწმა, რადგან შემოვლა უნდა დაესრულებინა. ნილს ჰანსენს მოეჩვენა, რომ ბოლო კეთილი დაურჩა. ეგების ლუდმა აურია ჭკუა, ამიტომაც ვერ შეამჩნია ეშვი პეტერსენის გაქვავებულ სახეზე, როცა მან ნილსი ჭიშკარში გაატარა. ისიც ვერ შეამჩნია, რომ მორიგემ, ცოტა არ იყოს, ცივად უთხრა, „ღამე მშვიდობისა“.

სამად მოხრილი მუშები „ვიოლას“ წყლის ბაკებთან ჩაცუცქულიყვნენ. „მოიტა“ — გაისმოდა შეხუთულ ჰაერში. ნილს ჰანსენი უკანასკნელი მიდის და წყლის ბაკების გაშრობას ამოწმებს. მან თიხის ნაგლეჯი მიატყეპა ერთ ნაკვეთურს, რათა ჭუჭყიანი წყალი არ გამოვიდეს იქედან, და ბაყაყივით

გადახტა. სხვა ნაკვეთურში. ნაკვეთურები ერთიმეორეს გასდევდნენ და ამ გვირაბს მიუყვებოდნენ ჰანსენის ამხანაგები, რომელთაც ხელში ეჭირათ სანთლები, ინსტრუმენტები, ცოცხები, ბარები და ვედროები. სუნთქვას ლამის ჩაექრო სინათლის ალი. იგი იყო მბეუტავი, წითელი, რადგან არ ყოფნიდა ჟანგბადი. არაბუნებრივად მოღუნული მუშები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ მხრებითა და ფეხებით. ყველა ნაკვეთურიდან ასხამდნენ ტალახსა და წყალს. როცა ნილს ჰანსენი ოსტატი გახდება, იგი იზრუნებს არა მარტო იმაზე, რომ ბანის ქვენა გაადიდოს. მოფიქრებული აქვს ათიოდე წინადადება, რომლებიც ერთი შეხედვით თითქოს არაფერია, მაგრამ მათი მეშვეობით სამუშაოს პირობები გაუმჯობესდება და მეტი ეკონომიაც მოხერხდება...

— ეს სასარგებლო იქნება, — აუხსნა ნილსმა ღამით აგნესს. აგნესმა თითქოს დაუჯერა და მასაც გაუჩნდა ფულადი პრემიის იმედი. მართალია, ხუთასი კრონისა, მეტის არა.

ნილს ჰანსენმა წუხელ ვერ დაიძინა. ეს იყო მისი მუშად ყოფნის უკახასკნელი ღამე. მაინც უცნაურია და სასიამოვნო, რომ ახალ საფეხურზე ახვალ, მიიღებ დაწინაურებას. იგი ფიქრობდა, ჩემს ცოლს რა ხანია სძინავსო, მაგრამ სწორედ ამ დროს აგნესმა უთხრა, საბოლოოდ გადავწყვიტე ნოხის ყიდვაო.

თუმცა ნილს ჰანსენი სულ რიღაცის მოლოდინში იყო, მაგრამ მაინც ელექტროდენმა დაუარა, როდესაც ამხანაგებმა დაუძახეს. გემბანზე იდგა ბერგესენი. ჩანს, რაღაც განსაკუთრებული მომხდარა.

— სასწრაფოდ დირექტორთან, — თქვა ოსტატმა.

მაშ, არც ბერგესენმა იცის რაიმე. „მაგისთვისაც მოულოდნელი იქნება“, — გაიფიქრა ნილს ჰანსენმა. თავბრუ ეხვეოდა საამო ღელვისაგან, ხელები უთრთოდა, როცა სასადილოში სამოსს იცვლიდა.

— თქვენ რა გნებავთ? — შეეკითხა კანტორის მოხელე, რომელიც დირექტორის მისაღებ ოთახში იჯდა.

— დირექტორმა გამომიძახა, — უპასუხა ნილს ჰანსენმა და სცადა ეს ისე ეთქვა, როგორც ოსტატს შეჰფერის და თანაც არ

უნდოდა მეტისმეტი ქედმაღლობა გამოეჩინა კანტორის მოხელესთან.

— აჰა, ეს თქვენა ხართ ნილს ჰანსენი? — ჰკითხა მას კანტორის მოხელემ.

ნილს ჰანსენმა დასტურად თავი დაუქნია. მაშინ კანტორის მოხელე გაემართა იმ კარისაკენ, რომელზედაც ეწერა „დირექტორი“. მან დააკაკუნა.

— დირექტორი გთხოვთ, მიბრძანდით!

ეს სიტყვები ძალიან ესიამოვნა ნილსს და დაამშვიდა იგი, თორემ აღელვებას აღარაფერი უკლდა, როცა წარმოიდგინა, რომ ერთ ოთახში აღმოჩნდება ასეთი დიდი წარმოების უფროსთან ერთად. უეცრივ მოაფიქრდა: ყვავილებს ხომ არ მომართმევენო. რა თქმა უნდა, ყვავილებს მიართმევენ. თითო ყვავილი თითო წელიწადში... სულ ოცდახუთი ყვავილი იქნება. ეს აგნესმა თქვა. სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ ყვავილებს მოგართმევენო, თუმცა დეკემბერში ყვავილი ძვირიაო. ადვილი შესაძლებელია, რომ უფროსობას ყვავილებზე ეფიქროს. ნილსის ვარაუდით, ცოლი მაშინ უნდა მოსულიყო ჭიშკართან, როდესაც მას დირექტორთან გამოიძახებდნენ, საშუადღეო შესვენებამდე ერთი საათით ადრე — ესაა დირექტორის მიღების ჩვეულებრივი დრო და აგნესი ყვავილებს შინ წაიღებდა. ეს დრო დადგა, იქნება აგნესი უკვე ჭიშკართან დგას და იცდის...

მაგრამ ამ დიდ ოთახში არავითარი ყვავილები არ იყო. იქ ეკიდა ყველა გემის სურათი, რაც კი აშენებულა ამ წარმოების ჩამოყალიბებიდან. ნილს ჰანსენმა გაიფიქრა, ამ გემების მშენებლობაში მეც მირევია ხელიო. თუ ეგ არა, ისინი ზღვაში ვერ იცურებდნენო. ამ დროს შეამჩნია, რომ აქ მარტო დირექტორი არის, ნილს ჰანსენს კი რატომღაც ეგონა, ჩემს დანიშვნას სხვა უფროსებიც დაესწრებაო.

— დირექტორმა ჩემი გამოძახება ინება, — დაიწყო მან, — მე ნილს ჰანსენი გახლავართ...

დირექტორი დიდ მაგიდას უჯდა ჰანსენისაკენ ზურგშექცევით. იგი შეკრთა, როდესაც ნილსი ალაპარაკდა. ნახევარზე მოწეული სიგარა ჩაკვნიტა, რომელიც პირში ისე შერჩენოდა, თითქოს ტუჩს შეზრდიაო. მერე მუშას შეხედა და ხელი რა-

ღაც ქაღალდს დააფარა, შეიძლება ეს იყო ბრძანება — დღევანდელი დღის შემდეგ ნილს ჰანსენი ოსტატის თანაშემწედ ინიშნებაო, მაგრამ ნილსს რაღაც არ მოეწონა დირექტორის გამოხედვაში, რაღაცამ წარსტაცა თავდაჯერება და კიდევაც ააკანკალა. და დირექტორის სიტყვები, რომელთა მოსმენა მოუხდა ნილს ჰანსენს, ჰგავდა ყინულოვან სეტყვას და არა იმ თბილ შხაპუნას, რისი იმედიც ჰქონდა მას.

რა მუხანათობა ჩაუდენია მორიგე პეტერსენს, რა რაპორტი მიუწერია დირექტორისათვის, რომელიც მას ახლა მაგიდაზე უდევს. და ნილს ჰანსენი დიდი სინანულით გამოუტყდა თავს, არავითარი საბაბი არ მქონდა წუხელ მეფიქრა, უკვე უბრალო მუშა აღარ ვარო. რა გაეწყობა, მორიგე პეტერსენი რომ არ ჩარეულიყო, იგი ახლაც ვერ მოხვდებოდა დირექტორთან. ასე მიემსგავსა ნილს ჰანსენი იმათ, ვისაც არ უნდა აღიაროს, ჩემი ოცნება ფუჭი გამოდგაო და რაღაც უბრალო შემთხვევის აბრალებს თავის მარცხს.

სალაპარაკო ამოიწურა. ნილს ჰანსენი აფორიაქდა, ისე ღელავდა, რომ აღარც პროტესტი შეეძლო, არც თავის გამართლება. სიბრაზე უდუღდა გულში, იმ კოცონის მსგავსი სიბრაზე — ანთება რომ არ სწადია. გულით უნდოდა ამ პირში სიგარაგარჭობილ ლოდს მივარდნოდა, მაგრამ ეს სურვილიც აუსრულებელი დარჩა, რადგან იგი მუშა იყო, რადგან მას ცოლ-შვილზე უნდა ეფიქრა. და იმ წუთს, როდესაც ქურდობა დაბრალეს, ნილს ჰანსენმა გუნებაში თქვა: „აბა, დაწყნარდი, შეიკავე თავი, ამ კაცს შეუძლია შენს შვილებს ლუკმაპური წაართვას! დინჯად! საიმისოდ საკმაოდ ბებერი ხარ, რომ ცხოვრებაში რაიმე მოიპოვო. შენ გემბანის ვირთხად დარჩები“

ჰანსენისათვის გამოტანილ განაჩენში ეწერა: „თუ ეს გამეორდება, თქვენ მოხსნა გელით“. და მხოლოდ იმიტომ, რომ ბერგესენს არ შეეძლო მასზე ცუდის თქმა, საქმე ამით გათავდა.

„ნილს ჰანსენზე ცუდის თქმა...“ ოცდახუთი წლის მუშა ქუჩაში იდგა კანტორასთან და უხმო სიცილისაგან ისე კანკალებდა, თითქოს ქვითინებსო. ცუდის თქმა არ შეუძლიათ და ქურდობას კი აბრალებენ... ესეც შენი ყვავილები... ოცდახუთი წლის მუშაობის ჯილდო...

უეცრივ აგნესი დაინახა. ქალი იდგა რიკულებიან ჭიშკართან და ხელს უქნევდა ნილსს, რათა ქმრის ყურადღება მიეპყრო. აგნესმა შეამჩნია, როგორ გამოვიდა იგი კანტორის შენობიდან და იფიქრა, ყველაფერი გათავდაო. ნილს ჰანსენმა დაბნეულად დაუქნია ხელი, მაგრამ აგნესმა ვერ გაიგო და ახლო მივიდა. ნილსიც მიუახლოვდა ჭიშკარს.

— წადი შინ, აგნეს... არაფერი არ ყოფილა... არავითარი ყვავილები, — ჩურჩულით უთხრა ცოლს და სასოწარკვეთილმა მაგრად ჩაეჭიდა ჭიშკარს, თითქოს ეს იყო საპატიმროს ჭიშკარი. რომელმაც იგი თავისუფალ სამყაროს ჩამოაშორა.

ნოკვეტიული

მ. ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი

ეივინ ბოლსტადი

ეშმაკეული ნავი

მებადურმა თქვა: „ითმინე და ხმას ნუ ამოიღებ, მაგრამ იცოდე, ღარიბს ენა იმიტომ აქვს, რომ თავი არავის დააჩაგვრინოს“.

ბერგენის სამხრეთით, სანაპირო ზოლის უდაბურ ქვიან კუნძულთა შორის ერთი მშვენიერი, აყვავებული კუნძული მდებარეობს. მას ოდესღაც სახელი მოუხვეჭა ჩინებულმა კარტოფილმა. ამ კუნძულზე ერთი მებადური ცხოვრობდა, ბედმა წვრილშვილი არგუნა და სხვა საბოძვარიც არ დაიშურა მისთვის — ეს გახლდათ დაუშრეტელი მარაგი იუმორისა და ჭირთა თმენა. შვილი სულ რვა ჰყავდა — არც მეტი, არც ნაკლები. მებადურის ოჯახს ძალიან უჭირდა, მაგრამ შესაშური მამაცობით იტანდა გაჭირვებას.

მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ საზრისიან, გაუტეხელ მებადურს კინაღამ სასო არ წარეკვეთა. სწორედ ეს შემთხვევა გახლავთ ჩვენი მოთხრობის საგანი.

სივერტი ერთი პატარა, ჩია კაცი იყო. ძალზე გრძელი კისერი ჰქონდა და წინწამოწეული ხვინჩი. სამაგიეროდ ხმას არ იკითხავთ? სიმღერის მცოდნეები ამბობდნენ, მაგისაგან მშვენიერი მომღერალი გამოვიდოდაო. თმა შავი ჰქონდა, ულვაში — ქერა, გაფუნჩულებული. მისი მოკაუჭებული ცხვირი

თითქმის ეხებოდა პატარა ნიკაპს, რომლის ქვეშ პატარა ღაბაბი მოუჩანდა. ეს ღაბაბი მებადურს დამცინავ იერს აძლევდა და იყო კიდევაც დამცინავი.

ვერავის გაეგო ხეირიანად, რატომ მისთხოვდა მშვენიერი დორდი ელემლიანდი ხელმოკლე სივერტს. მაგრამ ყველაფერი იმას ადასტურებდა, რომ ქალს ეს სანანებლად არ გახდომოდა. დორდი მდიდარი ოჯახის შვილი იყო. ამ ოჯახს ჰქონდა კარგად გაწყობილი კარ-მიდამო და თევზსაჭერი მეურნეობა. ასეთი ქალი ქალაქშიაც მდიდარ საპატარძლოდ ჩაითვლებოდა. ძმებმა სამემკვიდრეო წილი წაართვეს და ერთმანეთში გაიყვეს. დორდიმ სასაცილოდ აიღო ძმები, სივერტმა კი მათ შესახებ ისეთი თავშესაქცევარი ამბავი შეთხზა, რომ მთელი ზღვის ნაპირი მოიარა და ყველგან მოიკიდა ფეხი, სადაც კი მსგავსი რამ მომხდარა. ასეთი ადგილები კი ბევრი იყო ზღვის ნაპირზედაც და ქვეყნის შიდა ნაწილშიაც. იქნებ შიდა ნაწილში უფრო მეტიც.

ერთხელ ვაჭარი რეინერგ მუსებერგეტი ვალის დავთარს ათვალიერებდა და აღმოაჩინა, რომ სივერტის ვალი ორ სხვადასხვა ადგილას იყო ჩაწერილი. მუსებერგეტმა ფული დააჯამა და ძალზე გაოცდა: ვალი იმდენი აღმოჩნდა, რომ სივერტი იმას ნელ-ნელაც ვერ გადაიხდიდა. ამ ფულს ვაჭარი უნდა გამოთხოვებოდა. ვინც მუსებერგეტს იცნობდა, ადვილად მიხვდებოდა, რომ ასეთი დანაკლისი ვაჭრისათვის ყოველგვარ უბედურებას აღემატებოდა. ვაჭარი ფიქრობდა, საზრობდა, ეს როგორ მოხდა, რომ ჩემი მონაგარი ასე ქარს გავატანეო და უეცრივ მოაფიქრდა: საქმეში, ეტყობა, ჩარეული იყო სივერტის გოგონა — მესამე ქალიშვილი, რომელსაც უცნაური სახელი ერქვა, აურონიკას ეძახდნენ. ეს აურონიკა მუსებერგეტის დუქანში მუშაობდა და მასზე თვალი ეჭირა არა მარტო იქაურ ყმაწვილკაცობას, ვაჭარსაც გულში ჩავარდნოდა. მაგრამ როგორც კი ვაჭარს ეჭვი შეეპარა, ქალიშვილის ინტერესი ისე გაუქრა, როგორც მზე აქრობს ცვარს. შავმა ფიქრმა დარია ხელი ვაჭარს, ძილიც კი დაჰკარგა. უბრალო საქმე ხომ არ არის! ამოდენა ზარალი! მუსებერგეტმა კარგად იცოდა, რომ თვითონ სივერტს ნებას არ მისცემდა ამოდენა ვალი აეღო, თუმცა იგი აურონიკას მამა იყო. არა, მუსებერგეტმა იცის ვაჭრობის ყად-

ოი და ყამი. ყველაზე ცუდი ის არის, რომ სივერტს ნისიად წაუღია სათევზაო ბადე. აი ეს კი ვერ მოუნელებია მუსებერგეტს.

მრავალი უძილო ღამე გავიდა, ვაჭრის გულში ბევრი ნაღველი და შხამი დაგროვდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს მან ვალის ასაღებად ლენსმანი მიუგზავნა სივერტს.

სივერტმა მშვენიერი სახლი აიშენა. მებადურს ყველაფერი ეხერხებოდა. მას მარტო ხის ჩუქურთმა კი არ ეხერხებოდა, კიდევ ერთი მშვენიერი ნიჭი მომადლებოდა. სივერტმა ძველი ოსტატებისაგან ისწავლა სახლის მოხატვა შიგნიდან და გარედანაც. ისე კარგად ისწავლა, რომ გეგონებოდათ, მის მოხატულ სახლში მზე შემოსულაო, მაშინაც კი, როცა გარეთ ავდარი დგა. ეს ხელობა კაცს გროშებს თუ აშოვნინებდა, მაგრამ სივერტს მოსწონდა იგი, მას ღია ფერები უყვარდა და ისეთი გრეხილ-კულულები გამოჰყავდა, რომ კაცის თვალი იმაზე უკეთესს ვერას ნახავდა.

სივერტის ოჯახს თავზარი დაეცა: თვითონ გასინჯეთ — მუსებერგეტი, რომელთანაც ყოველთვის სიამტკბილობა ჰქონდათ, ახლა ვალის ართმევას უპირებდა. და მერე როგორ: სახლის წართმევა განეზრახა. პირველად თავის სიცოცხლეში სივერტს ფეხთ მოეკვეთა. როგორც არ დაეცა სკამზე, ისე იჯდა მთელი სამი დღე გაუნძრევლად. დორდი კი ხელების მტვრევით დადიოდა ოთახში. ჯანი გავარდნია სახლს, მაგის დარდი ვისა აქვს. სადარდებელი ისაა, რომ სივერტი მოტყდა. ქედი მოიხარა.

ერთ საღამოს მებადურის ცოლს გონი გაუნათლდა. იგი სამზარეულოსაკენ გაქანდა, სადაც სივერტი ისევ ისე იჯდა ღუმელთან და ნახშირის ცარიელ ყუთს მისჩერებოდა. სკამიდან ააგდო, საწვიმარი წამოასხა და წყევლა-კრულვითა და თან ლოცვა-კურთხევით ნავისაკენ წაათრია. სივერტმა გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ უკვე საჭეს უჯდა და ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა — იმ კუნძულისაკენ, სადაც ცხოვრობს მარტორქა.*

---

* მარტორქა — მეტსახელი ერთი მებადურისა. ბოლსტადის მოთხრობათა ერთი კრებულის მთავარი გმირი. მამაცი, გამბედავი და საზრისიანი მებადური, რომელიც ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა ვაღატაკებულ მოძმეებს.

შინ დაბრუნებული სივერტი ცოტა გამხიარულდა. მართალია სახლში ისე დადიოდა, თითქოს იქაურობას ემშვიდობებაო, მაგრამ დორდის ესმოდა, როგორ ღიღინებდა მისი ქმარი სხვენზე, როგორ მღეროდა რაღაც სეედიან სიმღერას სარდაფში, როგორ სტვენდა სუფთა ოთახის წინ. ამ ოთახის კედლები შშვენიერი ვარდებით იყო მოხატული. შემდეგ სივერტი სწორედ იმ ნაყშით გახდა ცნობილი. სივერტმა ჯიბეში ხელი ჩაიწყო და ოთახში გაიარ-გამოიარა. ცოლმა, რომელიც თვალს არ აშორებდა ქმარს, შეამჩნია, როგორ შეჩერდა იგი ზღურბლზე და როგორ აუთამაშდა ტუჩები. გასაგებია: რაღაც ოინს იგონებს.

„ჩემმა ოინბაზმა ისევ თავი ასწია, — შვებით გაიფიქრა დორდიმ, — მაშ, საქმე საკეთილოდ შემოტრიალებულა! ალბათ, მარტორქამ კარგი რჩევა მისცა, ეგ ეშმაკის ფეხი ყოველთვის რაღაცას მოიგონებს“.

გათენდა შაბათი დილა. სივერტმა ფარდულში საკიდარიდან ცარიელი ტომარა ჩამოხსნა, სამზარეულოში შეიხედა და ისე. სასხვათაშორისოდ უთხრა თავის დასახლისს:

— წავალ მუსებერგეტთან, რაიმე უნდა ვიშოვო, უქმე ჯღეს შშივრები ხომ არ ვიქნებით.

ცოტა ხნის წინათ სივერტმა ცოტა ფული იშოვა: სახლი მოუხატა ერთ ყმაწვილ კაცს, რომელსაც ისე ჰქონდა საქმე, რომ სასწრაფოდ უნდა გადაეხადა ქორწილი.

მუსებერგეტის დუქანში ლაპარაკი ჩაკვდა, როდესაც ზღურბლზე მოისმა სივერტის ბოხი ხმა:

— მშვიდობა თქვენ და მეც თქვენთანა.

მუსებერგეტმა ზიზღით ახედ-დახედა და ხმაურით შეისუნთქა ბურნუთი. მაგრამ უეცრივ ვაჭარმა ყურები ცქვიტა. მისი თვალები მიეჭდო იმას, ვინც სივერტს შემოჰყვა დუქანში. ეს გაცლდათ მარტორქა. უკვე ნახევარი წელი გავიდა, რაც მარტორქა მის ოთახში არ გამოჩენილა. იმ ნახევარი წლის წინ კი კარგი ოინი უყო. როცა ეს ორნი ერთად დაინახა, მუსებერგეტმა იგრძნო, ჩემს თავს კარგი ამბავი არ �რისო.

როგორც საერთოდ შაბათობით, დღესაც დუქანში ხალხის ტევა აღარ იყო. ერთ კუთხეში მოგროვილიყვნენ მებადურები და თამბაქოს ღეჭავდნენ. მეორეში შეკუჩულიყვნენ ხანში შე-

სული, შავთავსაფრიანი დედაკაცები და ჭორაობდნენ. მათ მიმატებოდნენ წითელი ზედაწელითა და შუშის მძივებით დამშვენებული ქალაქელი გოგონები. ისინი კოპწიაობდნენ და თვალი მამაკაცებზე ეჭირათ. თამბაქოს ბოლი დასწოლოდა დაბალჭერიან დუქანს, გარეთ კოკისპირულად წვიმდა და დუქანში მყიდველთა შალის ტანისამოსის სუნი იდგა.

სივერტი და მარტორქა შუა დუქანში შეჩერდნენ და ისეთი სახე მიიღეს, თითქოს დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ ჭერზე მიმაგრებულ სასწორის პინებს.

ზოგმა მებადურმა ღიმილის დაფარვა სცადა და საფურთხებლისაკენ წავიდა, ვითომც თამბაქო უნდა გადააფურთხოსო. მებადურები კარგად იცნობდნენ ორივე ოინბაზს. ალბათ ახლა ისეთი რამ მოხდება, რისი შინ მოყოლაც ღირს. სიჩუმე ჩამოვარდა. დედაკაცებიც კი გაჩუმდნენ და ქვეშ-ქვეშ უყურებდნენ სივერტს — ადვილი სათქმელია, ეს ხომ ის სივერტია, რომელსაც მალე გამოაგდებენ საკუთარი სახლიდან. მოხუცი იონი სივერტისა და მარტორქას მოსვლამდე რაღაცას ჰყვებოდა. ახლა სცადა იმ ამბის გაგრძელება, მაგრამ მალე ისიც გაჩუმდა. სივერტმა ჩაახველა. დახლთან გირებს გაუდიოდა წკრიალი. ნოქრები ავსებდნენ ტომრებსა და ვედროებს. შაბათობით ყოველთვის ყელისჭრა მუშაობაა და მუსებერგეტი ყოველთვის შველოდა მათ მუშტრების გასტუმრებაში. ახლაც მუშაობდა, მაგრამ ცალი ყური სივერტისაკენ ჰქონდა, აბა რას იტყვისო.

— შენ აქ ხალხს საკვირველებათა ამბავს ეუბნებოდი, იონ. — დაიწყო სივერტმა, — მეც ხომ ცოტა არ მიმოგზაურნია ნავით ჩემი დღე და მოსწრება, — სივერტმა მოხერხებულად გადააფურთხა ნაღეჭი და შიგ საფურთხებელში ჩააგდო, თუმცა საფურთხებელი კარგა ორი მეტრის მოშორებით იდგა. — ჰო, ეს იმ წელს მოხდა, როცა ფინმარკში თევზს ვიჭერდი. იქ ერთმა ნავის პატრონმა დამიქირავა. ორანძიანი ნავი იყო, მაგრამ ისეთი ჩინებული, ნავის უნახავს გაგხდიდა. იქ რაღაც საშინელი ამბები დაიწყო. პა-პა! ნავის ბიჭები სულ სამხრეთელები ვიყავით. მეპატრონე ისე გვეპყრობოდა. როგორც ქურდებსა და ყაჩაღებს. ადგილობრივ მოსახლეობას არ გვაკარებდა. ჰმ-ჰმ! ჯერ ამას ყურადღება არ მივაქციეთ. ჩვე-

ნი ბარგი-ბარხანა უკვე ნავში იყო და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენც ნავისაკენ ავიღეთ გეზი. და აი, ერთი მებადური ჩრდილოელი იყო, ანანიასი ერქვა. მერე დაიხრჩო საწყალი, მაგრამ ეს სხვა ამბავია... ჰოდა სწორედ ამ ანანიასს ძალზე უკვირდა, რისაგანაა, რომ ეს ჩვენი ფინმარკელი მეპატრონე, მებადურებს უცხო მხარის მცხოვრებელთაგან კრეფსო. დაათვალიერა ნავი, სულ გაშინჯა თვალდაკვირვებით, ყველა ჭანჭიკი და ხრახნი შეამოწმა, ჩაფიქრდა, მაგრამ არაფერი არ უთქვამს.

ერთხელ ღამით საჭესთან ვიდექი, ბნელი ღამე იყო. უეცრივ გავიგონე საქარედან ვიღაც ყვირის: „მიშველეთ!“ ნავი ქარისაკენ მივაბრუნე და ბიჭებს დავუძახე. საცვლების ამარა მოირბინეს და იმათაც ყური მიუგდეს. არაფერი ისმის! ამ დროს ღრუბლებში მთვარემ გამოიხედა, ზღვა სარკესავით ალაპლაპდა, შორიდანვე შეამჩნევდით წყლის უმცირეს ჭავლაც კი. ის იყო მებადურებმა შეხურება დამიპირეს, რომ უეცრივ კიჩოდან ვიღაცამ ისევ დაიძახა: მიშველეთო! ეს კი უკვე ყველამ გაიგონა. მაშინ მოიფხანეს კეფა ბიჭებმა. მართალია, „მიშველეთო“ ეს ძახილი მეტი აღარ გაგვიგონია, მაგრამ ერთჯერ ელტეფორდელმა მებადურმა თავისი დავითნი ღუმელზე ნახა. ფსალმუნს კი იგი ყოველთვის ზანდუკში ინახავდა. იმ ზანდუკს ძველებური ბოქლომი ედო, რომლის გატეხა გამოცდილ ქურდსაც გაუჭირდებოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ შეშინებული მზარეული მოგვეჭრა. კაიუტაში ლანგრით კარტოფილი შევიტანე და ისევ კამბუზში დავბრუნდი და დავინახე ჩემი ლანგარი ისევ ღუმელზე დგასო. ავიღე ლანგარი, წავიღე კაიუტაში, მაგრამ ისევ ღუმელზე აღმოჩნდა. „ერთი წუთიც არ მოვიცდი ამ ნავში, — ყვიროდა მზარეული, — გავიგებ რა ხდება აქ. ან მე დავკარგე ჭკუა, ანდა ვიღაცამ ჩემი მასხარად აგდება გადაწყვიტა“.

ჩვენმა ბოცმანმა სულელი დაუძახა, გემოზე შეუკურთხა და მერე ისე დაიჩხავლა, რომ ყველას გაეგონა — სხვა ნავის ხალხსაც, იმიტომ, რომ მზარეულიც კაი ომახიანი ხმის პატრონი იყო, მებადურებმა მშვენივრად გაიგეს რას ამბობდა მზარეული და ყური დაცქვიტეს.

— მე თვითონ დავდგები კარებში, აბა შენ ლანგარი წა-

ღლე კაიუტაში. ძე ხორციელს არავის შევუშვებ კამბუზში. აბა დატრიალდი!

მზარეული — ის სულ ცარცივით თეთრი იყო — კაიუტაში ჩავიდა და თან თავისი ლანგარი ჩაიტანა, მერე უკან დაბრუნდა და ფეხაკრეფით მიუახლოვდა ბოცმანს. იმან დაცინვით შეათვალიერა. სხვა ნავების მებადურებიც` არ განძრეულან. ყური ისევ ჩვენკენ ეჭირათ.

— ესეც ასე, — დაიყვირა ბოცმანმა, — აი ახლა ეს დოყლაპია დაინახავს, რომ კამბუზში არავითარი ლანგარი არაა. მაშინ შეეშვება სისულელის დაროშვას.

ბოცმანს უკვე წასვლა უნდოდა, მაგრამ ამ დროს მზარეულს შეხედა და გაშეშდა. ჩვენც პირი დავაღეთ და ისიც ვერ შევამჩნიეთ, როგორ გადავყარეთ წყალში თევზიანი ბადე. მზარეულს თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. ტუჩები უცახცახებდა და თვითონაც ისე კანკალებდა, როგორც ვერხვის ფოთოლი. იგი კამბუზში იყურებოდა და თითით რაღაცას აჩვენებდა. ბოცმანი დინჯად მობრუნდა — უკვე გრძნობდა, რის დანახვაც ეწერა. ნამდვილად ასე იყო. ღუმელზე იდგა კარტოფილიანი ლანგარი! ვეება ტანის ბოცმანი კი კარებში გაეჩხირა და შიგ არავინ შეუშვა.

მეხუთე დღეს კიდევ ახალი სასწაული მოხდა. მაშინ ყველა მებადურმა დასტოვა ნავი. არც თევზი დაგვიჭერია, თუმცა გარშემო წყალი სავსე იყო ქაშაყით. ხელითაც დაიჭერდა მოწადინე ადამიანი.

ნაპირზე ადგილობრივ ხალხს გამოველაპარაკეთ და ყველაფერი შევიტყვეთ...

დუქანში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. თვითონ მუსეებერგეტიც კი ცდილობდა ჩუმად გადაედგა ყუთები და გირები. როგორც არ ეჭირათ ნოქრებს ხელში ცარიელი ტომრები, ისევე გაშეშდნენ. თვალს ვერ აშორებდნენ სივერტს.

— გამოდგა, — განაგრძო სივერტმა, — რომ ჩვენს მშვენიერ ნავს ბევრი პატრონი გამოუცვლია. მაგრამ ვისაც არ უნდა ეყიდნა ნავი. ყოველთვის ერთი და იგივე ხდებოდა: რაღაც საკვირველებანი და უბედურებანი. ყველაზე საშინელი ის იყო, ყოველ აღდგომა დღეს ნავი გადაბრუნდებოდა ხოლმე და ფსკერისაკენ წავიდოდა. ამბობდნენ, ნავის პირველმა პატრონ-

მა ეშმაკს მიჰყიდაო სული, რათა არაწმინდას იგი საშინელი ქარიშხლისაგან ეხსნაო. საკვირველი საქმე გახლდათ. ნავს ვერას აკლებდა ვერც ქარიშხალი და ვერც ყინვა. აღდგომა დღეს კი, რაგინდ კარგი დარი ყოფილიყო, ნავი უსათუოდ დაყირავდებოდა. ამ დღეს იგი ყოველთვის სავსე იყო მლოცველებით. ხალხი ამბობს, სააღდგომოდ ეშმაკს იმის პროცენტები მიაქვს, რაც კი მისგან ვალად აუღიათ წლის განმავლობაშიო. მერე ნავი ისევ ზღვის ზედაპირზე ამოტივტივდებოდა და ისევ ვინმე თევზის ვაჭარს მიჰყიდდნენ, რომელმაც არ იცოდა, რომ ნავი დაწყეველილი იყო. ასე ხელიდან ხელში გადადიოდა იგი და მთელი ზღვის სანაპირო შემოიარა. ჩრდილოეთიდან სამხრეთით დაუყვა და თან მოჰქონდა უბედურება. ამ ნავზე მებადურს ხეირი არასოდეს არ უნახავს. ვინც პატრონთან შეზიარებული იყო, სამოწყალოდ გაუხდებოდა საქმე. ბოცმანები გაკოტრდნენ და სხვა მეპატრონეებს ეშინოდათ მათი დაქირავება. მშვენიერი ნავი იყო, მაგრამ ღმერთმა დაგიფაროთ და იმ ნავზე არ მოგახვედროთ, — დაასრულა სივერტმა, ერთხელ კიდევ მოხერხებულად გადააფურთხა თამბაქო და დახლს მიუახლოვდა. ხელში ათი კრონი ეჭირა. დაე ყველამ დაინახოს, რომ თუკი იგი რისამე ყიდვას დააპირებს, გადასახდელი ფულიც აქვს.

ისევ სიჩუმე იყო დუქანში. ყველა უხერხულად გრძნობდა თავს. შაბათობით სივერტი ყოველთვის თავშესაქცევარ ისტორიებს ჰყვებოდა ხოლმე, მაგრამ ამ ამბავმა სულ ერეოლა მოჰგვარა ყველას, თანაც დღეს თუ არა ხვალ ზღვაში თევზის საჭერად უნდა გავიდნენ.

აურონიკა ღიმილით მიუახლოვდა მამას. სივერტმა რაღაც სასაცილო გამომეტყველება მიიღო. ათი კრონი გაუწოდა შვილს და ხმამაღლა, ყველას გასაგონად უთხრა:

— გამარჯობა, ჩემო საყვარელო შვილო. აი შენ ასი კრონი, ათი კრონის საქონელი მომეცი, არ დაგავიწყდეს ოთხმოცდაათი ხურდა მერგება.

დუქანში ისეთი სიცილი ატყდა. რომ გარშემო ყველაფერს ხანზარი გაჰქონდა, მაგრამ მუსებერგეტს სიცილისათვის არ ეცალა. კბილები გაახრჭიალა და ცერად გადახედა მარტორქას. იგი იდგა კარნაგელს მიყრდნობილი და ისეთი გულუბრყვი-

ლო გამომეტყველება ჰქონდა, რომ კაცი უმალვე იფიქრებდა, ტყუილად არ მოჰყოლია აქ სივერტსო. სივერტმა ათივე კრონი დახარჯა, იყიდა საქონელი, მაინცადამაინც დიდი დოვლათი არ გადაბარგებულა დახლიდან მის ტომარაში. მებადურებმა კი იცოდნენ, რომ სივერტს შინ რვა მჭამელი ელოდებოდა. მუსებერგეტმა შეამჩნია, როგორ შეიკრეს მებადურებმა კოპები, მაგრამ ამ მიზეზით კი არ დაუარა ტანში ჟრუანტელმა.

სულ ორი დღის წინ მან ნამდალენის ჩრდილოეთით შეიძინა მშვენიერი ორანძა ნავი. უკვე ზღვაში გასასვლელად მზადაა ყველაფერი. რა თქმა უნდა, არა სჯერა ეს მიეთმოეთი. თანაც მის ნავს მხოლოდ ერთი პატრონი გამოუცვლია, დიდიდიდი ორი. მუსებერგეტს შეუძლია ეს დაამტკიცოს. მაგრამ მაინც, მაინც... რაღაცას უმზადებენ. ტყუილად ხომ არ ასწიცხვირი სივერტმა. ორ დღეს ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა. თანაც მარტორქა იმისათვის ხომ არ ჩამოსულა ჰამერნესეტში, რომ სივერტის ლაყბობას უგდოს ყური. არა, ეშმაკმა წაიღოს. აქ რაღაც იმალება.

ორი დღით ადრე ნავის ზღვაში გასვლამდე დუქანში შემოვარდა სიმონი, — ემანუილ უფლაქსის უფროსი ვაჟი. ერთი ლოყა სულ გასისხლიანებოდა და არა მარტო ლოყა, პერანგიც სისხლში ჰქონდა მოსვრილი. მუსებერგეტი დაჟინებით დააცქერდა სიმონს. ყმაწვილმა მებადურთა ცოლებს თავისი ლოყა უჩვენა. თვითონ ისე კანკალებდა, კბილი კბილზე ვერ მოეხვედრებინა.

— ვზივარ, — თქვა მან, — ჩემთვის კაიუტაში და ვწერ ჩემს გოგოს წერილს, შენ მშობლებს ყველაფერი გავუმხილე, რომ მალე, როგორც კი ზღვიდან დავბრუნდები, ჯვარი დავიწეროთ-მეთქი. უეცრივ ჭერიდან რაღაც დამეწვეთა ხელზე. აი ნახეთ! — და სიმონმა ისე გაიქნია გასისხლიანებული ხელი, თითქოს უნდა გადააგდოს.

დედაკაცებმა თავიანთი სასყიდლები დაივიწყეს და კარებს მიაშურეს, რომ მალე გასცლოდნენ იმას, ვისაც მათი ფიქრით არაწმინდასთან ჰქონდა კავშირი.

მუსებერგეტმა მუშტი მოუღირა საცოდავ სიმონს. დაემუქრა, კამარაშეკრული საცხონებელიც არ დააკლო. სისხლ

ხომ ხბოს ხორცს დასდენია, რომელიც იქვე კაიუტის თავზე ეკიდა.

— აბა, მომყევით! — დაუყვირა მუსებერგეტმა მებადურებს, რომლებიც დუქანში შეგროვილიყვნენ, — თქვენ ნახავთ, რომ სისხლი ხბოს ხორცს დაედინა.

მაგრამ როდესაც ნავის ერდოზე ავიდნენ, დაინახეს, რომ ხბოს ხორცი კიჩოს იქით ეკიდა და არა სიმონის კაიუტასთან. მუსებერგეტმა პირი დააღო, თვალებში ბრაზისაგან სისხლი ჩაუდგა. მაგრამ სიტყვა არ უთქვამს, მხოლოდ თავი გაიქნია.

იმ საღამოს მებადურები ზღვაში გავიდნენ, მოტორი უნდა გამოეცადათ — მოტორში მრავალი ახალმოდური მოწყობილობა იდგა. უეცრივ ყველამ და თვითონ მუსებერგეტმაც აშკარად გაიგონეს ყვირილი „მიშველეთ!“ მერე რამდენი არ უსმინეს, რამდენი არ იყვირეს, პასუხი არ მიუღიათ.

შუაღამისას, კაიუტაში თავმოყრილმა მებადურებმა ბევრი იფიქრეს. ხვალ შაბათია და კვირას ზღვაში უნდა გავიდეთო. მუსებერგეტი ირწმუნება, ეს სულელური ნაჩმახიაო. იმან მებადურებს საბუთები უჩვენა, საიდანაც ირკვეოდა, რომ ნავი ახალთახალია, რომ მან მხოლოდ ერთი პატრონი გამოიცვალა და თან იგი აუგიათ კარგა ხნის შემდეგ, რაც სიეერტი ფინმარკში თევზის საჭერად იყო ჩასული. ეს ყველაფერი ქაღალდზე ეწერა.

— ჰო, ქაღალდთან კამათი ძნელია, — ჩაფიქრებით თქვა ბოცმანმა. ყველანი სულგანაბული უსმენდნენ მას, — მართლა და მართლა ე მაგ დედაკაცურ ზღაპრებს როგორ უნდა შეუშინდეს კაცი! — დასძინა მან, — კარგი ერთი, ჯობს, ნაპირისაკენ გავემართოთ.

მაგრამ სწორედ ამ დროს იჩინა თავი უბედურებამ. ზევით რომ ამოვიდნენ, სიმონის ყვირილი გაიგონეს.

მებადურები ყოველთვის სამხრეთიდან მიადგებოდნენ ხოლმე ჰამერნესეტს — ასე უფრო მოხერხებული მისადგომი იყო. მაგრამ ამ საოცარმა ამბავმა ისე აურია გზა-კვალი ყველას, ვეღარც მოიგონეს, როგორ მიჰყავდათ ნავი. მარტო სიმონს ახსოვდა. იგი აკანკალებული ხმით ყვიროდა:

— გახსოვთ, ჩვენ ვოგენიდან წამოვედით? (ეს ნამდვილად ასე იყო), მერე ბრეკესტეენს ჩავუარეთ, (ეს უკვე მებადურებს

ალარ ახსოვდათ) და ნაპირს რიყის მხრიდან მივადექით. ახლა ჯ შეხედეთ, სანამ ჩვენ კაიუტაში ვიყავით, ნავი მოტრიალებულა. აქ არ დავრჩები, სანამ უწმინდური ძალა პარპაშობს ნავზე. თუნდაც ლენსმანი მომაყენონ კარზე.

იგი კაიუტაში გაიქცა. უეცრივ იქიდან ისეთი საშინელი ყვირილის ხმა მოისმა, რომ მებადურები იქითკენ გაიქცნენ, პატარა კიბეს ჩაუყვნენ. გადაწყვიტეს, ალბათ, სიმონს ჰკლავენო. დაბლა სიმონი კედელს მიყრდნობოდა და შიშისაგან თავზარდაცემული შეჰყურებდა ღუმელს. მებადურები მოტრიალდნენ. ღუმელზე ფსალმუნი იდო, ბოცმანის ფსალმუნი, სწორედ იქ ეგდო, სადაც ეკიდა ბოცმანის კურტაკი.

ყველანი მუსებერგეტს მიუბრუნდნენ. ბოცმანმა კი, რომელსაც სახეზე ეტყობოდა ერთი სული ჰქონდა ჯოჯოხეთის გზისათვის გაეყენებია ეს ნავი, — იჭვნეულად უთხრა ვაჭარს:

— ალბათ, შენი საბუთები ვერაა სწორი, ისე კი შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ სხვა ბოცმანი მონახე.

მებადურები ჯგროდ გადმოვიდნენ ნაპირზე.

იმ საღამოს მუსებერგეტი შინ ადრიანად წავიდა, დასვენებულმა უნდა მოვიფიქრო, რა ვიღონოო. ყველაფერი რომ თავიდან ასწონ-დასწონა, ზოგი რამ მოიფიქრა. მერე ისეთი რამ გააკეთა, რაიც ბევრით წააჭარბებდა ნავში მომხდარ ყველა საოცრებას. მუსებერგეტმა აურონიკა გაუგზავნა მამას. გაატანა მთელი დასტა ანგარიშებისა, რომლებზედაც ეწერა „გადახდილია“. ქალს, რომელიც ამ ბოლო დროს საეჭვოდ შესუქდა, უკან მისდევდა მოჯამაგირე. მას მიჰქონდა სურსათ-სანოვაგით სავსე ტომარა, თითქოს საშობაო პაპა ყოფილიყოს.

უკვირდათ, მაგრამ რა უკვირდათ მებადურებს მუსებერგეტის ხელგაშლილობა!

თუ წინა კვირას მუსებერგეტის დუქანში ხალხის ტევა არ ეყო, ახლა იმდენმა მოიყარა თავი, ნემსი ვერ ჩავარდებოდა. როგორც კი კედელზე ზარი აწკრიალდებოდა, მუსებერგეტი კარს მიაშტერდებოდა, სულ უფრო და უფრო ღელავდა. აი, ბოლოს სივერტიც მოვიდა. მხარზე ცარიელი ტომარა მოეგდო. მუსებერგეტმა ეს შეამჩნია: სივერტს დღეს არაფერი აქვს საყიდელი, ვაჭარმა მას შინ საკმაოზე მეტი გაუგზავნა

ხორაგი, მუსებერგეტმა მარტორქას თვალებში დამცინავი რაღაც ამოიკითხა. სივერტმა თავისი გრძელი ცხვირით ჰაერი შეისუნთქა და საფურთხებელში გადააპურჭყა. ახალგაზრდები აღტაცებით შესცქეროდნენ მას. ერთმა ჭაბუკმა ჯავრით სულ ფრჩხილები დაიკვნიტა, რატომ მეც ვერ ვახერხებ ეგრე გადაფურთხებასო.

— გაიგე, სივერტ, ჩვენთან გადმოინაცვლა იმ შენმა ეშმაკეულმა ნავმა, — მიმართა სივერტს ერთმა მებადურმა და ყველანი ალაპარაკდნენ. უამბობდნენ, რაც შეხვდათ ნავზე. სივერტი დინჯად უსმენდა მებადურებს და თავს აქნევდა, ამის გამო მებადურებმა მეტი შიში იგრძნეს, ხოლო მუსებერგეტს ხელებიც კი გაუოფლიანდა შიშისაგან.

სივერტი უსმენდა, უსმენდა, მერე უეცრივ ჭერისაკენ ასწია ცხვირი და ჩააბანა:

— ეგ, რა თქმა უნდა, ეგრე იქნება, მაგრამ მე განა არ მითქვამს, თქვენთვის, რომ ის ნავი რა ხანია სტეინსვიკენის ყურეში დაიწვა?

მუსებერგეტმა შვებით ამოისუნთქა და გაიფიქრა, კარგი იქნება სივერტს პროდუქტები კიდევ გავუგზავნო, თუნდაც ისეთები, რაც ფუჭდება და ოდესღაც კი პირველი ხარისხისა იყოო.

— სისხლი საიდანღა მოვიდა, — იკითხა კუთხეში მჯდომთაგან ვილაცამ.

— ჰა, ჰა, ჰა — გაიცინა სივერტმა, — ვერ ვიფიქრებდი, თუ ამდენი ალიაქოთი მოჰყვებოდა იმას, რომ ამ ყმაწვილმა, ვინემ სიმონი ნაპირზე მოირბენდა, ხბოს ხორცი კიჩოზე დაჰკიდა. ხომ შენ დაჰკიდე ხორცი? — სიცილით მიუბრუნდა იგი სწორედ იმ ყმაწვილს, ახლახანს გადაფურთხებას რომ სწავლობდა.

ყმაწვილმა ღიმილით თავი დაუქნია.

ბოცმანმა დინჯად ჩაახველა და შემდეგ სერიოზულად იკითხა:

— ყვირილით ვინღა ყვიროდა? ჩვენ ყვირილიც გავიგონეთ.

— ეგ მე ვყვიროდი, — აუღელვებლად უპასუხა სივერტმა, — ჩემი ქალიშვილი იყო კონცხზე, ილაჯი გაუწყდა საწყალს, ვერაფრით ვერ შემოათრია ეზოში ხბო, ადგილიდან ფეხი ვერ

მოაცვლევინა. თქვენ თვითონ იცით, როგორ ტყდება ხმა კლდეში კონცხთან და ექოს პირდაპირ ზღვაში გააქვს.

რა თქმა უნდა, მებადურებმა იცოდნენ ეს. ბიჭების ყველაზე საყვარელი გართობაც განა ეს არაა? თვითონ მებადურებიც და მათი მამა-პაპანიც ასე არ იქცევდნენ თავს პატარა ბიჭობაში: ავიდოდნენ კონცხზე და დაიყვირებდნენ კლდისაკენ პირშექცეულნი, მერე ყურს დაუგდებდნენ, ვისი ხმა უფრო შორს გაისმოდა გაშლილ ზღვაში.

მუსებერგეტს სუნთქვა გაუადვილდა. ახლა ფსალმუნი დარჩა. შეძლებს სივერტი ამ საოცრების ახსნასაც?

— ფსალმუნზე რაღას იტყვი? — პირქუშად ჰკითხა ბოცმანმა.

— განა იმ საღამოს შენ თვითონ არ ამბობდი, როგორ გამიზარმაცდა დედაბერი, მთელი დღე ვერ მოიცალა და გახეული ვერ გამიკერაო, — თქვა სივერტმა, — შენ ჯერ ისევ გეჭირა ხელში ფსალმუნი და ნაპირზე გადმოსვლას აპირებდი, რათა ახალი მქადაგებელი მოგესმინა. მერე გადაიფიქრე და ფსალმუნი ჯიბეში ჩაიდე.

— სწორია! — წინ წამოვიდა სიმონი, — ღმერთმანი, გავბრიყვდით და ეგაა! დასწყევლოს ეშმაკმა! შენი კურტაკი ხომ ღუმელის თავზე ეკიდა. გახეული ჯიბიდან გადმოვარდა ფსალმუნი და ღუმელზე დაეცა.

სახე გაუნათლდათ მებადურებს. არაწმინდის ჯადო გაიფანტა. ყველას გაეღიმა, ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს. ბოცმანმა უთხრა მუსებერგეტს:

— აბა, მეპატრონევ, ჩვენ დავბრუნდებით ნავზე. როგორც შეთანხმებული ვიყავით, ხვალ საღამოს ზღვაში გავალთ.

მუსებერგეტი სიხარულით კინაღამ არ აცრემლდა. სივერტმა ცხვირი მოიხოცა და თქვა:

— მგლის შეშინებული ძაღლი ლანდს უყეფდაო, ხომ გაგიგონიათ. ეშმაკი მაინცადამაინც საშიში არ გამოდგა.

სივერტი და მარტორქა დუქნიდან გამოვიდნენ, მათ შემდეგ გაისმა ზარის ხმა. მებადურებმა ერთმანეთს გადახედეს. მუსებერგეტს ბრაზისაგან მწვანე ფერი დაედო. ამჯერადაც საშინელი ოინი უყო მარტორქამ.

ორი კვირა გავიდა, რაც ნავი ზღვაში იყო და ყველამ შე-

ეტყო, რომ ბევრი თევზი დაიჭირეს. აურონიკა დედ-მამასთან მოვიდა და თვალდახრილმა უთხრა, სიმონისაგან წერილი მივიღეო. მწერს, ყველაფერი გულახდილად ვუთხარი შენს მშობლებსო. როგორც კი სიმონი დაბრუნდება, ქორწილის გადახდაა საჭირო. ქალი უკვე ხუთი თვის ორსული იყო და თანაც აურონიკას და სიმონს უყვარდათ ერთმანეთი.

იოჰან ზორგენი

გედნიერება

კვირაში ერთხელ მოხუცი დედაკაცი ლიზა მთიდან ბარში ჩამოდიოდა, საფოსტო ყუთს მოაკითხავდა. ძველ თხილამურებზე მოჰქროდა ზამთრობით. ამ თხილამურებს თავ-ბოლო მოცვეთილი ჰქონდა, მაგრამ სამაგრს ვერ დაუწუნებდით. დედაბერს იონის გაპოხილი და გემივით ვეება ჩექმები ეცვა და რომ გამხმარი ფეხები შიგ არ ჩაჰკარგოდა, ბლომად აფენდა ქაღალდს. როცა თხილამურის ჯოხს მინდობილი ბილიკზე მოექანებოდა და თოვლის ბუქს აშლიდა, ნამდვილად მთიდან დაქანებულ კუდიანს ჰგავდა.

შემოდგომით, როდესაც ჭაობთა კოლბოხებს წყალი დაჰფარავდა, ლიზა ძლივს მოაბიჯებდა, დიდი გაჭირვებით მოიკვლევდა გზას. ფეხთ მძიმე, ფორმადაკარგული რეზინის ჩექმები ეცვა.

სამაგიეროდ ზაფხულობით არ უჭირდა გზის გაგნება მოთიბულ მინდორზე, მტკიცედ მოაბიჯებდა სანახევროდ წყლით დაფარულ ყოლბოხებზე. როცა ლიზა გამოჩნდებოდა ხოლმე სოფელში, იქაურები ფანჯრებს მოაწყდებოდნენ და ამბობდნენ: „საკვირველია სწორედ, რა ყოჩაღადაა ლიზა, არ ბერდება“, და ბავშვს მიუგზავნიდნენ ხოლმე, ჭიქა ყავზე ეპატიჟებოდნენ. ლიზა ბავშვს დაეთანხმებოდა, იცოდა ბავშვებთან

შოქცევა, პატარებს უყვარდათ ლიზას სახის ცქერა. დედაბერის სახე ისე იყო დასერილი ნაოჭებით, როგორც გეოგრაფიული რუკა. რამდენი ბავშვი შიშითა და აღტაცებით მიჰკარებია ლიზას ხელების დაბერილ ძარღვებს, რომელთაც ყვითელი, სპილოს ძვლისფერი კანი ფარავდა და რომლებიც დიდი მინდვრებით დაყოფილ მთაგრეხილებს მიუგავდა.

დაღმართზე, სადაც ვიწრო, საცალფეხო ბილიკი დიდ შარაგზას ერთვოდა, სამი საფოსტო ყუთი ეკიდა — ლურჯი, წითელი და ყვითელი. ვინ იცის, რამდენმა ათეულმა წელმა განვლო, რაც იმ ბოძების გარშემო ზღუდე მოიშალა, მაგრამ სახელმწიფომ მთლად წესრიგში შეინარჩუნა სამი ბოძი. ესინი სახელმწიფო ბოძები იყო!

ლიზასი იყო ყვითელი ყუთი. ოდესღაც ამ ყუთს შავი ასოებით ეწერა ერთი მთაში მივარდნილი ადგილის სახელი, მაგრამ ასოები რა ხანია წაიშალა, თუმცა ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ფოსტალიონმა ყველა ყუთის მფლობელი იცოდა. იგი ისევე ბებერი იყო, როგორც ეს ყუთები, როგორც ლიზა.

ლიზას ცხოვრებაში სამი ღირსსაცნაური მოვლენა მოხდა: „ტიტანიკის“ დაღუპვა, იონის სიკვდილი ომში და ლატარიის მოგება. ორი უკანასკნელი ამბავი მან ფოსტის მეოხებით გაიგო. „ტიტანიკის“ დაღუპვამ შემთხვევით მოაღწია მის ყურამდე. ერთხელ ლიზასთან მგზავრმა შემოიარა. მას გაზეთი ჰქონდა და იმ გაზეთში იყო ცნობა. მაშინ ლიზას ჯერ ჩვეულებად არა ჰქონდა გაზეთის კითხვა და სულ მარტოდმარტო ცხოვრობდა, როგორც ახლა ცხოვრობს. მაგრამ, აი, ქალმა წაიკითხა ცნობა, სადღაც ზღვაში უზარმაზარი გემი ყინულის მთას დაეჯახაო. ამან თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა ქალზე. ამის შემდეგ ეს ამბავი მეხსიერებიდან ვერ ამოეშალა. იგი მისი ცხოვრების გარკვეული მიჯნა შეიქნა.

მერე ლიზამ მრავალი საყოველთაო, მსოფლიო უბედურება გაიგონა, მაგრამ ყველა ის კნინად უჩნდა „ტიტანიკის“ დაღუპვასთან შედარებით.

ის გამვლელი კაცი იონის მამა გახდა. იგი ტყიდან მოვიდა და ლიზასთან ღამე გაითია, როგორც ბევრი სხვა მოსულა ტყიდან და ბევრ სხვას გაუთევია ლიზასთან ღამე. იგი დილა-

ადრიან ადგა, ყავისა და ღამის გათევის ფული გადაიხადა, მადლობა უთხრა ლიზას და გამოემშვიდობა. ლიზა ვერც კი იცნობდა იმ კაცს, მეორე დღეს რომ არ ენახა.

ეს ლიზას ერთადერთი შეცოდება იყო. ცოდვით სული მაშინ დაიმძიმა, როდესაც უკვე ასაკოვანი გახლდათ და ამას ვნიშვნელობა არ მიანიჭა. ლიზას იონი ზაფხულს ეყოლა, დილა უთენიაზე. მაშინ მასთან არავინ იყო, მხოლოდ გუგულის ხმა მოისმოდა ტყიდან. როგორც კი მშობიარე მომჯობინდა, სათიბისაკენ გაემართა.

იონი წამოიზარდა, სკოლაში დაიწყო სიარული. გონებაგახსნილი ყმაწვილი დადგა. კარგად სწავლობდა, მექანიკის ავანჩავანი გაიგო და მალე დედას ამოუდგა მხარში. ლიზამ მეორე ძროხის ყიდვა შეძლო. როცა გერმანელები მოვიდნენ, იონმა და სოფლის სხვა ყმაწვილმა კაცებმა შარაგზაზე გერმანელთა ავტომობილი ჩაიგდეს ხელში. იონი ერთ სოფელში მოკლეს ქალაქის მახლობლად. როცა ოკუპანტებმა რადიომიმღები აკრძალეს, ლიზამ ერთი ძროხა გაჰყიდა და რადიო იყიდა. მორჩენილი ფულით ლატარიის ბილეთი შეიძინა. ერთხელ ამ ბილეთს მოგება ხვდა წილად. ლიზამ ფული სარდაფში შეინახა. ეს ფული ხომ იონს გამოადგება, იგი ისწავლის, საღამოს სკოლაში შევა, მერე ინჟინერი გამოვა. და ყოველთვის, როცა კი ფულს გადათვლიდა და ისევ სარდაფის კუთხეში მდგომ რკინის ყუთში ჩადებდა, ლიზას გაახსენდებოდა, რომ იონი აღარ არის. მაშინ ქალი ოთახში შედიოდა, მსოფლიოში დატრიალებულ საშინელ ამბებს უსმენდა და „ტიტანიკის" დაღუპვაზე ფიქრობდა.

კვირაში ერთხელ ლიზა სოფელში ჩამოვიდოდა, მოაკითხავდა საფოსტო ყუთს, რომელიც შარაგზის ბოძზე ეკიდა. იგი წერილებს ელოდა. გზად შემოხვედრილი ადამიანები გამოელაპარაკებოდნენ ხოლმე. იმათ ისე ეგონათ, რაღაც ბრალი მიგვიძღვის ლიზას წინაშეო. უნდოდათ, რითიმე დახმარებოდნენ დედაბერს. გულშემატკივრები ერთმანეთს ეტყოდნენ ხოლმე: „ძალიან ცუდია, რომ ლიზა მარტოდმარტოა, რაიმე რომ მოუვიდეს!"

უნდოდათ, როგორმე ხელი გაემართათ ლიზასთვის. ხშირად ბავშვს მიუგზავნიდნენ და სთხოვდნენ, ჩვენსა შემოია-

რეო. ქალი მაშინვე თავის გაუხეშებულ ბებერ ხელს ჩააცვლებდა ბავშვის სათუთ ხელს. ასე ხელიხელჩაკიდებულნი შედიოდნენ სახლში ლიზა და ის ბავშვი. ბავშვებს უყვარდათ ლიზა. ეგონათ, ლიზა რაღაც სხვა სამყაროს ეკუთვნისო. უყურებდნენ, როგორ უთამაშებდა ნაოჭები დედაბერს სახეზე, რომელიც მათ ბევრი სხვა სახის ნაკერები ეგონათ. ბავშვები დარწმუნებული იყვნენ, ლიზამ ამქვეყნად ყველაფერი იცისო.

მოზრდილებსაც ეხალისებოდათ ლიზასთან საუბარი. იმათაც ეგონათ, რომ ლიზამ სხვებზე მეტი იცის. პირდაპირ არა ჰკითხავდნენ მოხუც ქალს, გაქვს თუ არა რადიო, მაგრამ ცდილობდნენ, მისგან ამოექაჩათ ქვეყნის ამბები. ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ ლიზას მართლაც შეეძლო მომხდარი ამბები გადმოეცა არა ზოგად სახეებში, როგორც ეს მოხუცებმა იციან, არა, მან იცოდა, ყველა სოფლისა და ქალაქის ურთულესი და უგრძესი სახელწოდებანი. და როცა წინ რუკას დაუდებდნენ ხოლმე, მას ზუსტად შეეძლო ეჩვენებინა, სად ადიოდა ფრონტის ხაზი. რუკაზე მიმოატარებდა თითებს. დაგრეხილი თითები ფრინველის ნისკარტს მიუგავდა, თუმცა ხელები ლამაზი ფორმისა ჰქონდა. სოფელში ცოტა ვინმეს თუ შერჩა რადიო და კიდევ უფრო ცოტანი იყვნენ ისეთები, რომლებიც გაგონილის სხვისათვის გადაცემას გაბედავდნენ. ასეთი დანაშაულისათვის ხომ სიკვდილი მოელოდათ! გარდა ამისა, ყველას თავისი საქმე, თავისი საზრუნავი აწვა ტვირთად და ხშირად ავიწყდებოდა, რა ორომტრიალი იყო ქვეყნად.

ლიზას ისეთი საქმე არაფერი ჰქონდა, რაიც დიდ ფიქრს მოითხოვდა. მას ჰყავდა ერთი ძროხა და ჰქონდა ერთი პატარა საყანე ადგილი. ყანას კეთილი ადამიანები უხნავ-უფარცხავდნენ. სათიბსაც თვითონ უვლიდა. თვითონ თიბავდა, თვითონვე აშრობდა თივას. ზამთრობით ჭისაკენ თოვლს გაკვალავდა და ეზოს მოასუფთავებდა. შეშის დახერხვა კარგი იცოდა, შეშა კი მისთვის სოფლის მცხოვრებლებს მოჰქონდათ.

ლიზას საფიქრელი სხვა არა ჰქონდა რა, ამიტომაც იმახსოვრებდა ძნელ-ძნელ სახელებს, რაიც სხვებს ვერ დაემახსოვრებინათ. ასე, ამრიგად, გახდა მთიდან ჩამოსული ლიზა მაცნე დიდი, უკიდეგანო მსოფლიოსი. როცა ადამიანები წარ-

მოიდგენდნენ ამქვეყნად დატრიალებულ საშინელებას — ათასობით მკვდრებს, გაპარტახებულ ველ-მინდვრებს, ნაცარტუტად ქცეულ ქალაქებს—და გაოგნებულები პირჯვარს იწერდნენ, ლიზა „ტიტანიკის“ დაღუპვაზე ფიქრობდა და სადღაც შორს იყურებოდა, ისე, რომ არც არაფერს ხედავდა და არც არაფერი ესმოდა. მან ერთხელ და სამუდამოდ გამოიმუშავა თავისათვის საშინელებათა საზომი. მილიონობით მოკლული ადამიანი ვერ დააჭარბებს იმ ათას კაცს, რაიც „ტიტანიკმა“ ჩაიტანა. ოდესღაც გაიგო ქალმა ეს საშინელება და მან ისე შეაძრწუნა, რომ თითქოს მის გულს შეეზარდა და იქ განაგრძო არსებობა. იმ დროდან მოკიდებული უსაზარლესი ამბები თითქოს ლიზას არ ეხებოდა, ისე უბრალოდ სადღაც ხდებოდა.

საღამოობით, როდესაც ქარი არხევდა არყის ხეებს და მათი ფოთლები ფანჯრის მინებს ეალერსებოდა, სასიკვდილო საფრთხის არდამრიდი ლიზა რადიოს უსმენდა და ორკესტრის ხმა ავსებდა მის პატარა ოთახს. ლონდონში სამასი კაცი უკრავდა ლიზასათვის. მერე დედაბერი ხმას აუმაღლებდა და ოთახში ზვავად წამოვიდოდა ბეთჰოვენის მუსიკა, ხმათა ჩანჩქერი წალეკავდა ფაიფურის ძაღლით დამშვენებულ კარადასა და ოთახის ყვავილებით მორთულ რაფას. და მაშინ ქალის სულში ისევ აღორძინდებოდა „ტიტანიკის“ ტრაგედია. ქალი ხედავდა გემის წაფერდებულ ბანს, ესმოდა სიკვდილის შიშით სასოწარკვეთილი მამაკაცების, ბავშვებისა და ქალების კივილი. ეს კივილი ჰკვეთდა ღამეს და ზღვისაკენ მიექანებოდა. და თითქოს ზღვის ყინულოვანი, ცისფერი და მაღალი ტალღები თავს ევლებოდნენ ლიზას ოთახს და დედაბრის გულს უსასრულობის სიცივით ავსებდნენ. მერე კი, როდესაც მუსიკა იყუჩებდა, იგი დიდხანს უჯდა ხელსაქმეს, ქსოვდა... იონისათვის.

არცთუ იშვიათად ტყიდან მომავალი კაცები შეივლიდნენ ლიზასთან, ძველი ჩვეულებისამებრ. ოდესღაც ეს ქალისათვის შემოსავლის წყარო იყო. იგი მგზავრებს ყავას ალევინებდა და ღამეს ათევინებდა. მაშინ ისინი ხშირად მოდიოდნენ, თვეში რამდენჯერმე, თუკი ამინდიც ხელსაყრელი იყო.

ახლაც კი, ომის დროს, როცა ხალხი მაინცადამაინც არ ეტანება ტყეს, თუკი ძალიან არ სჭირია, ლიზასთან ზოგი ვინმე მაინც შემოივლიდა ხოლმე. ხანდახან მგზავრები ჯერ რადიოს

ხმას გაიგონებდნენ და მერე დაინახავდნენ დედაბერის სახლს. სხვა დროს მათ მბჟუტავი სინათლე მოიზიდავდა. ბრძანების შიუხედავად, ლიზა თავის ფანჯრებს არ აბნელებდა. ხშირად შუაღამემდე იჯდა და უსმენდა მსოფლიო სიმფონიის ხმებს, მის ოთახს რომ ავსებდნენ. იგი ისმენდა უცხო ლაპარაკს, რომელიც არ ესმოდა და ამიტომაც მსოფლიოში დატრიალებული უბედურება უფრო მძიმე და უფრო იდუმალი ეჩვენებოდა. ლიზასთან მოსულნი შიშით უსმენდნენ მსოფლიოს ხმას და არასოდეს არავისთან არ დასცდებოდათ, რაც მოისმინეს. ბევრმა იცოდა, რომ დედაბერს შვილი მოუკლეს და ფიქრობდა, ალბათ, ლიზა ჭკუიდან შეცდაო.

ერთხელ ი მ კ ა ც მ ა ჩაუარა ლიზას სახლს. ცალ ფეხს ძლივს მიათრევდა, სწორედ ამან გაუნათა მეხსიერება ლიზას. ძალიან დაღლილი ჩანდა გრძელი გზის გამო. ლიზა შესცქეროდა მის გრუზა, შუბლზე ჩამოშლილ თმას და ფიქრობდა — ნეტავი თუ ვახსოვარ, ნეტავი თუ მიცნობს? მან ყავა მოუხარშა სტუმარს, სამზარეულოში მუშამბა გადაფარებულ მაგიდაზე დაუდო, თვითონ მეორე ოთახში საწოლის გაშლას შეუდგა, თან ელაპარაკებოდა, რადგან კარი ღია ჰქონდა. მაშინაც ასე იყო. ეს ოცდაათი წლის წინათ მოხდა. მომავალ წელს ლიზა სამოცდაათისა გახდება. სოფელში უკვე ამბობდნენ, მოხუცებულთა თავშესაფარში ხომ არ გავგზავნოთო. მაგრამ ლიზას ამის გაგონებაც არ უნდოდა.

კაცი იჯდა, სუროგატის ყავას სვამდა, ომის ამბებს ჰყვებოდა და ზოგი რამ თავის თავის შესახებაც თქვა. იგი საკერავი მანქანის გასაღების აგენტი იყო. ახლა ქალს ეს ამბავიც გაახსენდა! ის კაცი სოფელ-სოფელ დადიოდა და ფულს აგროვებდა. მან რაღაც გაუმჯობესება გამოიგონა საკერავი მანქანისათვის, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვიდა.

მაშინაც ეგრე იყო. ახლა ლიზას ყველაფერი გაახსენდა, ყველაფერი... მაშინაც ამბობდა. საქმე მოგვარდებოდა, ცოტაოდენი ფული რომ მქონებოდაო... ჰო. ყველაფერი მოგვარდებოდა, ცოტაოდენი ფული რომ ჰქონებოდა.

მერე... ყოველთვის ასეა. სულ ფულის ნაკლებობა!.. ჰო, ჰო! ისევ ჩაესმა ის უცნაური სიტყვები. რომელთა აზრი მაშინ ვერ გაიგო. ქალი იდგა ოთახში და ბალიშიდან თივას ბერტყავ-

და. იგი ბალიშში ახალ თივას ჩაყრიდა, რომ სცოდნოდა, ვინ იქნებოდა დღეს მისი სტუმარი...

„დრო არ მყოფნის, რომ გულისყური მოვიკრიბო“.

„გულისყური მოვიკრიბო“. სწორედ ეს სიტყვები იყო. ქალს ხშირად უცდია მათი მოგონება. მაშინ ვერ გაიგო, მაგრამ დრო გავიდა და ლიზამ ბევრი ისწავლა, დაბრძენდა, დაბერდა.

იონი ოცდაშვიდი წლისა იყო, როდესაც იგი მოჰკლეს. ქალი საწოლთან იდგა და ამ საფიქრალს ფიქრობდა, მერე სამზარეულოში დაბრუნდა. მაგიდაზე ლამპა ენთო, მაგიდას ის კაცი უჯდა, ლიზა ხედავდა მის ფართო ზურგს, გაშლილ მხრებს. მაშინაც ასე იჯდა. ორი წელი გავიდა, რაც იონი ომში მოუკლეს.

— ეს დაწყევლილი გერმანელები, — ამბობდა შორი გზიდან მოსული. იგი ძლივს ღეჭავდა გამხმარ ბუტერბროტებს და გერმანელებს აბრალებდა, რომ თავისი გამოგონება არ გაუმართლდა. ლიზა ღუმელს მიუახლოვდა, ყავადანი ჩამოიღო და ისევ დაუსხა სტუმარს ყავა.

...აი ეგრე დაწანწალებს წლითი წლობით, ხალხს ძველ მანქანებში ფულსა სთხოვს, მაგრამ ახლა მას იქითა მხარეს საქმე აღარაფერი აქვს, ამიტომაც წამოვიდა აქეთ...

ლიზამ ცეცხლს შეუკეთა. გარეთ ციოდა და ქარი ქროდა. შემოდგომის დამდეგი იყო. ახლა ლიზამ პირველად გაიფიქრა ეს. შემოდგომა დგებოდა და სოფლელებს უნდოდათ მისი მოხუცთა თავშესაფარში გაგზავნა. მასთან რომ ლენსმანი მოსულიყო, დედაბერს ციხეში ჩასვამდნენ რადიოს გამო.

ქალი ამას ფიქრობდა და საიდანღაც, ცნობიერების სიღრმიდან ერთი აზრი ამოუტივტივდა: ეგების ამ კაცს ვახსოვარ? ასეთ კაცებს ბევრი უვლიათ ტყე-ტყე, ვინ მოთვლის, რამდენ ქალთან წოლილან, მოხუცთან თუ ახალგაზრდასთან, ეგების სულაც არ ვახსოვარ?

ლიზამ რადიოს ჩართვა სცადა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხა, ველარ დაიპირა მოკლე ტალღები. მაშინ სტუმარმა რადიო გახსნა და ნათურათა შორის რიღაცის ძებნა დაიწყო. ქალი მის წვრილ, ლამაზ თითებს უყურებდა. სწორედ ასე მარდად დაუტრიალდა მაშინ ლიზას ტანისამოსის ღილებსა და

დუგმებს. მაგას ისეთი მგრძნობიარე თითები აქვს! ეს ხელები რომ არ ჰქონოდა, მაშინ ალბათ მარტოს მოუხდებოდა წოლა. პირველი ხომ არ იყო ტყის მხრიდან მოსულთა შორის, ვინაც ლიზას ლოგინში დათრევას ცდილობდა.

ქალი თვალს არ აშორებდა ძლიერ ხელებს, რომლებიც ცდილობდნენ რაღაც მოეწესრიგებინათ. მალე ყველაფერი რიგზე იყო. კაცმა მიმღები დახურა და თავის ადგილზე დადო. ახლა ისინი ერთად ისხდნენ და ისმენდნენ გადმოცემას სხვადასხვა უბედურებათა შესახებ. „ჰო, — ფიქრობდა ლიზა, — მაგას ყველაფერი შეუძლია“. ამ აზრმა გონებაში გაურბინა და მოსვენება დაუკარგა. „მაგას ყველაფერი შეუძლია“, — და ქალს ისევ გაახსენდა „ტიტანიკის“ დაღუპვა.

ლიზას თვალწინ დაუდგა უზარმაზარი დაყირავებული გემბანი „ტიტანიკისა“. გემი თანდათან წყვდიადში შთაინთქა. ქალი ხედავდა გემის სინათლეს, რომელიც ზღვის სიბნელეს ერთვოდა. და როცა მუსიკის ხმა გაისმა, დედაბერს მოეჩვენა, რომ მას ესმოდა ზღვის მსხვერპლთა ხმა.

დილით, როდესაც კაცმა ღამის გათევისა და ყავის ფული გადაიხადა, ლიზამ ყუთი გაუწოდა. დედაბერი ჯერ კიდევ უთენია ჩაძვრა სარდაფში, იქიდან ამოიღო ფული, უკანასკნელად გადათვალა. იონი მოკვდა.

ჯერ სტუმარს არ უნდოდა ფულის აღება, მაგრამ მერე აიღო. ქალი უცქეროდა, როგორ მიუყვებოდა იგი ტყის ბილიკს და როგორ ეჭირა ხელში ყუთი. წინათ იგი ასე ძალიან არა კოჭლობდა. ალბათ, უკვე სამოცდახუთი წლისაა.

კაცი დაჰპირდა ლიზას, მოგწერ, თუკი გამოგონებამ გამიმართლაო. როცა ის გზას გაუდგა, ქიქმატი წვიმა მოდიოდა. ლიზამ თვალი გააყოლა, სანამ ტყის სიხშირემ არ დაფარა იგი, და სულ ერთს ფიქრობდა: ვახსოვარ თუ არა? ვერ გაბედა ეკითხა მისთვის. ქალს მთელი ღამე არ ეძინა და მისი ფიქრი „ტიტანიკს“, ორ ომს და იონს დასტრიალებდა თავს. ახლა რადიო მოწესრიგებული ჰქონდა. ამ აგენტმა დიდი სამსახური გაუწია. მაშინ მოაფიქრდა: ლიზას შეუძლია ამ კაცს სამაგიერო მიუზღოს.

კაცი ტყის სიხშირემ დაჰფარა, ქალი ისევ ქვის წინკარში იდგა და მის გზას გაჰყურებდა. მერე ბოსელში შევიდა და თან ვედრო შეიტანა. იგი დაჰპირდა, წერილს მოგწერ, როდესაც ბუშაობას დავიწყებ, როდესაც გულისყურს მოვიკრებო.

ყოველ კვირას ჩადიოდა სოფელში და ყვითელ ყუთში წერილს ეძებდა. ერთიც იქნება და წერილი მოვა. მაშინ ქალი გაიგებს, რომ წალმა მოტრიალდა საქმე და თუკი მეზობელი სოფლიდან ბავშვს მოუგზავნიან, ლიზა შეიძლება გაჰყვეს მას და თავისი ნაცნობები მოინახულოს.

ეს მოლოდინი ლიზასათვის დიდი იმედი იყო. თითქოს იცავდა მას მოხუცთა თავშესაფრიდან, ლესმანისაგან, იმ უბედურებისაგან, რაიც მსოფლიოში ხდება, იცავდა იონის ჯავრისაგან. კვლავინდებურად რადიოს უჯდა და იონისათვის ქსოვდა. იგი ომში მოჰკლეს, მაგრამ ისა და აგენტი ერთი ტანისანი არიან, მამა და შვილი. ორივეს მარდი ხელები აქვთ. ყველაფერი გამოუდით ხელში.

შარაგზაზე, საფოსტო ყუთებთან მდგომი ლიზა გრძნობდა, რომ ეს მოლოდინი ყოველგვარ ბოროტს ააცილებდა. ეს მოლოდინი აკავშირებდა შორეულ წარსულთან — იმ დროსთან, როდესაც მან „ტიტანიკის“ დაღუპვა გაიგო, იმ დროსთან, რომელიც დავიწყებული ეგონა.

ჰო, ეს ამბავი მანამდე მოხდა, სანამ ამ ქვეყნის უბედურება ისე საშინლად არ გაბევრდა, რომ მისი აღნუსხვა შეუძლებელი შეიქნა. ეს ომიც... შემდეგ იონი და ყველაფერი ეს ერთ მთლიანობად იქცა დედაბერისათვის, რადგან ეს მისი ცხოვრების ყველაზე დიდი მოვლენა იყო.

ყოველ კვირაობით მიაკითხავდა თავის ყუთს მოლოდინითა და ბედნიერებით ფრთაშესხმული ლიზა.

აქსელ სანდემოსე

ვ ი რ თ ა გ ვ ა

მესამე დღე იყო, რაც ზღვაში გავიდნენ და მზარეულმა აღმოაჩინა, რომ მათ ორანძაზე ვირთაგვას მოეკალათებინა. შიმშილმა და წყურვილმა იგი ავი და უშიშარი გახადა — წამდაუწუმ მირბოდა წყლის ავზთან და ხარბად ლოკავდა წვეთებს. ეს ვირთაგვა მთლად ჩვეულებრივი არ გახლდათ. ზორბა ტანი ჰქონდა, მოლურჯო შავი ფერის ზურგი და ნისკარტივით წაგრძელებული ცხვირ-პირი. როცა წყლის ავზიდან ჩამოსკუბებისას სახურავს კუდს მიარტყამდა, ეგონათ, ეს წავიაო.

ნავზე ვირთაგვას მეტი სალაპარაკო გაუწყდათ. იგი უმალვე მთელი კომანდის ყურადღების ცენტრი გახდა, აღტაცებას იწვევდა და ეჯავრებოდა კიდევაც. საუბარში თავი იჩინა შავი ჭირისა და გემთა დაღუპვის თემამ, ვირთაგვას ჩვეულებებზედაც ჩამოაგდებდნენ ხოლმე საუბარს. ხანდახან იგი მენავეთა საშინელ სიშმაგეს იწვევდა, რადგან შიმშილითა და წყურვილით გაავებულმა მთლად თავი აიშვა და ვინ მოთვლის, რამდენი თავხედობა ჩაიდინა. წმიდანის ყველა სიგარეტი წაბილწა და კაპიტნის ლაკის ფეხსაცმელი გახვრიტა. და თუკი ღამით კამბუზში ჩასვლას მოახერხებდა, იცოცხლეთ, ის იქაურობას დაარბევდა.

ბოროტმოქმედის დამჭერს ჯილდო დაუნიშნეს — ხუთი

კრონი, და მთელი კომანდისათვის საყოფი არაყიც მიუმატეს. მაგრამ ვირთაგვას დაჭერის ცდას კარგა ხანი შედეგი არ მოჰყოლია, ერთობ საზრისიანი გახლდათ. ერთ მშვენიერ დილას კაპიტნის კაიუტაში ნახეს. კაპიტნის ფინჯნიდან მიირთმევდა ყავას. კაპიტანმა ფინჯანი ზღვაში მოიქნია, მაგრამ ამის შემდეგ რევოლვერის ტარება დაიწყო და პირობა დასდო: ჯილდოს ათ კრონს გავხდი და თან ერთ ბოთლ ოთხმოცდათექვსმეტ გრადუსიან სპირტს დავაყოლებო. კაპიტანი ერთადერთი კაცი იყო, რომელიც ვირთაგვის გარშემო გამართულ საუბრებში არ მონაწილეობდა. მაგრამ ახლა, როდესაც გემბანს გადახედავდა, მის თვალებში ახალი გამომეტყველება ჩანდა.

გარშემო, ზამთრის მოწმენდილი ცის გუმბათის ქვეშ, ათასი მილის მანძილზე უზარმაზარი ოკეანე გადაშლილა. ამ სივრცის შუაგულში ორანძა ნავია. — პატარა ცოცხალი სამყარო ამ უსულო დაუსაბამობის ოკეანეში... დედამიწის ამ თითქოსდა უკანასკნელ ბინადრებს უცნაური ნადირობა გაუმართავთ, ვირთაგვას დასდევენ. მენავეებს უკვე ეჩვენებათ, რომ „მათი“ ვირთაგვა ყველა სხვა ვირთაგვასაგან სხვაობს, რომ იგი ერთადერთი, განუმეორებელი ეგზემპლარია ბუნების ისტორიაში. ამ საოცარ ვირთაგვას შეეძლო ლაპარაკი და სიცილი, მას შეეძლო ადამიანის ზრახვათა ამოცნობა და... წითელ წერტილებიანი ცურცლის დატოვება. ბიარნე ირწმუნებოდა, მამალი ვირთაგვაო, მაგრამ მზარეული პროტესტს აცხადებდა, არა, დედალი ვირთაგვაა, საცაა წრუწუნებს დაპყრისო. აბა, თუ ეგ არა, მაშინ საიდან ექნება წითელი წერტილებიო.

ასეთმა მაგარმა საბუთმა ბიარნე აშკარად შეაცბუნა, მაგრამ მას ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრია: გაუგონია თუ არა მზარეულს კუჭის წყლული? ცოტაც მოთბეს და ეგ ბესტია თვითონ ჩაკვდება. იქნებ ეგ მოძაგებული მართლაც შავი ჭირის ვირთაგვაა? და საერთოდ საიდან მოიგონა მზარეულმა, რომ თუკი ცურცლში წითელი წერტილები აქვს, უსათუოდ დედალი ვირთაგვაა.

მზარეული გაჩუმდა, მაგრამ მისი ღიმილი ამბობდა: „ეე ზოგი რამ ისეთი ვიცი, რომ შენ არც კი მოგლანდებიაო“.

შტურმანმა ვისკი და წყალი ერთმანეთში აურია და გემბანზე დადგა ფინჯანი. განიზრახა მაგ საზიზღრის რჯულზე გა-

ბოთრობა. მაგრამ ვირთაგვამ ერთი ირონიულად გადახედა ფინჯანს და ჩაიღიმილა, ხოლო როდესაც შეიარაღებული კაპიტანი გამოჩნდა, გაქრა, თითქოს ქარმა დაუბერაო. შტურმანმა ვირთაგვას დადევნება აკრძალა და მთელი დღე თავად უცდიდა მას. მაგრამ ვირთაგვა არ მიჰკარებია ფინჯანს, მხოლოდ დამცინავად ჭუტავდა შავ თვალებს და როცა ხალხი გამოჩნდებოდა, უმალვე გაუჩინარდებოდა. იგი მშვენივრად გრძნობდა, რომ მისთვის ყველაზე საიმედო თავშესაფარი კამბუზი იყო. მთელ დღეს სწორედ იქ ატარებდა. მაგრამ სად იმალებოდა, როდესაც კამბუზში აღარ იყო? ეტყობოდა, რაღაც საიდუმლო თავშესაფარი ჰქონდა. მთელი გემი გულდაგულ დაათვალიერეს, მაგრამ ვერსად ვერაფერი ვერ იპოვეს.

როცა შტურმანი ნასადილევს გემბანზე დაბრუნდა, უმალვე ფინჯანში ჩაიხედა. დახე, აკი აულოკავს! ხმაზე ეტყობოდა, უხაროდა გამარჯვება, მაგრამ არსად ჩანდა მთვრალი თაგვი და შტურმანის სულში ეჭვის ჭია შეცოცდა. მან გამგმირავი თვალი მიაპყრო საჭესთან მდგომ ვეება მწითურ ულაყს, რომელიც ამთქნარებდა და გამობენტერებული მისჩერებოდა იალქნებს. შტურმანმა კუბრიკიდან სიცილი გაიგონა, ფინჯანს ხელი დასტაცა და თავის კაიუტაში წავიდა. ამის შემდეგ თაგვის დათრობა აღარ უცდია.

თაგვი გახდა ღერძი, რომლის გარშემო ბრუნავდა დედამიწა... იგი დაემსგავსა იმ მოღვაწეებს, რომელთა სახელი საუკუნეებს უძლებს... ის იგივე იყო, რაც მფრინავი ჰოლანდიელი ანდა ტერიე ვიკენი,* კაიუს იულიუს კეისარი, ანდა საღინჩოდ განწესებული ზანგი... არა, მათ წააჭარბებდა. იგი მათთვის გახდა ხალხთა გამაერთიანებელი სოციალური იდეის ხორცშესხმა და თვით ეს იდეა. იგი გახდა ცოლი, რომელსაც გინდა გაეყარო, და ქალი, რომელიც არასოდეს არ იქნება შენი. იგი მოკალათებულიყო გულში და მისი დაჭერა არაფრით არ ხერხდებოდა.

კლას ვინკელის დღიურში შემდეგი ჩანაწერი გაჩნდა: „დღეს საღამოს ვირთაგვა კუბრიკაში შეიპარა და ბიარნე ვიკს ლოყაზე უკბინა, ვინემ მას ეძინა. ჭრილობა საკმაოდ საშიშია".

---

* ტერიე ვიკენი — ლეგენდარული სახალხო გმირი.

ამ ამბავმა მთელი ალიაქოთი გამოიწვია. ბიარნე თავპირის შტვრევით გადმოვარდა საწოლიდან და სავინცობოდ მაინც შეუტია წმიდანსა და მზარეულს. იგი მხოლოდ მაშინ დაშოშინდა, როდესაც მისმა ორმა უდანაშაულო მსხვერპლმა დაარწმუნა, ჩვენ არავითარი ბრალი არ მიგვიძღვისო. მაგრამ ახლა მზარეული გადავიდა შეტევაზე.

ცოტა ხნის შემდეგ ისინი მშვიდად საუბრობდნენ ვირთაგვას შესახებ. მოყოლილი ამბები რამდენიმე ტომს გაავსებდა. როგორი ვირთაგვები არ მოიგონეს — თაგვი ბავშვების მჭამელი, თაგვი, რომელმაც ზარ-ზეიმით დაასაფლავა თავისი მახლობლები, თაგვი, რომელიც ტელეფონის ბოძზე დადის და ლურსმნიყლაპია თაგვი. სააშკარაოზე გამოიტანეს ყველაფერი, რაც კი ვირთაგვებზე გაეგონათ: ნახსენები იყო წყლულის და შავი ჭირის ვირთაგვა, ნახსენები იყო სიამის ტყუპი ვირთაგვები და ისინიც, რომლებსაც უკანა ფეხები არა აქვთ. მაგრამ ხავ „ფულტონის" ვირთაგვას ეჭვს გარეშეა ვერავინ დაუდებდა ტოლს — ეგი მოზრდილ ადამიანებს კბეკდა! ბიარნემ ასეთი აზრიც გამოთქვა: იქნებ იგი საერთოდ არ არის ვირთაგვაო. მაშ რა არის? ეგ კი აღარ იცის, იქნებ ვინმეს გაუგია რაიმე კენგურუს შესახებ?

— სისულელეა, — თქვა წმიდანმა, მაგრამ ზურგში კი ჭიანჭველებმა დაუარა.

— კენგურუ დათვის სახეობაა და მას გრძელი კუდი აქვს. — განაცხადა მზარეულმა.

— თუკი ჯუჯა კენგურუა? — ივარაუდა ბიარნემ.

— გეუბნებით, რომ წრუწუნებით გამოტენილი დედალი ვირთაგვაა, — ამოიჩემა მზარეულმა.

მაგრამ ბიარნემ უკან არ დაიხია და მამალი თაგვიაო, დაიჟინა.

როცა მენავეებმა ვირთაგვას ანჩხლი ხასიათი გაიგეს, ძილი დაუფრთხათ. იმავე დღეს მან ისევ უკბინა ბიარნეს — ამჯერად ცხვირზე. ბიარნე კინაღამ არ გაცოფდა და როგორც იყო, მარტო პერანგის ამარა, ისევე გაიქცა გემბანზე.

— შემომხედე, კაპიტანო! ეს რა დღე გვადგია ამ წყეულ ვარცლში. საცაა ვირთაგვებმა და ტილებმა ცოცხლად შეგვჭამონ!

კაპიტანმა ისეთი ცივი თვალით შეხედა, რომ ბიარნემ უკან დაიხია. რაღაც წაიბუტბუტა და ისევ თავის სადგომს მიაშურა და სანამ მორიგეობის ვადა არ გაუთავდა, თავშესაფარს აღარ მოშორებია, იჯდა თავისთვის, ხელში ჯოხი ეჭირა და ფანატიკოსის თვალით იცქირებოდა, როდის გამოჩნდებოდა ვირთაგვა. მაგრამ ვირთაგვა არ გამოჩნდა.

— შტურმანო, რაიმე უნდა ვიღონოთ. ვირთაგვა ცოფიანია, — თქვა კაპიტანმა.

მწითურმა ულაყმა ბევრი აღარ დააყოვნა და კუბრიკას გასძახა:

— ყველაფერი ნათელია, ვირთაგვა ავად არის, ის ცოფიანია.

ბიარნე გაფითრდა.

შტურმანი მთლად დაიბნა. მან კიდევ ერთ ჩასაფრებას მიმართა, მაგრამ ვირთაგვა ისეთი ავადმყოფი არ აღმოჩნდა, რომ მტრებს ხელში ჩავარდნოდა. შტურმანს ველარაფერი ეღონა.

მაშინ კაპიტანმა საჭესთან შეცვალა წმიდანი და თქვა:

— შტურმანო, აბა თავი მოუყარე ხალხს. აუცილებელია გავიგოთ, როგორ მოსვდა ვირთაგვა ტრიუმში. სხვაგან იგი არსად არ შეიძლება იყოს.

მეზღვაურებმა ყოველი დიუმი დაათვალიერეს ზევითაც და ქვეითაც, მაგრამ ამჯერადაც ვერავითარ ხვრელს ვერ მიაგნეს... ვირთაგვა კი ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე იჯდა, ტრიუმის საბურავზე!

ბიარნე წამოჭარხლდა. მტერი უმალვე მიზანში ამოიღეს. ყველას ხელში ეჭირა ან ნაჯაბი ანდა უბრალო ჯოხები. კაპიტანმა უბრალოდ მიატოვა საჭე და შიშველი ხელით მოვიდა... მაგრამ ვირთაგვა უეცრად გაქრა, თითქოს მიწამ პირი უყოო.

არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს სად და რისთვის მიდის ნავი, თუკი ამ ნავზე არის ვირთაგვა, რომლის გარშემო ბრუნავს მთელი დედამიწა. ვირთაგვა... იგი სიცოცხლის მიზანია და ამავე სიცოცხლის შიში, იგი აერთიანებს ამქვეყნად კეთილსა და ბოროტს. მან დააჯერა ხალხი, რომ ცხოვრებას აზრი აქვს. რადგან რა აზრი ექნებოდა ახლა სიცოცხლეს, რომ არ ყოფილიყო ეს ვირთაგვა? ისინი უყურებდნენ მას და ძლივს

იკაკებდნენ ზიზღს. ეს ზიზღი წააგავდა იმ გრძნობას, რასაც განიცდის ხოლმე მოზრდილი ადამიანი, თუკი რძეს დაალევინებენ. მაგრამ განა წარმოსადგენია ცხოვრება ურძეოდ? მენავეებმა ფიცი დასდეს: ვირთაგვას კვალს მივაგნებთ და მაგ წყეულს დავიჭერთ კიდევაცო, თუნდაც ამისათვის ისლანდიის გარშემო მოგვიხდეს ცურვა მსოფლიოს დასასრულამდეო. და სადღაც გულის სიღრმეში, როგორც ეს წესად აქვთ ფიქრს ძიუჩვეველ ადამიანებს, არც მთლად ნათლად წარმოიშვა დაახლოებით ასეთი აზრი: „მაშინ რაღა იქნება, როცა ქვეყნიერებას დასასრული დაუდგება და აღმოჩნდება, რომ ზეციერ სამყაროში თაგვები არ არიანო“.

როგორ შეიძლება ვირთაგვას დაჭერა?.. ისევ და ისევ ამ საკითხს უტრიალებდნენ მეზღვაურები. ოცნების ძალით საშინელ ხაფანგებს უწყობდნენ ვირთაგვას. ყველაფერი გაიხსენეს, რაც კი შუა საუკუნეების ტანჯვათა შესახებ გაეგონათ. ბიარნე თავის ჭრილობებს აჩვენებდა ამხანაგებს და მწიფე ალუბალივით შავ თვალებს ქაჩავდა და გაიძახოდა: „ვირთაგვამ მე მიკბინა! ყველანი დაინდო, მარტო მე მიკბინა!“

— მშვენივრად უღებს ალღოს ნარეცხსა და ჰონორეას, — თქვა მზარეულმა.

ბიარნემ რაღაცნაირი მხედრული იცეკვა.

— შენ შური გალაპარაკებს, ღიპიანო ეშმაკო!

მწითური ულაყი მიხვდა, რომ ბიარნე ამ კბენას დიდ პატივად მიითვლიდა. ეს ვარაუდი მაშინ უფრო ირწმუნა, როცა შეამჩნია, როგორ შურისაგან კინაღამ ენა არ ჩაუვარდა ბიარნეს, როდესაც ვირთაგვამ თავის მსხვერპლად წმიდანი აირჩია. სიზმარში მან ხელები დაისისხლიანა, თავი საწოლს ურტყა და ისეთი ყვირილი ასტეხა, რომ მთელი ორანძა ფეხზე დააყენა. ვირთაგვამ მას ქვედა ტუჩი მოაკვნიტა. ტუჩი უმალვე გაუსივდა, მთელი სახის ქვედა ნაწილი დაუუშნოვდა. დილას მან ბოდვა დაიწყო და ისეთ რამეებს ამბობდა, ყურში არ გაიგონებოდა. ყველანი რიგრიგობით დარაჯობდნენ მის საწოლთან, უფრო იმიტომ, რომ ვირთაგვა დაეჭირათ.

კაპიტანმა ავადმყოფისათვის ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. ახლა სახუმაროდ აღარ იყო საქმე. დროა ბოლო მოეღოს ამას. ასეთი რამეები სამიალქნიან „ფულტონზე“?! არა,

აქ ცირკი არ არის და თვითონ კაპიტანიც მასხარა არ გახლავთ!

კაპიტანმა მეზღვაურები შეკრიბა და სიტყვა წარმოთქვა:

— როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენს ნავზე იმყოფება ვირთაგვა. იგი ხალხს კბენს და აი ახლაც წმიდ... ესე იგი, იოჰანეს ჰანსენი... დიახ, იოჰანესი ავად არის. მე ჯილდო დაგპირდით. ეს არც ისე პატარა ფულია ქეციანი მეზღვაურისათვის. არ მესმის, როგორ ითმენთ, რომ ეგ ბესტია აქ არის? აბა! ოცდაოთხი საათი მომიცია თაგვის მოსასპობად!

მან ისეთი თვალით შეხედა შტურმანს, თითქოს იგი ყოფილიყო დამნაშავე, რომ ვირთაგვა აქ არის, და მერე თავის კაიუტაში წავიდა. შტურმანმა გადაწყვიტა, ახლა კი ჩემი სიტყვის წარმოთქმის დროაო და გუნებაში კიდევაც გაიმეორა სათქმელი, მაგრამ ამ დროს კაპიტნის კაიუტიდან საშინელი ყვირილი გაისმა და კიბეზე ვირთაგვამ ჩაიქროლა. მწითურმა ულაყმა მხოლოდ ფეხის აწევა მოასწრო, ვითომც ვირთაგვასათვის უნდა დაერტყა, მაგრამ იგი გაქრა.

კიბეს დინჯად ამოუყვა კაპიტანი. მან თვალი გემბანზე მიმოატარა, მერე ბიარნე ვიკს მიაშტერდა.

— ვირთაგვას დაჭერის საგუშაგოს ვაწესებ, თქვენ რვა საათი იდგებით, მერე მზარეული შეგცვლით და ასე იმორიგეებთ გარდა ჩვეულებრივი გუშაგობისა. ვინემ ვირთაგვას არ დაიჭერთ!

ბიარნე გაიბერა და ყველა წესის დაცვით შეუდგა ამ მორიგეობის შესრულებას. რა თქმა უნდა, იგი უნდა ყოფილიყო პირველი. ბიარნე ხომ იმათ რიცხვს არ ეკუთვნის, ვინც რაღაც უბრალო ძიძიფის გულისათვის ლოგინში გდია.

თავდაპირველად მან რამდენიმე ფიცარი იშოვა და კამბუზის კედელს ამოაკრა ქვეშიდან. ახლა შემოსასვლელი ურჩხულისათვის დაკეტილი იყო. როცა დარწმუნდა, რომ ვირთაგვა კუბრიკაში არ იყო, მან გერმეტიულად დახურა იგი... მწითური ულაყი პროტესტს აცხადებდა, მე და წმიდანი დავიხრჩობითო. მაგრამ ბიარნემ დაარწმუნა, თავი წესიერად დაიჭირეთ, დავიდარაბას მოეშვითო. შემდეგ მზარეულმა დაიფიცა, რომ ვირთაგვა არ იყო არც კაპიტნის კაიუტაში და უკანასკნელის ნებართვით ისიც დაიხურა.

მან შეტევა ავზის მხრიდან დაიწყო. ხელში სქელი კანაფი

ეჭირა და ისე მიიკვლევდა გზას. ბიარნემ დიდი გულისყურით მიათვალიერა ზემო მხარე და ის იყო ავზის ქვეშ აპირებდა შეხედვას, რომ შტურმანის განაწამები ხმა მოესმა: „მოდის“.

ბიარნემ დაინახა ვირთაგვა. იგი კიჩოდან მორბოდა, კაცი ვირთაგვას შესახვედრად გაემართა, მას შტურმანი გაჰყვა. ერთი მოხდენილი ნახტომი და ვირთაგვა ნავის ფერდზე შესტა და ბიარნეს გაუქროლა წინ. მაშინ ბიარნემ ისეთი რამ ჩაიდინა, რითაც შემდეგ ამხანაგების აღტაცება დაიმსახურა. იგი ნავის ფერდზე ახტა და ვირთაგვას გამოეკიდა. ნავი წაიფერდა. საქმე დატრიალდა საოცარი! მზარეულმა მოულოდნელობისაგან საჭეს უშვა ხელი. შტურმანი ადგილზევე გაშეშდა. „ღმერთო, 'მენ გაგვიფარეო“, აღმოხდა.

ბიარნე თავისი საქმის ხელოვანი იყო. შტურმანმა ეგ იცოდა, მაგრამ რაც ახლა დაინახა, იმან სწორედ მუცელში ჩაუგდო ენა... ბიარნემ რამდენიმე ნახტომი გააკეთა და... კანაფმა ჰაერში გაისისინა. ბიარნემ გემოზე შეიკურთხა.

ამჯერად ვირთაგვა გადარჩა, მაგრამ როდესაც ბიარნემ კანაფი მეორედ მოიქნია, ეტყობა მოხვდა. ასე იყო თუ ისე, იგი ზღვაში გადავარდა. გამხნევების ყიჟინა ყელში გაეჩხირა შტურმანს, როდესაც დაინახა, რომ ბიარნეც თან გადაჰყვა ვირთაგვას.

თითქოს ჯიბრზეო, მზარეულმა სწორედ ამ დროს მოაბრუნა საჭე და გავიდა რამდენიმე ძვირფასი წუთი, ვიდრე ქარის დაძლევა და იალქნის გაშლა მოუსერხდათ. ამასობაში ბიარნე საკმაოდ შორს მოიტოვეს.

კაპიტანი და მწითური ულაყი გემბანზე გამოვიდნენ. წყალში გადააგდეს მაშველი რგოლები. კაპიტანმა დაიყვირა: „დაიჭი რგოლი!“

ბიარნეს პასუხი ძნელი გასაგონი იყო. მაგრამ მან რგოლის მიმართულებით გამოსცურა. და მაშინ მეზღვაურებმა დაინახეს, რომ ბიარნეს თავზე თაგვი აჯდა. იგი ბიარნეს თმას ჩასჭიდებოდა და თავაწეული რაღაცას ყნოსავდა.

— დასწყევლოს ეშმაკმა, ერთი თოფი მქონდეს... — წაიბურტყუნა შტურმანმა.

კაპიტანმა გამანადგურებელი თვალით შეხედა. დარცხვენი-

ლი შტურმანი იალქნებს მიუბრუნდა. ნელ-ნელა უახლოვდებოდა ნავი ბიარნეს, რომელიც აგრეთვე მოცურავდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. მეზღვაურები მზად იყვნენ, ხელში რგოლები და კანაფები ეჭირათ. ისინი ვირთაგვაზე მეტს ლაპარაკობდნენ. ვინემ ბიარნეზე. თაგვს აშკარად ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. იგი აქეთ-იქით აცეცებდა თვალს. სადმე ახლო ხომ არ არის უფრო სტუმართმოყვარე ორანძაო.

კაპიტანმა, რომელიც საჭესთან იდგა, უმალვე ალღო აუღო შექმნილ ვითარებას. საჭირო მომენტში მან ნავი ქარის პირზე დააყენა, ისე რომ ბიარნე კიჩოსთან აღმოჩნდა. იგი მეშველ რგოლს ჩაეჭიდა, რომელზედაც მიმაგრებული იყო კანაფი და ამოხვინჩვით თქვა: „ბიჭებო...“

ამ ხმაში გაიგონეს ვედრება, იგრძნეს ცრემლი და უმალვე დატრიალდნენ, ტყუილი ლაპარაკისათვის დრო არ დაუკარგავთ. ცივმა წყალმა თავისი გაიტანა და გარდა ამისა, მათ ხომ საკუთარი გამოცდილებით იციან, რომ სიკვდილის შიში სწორედ მაშინ დაეუფლება ადამიანს, როდესაც ახლოა ხსნა. მწითური ულაყი ნავის ფერდზე გადაწვა და კაპიტანმა იგი ბანის ქვენას მიაკრა თოკით. თვითონ კაპიტანიც გადაეყუდა ნავის ფერდზე და უფიქრელად გამოსდო ბიარნეს ბარჯი. როცა ნავი წაფერდდა, მწითურმა ულაყმა მაგრად ჩასჭიდა ხელი ბიარნეს და ზევით ასწია. და მაშინ თავიდან ფეხამდე გაწუწულმა ვირთაგვამ კიბედ გამოიყენა მწითური ულაყის ზურგი და დაიმალა, ვინ იცის სად.

ამ დღეს კაპიტანმა გემის დავთარში ჩასწერა: „მე ორი კაცი გამიხდა ავად და ვირთაგვა კი თავს მშვენივრად გრძნობს. იგი უფრო დაჭკვიანდა, ამდენი დავიდარაბის წყალობით სიბრძნე შეემატა. მაგ საძაგელს განდიდების კვიატი სჭირს და მასხარად გვიგდებს. მისი ადგილი საზღვაო მუზეუმშია“.

ბიარნე იწვა, ცხვირამდე თბილი საბანი ეხურა და თვალი ჭერისთვის მიეპყრო. წმიდანი აბოდებდა, ლოცვებს კითხულობდა და იგინებოდა. მწითური ულაყი შემოვიდა. ხელში ბოთლი არაყი ეჭირა.

— აი, შენ სპირტი, კაპიტანმა გამოგიგზავნა. ახლა მალე მომჯობინდები!

მათ სპირტი გაინაწილეს.

— აბა როგორი საქმეა, ვირთაგვა თავზე გეჯდეს და შენ მიცურავდე. — იცინოდა მწითური ულაყი, — ეშმაკმა იცის! ამაზე სულელური არაფერი მინახავს.

— შენ რაღას უყურებდი, რატომ არ დაიჭირე?

— რითი უნდა დამეჭირა, კბილებით ხომ არა? ხელებს შენ გახმარდი. შენ ხომ გონდაკარგული იყავი, ტომარასავით ჩამომეკიდე. იქნებ ფიქრობ, რომ მე უნდა მეკბინა მაგ ბესტიასათვის. აი, კაპიტანი და შტურმანი ნამდვილი იდიოტები არიან, გაუშვეს ვირთაგვა. წმიდანი ალბათ თაგვის ნაკბენისაგან გაცოფდა, თუმცა მანამდისაც ჰქონდა სისხლი წამხდარი. მაგ ჩვენმა მორწმუნემაც არ დაიწყოს კბენა. ღმერთმანი, ეს დაწყევლილი ვარცლია!

ნახევარი საათის შემდეგ ბიარნე ბორძიკით გამოვიდა გემბანზე. სახე საშინლად გასწითლებოდა. საბანი ტოგასავით მოედო მხრებზე. ასე ფეხშიშველამ გაიარა გემბანი და ასე წარდგა კაპიტნის წინაშე.

— ეგ უნდა დავამწყვდიოთ, ნამდვილად ჭკუიდან შეიშალა, — წაიჩურჩულა კაპიტანმა.

აქ ბიარნემ კაპიტანს საბნიდან ტიტველი ხელი გამოუწოდა: მუჭში ვირთაგვა მოემწყვდია. ბიარნე ძლივს სუნთქავდა. კაპიტანმა ძალზე ჩუმად თქვა:

— თუკი ახლაც გაუშვებ მაგას, ჩვენივე ხელით დაგახრჩობთ, ღმერთმანი.

ბიარნემ ვირთაგვა სახესთან მიიტანა და სიძულვილით მიაშტერდა. თაგვს თვალები გადმოექაჩა.

— აჰა, შენ მოგაფიქრდა ჩემი კბენა და ჩემს თავზე მოგზაურობა? მონახე სხვა თავი!

და ბიარნემ ზღვაში გადააგდო თავისი მსხვერპლი. ვირთაგვამ თათები გაფაჩხა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

სუსტი ნიავი უბერავდა მხოლოდ. ყველანი ფერდს დაეყრდნენ და ვირთაგვას უყურებდნენ. იგი ნავს გამოეკიდა, მათთან უნდოდა ყოფნა.

მანძილი ნელინელ იზრდებოდა. ვირთაგვა ცოფიანივით მოცურავდა. მეზღვაურები მშვენივრად ხედავდნენ ამას, როდესაც იგი ტალღათა ქაფიდან ჩამოდიოდა.

მზე ჩადიოდა. ხალხი უსიტყვოდ მისჩერებოდა ვირთაგვას.

ყველა თავის საფიქრალს მისცემოდა. ერთმანეთისათვის თვალი ვერ გაესწორებინათ.

მწითური ულაყი პირველი გამოერკვა. იგი მანამდე მოშორდა იქაურობას, ვინემ ვირთაგვა საბოლოოდ მიეფარებოდა თვალს... და ეს ასეა, განა ჩვენც არ მივცურავთ ნაპირისაკენ მთელი ჩვენი წუთისოფელი და იგი სულ უფრო გვშორდება. ულაყი გაჩერდა და გუნებაში გაიფიქრა: ერთიც იქნება, თაგვი ორანძაზე დაბრუნდება, ერთიც იქნება, დაბრუნდება...

ბიარნე უკვე ვეღარ ხედავდა ვირთაგვას. იგი კაპიტანს მიუბრუნდა და ანთებული თვალი მიაპყრო. კაპიტანმა ამ თვალებში ამოიკითხა: „ათი კრონი და ერთი ბოთლი სპირტი“.

მაგრამ... უფროსსა და ქვეშევრდომებს შორის ისევ აღიმართა გარკვეული ზღუდე. კაპიტანი შემობრუნდა და დაბლა ჩავიდა.

— შეგიძლია გადასცე ბიარნე ვიკს, — უთხრა მან შტურმანს, — რომ ათი კრონი მის ჯამაგირს მიეწერება, ხოლო სპირტი შეუძლია მიიღოს პირველსავე შაბათს ესკეფიორდში.

შტურმანმა კარგად დაიმახსოვრა: სწორედ ასე უნდა ლაპარაკობდნენ კაპიტნები.

იოჰან ფაღკბერგეტი

როგორი მეთხილამურენი იყვნენ ჩვენი წინაპრები

1812 წლის გაზაფხულის ერთ დილას, წმიდა ჰალარდის დღეს აურსუნდშვეენის ტბის მახლობლად მდებარე სოფელ ჰაუენის მცხოვრებნი ერთად შეკრებილიყვნენ და ელა ანდერსდატერის ფსალმუნს გალობდნენ. ეს გახლდათ ცნობილი „არყის ხისეული“ ფსალმუნი. ამბობდნენ, იგი სახელგანთქმულმა შვედმა მთხზველმა არყის ხის ქერქზე დაწერაო.

ბაჯაღლო ოქრო ხომ არ არის ის სახლი მკვიდრი,
მაღლით კურთხეულს თვალ-მარგალიტის საძირკველი აქვს,
იმა სახლიდან ზეციერთა ისმის გალობა
და მრავალთათვის ას წელსა აქვს წამის მყოფობა.
დე, აღმობრწყინდეს უკუნისით დღე სანეტარო,
დე, ამა ქვეყნად სათნოებამ მოიცეს ძალი.
მაშინ, იესუ. ჩვენ ტანჯვათა დაუდებ ბოლოს
და ყოველივეს დასასრული იქნება მაშინ...

დილის სამი საათი იქნებოდა, დამრეცი სხივები მზისა, როშელიც ის იყო მთიდან ამოიწვერა, უკვე ოთახში შემოიჭრენ ჰატარა სარკმელიდან და ღვიით მოფენილი იატაკი გაანათეს. ღუმელში ცეცხლი ელვარებდა. საწოლზე კი იჯდა ბებერი კლას-ჰაუენი. მას ქუდი მუხლზე დაედო, გულხელი დაეკრიფა და ბოხი ხმით გალობდა. იქვე, კუნძზე, სადაც შეშას აპობენ

ხოლმე, მისი ვაჟიშვილი პერი მოკალათებულიყო და ხელში ფსალმუნი ეჭირა. პერის ცოლი იქვე იდგა, ისე რომ, ქმრის მხარს იქით ხედავდა წიგნს და ისიც ცდილობდა ემღერა. ქალი ძლივძლივობით არჩევდა ანბანს და მისთვის ძნელი იყო ქმარსა და მამამთილს აჰყოლიდა გალობაში. ბებერი კლასჰაუენი რძალზე უკეთესი მწიგნობარი არ იყო, მაგრამ „არყის ხისეული“ ფსალმუნი ზეპირად იცოდა. პაპის გვერდით საწოლზე პატარა კლასი მოთავსებულიყო. ბიჭი მხოლოდ ოთხი წლისაა, მაგრამ მას უკვე თავისი ქარქაშიანი დანა აქვს. კლასუმცროსი დიდი ინტერესით ათვალიერებს მამას. ბიჭს არასოდეს არ უნახავს ასეთი ლამაზი და ასეთი გამოწყობილი მამა. დღეს პერს აცვია მუნდირი და წითელი ლამპასებიანი შარვალი, გვერდზე კი გრძელი, მბრწყინავი ხმალი ჰკიდია.

ოდესღაც პერ ჰაუენი ჯარისკაცი იყო. სამშობლოს განსაცდელის ჟამს იგი საზღვარზე ედგა და თვალი ეჭირა, რომ მტერთაგან არავის გადმოელახა მიჯნა და რეროსის სპილენძის ქარხანა არ დაეწვა. მთიანი რაიონების მცხოვრებლებს დღემდე არ დაევიწყათ, როგორ დაანგრიეს შვედებმა საქარხნო ქალაქი.

ახლა მათ უფრო საშიში და უფრო ავი მტერი ემუქრებოდა. ეს მტერი იყო მუსრის გამვლები და მისი მახვილი დაუნდობლობით ყველა შვედის მახვილს წააჭარბებდა. მისგან ხსნა არ იყო. შეუბრალებლად ჟლეტდა იგი ბავშვსა და ქალს, არ ინდობდა არც მოხუცს, არც ახალგაზრდას. არც ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცს.

გუშინ საღამოს პერმა ცხენები შეაბა მარხილში და მთებს იქით გასწია, რეროროისაკენ გაუტია. უნდოდა იქ სპილენძის ფაბრიკის პროვიანტმეისტერისაგან ფქვილი ეყიდა, მაგრამ შინ ხელცარიელი დაბრუნდა. რეროსის პროვიანტმეისტერი გაჟითრდა და გამოლენჩებული მიაჩერდა პერს.

— მაგას რას ამბობ, კეთილო კაცო? ფქვილიო? ერთი სათითე ფქვილიც რომ გეთხოვა ჩემთვის, იმასაც ვერ მოგცემდი, — და თითქოს უზენაეს ძალას იწვევსო მოწმედ, პროვიანტმეისტერმა ცისკენ აღმართა თავისი გამხდარი, გაძვალტყავებული ხელები, — ღმერთი იყოს შენი მფარველი! — თქვა ეან ბოლოს და პერ ჰაუენი კარამდე მიაცილა.

და აი მაშინ პერმა გადაწყვიტა. ჩრდილოეთში უნდა წა-

ვიდე და იქნებ იქ ვიშოვოო ერთი ტომარა ჭვავი. სოფლად ხმა დადიოდა, ვისაც ვერცხლი აქვს, ქვრივი დედაკაცი ჰ. ენდრესენი მოგყიდითო ჭვავს. იმ დროს ჰაუენში ჯერ ისევ იყო შემორჩენილი ვერცხლი. სოფლელთაგან ბევრი მაშინ ცხენს აქირავებდა და ამ საქმით ცოტა ფარას როდი შოულობდა. ჰაუენების გვარი ძირძველი იყო. ამ გვარის კაცები, მაღალი, მოსული ვაჟკაცები, ყოველთვის გამოირჩეოდნენ ღონიერი მკლავითა და მწარე ენით. ცხოვრებითაც კარგა ხანი ცხოვრობდნენ. ზოგიერთი მათგანი ას წლამდე მოიყრებოდა, ზოგი ასსაც გადააბიჯებდა.

ტრონჰეიმში წასვლა იმ დროს ძნელი საქმე გახლდათ, იგი დიდ დროსაც მოითხოვდა და თან საშიშიც იყო. ტყეებს მოხეტიალე ბოშები აფარებდნენ თავს, გზა-გზა დაეხეტებოდნენ ყაჩაღთა ბრბოები, უსაფრდებოდნენ მგზავრებს. ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომ ვინმე გლეხი და ზოგჯერ კი მთელი აღალი გაქრებოდა უგზო-უკვლოდ. უფრო ხშირად მომხდარა, რომ შიშისაგან გაცოფებული ცხენები თავაწყვეტით მოექანებოდნენ შინისაკენ, რომელიმე სოფელში შეიჭრებოდნენ და მაშინ ხალხი დაინახავდა, რომ მარხილზე ეგდო გასისხლიანებული გვამი ცხენის პატრონისა. ამიტომაც გადაწყვიტა ბებერმა კლას-ჰაუენმა, ვინემ ჩემი შვილი გზას გაუდგება, აუცილებელია „არყის ხისეული“ ფსალმუნი ვიგალობოთო. ბერიკაცმა მშვენივრად იცოდა, რომ ხელჩართულში მის შვილს ვერავინ აჯობებდა, მაგრამ საფარში დამალულ მკვლელებსა და ავაზაკებს ერთი კაცი საით გაუმკლავდებოდა? პერი მოსული, მხარბეჭ-გადგმული ყმაწვილი იყო. მიხეილობა დღეს მას ოცდაშვიდი წელი შეუსრულდა. ძალა მკლავში ისეთი აქვს, რომ ნალის გაღუნვა არაფრად უღირს.

დღეს პერმა სამეფო მუნდირი ჩაიცვა. ახალგაზრდა კაცმა გაიფიქრა, თუკი ტრონჰეიმში ჭვავს ვერ ვიშოვი, მაშინ თვით პოდპოლკოვნიკ ფონ კნაგენიელმს მივმართავ და იმას ვთხოვ პურსო. ფონ კნაგენიელმი, ცხადია, თავის ჯარისკაცს დაეხმარება. განა მან საკუთრივ არ მისცა პერ ჰაუენს ეს მუნდირი? ერთი შეტაკების დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, პერმა თავი გამოიჩინა. მეთხილამურეთა ჯგუფთან ერთად ულუკმაპუროდ, თვალმოუხუჭავად გაძლო

თოვლში რამდენიმე დღე და ღამე. სხვა ჯარისკაცებმა არა ერთხელ თქვეს, დავტოვოთ პოზიციებიო, მაგრამ პერი სასტიკად დაემუქრა მათ, სულ ცხვირ-პირს ამოგინაყავთ, თუ ადგილიდან ფეხი მოგიცვლიათო. სიმამაცის ჯილდოდ ფონ კნაგენხიელმა პერს თავისი ლეიტენანტური მუნდირი აჩუქა. ხუთი წლის წინათ პერს ეს მუნდირი ეცვა, როდესაც ჯვარს იწერდა რეროსის დიდ ეკლესიაში, სხვა დროს ქალაქში არასოდეს არ უნახავთ ასეთი გამოწყობილი სასიძო. ერთ რამედ ღირდა მისი ნახვა.

ამ გრძელი ზამთრის განმავლობაში სოფელ ჰაუენის მცხოვრებლებს ლუკმა პური არ ჩასვლიათ პირში და არც ფქვილის ფაფა უნახავთ გემოთი. მართალია, ეს ჯერ კიდევ არ იყო ნამდვილი შიმშილი. თავი როგორღაც გაჰქონდათ. ხანდახან გამოერეოდა ხორცი, თევზი, კარაქი და ყველი. მაგრამ გაზაფხულის პირს უფრო გაჭირდა. უპურობა ძალიან ძნელი ასატანი შეიქნა. რაც უნდა გაუხდეთ, როგორმე უნდა იშოვონ პურის ფქვილი. ცოტა მაინც იშოვონ, რათა ხის კანის ნაფქვავს შეურიონ. მაინც რა ერთმანეთს წაეწყო ყველაფერი: ეს ომიო, ეს შიმშილიო — მაინცადამაინც ნანატრი სტუმრები არ არიან.

შარშან ზაფხულზე აურსუნდშეენის ტბის მახლობლად მდებარე ველ-მინდორზე ისეთი დაბალი და გადახრუკული ბალახი იყო, რომ იგი ცელით კი არა ნამგლით მოთიბეს. პური კი ასეთ მაღალ მთაში არასოდეს არ მოდიოდა.

კლაუს-ჰაუენი თავისი საწოლიდან წამოდგა და თვალები მოისრისა.

— მივენდოთ ძალას ღვთისა და იმედი ვიქონიოთ, რომ შინ უვნებელი მოხვალ და თან მოიტან პურს ჩვენი არსობისა, — თქვა მან და დასძინა: — აქამდე მუდამ გვშველოდა მაცხოვარი და კვლავაც გვიშველის.

პერმა ლოცვანი დახურა, კედელზე ჩამოკიდებულ, ცისფრად შეღებილ ხის კარადაში შეინახა და ბოქლომი დაადო. ოდესღაც, უხსოვარ დროს, მამა-პაპანი ამ კარადაში ინახავდნენ ვერცხლეულს.

ერთი საათიც და, პერი და მისი ცოლი ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზას ადგნენ. ეს გზა აურსუნდშეენის ტბაზე გადიოდა

ტბა ჯერ კიდევ ყინულით იყო დაფარული. ამ წელს ზამთარი მეტისმეტად გაგრძელდა. ცხენებს ფეხებზე მიმაგრებული ჰქონდათ საგანგებო სათოვლეები,* რომლებიც ღრუდ და მძიმედ ეხეთქებოდნენ გაყინულ ნიადაგს. პერი გაუნძრევლად იჯდა. თვალი ბერსედალსიას ველისაკენ მიეპყრო, სადაც დილის მზის შუქზე მტრედისფრად ელვარებდა არყის ხეები. პერის ცოლს, რომელიც ოცზე მეტი წლისა არ იქნებოდა, ცხვრის ქურქი წამოესხა, უკან იჯდა თივის ტომარაზე. მოსული ქალი იყო, ხელები მამაკაცისას მიუგავდა, მაგრამ სახე თეთრი და ლამაზი ჰქონდა, როგორც რეროსის ზეგანის ყველა ქალს.

პერ ჰაუენმა სადავე შეუშვა, დაუდევრად დაიჭირა ერთ ხელში. ცხენი თავისუფლად მიდიოდა. დროდადრო პერი ცოლს გადააავლებდა თვალს.

— რაო იტირე? — მიუბრუნდა იგი კარის.

— არა, იმდენი არ მიტირია, — და კარიმ თვალები მოიწმინდა.

— ჩემი შიში ხომ არა გაქვს? — ჰკითხა პერმა.

— აბა მეტი ვისი შიში უნდა მქონდეს?

— მე არაფერი არ მომივა. შენ ალბათ დაგავიწყდა, რომ მე თან ხმალიცა მაქვს და გატენილი თოფიც, — ამშვიდებდა ცოლს პერი. — აბა, გასწი, — და მან მათრახი გადაუჭირა ცხენს.

— მოდი, შინ დავბრუნდეთ, პერ! — კარი ქმრისაკენ გადაიხარა და თვალებში ჩახედა, — ისევ ისა სჯობს, ყველანი ერთად დავიხოცოთ შიმშილით, ვინემ შენ რაიმე შეგემთხვეს.

პერმა პასუხად მხოლოდ გაიცინა და თანაც ისე ხმამაღლა, რომ ალბათ მისი სიცილი მთელ ტბას მოედო.

— ნუთუ შენ ფიქრობ, რომ მე შემიძლია უკან დავბრუნდე? ტყუილად ხომ არ ვყოფილვარ ქვეყნის სამხრეთით — სულერში, ტყუილად ხომ არ ვეომებოდი იქ შვედებს. არა, მაგის იმედი ნუ გექნება. მე უკან არ დავბრუნდები.

---

* ასეთი ჩვეულება აქვთ ნორვეგიის მთიან რაიონებში. ზამთარში. როდესაც დიდი თოვლი მოდის და გზა ფუჭდება, ცხენებს ფეხზე უკეთებენ სათოვლეებს. ესაა მოკლე და განიერი ფირფიტები ხისა ანდა ძეწნის ტოტებისაგან დაწნილი. ეს ფირფიტები მარხილში შებმულ ცხენებს შეელიან, რათა ფეხქვეშ გაყინული თოვლი არ ჩაუტყდეთ.

— რა ულმობელი კაცი ხარ, პერ. არც მე გეცოდები, არც ჩვენი პატარა.

— ულმობელიო? — გაიმეორა პერმა. — მე ჩემი თავის მიმართაც ულმობელი ვარ.

კარი ერთ ხანს ჩუმად იყო. მან ქმარს ზურგი შეაქცია და თავზე ქურქის საყელო მოიხვია. პერმა ისევ მოსწია სადავე და ცხენი გარეკა.

კარი ქმარს უნდა მიჰყოლოდა მხოლოდ მოლინგდალის ველამდე, რომელიც ჩრდილოეთით მდებარეობდა. მათ იქ შემოდგომაზე თივის ზვინები დადგეს. გარდა ამისა, ქალს დაავალეს მთის ტბებზე ყინულჭრილები გაეკეთებინა და გამოერკვია, ხომ არ ედება თევზი ანკესს, იმიტომ, რომ შინ თევზისა და ხორცის მარაგი საცაა უნდა ამოწურულიყო. მაღალ ბოძებზე წამოსკუპებულ ბეღელში სრული სიცარიელე სუფევდა. პერს მოლინგდალის ველი უკან უნდა მოეტოვებინა და გზა განეგრძო თხილამურებით და გაულდალის ველის თავდაღმართამდე მისულიყო. სულ ერთია, ერთ ტომარაზე მეტ ფქვილს მაინც ვერ იშოვიდა. „ჩემნაირ ვაჟკაცს, — ფიქრობდა პერი, — ერთი ტომარა ფქვილის გადატანა შეუძლია თუნდაც ას-ნახევარი კილომეტრის მანძილზე“. ახლა, როცა გაზაფხულის შესაფერი უგზოობაა, ტრონჰეიმში ჩასვლა მხოლოდ და მხოლოდ ცხენით შეიძლება. მაგრამ მისი ცხენი მთლად დაჯანდაგდა, ფერდები სულ ჩაუვარდა. სხვა გამოსავალი არ არის, თვითონ უნდა გახდეს მებარგული ცხენი. დიდი ამბავი, სულ ათას-ნახევარი კილომეტრია. ტომარას ზურგზე მოიკიდებს და რამდენ ნაბიჯსაც გაივლის, იმდენ მადლობას შესწირავს მამა ზეციერს.

დილა თენდებოდა, ნათელი და მოკრიალებული დილა. მზის სხივები ისე იღვრებოდა აურსუნდშეენის თოვლსა და ყინულზე თითქოს გამდნარი ოქროაო.

— ყური მიგდე, პერ, — კარი წელში გასწორდა და ქმარს შეხედა, — ვინც კი ქვეყანაზე ახალგაზრდა კაცი მინახავს, შენ სილამაზით ყველას სჯობიხარ.

— იცი, ახლახან მე გავიფიქრე, რომ შენ ულამაზესი ქალი ხარ, — უპასუხა პერ ჰაუენმა.

დიდხანს ლაპარაკობდნენ ასე უდარდელად, თითქოს ბავ-

შვობა დაუბრუნდათო. პერ ჰაუენი ისევ პატარა ბიჭი შეიქნა. მას სულ ის უნდოდა, კიდევ ერთხელ მოხვეოდა ცოლს. ქალმა კი ქმარს მუხლირში გამოწკეპილ მკერდზე თავი დაადო და თვალი დახუჭა... კარი პირთამდე აავსო უთქმელმა და ჩუმმა სიხარულმა. იგი ხომ ცოლია მეფის სახელგანთქმული ჯარისკაცისა.

როცა ტბა აურსუნდშეენს გასცდნენ, ორბერგიდან მომავალი მოსაზიდრის მარხილი შემოხვდათ. მას რკინის მადანი მოკქონდა. თვითონ მარხილზე იწვა. რკინის მადნის უუთის გვერდით და მხოლოდ ხანდახან თუ ასწევდა თავს. მარხილში შებმული ჰყავდა მეტისმეტად დაჯანდაგებული ხარი, რომელიც უფრო ჰგავდა შეშის დასახერხ ჯოჯგინას, ვინემ ცოცხალ პირუტყვს. მოსაზიდრე სოფელ ნაუსტერვოლენის მკვიდრი გამოდგა, სახელად მორტენ-ჰანსა.

— დილა მშვიდობისა, — მიესალმა იგი შეხვედრილთ და სცადა წამოდგომა, მაგრამ შიმშილისაგან ისე დასუსტებულიყო, რომ თავიც ვერ წამოსწია და ისევ დაწვა.

— შენ ალბათ დიდი ხნის ნაშიმშილარი ხარ, — ჰკითხა პერ ჰაუენმა.

— კვირას აქეთ პირში ნაწილი არ ჩამსვლია. და უკანასკნელი, რაც კი ღმერთმა მიწყალობა, ჩემს ინდბორსა და გოგონას დასჭირდათ. — შიმშილისაგან კრუნჩხვა დაემართა. მთლად აკვნესდა და დაიგრიხა. პერ ჰაუენი მარხილიდან გადმოხტა და ადგომა უშველა.

— მეტისმეტად გამხდარხარ, მორტენ-ჰანსა, მთლად ჩონჩხს დამსგავსებიხარ, — შენიშნა პერმა. — შენ ახლა ისეთი გაწლობილი და წოპე გამხდარხარ, რომ თუ კაცს გაუჭირდა, ნავის ნიჩბობას გასწევ. — დაუმატა მან ხუმრობის კილოთი. — აბა, კარი, მანდ ბიჭს ერთი ნაჭერი ხორცი მოუნახე.

კარიმ საჩქაროდ ამოიღო საგზლის ტოპრაკიდან შაშხი, საკმაოდ დიდი ნაჭერი მოაჭრა და დამშეულს გაუწოდა. მორტენი ისე ჩააფრინდა ხორცს, როგორც გარეულმა მხეცებმა იციან. გამალებით ღეჭავდა და თან ამბობდა. ჩემს სიცოცხლეში ამაზე გემრიელი არაფერი მიჭამიაო. ცოტას გაწყდა, მორტენ-ჰანსამ კინაღამ ტირილი არ დაიწყო. მერე შეხვედრი-

ლებს უამბო, როგორ მოიარა მთელი ოლენის მხარე სულ სოფელ-სოფელ. მაგრამ ვერსად ვერ იპოვა ვერც ერთი გრამი ფქვილი. სადაც არ გამოჩნდებოდა, ყველგან ხალხი შიმშილს უჩიოდა...

პერ ჰაუენი და კარი ისევ ჩრდილოეთისაკენ დაიძრნენ. ათი საათი იქნებოდა, როდესაც მილინგდალის ველზე გავიდნენ. აქ ცოლ-ქმარი ერთმანეთს უნდა გამოთხოვებოდნენ. გამომშვიდობებისას ერთად იგალობეს „არყის ხისეული" ფსალმუნი. იდგნენ თოვლში და მღეროდნენ, პერმა ქუდი მოიხადა, ხოლო კარიმ გულხელი დაიკრიფა.

უცხოველესი სიხარული ჩემს გულს აავსებს...
სინათლითა და აღტაცებით მთლად ავივსები,
როცა გავიგებ, რომ სიკვდილი
სძლია სიცოცხლემ.
როცა გავიგებ, რომ ზენაარით
ღაილოცა არსება ჩემი...

როდესაც ტყის პირს მიადგნენ, იქ, სადაც ზვინები იდგა, მგელი დაინახეს. იგი უკანა თათებზე ჩაყუნცულიყო და საშინლად ღმუოდა. მასაც აწუხებდა შიმშილი... როგორც კი ცხენმა მგლის ყმუილი გაიგონა, მაშინვე შეტოკდა, მაგრამ პერმა მაგრად მოუჭირა სადავე და ცხენი შეაჩერა, ვინემ მათ ბოლომდე არ იგალობეს ფსალმუნი. მერე პერმა დაიყვირა და სტვენა ატეხა, რათა ტყიური დაეშინებინა. კუდამოძუებულმა მგელმა ნელი ყმუილით ისევ მთებს მიაშურა.

მალე პერი თხილამურებზე შედგა და მოლინგდალის ველს გაუყვა. მაღლობზე იგი შეჩერდა, უკან მოიხედა და კარის ქუდი დაუქნია. მზის სხივები დასთამაშებდნენ მის ხმალს და ეს იყო უკანასკნელი, რაც დაინახა კარიმ, იმიტომ რომ პერი მალე თვალს მიეფარა არყნალში.

სამი დღე და ღამე მიდიოდა პერ ჰაუენი, ერთი არსად არ გაუთენებია ღამე. მერე მან თავისი თხილამურები მალხუსის რაიონის ერთ-ერთ სოფელში დასტოვა და თვითონ ზღვისაკენ, ტრონჰეიმისაკენ მიმავალ გზას დაადგა. გზად შეხვედრილი ადამიანები ჩერდებოდნენ და თვალს აყოლებდნენ. უყურებდნენ და გაკვირვებას იყვნენ, საიდან მოვიდა ასეთი

მხარბეჭიანი ჯარისკაციო. იგი, რა თქმა უნდა, მთიდან ჩამოვიდა. ისეთი მზედაკრული სახე აქვს და მეტისმეტად გრძელი თმა.

მესამე დღეს პერი უკვე ტრონჰეიმში იყო და ქვრივ დედაკაც ჰ. ენდერსენის ბეღელთან იდგა. მან ქვრივს ჰკითხა, ხომ არ შეგიძლიათ ერთი ტომარა შვრია მომყიდოთო და თუკი საქმე გადახდაზე მივა, შემიძლია სრულფასოვანი მონეტა მოგართვათო.

ჰ. ენდერსენის ქვრივმა მხოლოდ და მხოლოდ ნაღვლიანად გადაიქნია თავი.

— შვრიაო? — გაიმეორა მან, — ღმერთო ძლიერო, შენ იყავი ჩვენი მფარველი. ჩვენ თვითონაც კვირა დღესაც კი აღარ გვიდევს სუფრაზე გამოცხობილის ნასახი.

ქვრივი დედაკაცი დახლთან იჯდა და თვალმიშტერებით ათვალიერებდა პერ ჰაუენს. უკვე ოცი წელიწადია, რაც ქვრივ-ოხერია, ოცი წელიწადი გაატარა უქმროდ და ამ ხნის განმავლობაში მის გულში ძე-ხორციელის სიყვარულის ჭაჭანი არ ყოფილა. მკერდში გული ერთობ დინჯად და წყნარად უცემდა. მაგრამ აი ახლა... თითქოს რაღაც სასწაული მოხდაო, — მისმა გულმა გამოიღვიძა და ისეთი ათრთოლებით აძგერდა. მთიდან ჩამოსული ახალგაზრდა კაცი მოჩვენებასავით გამოეცხადა.

ქალმა ჰკითხა ჰაუენს, სადაური ხარო? პერ ჰაუენმა სრული სიმართლით უამბო ქვრივს ყველაფერი. უთხრა, მთიდან ჩამოვედი, ტბა აურსუნდშეენის მხრიდანა ვარ, მყავს ცოლი, პატარა ბიჭი და მოხუცი მამა, რომელსაც მთელი თავისი დღე და მოსწრება მთაში გაუტარებია, პატარა არყნალში, და საცაა ამიერ სოფელს გადააბიჯოსო. პერმა ისიც უთხრა მასპინძელს, თუკი შვრიას არ მივიტან შინ, ალბათ ყველანი შიმშილით დავიხოცებითო.

— აი თურმე რა ყოფილა! მაშ შენ ცოლი გყავს? — წამოიძახა ქვრივმა დედაკაცმა და იგრძნო, რომ გული ჩაწყდა.— შენ აქ ცხენით მოხვედი?

— არა, თვითონ ვწევ ცხენის მაგივრობას, — უპასუხა პერმა.

— შენ გინდა მთელი ტომარა შვრია ზურგზე მოიკიდო და ისე გაიარო ამოდენა გზა? ჭკუიდან ხომ არ შეშლილხარ?

ამაზე პერმა მიუგო:

— იყოს, თორემ ორ ტომარასაც წავიღებდი.

— არა, როგორც ჩანს, შენ მთლად დაგიკარგავს გონება, — ქვრივმა ამოიოხრა, — ორ ტომარასაც წაიღებდი?

— ჰო, ორ ტომარა შვრიას წავიღებდი. რა ბედენაა? — გაეღიმა პერს.

— წადი ახლავე, გამეცალე! შენ მეც დამაკარგვინებ გონებას! — ამ სიტყვებზე ქვრივმა დედაკაცმა ხელები სახეზე მიიფარა.

— მაშ თქვენ მომყიდით შვრიას? — ჰკითხა პერ ჰაუენმა ქვრივს და მავედრებელი თვალი მიაპყრო.

— შვრიაო, შენ ისევ იმას ამბობ?

ქვრივი ადგა, თავი დახარა და ზურგი შეაქცია მოსულს. მერე მარცხენა ხელი მიიდო გულზე, რომელიც ისევ აუძგერდა რაღაც უაზრო აღშფოთებით.

— კარგი, შენ მიიღებ შვრიას. მხოლოდ ერთ ტომარას. ორი ტომარა შენთვის ნაღდი სიკვდილი იქნებოდა, მთიდან მოსულო ვაჟკაცო.

ქვრივმა აიღო გასაღებების დიდი ასხმულა და პერს ანიშნა, უკან გამომყევიო. ისინი საწყობში შევიდნენ. იქ შვრიის ათი ტომარა ეწყო. პერმა თითო ხელში თითო ტომარა აიღო და ასწია.

— ეს რა საშინელება ნახა ჩემმა თვალმა, — დაიყვირა ქვრივმა და უნებურად შვრიის ერთ ტომარაზე დაეშვა.

პერ ჰაუენი კი იცინოდა.

— მაინც რამდენი კილომეტრი გაიარე?

— ას ორმოცდაათი.

— ეს რა საშინელებაა! — მოთქვამდა დედაბერი. მერე უღონოდ დაეშვა ტომრიდან ძირს. — მაინც რამდენი დღე მოგინდება ზურგზე ტომარამოკიდებულს, რომ შინამდე მიაღწიო.

— სამი დღე და ღამე.

— ჰო, ახლა კი დადგა ჩემი აღსასრული, — ძლივს გასაგონად თქვა მან და იატაკზე დაეცა.

— რა მოგვიდათ?

ჰერ ჰაუენმა ტომრები დააგდო და ქვრივს მიეჭრა. ახლა პერიც ძალიან შეშინდა. მან ქალი იატაკიდან აიყვანა. ისე ეჭირა ხელში, თითქოს პატარა გოგონა ყოფილიყო. ქალმა სუსტი ხმით სთხოვა, თუ შეგიძლია, ჩემს ოთახში წამიყვანეო. პერმა სახლს მიაშურა და ქვრივი ლოგინში დააწვინა.

— აბა, ახლავე აიღე შენი ტომრები და წადი, უკან აღარ მოიხედო, — მხოლოდ ამის თქმაღა შეძლო ქვრივმა დედაკაცმა.

— ფული? — ჰკითხა პერმა.

ქალმა თავი გაიქნია, ფულის აღება არ უნდოდა.

— მიეც კეისარსა კეისრისა... — უთხრა პერმა და მაგიდაზე ოცი ვერცხლის მონეტა დასდო.

ერთი წუთის შემდეგ პერ ჰაუენმა ზურგზე ტომარა მოიკიდა და თავის გზას გაუდგა. პერი ჩრდილოეთის მიმართულებით გაუყვა გაულდალენის ველს. ხანდახან მიწაზე გაერთხმოდა და წყაროს წყალს სვამდა. მერე ისევ მიდიოდა და ისევ მიდიოდა. ნათელი ღამეები იდგა. ველზე ხეები ნაზი ფოთლის სამოსით იმოსებოდნენ. მაღლა ოლენში კი ისევ იდო თოვლი. მაშინ პერი ისევ თხილამურებზე შედგა და მთის გზას გაუყვა.

მოლინგდალსფიელენში ნამდვილი ზამთარი იდგა. ამოვარდა ქარიშხალი, საშინლად წამობარდნა. პერმა გზაში აღმოაჩინა რაღაც ბუნაგი, სადაც უსაკვამურო ღუმელი იდგა. იქ შეაფარა თავი ავდარს და იქ გაატარა ორი დღე. მხნე გუნებაზე იყო. და ვინემ გარეთ საშინელი ჩანჩქერის სადარებელი ქარიშხალი მძვინვარებდა, პერ ჰაუენი დროს იმით კლავდა, რომ საგალობლებსა და ფსალმუნს ამბობდა.

მეშვიდე დღეს პერი უკვე შინ იყო, თავის ქოხს დაუბრუნდა. ხოლო მეორე დღეს ბებერმა კლაუს-ჰაუენმა წყლის წისქვილზე დასაფქვავად წაიღო შვრია. ეს წისქვილი მდინარე ჰაუაბეკენის ნაპირზე იდგა. ამ დღეებში არყნალში საგაზაფხულო სურნელი დატრიალდა და მჩქეფარე ნაკადულები დაედინა. ბერიკაცი ისეთი ბედნიერი და კმაყოფილი იყო, როდესაც შუაღამით წისქვილის ზღურბლს გადმოაბიჯა, მანაც კი სცადა ულს-პოლსის დროინდელი საგალობელი თუ ფსალმუნი ეთქვა. გაზაფხულის ნათელი ღამე იდგა. ტბა აურსუნდ-

შეენის ყურეში ერთი იხვი დაცურავდა, ყინულებს შორის მიიკვლევდა გზას და რაღაც თავისას ყიყინებდა. ამ დროს წისქვილი ფქვავდა და ფქვავდა.

იმავე წელს, შობის წინა საღამოს, ტბა აურსუნდშეენზე გზას მიიკვლევდა ერთი მარხილი. მარხილზე ყმაწვილი კაცი იჯდა, რომელიც გაულდალიდან მოდიოდა. ცივი, მსუსხავი ქარი ქროდა და მოგზაურს პირდაპირ სახეში სცემდა. მას თმაწვერი რა ხანია შეეპირხლა და მთლად თეთრი იყო. მარხილი სწრაფად მოდიოდა და გაყინულ ჰაერში შორს გაისმოდა თითბრის ზანზალაკის ხმა. მგზავრმა რამდენიმე სოფელში გამოიარა, ყველგან ერთი ჰქონდა საკითხავი — საითაკო ჰაუენის გზა, და როდესაც პასუხს მიიღებდა, უმალვე გზას გაუდგებოდა. მას მეტისმეტად სციოდა და რათა მთლად არ გათოშილიყო, მარხილიდან მალ-მალ ჩამოხტებოდა ხოლმე და სირბილით მიუყვებოდა თავის საზიდარს. ამისთანა მძვინვარე ყინვაში სხვა დროს არასოდეს შეხვედრია მგზავრობა. კაცმა რომ თქვას, თუ წინასწარ ეცოდინებოდა, რომ აქეთ ტბა აურსუნდშეენის ნაპირებზე ასეთი მძვინვარე ყინვა და სუსხიანი ქარი იცის, არავითარ შემთხვევაში არ იკისრებდა ამ ტვირთის წამოღებას ფონ კნაგენიელმიდან. ყმაწვილი კაცი ხტოდა, ხელებს იქნევდა, მაგრამ მაინც ეგონა, საცაა ყინვისაგან გავითოშებიო. რაც მართალი მართალია, მას არასოდეს არ გასთენებია ამაზე უარესი შობა. მთელ ტბას აყრუებდა მგლის ყმუილი. მგზავრმა თოკის ერთი ბოლო მოხსნა ცხენს და გზაზე გადააგდო. ისე რომ, ის ერთი ბოლო კლაკვნით მიუყვებოდა მარხილს. ცხენი უკვე მთლად დაფარულიყო ჭირსლით. გაიგონებდით, როგორი ჭრაჭუნი გაუდიოდა თოვლზე ჯავებს.

ჰაუენების პატარა სახლში მთელი ოჯახი შეკრებილიყო. შობის შესახვედრად ფსალმუნს გალობდნენ. ბებერი კლაუს-ჰაუენი, როგორც ყოველთვის, ახლაც თავის საწოლზე იჯდა. ხოლო კლაუს-ცეროდენა მასთან მოკალათებულიყო. პერი მოთავსებულიყო კუნძზე, რომელზედაც შეშას აპობენ ხოლმე. მას ხელში ფსალმუნის წიგნი ეჭირა, ხოლო კარი მის უკან იდგა და ფსალმუნის წიგნში იცქირებოდა.

მამაო ღმერთო, შეივრდომე ცოდვილნი ძენი შენნი.
შენს სამყოფელში მიუჩინე ადგილი საუკუნო...

აკვანში ნებივრობდა პერის ექვსი თვის გოგონა, პატარას თავისი ცისფერი თვალები მიეპყრო ცეცხლისათვის, რომელიც ღუმელში ენთო. გოგონას ულვას ეძახდნენ.

უეცრივ• პერი ადგა და წიგნი დახურა, თუმცა თითით კი მაინც დაინიშნა გვერდი.

— ჩვენთან ვიღაც მოვიდა! — თქვა მან.

გარეთ ცხენმა დაიჭიხვინა. მერე კარი გაიღო და ქოხში ყმაწვილი კაცი შემოვიდა, ის, რომელსაც მარხილი მოჰყავდა. იგი მთლად გათოშილიყო და სასიცოცხლო პირი აღარ უჩნდა. უხმოდ მიუახლოვდა ღუმელს და ჩალურჯებული ხელები ცეცხლს გაუწოდა. წვერი და ულვაში იმდენად შეჭირხლოდა, რომ პირის გაღება მეტად გაუჭირდა. მაგრამ ბოლოს მაინც გააღო პირი და რამდენიმე სიტყვის თქმა მოახერხა: ჩემი ცხენი თავლაში შეიყვანეთო.

როდესაც იმ გაულდაელმა ყმაწვილმა ენა ისევ ამოიღო, თავისი ჟილეტის შიდა ჯიბიდან ბეჭედდასმული წერილი ამოიღო და პერს გადასცა.

წერილი თვით ფონ კნაგენიელმისაგან იყო გამოგზავნილი. იგი იწერებოდა: ჩემმა შვილობილმა, ჰ. ენდერსენის ქვრივმა ღმერთს მიაბარა თავისი სული და ანდერძში ისურვა, რომ ათი წლის განმავლობაში ყოველ საშობაოდ მარხილით წაუღონ ორი ტომარა შვრია ყოფილ ჯარისკაცს, აწ გლეხს პერ კლაუსენ ჰაუენს, რომელიც სადღაც მთაში ცხოვრობს ტბა აურსუნდშეენის მახლობლად — რათა მას ახსოვდეს განსვენებული. დაე განუსვენოს მის სულს უფალმა ცათა შინა.

ათი წლის განმავლობაში ყოველ შობა ღამეს ტბა აურსუნდშეენისაკენ გზას მოიკვლევდა მარხილი, რომელზედაც ყმაწვილი კაცი იჯდა და ორი ტომარა შვრია მოჰქონდა. გარდა ამისა, მას მოჰქონდა ფონ კნაგენიელმის მოლოცვა და წერილი.

ამ შემთხვევისა გამო ყოველ შობა ღამეს პერ ჰაუენი იცვამდა მეფის ჯარისკაცის ფორმას — კნაგენიელმის ძველ, მაგრამ ჯერ ისევ ლამაზ სალეიტენანტო მუნდირს და გვერდზე დაიკიდებდა ხოლმე მისსავე გრძელ ხმალს.

უცხო ჯარისკაცი

იმ ტყის პირას, რომელიც ფანის ტბის ჩრდილოეთით ნაპირს მიუყვება, ჯარისკაცი გამოჩნდა. იგი მიწაზე გაიშოტა და გარშემო მიმოიხედა, ხალხი ხომ არ ჩანსო. რაკი საეჭვო ვერაფერი დაინახა, ტბასთან მივიდა და წყალს დაეწაფა. მერე თავი წყალში ჩაჰყო და ბანჯგვლიანი მკერდი დაისველა. ხელები ნიდაყვებამდე დაუსველდა. უეცრივ მოაფიქრდა, რომ მისი აქ დარჩენა სახიფათოა. მის ზურგს უკან ხის ტოტზე რაღაც ფრინველმა შეიფრთხიალა. ჯარისკაცი შეცბა, ერთბაშად ზეზე წამოხტა და ტყეში მიიმალა. ეს გახლდათ ბოჰემიელი ჯარისკაცი ჰენრიხ პინკე, რომელიც იმპერატორმა ფრიდრიხ მეხუთემ გაიწვია ჯარში, როდესაც რუსეთის მეფის წინააღმდეგ განიზრახა ლაშქრობა. მაგრამ იმპერატორი მოკვდა და ვერ დალაშქრა დანია-ნორვეგიის სამეფო. ჰენრიხ პინკეს პოლკი ნორვეგიაში გაიგზავნა: ხელისუფლებას ეშინოდა, მძიმე გადასახადებით შევიწროებულმა მოსახლეობამ ჯანყი არ მოაწყოსო, გარდა ამისა, გადასახადებსაც ხომ უნდა აკრეფა, რათა საომარი ხარჯები დაიფაროს. მაგრამ ჯარისკაცები ყოველმხრივ ცდილობდნენ სამშობლო მხარეში დაბრუნებულიყვნენ, თავს არიდებდნენ სამხედრო სამსახურს და გარბოდნენ თითო-თითოობით და დიდი ჯგუფებით, მთიანი რაიონებით შვედეთში გადადიოდნენ. შუადღე იყო, როდესაც ჰენრიხი ტბას-

ერთმანეთში ჩურჩულებდნენ: წლები გადის, ტორა დარჩა გაუთხოვარიო და ხშირად მოიგონებდნენ ანდაზას: დიდნი არ კადრულობენ, პატარებს თავად არ იკადრიანო. მაგრამ ტორას მაინც ჰყავდა ერთი ერთგული მოტრფიალე და ყველას უკვირდა, რომ ტორა მის ტრფიალს უპასუხოდ სტოვებდა. როგორც ჩანს, ტორას მართლაც ეშმაკი უჯდა გონებაში, დათმობას არ ფიქრობდა და საწყალი ყმაწვილი ლამის იყო ჭკუიდან შეეშალა.

ყმაწვილს ჰანს ლეკვე ერქვა, ოჯახში მეორე შვილი იყო. წლოვანების მიხედვით. თუკი ვინმე შეეფერებოდა ტორას ხასიათისა და ჭკუის ქალს, ისევ ეს ჰანსი იყო. იგი ტანმაღალი გახლდათ, ლამაზი, სათნო, ცოტა ზედმეტად დინჯი. თავყრილობაში მეტწილად ჩუმად იჯდა და თუკი ხმას ამოიღებდა, დიდ მნიშვნელობას ვერ მისცემდით მის ნათქვამს. ისე კარგი მეურნე იყო, ღონიერი და შრომისმოყვარე, ასეთიც უნდა ყოფილიყო ლომუენის პატრონი. როგორ ეუბნებოდა ასეთ ყმაწვილს ტორა უარს — გაკვირვებას იყვნენ მეზობლები. ტორა უკვე ოცდაშვიდი წლისა იყო და, თუ ქალს ცოლქმრული სარეცლის ნახვა უნდა, დაყოვნება აღარ მართებს, — ამბობდნენ სოფელში, — დროა ანგარიში გაუწიოს ჰანს ლეკვეს თხოვნასო.

ტორა და პაპამისი სამზარეულოში იყვნენ, როდესაც მათ ეზოს ჯარისკაცი მოადგა. ტორა ქურასთან იდგა და ფაფას ურევდა. მან დაინახა, რომ ვიღაც მოვიდა და კარებში შემოიხედა. იგი ჯარისკაცი გამოდგა. თვალები თაფლისფერი ჰქონდა, დიდი და მეტყველი. სახე ქარდაკრული. თვალი ქურაზე მდგომ ფაფას მიაპყრო და ამ შეხედვას ჩააყოლა მთელი თავისი საბრალო. განაწამები სული. მისი მუქი წაბლისფერი თმა დაბალ, კვადრატულ შუბლზე რგოლებად დაჰყროდა. ლურჯი კურტაკი გახეოდა, პერანგი მკერდზე გადაღეღოდა. ბოლოს ჯარისკაცი ოთახში შემოვიდა და შიგ მყოფთ რომელიღაც უცნობ ენაზე მიესალმა. დამხვდურებმა არაფერი უპასუხეს და უხმოდ აათვალიერ-ჩაათვალიერეს — ლომუენში არ იყვნენ ნაჩვეენი უცნობი ხალხის მოსვლას. მაშინ ჯარისკაცი ქურასთან მივიდა. ტორამ შიშით უკან მოიხედა ისე, რომ არც ჯარისკაცისათვის მოუშორებია თვალი. მოსულმა ქოთანზე მი-

უთითა და თითი პირში ჩაიდო, მერე გაიღიმა და თავი გაიქნ-
გამოიქნია. ჯარისკაცს საჭმელი უნდოდა. „რა გაეწყობა, ჭა-
ჭოს, — გაიფიქრა მაგიდასთან მჯდომმა პაპამ, — რა თქმა უნ-
და, ჭამოს, თუმცა ხალხისათვის გასაგებ ქრისტიანულ ენაზე
არ ლაპარაკობს“.

ახლა კი მიხვდნენ, ვინც იყო ის ყმაწვილი. მართალია, წი-
ნათ არც ერთი ლტოლვილი, შვედეთის საზღვრისაკენ მიმა-
ვალი, მათთან არ შეჩერებულა, მაგრამ სერჟანტ ბრენიკს
მიჰყავდა ხოლმე ჰანს ლეკვე, როდესაც მიიღებდა ბრძანებას,
დააკავეთ დეზერტირებიო. ტორამ და პაპამ იცოდნენ, რომ
ლომუენის მცხოვრებთა უმრავლესობა ეხმარებოდა ლტოლ-
ვილებს, საჭმელსა და ტანსაცმელს აძლევდა მათ. არავის არ
აღაშფოთებდა, რომ ჯარისკაცები სამხედრო სამსახურს გა-
ურბოდნენ. ისინი ხომ უცხო ჯარისკაცები იყვნენ, რომელ-
თაც შინ დაბრუნება უნდოდათ. ნორვეგიული სოფლების
მცხოვრებლებს ესმოდათ ეს. როცა ნორვეგიელს სამხრეთით
ან აღმოსავლეთით გზავნიან დანია-ნორვეგიის სამეფოს მტრებ-
თან საომრად, ისინიც შინისაკენ მოიჩქარიან. ამიტომაც შვე-
ლოდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი სამხრეთის შვილებს შინ
დაბრუნებულიყვნენ.

იქნებ ტორას ეს შემთხვევა რომანტიკული ეჩვენა, ანდა
იგი დაიმორჩილა სამხრეთელ ჰენრიხ პინკეს თაფლისფერმა
თვალებმა. ყოველ შემთხვევაში, მან უცნაური სიმკვირცხლე
გამოიჩინა. საერთოდ იგი იმათ რიცხვს არ ეკუთვნოდა, რომ-
ლებსაც უყვართ მოყვასის დახმარება. მაგრამ ახლა ერთ წუთ-
ში გამოიტანა, რაც რამ სახლში საჭმელი იყო. სუფრა გაშალა
და იფიქრა, თუკი პაპა აქ არ იქნება, ჯარისკაცი მეტ სითამამეს
გამოიჩენსო და ბერიკაცი რაღაც საქმეზე ბეღელში გაგზავნა.
ვინემ ჯარისკაცი საჭმელს ანადგურებდა, ტორა მონუსხული-
ვით შესცქეროდა მის თაფლისფერ თვალებს, ხუჭუჭ თმასა და
გამხდარ, დაძარღვულ ხელებს. ქალი სიხარულით ფიქ-
რობდა, ასეთ ხელებს ერთნაირი სიმტკიცით შეუძლიათ ჩა-
ბღუჯონ ქალწულის ტანიცა და თოფიცო.

ჰენრიხ პინკე ჭამდა, გარშემო არ იყურებოდა. ისიც კი ვერ
შეამჩნია, რომ მის წინ ზის ლამაზი ქალი, რომელიც თამამად
შესცქერის. იგი მხოლოდ იმას ფიქრობდა, შეიძლება ეს სა-

დილი სიცოცხლის ფასი დამიჯდესო. ორი დღის წინ ტრონჰეიმში მდგომი პოლკიდან სამი ჯარისკაცი გაიქცა. მან იცოდა, რომ ხელისუფალნი გაფრთხილებულნი იყვნენ. ლტოლვილებმა არ იცოდნენ მთის გზები, რომ შვედეთის საზღვარზე გასულიყვნენ, სამაგიეროდ მაძიებლებმა კარგად იცოდნენ აქაური გზა-ბილიკები. და თუმცა ლტოლვილები კარგა მანძილით წავიდნენ წინ, მაგრამ ეს დიდი ნუგეში არ იყო მათთვის, რადგან უცნობ სოფელ-ქვეყანაში იყვნენ და ხშირად ერთსა და იმავე ადგილს სტკეპნიდნენ.

ჰენრიხ პინკე ადგა და მადლობით გაუღიმა ტორას. მართალია, ქალმა ვერ გაიგო რა უთხრა უცნობმა, მაგრამ მისთვის უსიტყვოდაც გასაგები იყო ყველაფერი. როდესაც ჯარისკაცი კარისკენ გაემართა, ქალმა კურტაკში ჩაავლო ხელი. „თუ გინდა, ღამეც აქ დარჩი", — შესთავაზა ქალმა. ჰენრიხმა ეჭვით შეხედა. ვერ გაიგო, რატომ შეაჩერა ქალმა. ტორამ ჯარისკაცი საწოლისაკენ წაიყვანა და ლოგინი უჩვენა. ქალს უნდოდა, რომ ტყიდან მოსული ჯარისკაცი მასთან დარჩენილიყო, თუკი ახლა გაუშვებს ამ ჯარისკაცს, ასეთი შემთხვევა აღარ მიეცემა.

მაგრამ ჰენრიხ პინკემ უკვე შეამჩნია, რომ ბერიკაცი სადღაც გაქრა და გაიფიქრა, ალბათ მახეს მიგებენო. შეიძლება აქეთკენ მოიჩქარიან გლეხები, რათა დამაპატიმრონ და ტრონჰეიმის ჰაუპვახტში ჩამსვანო. იგი საჩქაროდ გაეცალა ქალს, ისე რომ, უნებურად ხელი ჰკრა მას და ქალიც სკამზე დაეცა. ტორამ სიბრაზით კატასავით დაიფრუტუნა და ფანჯარას მიაშურა. ის მაინც დაინახა, რომელ მხარეს წავიდა ჯარისკაცი. ერთ ხანს პირგამეხებული ტორა გაუნძრეველად იჯდა. როგორ შეურაცხყვეს! ჯარისკაცმა ჯერ გაუღიმია და ტორამაც—ნორვეგიელმა ქალმა და თანაც მეპატრონის მემკვიდრემ — მოინდომა ჯარისკაცს დანებებოდა. ო, როგორ უნდა ხელში ჩაიგდოს ის ჯარისკაცი, გაარტყას, ანდა, თუკი შეძლებს, მოკლას კიდეც.

მაშინ, როდესაც ჰენრიხ პინკე ლოუმენს უახლოვდებოდა, რათა საუმელი ეთხოვა, სერჟანტი ბრენიკი ჰელანში იჯდა და სოფლის ბიუებს ელოდა, რომელთა დახმარებით მას პოლკიდან გამოქცეული ჯარისკაცები უნდა მოეძებნა. ბრენიკს არ მოს-

წონდა ჯარისკაცების დევნა. ეგონა, მესმის ამ უცხოელი ჯარისკაცებისა, რომლებსაც უნდათ სამშობლოში დაბრუნებაო. მაგრამ ბრძანება ძალზე მკაცრი იყო: დაიჭირეთ ლტოლვილები, რადაც უნდა დაგიჯდეთ და თუკი წინააღმდეგობა გაგიწიონ, ესროლეთო.

ეზოში ოთხი უმაწვილი შემოვიდა და ბრენიკი მათ შესაკებებლად წამოდგა. ცნობა მოვიდა, რომ შუადღით. ფენის ტბის ნაპირზე ნახეს ვიღაც კაცი. სერჟანტი ფიქრობდა. რომელი გზით წავიდა ლტოლვილიო. ამ დროს ერთი მოსულთავანი წინ წამოდგა და თქვა:

— სერჟანტო, მოდით, ლომუენში მივიდეთ, თუკი ლტოლვილები ტბის ჩრდილოეთ ნაპირზე იყვნენ, ლომუენს გვერდს ვერ აუქცევდნენ.

— კეთილი, — დათანხმდა ბრენიკი, — შენ, ჰანს, გზა გვიჩვენე.

ეს იყო ჰანს ლეკვე, ტორას ძველი მოტრფიალე. „მაგას უხარია ლომუენში ზედმეტად შეელა", — გაიფიქრეს დანარჩენებმა.

ლომუენის გზაზე ბებერი მიხრწნილი დედაკაცი ნახეს. იგი კენკრას კრეფდა. უმაწვილმა კაცებმა ჰკითხეს, ლტოლვილები ხომ არ გინახავსო. დედაბერმა თავი მოისულელა:

— ჰო, ჰო, აქ სროლა იყო, უმაწვილები ისროდნენ. — ჩაიბურტყუნა მან, მერე სიტყვა ბანზე ააგდო და უაზროდ გაიღიმა.

მდევრებმა გადაწყვიტეს, დედაბერი ჭკუაზე არაა, მაგისაგან ვერაფერს გავიგებთო და აღარ შეჩერდნენ. მოხუცმა ქალმა თავი გააყოლა მათ და მისმა სახემ ისევ აზრიანი გამომეტყველება მიიღო. აქვე ახლო, ტყეში ორი ლტოლვილი დაინახა. შეეძლო ზოგი რამ ეამბა, ეთქვა, რომელი გზით წავიდნენ ისინი. მაგრამ შეეცოდა ბეჩავნი და თავი მოისულელა.

ბრენიკი და მისი თანამდგომნი ლომუენში ერთი საათის შემდეგ მივიდნენ. რაც იქიდან ჯარისკაცი ჰენრიხ პინკე გამოვიდა. ტორა ამ დროს ბოსელში იყო და მოსულებს ეზოში პაპა დახვდა. ბრენიკმა ჰკითხა მას, ხომ არ გინახავს ლურჯ-კურტაკიანი კაცი, რომელიც უცხო ენაზე ლაპარაკობდაო. ბერიკაცმა არ იცოდა რა ეპასუხნა და ამიტომ თავი ისე დაიჭირა,

თითქოს ყურში ცუდად ესმისო. მაგრამ ტორამ უკვე შეამჩნია, რომ ეზოში ვილაც შემოვიდა. ქალი მოსულებს გამოეგება. როცა ჰანსენი დაინახა, თითი დაუქნია და მოიხმო. ტორა ხელად მიხვდა, რისთვის მოსულიყვნენ ეს ყმაწვილები.

— ყური მიგდე, ჰანს, — უთხრა ტორამ და ბოსელში შეიყვანა ყმაწვილი კაცი, — შენ უნდა იპოვო ის ჯარისკაცი და მოკლა იგი. ახლახან იყო აქ. მე სუფრა გავუშალე. რაც კი რამ შინ საჭმელი გვქონდა, გამოვუტანე, იმიტომ რომ, იგი ქრისტიანია და მოყვასი ჩემი, თუმცა წარმართივით ლაპარაკობს. როცა პაპა გარეთ გავიდა, ხელის წავლება მომინდომა.

— რას ამბობ? — ჰანსი წამოჭარხლდა. ღია ცისფერი თვალები თითქმის შავი გაუხდა.

აი, ასეთი ჰანსი მოსწონდა ტორას, მაგრამ ქალს არ უნდოდა ჰანსს ეფიქრა, ჩემს სატრფოს რაიმე უბედურება დაემართაო. იგი ჰანს მაგრად ჩაეკრა გულში და უთხრა:

— ჯარისკაცს საკადრისი პასუხი გავეცი, მაგრამ მან შეურაცხყოფა მომაყენა. გარდა ამისა, იგი ნორვეგიელებს დასცინოდა, ვნახოთ, როგორ დამიჭერენო. რა მომასვენებს, ვინემ იმ თავხედს ჯეროვან პასუხს არ გასცემ.

ჰანსი უსიტყვოდ გაეცალა ტორას და ეზოში გავარდა.

— აბა, ბიჭებო, მომყევით, — დაიყვირა მან, — მე ვიცი, საით გასწია იმ მაწანწალამ.

ყველას გაუკვირდა დინჯი ყმაწვილის ასეთი აღელვება. მაგრამ ვინ იცის, იქნებ, ჰანსმა ნამდვილად გაიგო, რა გზას უნდა დაადგნენ. მართლაც მალე მიაგნეს ერთი ლტოლვილის კვალს. ბრენკმა შეამჩნია, რომ ჰანს ლეკვე წინ მიდიოდა და ხელში თოფი ეჭირა. სამნი უკან მიჰყვებოდნენ.

— სერჟანტი ფიქრობს, რომ ჩვენ არ უნდა ვესროლოთ ლტოლვილს, — წყნარად თქვა ვილაცამ, — თვით სერჟანტი ასეთ შემთხვევაში ჰაერში ისვრის. მას უნდა, რომ ჩვენც ასე მოვიქცეთ.

ორმა თავი დაუქნია დასტურის ნიშნად. სხვა დროსაც ასე მოქცეულან. ბრძანებას ასრულებდნენ და ლტოლვილებს ეძებდნენ, მაგრამ თუ შეამჩნევდნენ, ჰაერში ისვროდნენ და საშვალებას აძლევდნენ საზღვარი გადაელახათ.

— მე რომ წილად მხვდეს უცხო მხარეში სამსახური, ისევე მოვიქცეოდი, როგორც ეს ბიჭები, — თქვა პეტერ რაბენმა.

„გასაგებია! უცხო მხარეში სამსახური რომ შეხვედროდა, სერჟანტიც ასე მოიქცეოდა“, — ფიქრობდნენ დანარჩენები.

— სდექ! — ბრძანება გასცა ბრენიკმა, — ყურადღება!

ხუთივენი ტყის პირას შეჩერდნენ. მათ წინ ჭაობი გადაჭიმულიყო, რომელსაც საღამოს ბინდი დაჰფენოდა. მის მეორე მხარეს გორაკი იყო, რომელსაც არყნალი გასდევდა. არყის ხის ტოტებში ისევ ციაგობდა მზის შუქი.

ლტოლვილს ჭაობის გადასერვა განეზრახა. იგი თითქმის მეორე ნაპირზე იყო. კურტაკი გაეხადა და კოლბოხებზე ხტუნვით მიიჩქაროდა გაღმა მხარისაკენ. მისი თეთრი პერანგი მშვენიერ სანიშნოს წარმოადგენდა.

ბრენიკმა დაუყვირა, სდექო. ჯარისკაცს არც არაფრის მოსმენა უნდოდა, არც არაფრის გაგონება. ერთი წადილი დაუფლებოდა — ეს იყო წინ წასვლა. სერჟანტმა ბრძანა, ნიშანში ამოიღეთ და სროლით გააფრთხილეთო. ოთხმა ჰაერში გაისროლა, მაგრამ მეხუთემ უფრო დაბლა დაუმიზნა. თეთრპერანგოსანი ლტოლვილი გაჩერდა, წაბორძიკდა, მერე ხელები აიჭნია, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ჭაობის მეორე მხარეს გავიდა და ზედ ტყის პირას დაეცა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ლტოლვილი სამშვიდობოს გავიდოდა.

ჰანს ლეკვეს საძრაობა წართმეოდა და რაღაც უცნაურად იღიმებოდა.

— ეგეც მაგას, ხომ მიიღო, — თქვა ჰანსმა.

სერჟანტმა თავი დააქნია. წუთით ყველა გაჩუმდა. იქ, არყის ხესთან, კაცი ეგდო. დაისის მზეს კი ვერცხლისფრად აელვარებინა არყის ხის ტანი.

— ესეც ასე, — თქვა ბრენიკმა და წყნარად მოისვა ხელი ნიკაპზე. — სამმა ჭაობს მოუაროს, საკაცე გააკეთეთ და სოფელში წაიღეთ. გამხდარი ყმაწვილია. ადვილად წაიღებთ. მძიმე როგორ იქნება, როცა მშიერ კუჭზე სამი დღე გაურბის მდევრებს. ჩვენ კი... — იგი გაჩერდა, ჰანს ლეკვეს მიუბრუნდა და შეხედა. ჰანსი კი, რომელმაც ახლა კაცი მოკლა, სიზმარეულივით შესცქეროდა თავის თოფს.

— ახლა შენ წაგიყვან, ჰანს, იმ ორის დასაჭერად, — მი-

ბართა ჰანსს ბრენიკმა. მისი ხმა მკაცრი იყო, თითქოს ამ ხმით უნდოდა ჰანსი სააქაოსაკენ მოებრუნებინა.

როცა ჰანს ლეკვემ თავი ასწია, ძალზე უცნაური სახე ჰქონდა, თითქოს რაღაც დიდმა ტკივილმა სიცოცხლის ნიშანწყალი წაართვაო. ხმა არ ამოუღია, პირი მოებრიცა და თოფი გადაიგდო.

— მე კაცი მოვკალი, — წაიჩურჩულა ბავშვივით უმწეოდ. ჰანსი ბრენიკის წინ იდგა და სერჟანტს ისე შესცქეროდა, როგორც დამნაშავე უყურებს მსაჯულს. წუთით ბრენიკმაც თავი დახარა. სხვებიც ცდილობდნენ არ შეეხედათ ჰანსისათვის. ჰანსი იდგა ამხანაგებს შორის, ხან ერთს უყურებდა, ხან მეორეს და საშინელი ტკივილის გამომეტყველება მოუცილებლად ეხატა სახეზე. ბოლოს სერჟანტმა თავი აიღო.

— იქით ახლა აღარ წავალთ, — წყნარად თქვა მან, — აბა, შინისაკენ გასწით, უმაწვილებო!

უმაწვილკაცებმა შვებით ამოისუნთქეს და მობრუნდნენ. ჰანს ლეკვე ყველას ჩამორჩა, თავდახრილი მოდიოდა, არაფერს ამბობდა, სხვებიც ცოტას ლაპარაკობდნენ. შუაღამე იქნებოდა, შინ რომ მოვიდნენ.

სამნი, რომლებსაც საკაცე მოჰქონდათ, მეორე დღეს მოვიდნენ სოფელში. მათ მოკლული ჯარისკაცის ცისფერი კურტაკი ეპოვათ და მიცვალებულისათვის გადაეფარებინათ. ის ისევ ლამაზი იყო. ქარდაკრულ, სამხრეთის მზით გაშავებულ სახეზე სიმშვიდის გამომეტყველება შერჩენოდა. წაბლისფერი თმა შუბლზე ჩამოშლოდა. იგი სასაფლაოს გალავანთან დამარხეს. ჯარისკაცი ჰენრიხ პინკე, დაიბადა ბოჰემიაში 1743 წელს, გარდაიცვალა ნორვეგიაში 1767 წელს დაბადებიდან 24 წლისა.

რაც ახალგაზრდა ჯარისკაცი მოკლა, ჰანს ლეკვე სულ გამოიცვალა. როცა სოფელში დაბრუნდა, შეამჩნიეს, ათი წლით დაბერებულიყო. როგორც კი იმ შემთხვევას გაიხსენებდნენ, ჰანსი კარს ეცემოდა და გარბოდა. ჰანსი დაბეჩავდა, პირქუში და უკარება გახდა. ერთ ხანს ნათესავებს ეშინოდათ, თავი არ მოიკლასო და თვალს არ აშორებდნენ. ცოტა მაშინ მოკეთდა, როცა სოფლის ღარიბ გოგოს გაუარშიყდა. ცოლად შეირთო და იმ გოგოსთან გადასახლდა. მაგრამ ხალხს ძველებურად გაურბოდა და თითქოს რაღაც ავბედითი მიიტანაო ახალ ოჯახში.

ტორა ლომუენს მეტი საქმრო აღარ ჰყოლია. მას ისევე შეეჯავრა ჰანს ლეკვე, როგორც ის ჯარისკაცი, რომელიც ოდესღაც ცხოვრების გზაზე შემოხვდა. ისევ ძველებურად ჭორაობდნენ მასზე. ტორა ვერ იტანდა, თუ ვინმე კარგად ცხოვრობდა და მხოლოდ მას დაუგდებდა ხოლმე ყურს, ვინაც გაჭირვებისა და უბედურების ამბავს ეტყოდა.

თუმცა ვინ იცის, იქნებ ყველაზე უბედური ადამიანი თვითონ ტორა იყო.

ᲣᲕᲔᲚᲣᲠᲘ

ᲗᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ᲑᲣ ᲑᲔᲠᲒᲛᲐᲜᲘ

ᲞᲐᲡᲢᲝᲠᲘ·ᲕᲘᲙᲘ

სტურეგატანის ქუჩა შუადღის ოთხ საათზე.

დეპარტამენტებისაგან თავდახსნილი მრავალი დაღლილი გონება და მრავალი ცარიელი კუჭი. დაღლილი გონებისა და ცარიელი კუჭის პატრონები უერთდებიან საკონდიტროს მოყვარულთა და ვიზიტიორთა ნაკადს, მერე ყველანი ერთად მიემართებიან ესტერმალმისაკენ*. აქ შეხვდებით ახალგაზრდებსა და მოხუცებს, ლამაზებსა და გონჯებს, ბედნიერთა და უბედურთ. საქმიან ლაპარაკსა და ახალი ჩინის მიღების გამო გამართულ მასლაათს შორის ბურთივით დახტიან ბატონკაცური საუბრის ნაწყვეტები. ფეშენებლური ქუჩა ნამდვილი სალონია, მას მიღების საათები აქვს, საზოგადოება ურჩეულესია. აქ მოსეირნენი ან იცნობენ ერთმანეთს, ანდა ყველაფერი იციან ერთმანეთზე. ისინი ისე დიდხანს დასეირნობდნენ ერთსა და იმავე ქვაფენილზე და ისე დიდხანს იცინოდნენ ერთსა და იმავე ოხუნჯობებზე, რომ ერთი ოჯახის წევრებს დაემსგავსნენ. კარგი ტონი — აი რა ანათესავებს მათ. ეგაა, რომ აიძულებს იცინონ სისულელის გაგონებაზე (ოღონდ ამ

* ესტერმალმი — სტოკჰოლმის არისტოკრატიული რაიონი.

სისულელეს არისტოკრატიული ცხვირი ჰქონდეს!), ეგაა, რომ აიძულებს მიუტევონ ცოლქმრული სარეცლის შეგინება (ოღონდ კი სარეცელი მდიდრული იყოს). სტურეგატანის ქუჩა ბევრს მიუტევებს სტურეგატანის ქუჩას, მაგრამ ესტერლონგსგატანის* ქუჩას — სრულიად არაფერს აპატიებს. საგვარეულო პატივს გაფრთხილება უნდა.

ეს სოლიდარობა ისეთი გრძნობითა და ისეთი სიცხოველით არასოდეს არ აშკარავდება, როგორც შემოდგომაზე. შეხვედრის სიხარული! ჰო, მარსსტრანდსაც** არა უშავდა, მაგრამ სტოკჰოლმს როგორ შეედრება! ნამდვილად ამას მხოლოდ მაშინ გაიგებს კაცი, როცა ისევ თავის თანამოაზრეთა წრეში მოხვდება და დარწმუნდება, რომ ამ რამდენიმე თვის განმავლობაში მათ აზრები არ შეუცვლიათ. აი ისინიც. ყველანი ერთად არიან — საქმოსნები, ოფიცრები, ცნობილი ადვოკატები, მწერლები, მსახიობები. სპექტაკლის ყველა მონაწილეს თავისი ადგილი უჭირავს.

სარეჟისორო ზარი გაწკარუნდა. სეზონი გაიხსნა.

მთელ ამ ამაოების ბაზარს, რომელსაც სტოკჰოლმი სტოკჰოლმობას უნდა უმადლოდეს, სექტემბრის ცამ ღია ცისფერი აბრეშუმი გადააფარა. ჰუმლეგორდენის პარკში აქა-იქ მოჩანს გაყვითლებული ფოთლები და სველი მიწა საშემოდგომო სურნელებას აფრქვევს.

პასტორი ვიკი ამ სურნელებას სიამოვნებით შეისუნთქავს. ცხვირის ნესტოები გაბერა, თავი უკან გადაიგდო და თავისი ნაზი, ქალური სახე საშემოდგომო მზეს მიუშვირა. პასტორი ვიკი ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცია, ოცდაათ წელს ახლახან გადააბიჯა. თავად დიდი პეწენიკია, მანერები კეთილშობილი აქვს და თავდაჭერილი. პროფესიონალური ნიღაბი ჩამოეცლება ხოლმე სუფთად გაპარსული სახიდან, რომლის მკრქალსა და ნაზ კანზე ვნებათაღელვას ჯერ თავისი კვალი არ დაუჩენია. სახეზე ეტყობა პასტორს აღტაცებულია „ამა სოფლით!“ ლამის არის იყვიროს სიხარულისაგან. ყველაფერი ახარებს: მზე და ცა, ადამიანი და მის ფერხთით მოთამაშე პატარა ძაღლებიც.

---

* ესტერლონგსგატანი — ძველი ქალაქის ქუჩა სტოკჰოლმში.

** არისტოკრატული კურორტი დასავლეთ შვედეთში.

მაგრამ თავს იკავებს და შუბლს იქმუხნის. გულში კი უსიტყ-ვო მადლს შესწირავს იმას, ვინც თავიდანვე ასე მოწყალე იყო მისდამი — დაბადა კეთილი და შეძლებული დედ-მამის შვილად, მისცა საუკეთესო განათლება, შეაძლებინა ღვთის სამსახური და ამ ასპარეზზე წარმატებაც არგუნა — მოკლედ რომ ვთქვათ, ვინც დაბადა იოჰანეს ვიკი იმად, რაც არის.

' მის თვალთა წინაშე გადაშლილია ფართო გზა. მან მხ-ოლოდ წინ უნდა იაროს. არავითარი ლოდი დაბრკოლებისა, არა-ვითარი ბილიკი ცთუნებისა. ჰო, მას ბევრი ებოძა ზეცით და კვეხნად ნუ ჩამომართმევთ, თუ იტყვის, მშვენივრად მოვიხმა-რე ჩემდამო ნაბოძვარიო. რაც უნდა მოიმოქმედოს, ყველგან და ყოველთვის თან სდევს ბედი და ღვთის კურთხევა. განსა-კუთრებულ წყალობად მიაჩნდა, რომ განგებამ ააცილა ეჭვი და ფიქრი იმისა, თუ რა იყო მისი მოწოდება. რა თქმა უნდა, მას სხვებივით გამოუცდია მძიმე წუთები, როდესაც უნდოდა დავითივით ეყვირა: „კაცი ამაოებასა მიეგსგავსა, და დღენი მის-ნი ვითარცა აჩრდილნი წარვლენ". მაგრამ არასოდეს არ დაუ-კარგავს მოთმინება, სასოება არ წარკვეთია და ბრძოლიდან ღირსეულად გამოსულა. როგორ ეცოდება ისინი, ვინაც თავი ფერფლად იქცია სასოწარკვეთის ცეცხლითა და სინდისის ქენჯნით, ვისაც არ შეუძლია უზენაესი არსება სხვაგვარად წარ-მოიდგინოს, თუ არა სამარადისო შურისმგებლად. უფალი არს არა მარტო ჭექა-ქუხილში, არამედ მას საამო სიოშიაც დაუ-ვანებია. პასტორ ვიკს ურჩევნია სწორედ საამო სიოში ეძებოს უფალი.

ერთადერთი ტვირთი, რასაც იგი იკისრებდა, იყო ეპისკო-პოსის ჯვარი და სახარებაც ბევრად მახლობელი იყო პასტორ ვიკისათვის, ვინემ სჯული დამსჯელი.

სასჯელის მიგება — არა, ეს სრულებით არ უნდა პასტორ ვიკს და ყანობირსა მას ზედა. სადაც იგი მოწოდებული იყო ეღვაწნა — დედაქალაქის ერთ სოლიდურ მრევლში — უადგი-ლო იქნებოდა ერთობ მკაცრი გამოთქმები ეხმარა. ო, ეს პა-წაწა, მოუსვენარი გულისა და მჩატე ჭკუის ქალბატონები! მათ-ი ყველაზე დიდი ცოდვა ქარაფშუტობა და ბურჟეს რომანის გმირ ქალთა მიბაძვაა. რა დაემართება მათ, თუკი პასტორი მკაცრი სიტყვით მიმართავს. იქნებ სულაც ჩამოშორდნენ ეკლესიას?

სიმჟავე, რომელიც რკინას ჟანგს აშორებს, სრულებითაც ვერ სპობს ლაქას აბრეშუმზე. პასტორს კი საქმე მეტწილად აბრეშუმთან ჰქონდა. ასეთ პროფესიას სათუთი ხელი სჭირდება.

და ისევ მოეძალა სიხარული პასტორს. რა ბედნიერი და მადლიერია, რომ სტურეგატანის ქუჩაზე მისეირნობს და გარშემო ასეთი ჩინებული ხალხი ახვევია. სწორედ აქ არის მისი მოღვაწეობის ასპარეზი, აქ ელის საქმე მრავალი. მას, ვინც ღარიბი და დაჩაგრული იყო, თავისი ბედუკუღმართობის გამო საკმაო საფუძველი ჰქონდა ზე აღეპყრო თვალი, მორიდებოდა ცოდვილ ქვეყანას. საქმე მდიდრებია! ესენი არიან სიცოცხლის მოყვარული არსებანი, რომლებიც მეჯლისებსა და პიკნიკებზე ატარებენ დროს, სათამაშო მაგიდასა და ჰასელბაკენის მსგავს რესტორნებს უტრიალებენ. ვინ მოაქცევს მათ გზაზე მართალთა? ვის შეუძლია წამოდგეს და მაღალ საზოგადოებაში მიღებული ტაქტითა დაა სულიერი მამის სიმტკიცით თქვას: „ქალბატონო, იფიქრეთ ცოტაოდენი სამარადისო საქმეზეც, როცა ცხვირის გაპუდრვას მოათავებთ"; „ბატონო ჩემო, თქვენი აქციები დაეცა, მაგრამ არის ისეთი აქციები, რომლებიც არასოდეს არ ეცემა!" მდიდრებს ნამდვილად უჭირთ თავდაცვა ამქვეყნიურ ცთუნებათაგან, მათ განსაკუთრებით სჭირდებათ ნუგეშის სიტყვა. ამიტომ პასტორ ვიკმა გადაწყვიტა საბრალო მდიდრებს თავისი დახმარება შესთავაზოს.

ამის გაფიქრებაზე პასტორ ვიკს გრძნობები აეშალა. აღელვებული, თვალცრემლიანი შესცქერის იგი თავის მრევლს. არასოდეს არ მოსჩვენებია ეს მანდილოსნები ასეთი ლამაზები. ისე ესუბუქად ჩაუქროლებენ გვერდით, თითქოს ჰაერში მიფრინავენ და თავზე მზის სხივებით მოვარაყებული ღრუბელი ადევთ. ახალგაზრდა ქალი, რომელსაც პასტორმა ვიკმა მიაღებინა კონფირმაცია, მის შესახვედრად მოიჩქარის. ეტყობა ვერ გადაუწყვეტია, რევერანსი გაუკეთოს პასტორს, თუ უბრალოდ მიესალმოს. პასტორი ვიკი ღიმილით ესალმება და გოგონამაც რევერანსი გადაწყვიტა. პასტორს ესმის, როგორ უცემს გოგონას გული. უეცრივ მას აგონდება ტეოდორის გავოტის პირველი ტაქტი. მაგრამ ამ დროს ვიღაცა ესალმება.

— შუადღე მშვიდობისა, პასტორო!

— ა, ეს თქვენ ბრძანდებით, ბარონის მეუღლე! რა მშვენიერი ამინდია! ადამიანი თავს ისე გრძნობს, თითქოს საცაა ფრთები უნდა გამოესხასო.

ამის თქმაზე პასტორმა ხელები აიქნია: ბარონ რიონევის მეუღლე, რომელიც ოთხმოცდახუთ კილოს იწონის, უნუგეშოდ აღაპყრობს თვალს ზეცისაკენ.

— ვიფიქრე, პატარა გასეირნება არ მაწყენს-მეთქი, თავი მომაბეზრა ამ ასთმამ. აგარაკი ლონა არ მომიხდა. ექიმი მეუბნება, სჯობს, პორლას მინერალურ წყლებზე წაბრძანდეთო. შემდეგ ზაფხულს მეტყვის, რამლესაში გირჩევთ წასვლასო.

სულშეხუთულმა ბარონესამ ვიშ-ვიშით გაუზიარა პასტორს, როგორი უკმაყოფილო იყო მედიცინის.

— მაგრამ ეს კი არ უნდა მეთქვა. დღეს საღამოს ჩემთან თავს იყრის პატარა საზოგადოება. კატების სრულიადსკანდინავიის სტოკჰოლმური კომიტეტი ამ წელს აწყობს თავის პირველ კამოფენას. თუ თქვენ გცალიათ, ძალზე სასიამოვნოდ დამრჩება თქვენი მობრძანება. შეიძლება ჩვენთვის შესავალი სიტყვის ბაგვარი რამ გამოგემეტებინათ.

პასტორი ვიკი თავს უკრავს ბარონის მეუღლეს და პირდება, უსათუოდ გეახლებითო. სადილამდე კიდევ ერთი საათია და იგი ამ დროს მანიკურს ანდომებს. ეამაყება თავისი თეთრი ხელები. სათუთად მოვლილი ხელის ლამაზ მოძრაობას განსაკუთრებული ეფექტი აქვს, როცა წირვას ამბობ. სადილის შემდეგ (პასტორი ვიკი ბრახენგატენის ქუჩაზე ცხოვრობს, ორ შეძლებულ ქვრივ დედაკაცთან) იგი სიგარეტს გააბოლებს და შეზლონგზე წამოწვება. უბადლო ოთახი აქვს. დიდი არ არის და მისი ყოველი თავისუფალი კუნჭული დაკავებულია. ოთახის შუაგულში ერთმანეთს მიჰკვრიან პატარ-პატარა მაგიდები, რომლებზედაც წითელი ხავერდია გადაკრული. აქვეა საოცარი ფორმის სკამები. ქალის პატარა, ვარდისფერი მაგიდა კუთხეში მიყუჟულა. მასზე დიდი პალმის მარაო გადაშლილა. ყველგან ბალიშებია მიმოფანტული: ბუხრის ბალიშები, ფეხის ბალიშები, ზურგის ბალიშები, ფრჩხილის ბალიშები. გარდა ამისა, ფოთოლთ უხშირესი ხელსაწმენდები და საფენები.

სიქსტის მადონას ლითოგრაფია ორ ოლეოგრაფიას შორის

ჰკიდია, ხოლო კუთხეში ჯოხზე, თაროზე ტორვალდსენის* „ქრისტე“ დგას. აქვეა ხელოვნური ყვავილების საშემოდგომო თაიგული. ეს ყვავილები სათუთად ინახავენ სავიზიტო ბარათებსა და მეჯლისიდან მოტანილ სუვენირებს მანდილოსნებისა.

აქ პასტორი ვიკი ხალხის თვალისაგან მოფარებულად ცხოვრობს. ეს დასვენების მყუდრო გარემო მისთვის გამაგრილებელი და გამამხნევებელი სასმელის შესადარებელია. სწორედ აქ, სიგარეტის გაბოლებასა თუ ორ ქვრივ დედაკაცთან პიკეტის თამაშის დროს ეწვევა ხოლმე აღმაფრენა. ეს აღმაფრენა ათხზევინებს იმ წირვებს, რომლებმაც მას სახელი მოუხვეჭეს. არა ერთი ქალი მჯდარა აქ, ქრისტეს ქანდაკებასთან, სუვენირებით გარშემორტყმული, და მოუსმენია პასტორის რბილი, მოდუდუნე ხმა, რომელიც ვით მშფოთვარე ტალღებზე დაღერილი ზეთი, ისე ამშვიდებს სულს. როცა პასტორი თავისი მაგიდის ქვედა უჯრას გამოაღებს, ოთახს მოეფინება ძლივს შესამჩნევი სურნელება სუნამოსი. ყოველ კონვერტს თავისი ცხოვრება აქვს, ყოველ ბარათს — თავისი ისტორია.

ბინდით გარემოცული პასტორი წევს და თვლემს, თვალი თითქმის დაუხუჭავს. უეცრივ მის თვალწინ რაღაც იელვებს და ჩაქრება, როგორც სტურეგატანის ქუჩაზე ხდება. რა მშვენიერნი იყვნენ ის ქალები, როგორი ღიმილი დასთამაშებდათ სახეზე! თუმცა რაღა დროის ეგენია, ჩაცმის დროა. მის ტუალეტს ერთი საათი უნდება. სავარცხლები, ჯაგრისები, თმის დასახვევი მაშები, პომადიანი ქილები აქეთ-იქეთ მიაგდო. უკანასკნელი ჩახედვა სარკეში, რამდენიმე წვეთი პარმის ი: ცხვირსახოცზე, და იგი მზად არის.

ბარონი რიონევი და მისი მეუღლე არისტოკრატიულ ქუჩაზე ცხოვრობენ — სტრადვეგენზე. პასტორი გაივლის ფართო ვესტიბიულს, სადაც რძესავით თეთრი მტევნები ყურძნისა ელექტროშუქს გაუკაშკაშებია. ზარის ღილაკს დააჭერს ხელს, მას ლაქია ეგებება, რომელიც ძველი ისტორიის სახელმძღვანელოს ასირიელ მეომარს ჰგავს, და აი იგი ბოლოს ბარონის მეუღლის სალონშია. სალონის მორთულობა ბანალური და თეატრალურად მდიდარია. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თით-

---

* ტორვალდსენი (1768 — 1844) — ცნობილი დანიელი მოქანდაკე.

ქოს აქ უნდა გათამაშდეს სცენა დიუმას ან სარდუს კომედიიდან. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს პუფებზე და ტახტებზე ჩამომსხდარი მოხუცი და ახალგაზრდა ქალები. პატარა ქალურ სეკრეტერთან დაბრძანებულა თვით ბარონის მეუღლე, იგი ხელს უწვდის პასტორს.

— ეს თქვენი მხრით დიდი თავაზიანობაა!

გაცნობის ცერემონიას მალე მოელო ბოლო. პასტორი ბევრ მანდილოსანს იცნობს, თვითონ მას კი ყველა მანდილოსანი იცნობს. იქნებ პასტორმა იმდენი თავაზიანობა გამოიჩინოს, რომ რამდენიმე სიტყვა თქვას...

პასტორი ვიკი პირში მარმელადის ნაჭერს ჩაიდებს. წარმოდგენაც არ აქვს, რა უნდა თქვას, მაგრამ მადა ჭამაში მოდის, ხოლო აღმაფრენა, როცა კაცი კათედრაზე ავა...

— პატივცემულო მანდილოსნებო, ჩვენ ყველამ ვიცით, რა მიზანი აქვს კომიტეტს. უკვე რამდენიმე წელია დაინტერესებული წრეები სტოკჰოლმში ფიქრობენ, როგორ მოაწყონ სრულიადსკანდინავიის კატების გამოფენა. კონტინენტზე ეს საკითხი გადაწყვეტილია. ეტყობა დადგა დრო, მზრუნველი თვალი მივაპყრათ ჩვენს უსაყვარლეს ცხოველებს. ეტყობა-მეთქი, მოგახსენებთ, დადგა დრო ერთმანეთს გავუზიაროთ, რაც კი რამ ვიცით კატების ცხოვრება-ხასიათსა და მოვლა-პატრონობაზე. იქნებ ზოგ ვისმე ეს წამოწყება არც კი ეჩვენოს მნიშვნელოვანი. ყოველთვის მოიძებნება ადამიანი, რომელიც სასაცილოდ აგვიგდებს. მაგრამ ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ეს საკითხი უფრო სერიოზულია, ვინემ ამ მოქილიკეებს ჰგონიათ. კატა სახლის კეთილი სულია. როცა იგი თავის კუთხეში წევს და ფეხზე გვეხახუნება ისეთი ნაზი და ალერსიანი, მაშინ თვალნათლივ ვხედავთ ოჯახური მყუდროების სიტკბოებას. ვგრძნობთ, რა დიდი ბედნიერებაა საკუთარი კერა. და მე ვფიქრობ, რომ ჩვენს დროში, რათა განვამტკიცოთ ოჯახის საფუძველი, საჭიროა...

ასე გაიკრიფა ენად პასტორი ვიკი. ქალები მადლობას თვალით ეუბნებოდნენ, უსიტყვოდ. პატარა ფრეკენი უამბობს პასტორს, მეც მყავს პატარა კნუტი როზიტა — ყველაზე მშვენიერი კნუტი მთელ ქვეყანაზეო. პასტორი ვიკი ძალიან დააინტერესა როზიტამ. იგი თვალმოუშორებლად უყურებს როზი-

ტას პატრონის სახეს, და ამ სახეს წითელი ფერი დაედება. ახლახან პასტორმა რომ იგრძნო, ვიღაც მიყურებსო, იქნებ სწორედ როზიტას პატრონი იყო? იქნებ ფრეკენმა უკარნახა მას ის სიტყვები, რაიც ზეცით შთაგონებული ეგონა.

პასტორი ვიკი და მისი ნორჩი ბანოვანი აივანზე გამოდიან. ისინი ვარსკვლავებს შეჰყურებენ. დაბლა, ბინდბუნდში მოჩანს ქუჩა და სანაპირო. საღამოს ცაზე ხომალდის ანძების სილუეტები გამოისახა, ჩამუქებულ წყალზე კი კატერის სინათლეები არეკლილა. კუნძულ კასტელჰოლმენზე მდებარე პატარა, სათამაშოს მსგავსი ნავსადგურის გამოსახულება მთლად წარიშალა, ხოლო ქალაქის სამხრეთი ნაწილი — მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე მბჟუტავი სინათლეა.

— შეხედეთ იმ დიდ ვარსკვლავს. საინტერესოა, ცხოვრობენ თუ არა იქ სულიერი არსებანი და გვგვანან თუ არა ჩვენ? ისევე ბედნიერნი არიან და ისევე უბედურნი?

— იმედი ვიქონიოთ, ფრეკენ, რომ ისინი ჩვენზე უკეთესები არიან.

პასტორი ქალს გრძნობით მოუჭერს ხელს ხელზე. ქალი თითქოს ვერ ამჩნევს ამას. იგი სადღაც შორს იცქირება. დაბლა სიბნელეში ტრამვაი წკრიალებს, ზღვაში გაისმის გემის საყვირის ხმა. ქალ-ვაჟი სიტყვას ვერ პოულობს, მათი ხელები ისევ ერთადაა.

— უკვე გვიანია, თქვენ შეიძლება გაცივდეთ.

შინ მიმავალი პასტორი ვიკი დიდად დაბნეული ჩანს. იგი აცილებს ორ ხანშესულ ქალბატონს და პატარა მეოცნებეს, რომელიც თვალგაშტერებით იყურება სადღაც და ერთ სიტყვასაც არ ამბობს. სამაგიეროდ ორი დარბაისელი დუენია მოუკოდავი წისქვილივით რახრახებს. პასტორმა დიდი შვება იგრძნო, როდესაც ისინი თავის სახლში მიჩურთა, ბიბლიოთეკსგატანის ქუჩაზე. ისა და ფრეკენი მარტო რჩებიან, მაგრამ საუბარს თავი ვერ მოაბეს. პასტორი ცდილობს სიტყვა ჩამოაგდოს ხან როზიტაზე, ხანაც მაღალ მატერიებზე, მაგრამ არაფერი არ გამოსდის. ფრეკენი ახლა კენტ პასუხებს იძლევა და როზიტაც ჩვეულებრივ კნუტს დაემსგავსა.

ბოლოს გზა დაილია. გოგონამ ერთი ხელი კარს მოჰკიდა და მეორე კი პასტორს გაუწოდა. წუთით პასტორი ვიკი გუ-

ლისთქმას აჰყვა, ქალი მისასვლელში შეიყვანა და გადაკოცნა. უეცრივ ვაჟის თვალწინ გაიელვა ქალის შეშინებულმა სახემ, მერე კარი მიიკეტა და პასტორი მარტო დარჩა.

პასტორი ვიკი უკმაყოფილოა, ეს უკანასკნელი სრულიად ზედმეტი იყო. იგი სტურეგატანის ქუჩაზე მიებიჯებს და ფიქრობს, რა ლამაზი იყო აქაურობა შუადღისით და რა ბედნიერი ვიყავი მაშინო. აი მხიარული მეჯლისი დასრულდა, სცენა დაცარიელდა, პარკ ჰულმეგორდენს თავს დასწოლია უზარმაზარი ურჩხულის მსგავსი შავი ღრუბელი, რომელიც ერთიმეორის მიყოლებით შთანთქავს ვარსკვლავებს. აქა-იქ ფარნის შუქზე ღამის მგზავრი გამოჩნდება და ისევ გაქრება. პასტორს ესმის საკუთარი ნაბიჯის ნახმევი, რომელსაც კედლები გამოსცემენ. უკმაყოფილო, რაღაც უსიამოვნო გრძნობით შეპყრობილი პასტორი პალტოს საყელოს აიწევს და ნაბიჯს მოუჩქარებს. როცა თავისი სახლის მისასვლელს მიუახლოვდა, წვიმის პირველი წვეთები დაეცა დედამიწას.

მოუსვენარი ღამე დაუდგა პასტორ ვიკს. ვერ დაიძინა. მხოლოდ გათენების ხანს ჩასთვლიმა, მაგრამ საშინელმა სიზმარმა არ მოუსვენა. ესიზმრა, თითქოს მას სურს აკოცოს კატას, რომელმაც პირველი ჯილდო მიიღო სრულიად სკანდინავიის კატების გამოფენაზე. მაგრამ კატა სახეში ჩააფრინდა და ყურიდან ნიკაპამდე დიდი ნაკაწრი დაუტოვა. იფეთქა სისხლმა, ვერ შეუჩერეს, პასტორი სისხლისაგან იცლება...

დილით პასტორი ვიკი თავს დაღლილად გრძნობს და ტანში ამტვრევს, მთელი კვირა ცუდ გუნებაზეა. საკვირაო წირვა უფრო მკაცრია, ვინემ საერთოდ. მრევლისა კრავნი ყურს ცქვეტენ და უკმაყოფილოდ შესცქერიან. რა დაემართა მათ სელადონს? წინათ მას ისე ფრთხილად მიჰყავდა თავისი მრევლი ეკლიანი გზით, რომელსაც ცხოვრება ჰქვია. იგი განსჯის დღის მოციქული გახდა? მაგრამ მათ პატარა სალადონს არ შეუძლია დიდხანს იყოს მკაცრი. კარგა ხანი სტანჯა მან თავისი თავი და აი ის კვლავ თაფლად დაიღვარა, მისი თეთრი ხელიც ისე დაჰფარფატებს კათედრას, ვით მტრედი ნოეს კიდობანს.

კარიე ბოიე

დიდი შესაძლებლობის ადამიანი

როცა ნასადილევს ყავა შემოიტანეს, ევალდ იაკობსონი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი, მეტისმეტად დაფიქრებული ჩანდა და ხმას არ იღებდა.

— რაზე დაფიქრებულხარ? — ჰკითხა ცოლმა.

—ლიუტინგზე ვფიქრობ, — უპასუხა მან.

— ვინ არის ლიუტინგი?

— მე და ლიუტინგი ოდესღაც ერთად ვსწავლობდით სამხატვრო სასწავლებელში. ნუთუ შენთვის არასოდეს მიამბნია? თუმცა შეიძლება არც არაფერი მითქვამს. იმ დროიდან მოკიდებული მისი ამბავი არ გამიგია. ჩემი საქმეებით ვიყავ დატვირთული. მერე კი სულაც გადამავიწყდა ჩემი ნაამხანაგარი.

ახლა გეტყვი. მაინც ვინ არის ლიუტინგი? წარმოიდგინე ადამიანი, რომელსაც ყველაფერი ეხერხება. ლიუტინგს შეეძლო მშვენიერი მხატვარი გამოსულიყო, ერთი სიტყვით, მას ყველაზე ნიჭიერ მოწაფედ სთვლიდნენ სასწავლებელში. ახლა მის ნაქანდაკევს არ იკითხავ? ნახატს სჯობდა. გარდა ამისა იგი ვიოლინოზე და პიანინოზე უკრავდა, თან თვითონაც თხზავდა მუსიკას — მეტად ორიგინალურსა და დახვეწილ მუსიკას. იმასაც ამბობდნენ, პოეტია და ბევრი შესანიშნავი ლექსი აქვსო. სამწუხაროდ, მე თვითონ არასოდეს არ წამიკითხავს მისი ლექსები და არც არასოდეს მომისმენია.

ჩვენ გვეგონა, რომ ლიუტინგი ჩვენი საუკუნის ერთი შე-

სანიშნავი ადამიანი გამოვა, როგორებიც იყვნენ ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო. ჩვენს საღამოებზე ლიუტინგი ყოველთვის პირველკაცობდა, მის გარშემო იყრიდნენ თავს სხვები და ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ მალე ლიუტინგი მთელი ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების შუაგულში მოექცეოდა და ყველანი მის გარშემო იტრიალებდნენ, როგორც კალეიდოსკოპში ტრიალებენ ქვები. მაგრამ როგორღაც მოხდა ისე, რომ მასზე არაფერი ისმოდა, ჰოდა, დღეს გამახსენდა ლიუტინგი და გამიკვირდა, როგორ უკვალოდ გაქრა ეს კაცი. მაგრამ ჩანს მე სულ იმის მოლოდინში ვიყავი, როდის დაიქუხებდა ლიუტინგის სახელი და მხოლოდ ამ საღამოს მივხვდი, რომ უკვე მეტისმეტად დააგვიანდა.

უკანასკნელი სიტყვები პროფესორმა დაღლილი ხმით წარმოთქვა. ჩუმად. ფრუ იაკობსონმა ქმარს შეხედა. პროფესორს საფეთქლები მთლად გაჭაღარავებოდა, წელში მოხრილი იჯდა. იქნებ, როდესაც მან თქვა „მეტისმეტად დააგვიანდა“, თავისი თავი იგულისხმა? შორიდან რომ შეხედოს კაცმა, ისე ჩანს, თითქოს ევალდ იაკობსონმა ბევრ რასმე მიაღწია. მან მოიხვეჭა სახელი, მოიპოვა საზოგადოებრივი მდგომარეობა და მაინც რას წარმოადგენს აკადემიის პროფესორობა იმ მაღალ იდეალებთან შედარებით, რასაც ადამიანი ისახავს მიზნად მაშინ, როცა მხოლოდ ოცნების თვალით ხედავს მომავალს? მაშინ არც მდგომარეობა აფიქრებს, არც სახელი. მისი ოცნების საგანია საკაცობრიო ვალი, რაიც მან უნდა აღასრულოს, და შემოქმედებითი ცხოვრების ოკეანე. აი ამ ჭაღარა, წელში მოხრილ ადამიანს. რომელიც სავარძელში ზის, არც ისე ცოტა გაუკეთებია. იგი მრავალი შრომის ავტორია. მაგრამ ახლა, როცა იგი თავის ყმაწვილკაცობის ოცნებას იხსენებს, თავისი ნამოქმედარი ერთობ უფერული და ნამცეცა ეჩვენება.

— რაღა მაინცადამაინც დღეს გაგახსენდა ლიუტინგი?

— დღეს შემხვდა კაცი, რომელიც იმას ჰგავდა. ეს იყო ვასაგატანზე. სადგურის სიახლოვეზე. მე მოვდიოდი და გუნებაში ვბრაზობდი მონსონის სტატიაზე, რომელიც მან „სტოკჰოლმსტიდინინგენ“ დაბეჭდა, როცა უეცრივ ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა გამვლელმა. იგი ჩემს შესახვედრად მოდიოდა. შევკრთი. ვინ არის-მეთქი, გავიფიქრე. მერე შემოვ-

ტრიალდი და დავინახე, რომ იგიც შემოტრიალდა. იქნებ, ის კაცმა იგრძნო, რომ ვუყურებდი. შემდეგ მომეჩვენა, რომ ის კაცი ლიუტინგს ჰგავდა. იქნებ სწორედ ლიუტინგი იყო. თუმცა შეიძლება მეხსიერებამ მიღალატა. მე რომ კაცი ვნახე, იგი ლიუტინგზე უფროსი იყო. შესამოწმებლად იმის გამოთვლა დავიწყე, რამდენი წლისა იქნება ახლა ლიუტინგი. და მაშინ მივხვდი, რომ მისთვის ერთობ გვიანია სახელის მოხვეჭა.

მოსამსახურე ქალი შემოვიდა და ცოლ-ქმარს მოახსენა, ვიღაც ბატონს სურს ელაპარაკოს პროფესორსო. პროფესორი გავიდა.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს მართალია... ნუთუ ეს შენ ხარ, ლიუტინგ, შემოდი, შემოდი!

-დიახ, ეს ლიუტინგი გახლდათ. ლიუტინგი პროფესორის ბინის ბნელ წინკარში შემოვიდა. მის პალტოს დრო-ჟამისაგან მწვანე ფერი დასდებოდა, ეცვა მთლად დაძენძილი შარვალი. ფეხზე კი დახეული შტიბლეტები. ტანჯვაში გამოტარებული ღირსების კვალი აჩნდა ტანსა და სახეზე, რომელიც გაჭირვებასა და ალკოჰოლს გამოეფიტა. მოსულმა ფიქრიანად შეავლო თვალი შპალერს, ლამპასა და საკიდარს მიუახლოვდა.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, — თქვა იაკობსონმა, — სწორედ ყავაზე მოგვისწარი.

ლიუტინგმა მშვიდად დაუქნია თავი და პალტო საკიდარზე დაჰკიდა. როგორი პიჯაკი ეცვა! პროფესორ იაკობსონს გული შეეკუმშა, ნამდვილი ფიზიკური ტკივილი იგრძნო.

მან ცოლს გააცნო ლიუტინგი. ყავას მიუსხდნენ, მაგრამ საუბარს თავი ვეღარ მოაბეს. მოსამსახურე ქალმა ნამცხვრით სავსე ლანგარი შემოიტანა. სტუმარმა ნამცხვარს ბოლო მოუღო. პროფესორი იაკობსონი თავდაჭერით განთქმული კაცი იყო. ახლაც მთელი თავისი ტაქტი მოიკრიბა და სცადა მხიარული სტუდენტური საუბრის წამოწყება, მაგრამ თანამოსაუბრის ცივმა დუმილმა შეაჩერა.

პროფესორი როიალს მიუახლოვდა და რამდენიმე აკორდი აბღო.

— გახსოვს? — ჰკითხა მან სტუმარს, — ეს შენი მუსიკაა. ახლა რაიმეს თხზავ?

— არა, პრინციპულად არა. ჩვენს მუსიკაში ხომ რაღაც სიდამპლე იგრძნობა.

— რას ამბობ?

— იცი თუ არა, რა არის დღევანდელი მუსიკის საფუძველი? მთელი ჩვენი ტონალური სისტემა აგებულია ორის მეოცე ხარისხის ფესვზე. სწორედ ასეა — ორის მეოცე ხარისხის ფესვზე. წარმოგიდგენია, რა არის ეს? ის რაც აგებულია ორის მეოცე ხარისხის ფესვზე. არის დეკადენტობა. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ყველაფერი მეტისმეტად არეულია, დაიკარგა სიფაქიზე.

— განა სხვა მუსიკა არ არსებობს?

— არის, რა თქმა უნდა... მაგალითად ზანგთა ბანტუს მუსიკა. ტამულების მუსიკა. ყოველ შემთხვევაში, ძველი მუსიკა. ალბათ ძველი ინკების მუსიკაც ასევეა. აბა შენ ერთი ბანტუს მელოდიები მოგესმინა. თავდაპირველად ჩვენ ვერ გავიგებთ ამ მუსიკას, მეტისმეტად წარყვნილები ვართ ბავშვობიდანვე. მოწამლულები ვართ ორის მეოცე ხარისხის ფესვით. მაგრამ როდესაც ყურს დავუგდებთ. შენ წინაშე თანდათან წარმოიქნება ყველაზე უფრო ფაქიზი და ნათელი ჰარმონია, რაც კი შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს. ეს ნამდვილი განცხრომაა. ვწერ თუ არა ესეთ მუსიკას? არა, ჯერჯერობით მაგ ზომამდე არ მივსულვარ. მაგრამ მოთმინება იქონიე, ერთიც იქნება, სიმარტივე გაიმარჯვებს.

— ძერწვასაც ხომ არ მიანებე თავი?

— ჰო, ძერწვასაც დავანებე თავი. რა საჭიროა. განა ჩვენს დროს ქანდაკება სჭირდება? არა. ქანდაკება სჭირდებოდა ანტიკურ სამყაროს მაშინ კულტურა მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალი ხალხის ერთ ჯგუფს ემსახურებოდა. ხოლო მთელ შავ სამუშაოს მონები ასრულებდნენ. ჩვენ კი სარგებელის თაყვანისმცემლები ვართ არქიტექტურა ჩვენში გეომეტრიად გადაიქცა. თუმცა მართალი გითხრათ. მე მომწონს კიდევაც, მაგრამ არქიტექტურისათვის ჩვენს სამყაროში ორგანული ადგილი აღარ არის. მე ვამბობ: ორგანული ადგილი-მეთქი. რადგან შენ შეგიძლია. რამდენიც გინდა დადგა ყველა კუთხეში — ამის თქმაზე სტუმარმა ხელი გაიშვირა კუთხეში მდგარი ქან-

დაკებისაკენ, რომელიც კაი ნილსონის* ნამუშევარი იყო, მაგრამ ამას თანამედროვე კულტურასთან ორგანული კავშირი არ ექნება.

პროფესორმა ამოიოხრა.

— ალპათ შენს ნათქვამში არის სიმართლის ნატამალი, — თქვა მან დაღლილი ხმით, — ჩემო კარგო ემი, ხომ არაფერს დაუკრავ ჩვენთვის.

ემიმ დაუკრა. მამაკაცები უსმენდნენ. პროფესორი მოხარული იყო, მუსიკამ შესვენების საშუალება მისცა. ლიუტინგი კი აშკარა ინტერესითა და კმაყოფილებით უსმენდა, მიუხედავად მისი პრინციპული მტრობისა ორის მეოცე ხარისხის ფესვისადმი. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მისი თავშეკავება.

— შენ ხომ ხატავ, — წამოიწყო თავაზიანად ლიუტინგმა, თუმცა მის ხმაში დაცინვა იგრძნობოდა. აშკარა იყო, რომ იგი შეტევაზე გადავიდა. — მაგრამ იცოდე, რომ შენი ფერები ვერასოდეს ვერ გაუტოლდებიან ძველი ოსტატების ფერებს. დამიჯერე, რომ ათი წლის შემდეგ ამ ფერებს შუქი გაეცლება, მათი ელვარება ჩაქრება. ჩვენ ვთითხნით, ვთითხნით, ვპეიტრობთ, მაგრამ ძველი ოსტატების საიდუმლოებას ვერ ჩავწვდებით. არა, მე ფერწერაზე ხელი ავიღე.

— ჩემო მეგობარო! — წამოიძახა იაკობსონმა. მის ხმაში შიში და ზიზღი გაისმა. მან აჩქარებული ხელით სკამი გადასწია და ყველანი სასტუმრო ოთახში გავიდნენ.

აღელვებული პროფესორი ოთახში ბოლთას სცემდა. დაფიქრებული ლიუტინგი სავარძელში იჯდა. ბოლოს იაკობსონმა ძლივს წარმოთქვა:

— შენ, რა თქმა უნდა, ლექსებსაც აღარ სწერ?

— არა, ლექსებს არა ვწერ, — ჯიუტად მიუგო ლიუტინგმა და იაკობსონს თვალი გაუსწორა, — მე მივხვდი, რომ სულ ტყუილი ჩირთიბირთია, სიტყვებით ჩვენი ღრმა განცდათა გადმოცემის ცდა. როგორ უნდა გადმოსცე უდიდესი ექსტაზი, ჯოჯოხეთური ტანჯვანი სიტყვებით, საცოდავი ადამიანური სიტყვებით — მე ეს საშინელ მკრეხელობად მიმაჩნია. ხოლო

* კაი ნილსონი (1882 — 1924) — დანიელი მოქანდაკე.

აღწერა ამინდისა და ქარის ქროლისა... მადლობა მომიხსენებია, სხვებისათვის დამილოცნია ეს საქმე.

ცოტა ხნის შემდეგ ადამიანი, რომლის წინაშე ოდესღაც ცხოვრების ყველა გზა იყო გადაშლილი, ტრიუმფატორის თავბდაბალი და თან სერიოზული იერით გავიდა პროფესორის სახლიდან და ქალაქის ნისლს შეერთო. წასვლისას მან პროფესორ იაკობსონს ორმოცდაათი კრონი გამოართვა სესხად.

ივარ ღუ-იოჰანსონი

ორი ძმა

ორი ძმა — მათ მხოლოდ ამ სახელით იცნობდნენ. ისინი კარ-მიდამოს ერთ ქვის ფლიგელში ცხოვრობდნენ. ამ ფლიგელის მეორე ნახევარში მოთავსებული იყო ლუდსახდელი და სამრეცხაო. ბინას ვერაფერს დაუწუნებდნენ. მთლად გამოცალკევებულნი იყვნენ. სამზარეულოსა და ოთახში დიდნიშნებიანი ფანჯრები ჰქონდათ. წაბლისა და ცაცხვის მაღალი ხეები შემოჯაროდნენ ფლიგელს, მათი ტოტები ეხებოდა ფანჯრის რაფებს. გაზაფხულობით წაბლის ხეები აყვავდებოდნენ და გეგონებოდათ სანთლები აუნთიათ და ის სინათლე სამზარეულოს მაგიდას ეფრქვევაო.

საღამოობით ორივე ძმა — უფროსი იუჰანესი და უმცროსი ვიქტორი (მათ შორის ორი წელი იყო მხოლოდ განსხვავება) მაგიდას უსხდნენ, ვინემ მათი დედა — აჩონჩხილი, მამაკაცური შესახედაობის დედაბერი სამზარეულოში ფუსფუსებდა. ძმები ამ კარ-მიდამოში დაიბადნენ, უკვე ახალგაზრდები აღარ იყვნენ. ცოლი არც ერთს არა ჰყავდა, საქმეებს დედა განაგებდა, მამა რა ხანია გარდაეცვალათ.

— არ ვიცი რა გეშველებათ. მე რომ მოვკვდები, — ეუბნებოდა სიტყვაძვირი დედაბერი შვილებს.

იუჰანესს ხშირად გაუგონია ეს სიტყვები და მიჩვეული იყო, რომ დედას ისინი ბავშვებად მიაჩნდა და ეგონა, უჩემოდ ვერ გაძლებენო.

— მაშინ ჩვენ კარ-მიდამოს სამზარეულოში ვისადილებთ.— მოკლედ მოუჭრა მან.

უმცროსმა ძმამ ვიქტორმა უმალვე კვერი დაუკრა:

— მაშინ ჩვენ, რა თქმა უნდა, კარ-მიდამოს სამზარეულოში ვისადილებთ.

ეტყობოდა, ეს პასუხი არ აკმაყოფილებდა დედას და იგი თავისას განაგრძობდა:

— მაშინ შენ, იუჰანეს, შენი საყვარელი მეაუნას წვენით ველარ ჩაიგემრიელებ პირს, შენ კი, ვიქტორ, ღორის ხორცს ველარ გაუსინჯავ გემოს. მერე და რა სასარგებლოა ეგ შენი ჯანმრთელობისათვის. რასაც მოგცემენ, ის უნდა სჭამოთ.

თითქოს ეს ორი, უკვე ხანშიშესული კაცი დედის საპასუხოს ველას პოულობდა, ნამდვილად კი აბეზარს იყვნენ მოსული ამ ბრძანი და იგივე საუბრისაგან. ძმებმა იცოდნენ. დედა ჩვენზე ადრე მოკვდებაო. ისიც იცოდნენ, რომ არასოდეს ცოლს არ შეირთავდნენ და ამ კარ-მიდამოს სამზარეულოში ისადილებდნენ.

ძველ, პატრიარქალურ კარ-მიდამოში ცხოვრობდნენ. აქ მუშახელის ფასი იცოდნენ. ზრუნავდნენ გამრჯე ხალხზე. მაშ რაღა საჭიროა სულ იმაზე ლაპარაკი, რა უნდა მოხდეს ერთი ან ათი წლის შემდეგ. ეს საუბარი მხოლოდ ამძიმებს წუთიერ სიამეს, დღევანდელი დღის სიხარულს.

ძმები ფიქრობდნენ, ამ წუთისოფლის სიამეში ჩვენც წილი გვიდევსო. ეს იყო, რომ ლაზათს აძლევდა მათ ყოფას. აკი ამიტომაც დასათმობად არ ემეტებოდათ ცხოვრება. როცა დილაობით ეზოში გამოვიდოდნენ. საჯინიბოსთან სხვა მოჯამაგირეები ხვდებოდნენ. ძმები ხმამაღლა ესალმებოდნენ მათ. შემოდგომობით, როცა წვიმა თავით ფეხამდე დაასველებდა მათ, ანდა ზამთრობით, როცა ყინვა დაუზრობდა ხელ-ფეხს, ძმების ოცნება იყო თბილი ზაფხული.

ხოლო როცა ზაფხული დადგებოდა, ზამთარი ენატრებოდათ, იგონებდნენ ზამთრის სიგრილეს. წვრილად იცოდნენ კარ-მიდამოს ასავალ-დასავალი და გარშემო გადაჭიმული ველ-მინდორი. ახსოვდათ, სად როდის რა იყო დათესილი და ეს უხაროდათ. საღამოობით სიამოვნებით ბრუნდებოდნენ თავის თბილ ბინაში. რა კარგი იყო შინ ჯდომა და ძველი დროის მო-

გონება სტუმრად მოსულ მეგობართან. სხვათა სიკვდილიც კი მათ სევდანარევ სიხარულს გვრიდა: აი, სხვები კვდებიან და ისინი კი ცოცხლები არიან, ჯანს არ უჩივიან. რამდენი სიხარული მოჰქონდა წაბლის ხეების უხვ ჩრდილს, როგორი სასიამოვნო იყო დედის ხელით მომზადებული საჭმელი, ძილი მოხერხებულ საწოლში და საუქმეოდ გამოწყობა კვირადღეობით. ეს ყველაფერი საწუთროს წვრილი სიამეა და ალბათ მას ძმათათვის კიდევ დიდი ხანი არ დაედება ზღვარი. ძმებს იმედი ჰქონდათ, სიბერის ჟამს მუშაობას თავს დავანებებთ, ძველებურადვე ამ კარ-მიდამოში დავრჩებით და ძველებური პატივისცემა არ მოგვაკლდებაო.

I I

გავიდა მრავალი წელი და დედა მოკვდა.

მისი სიკვდილი მოულოდნელი არ იყო. ჯერ ისევ ზამთარში, როდესაც მათთან სამასლაათოდ შემოვიდა ვიღაც, უფროსმა იუჰანესმა სამზარეულოში მოფუსფუსე დედას შეხედა და თქვა:

— დედაბერი ზაფხულამდე ვერ მიატანსო.

დედამ დასტურად თავი დაუქნია.

— ჰო, ეგრე იქნება და მაშინ ვაი თქვენი ბრალი. ვინღა შეიწუხებს თავს, ბიჭებს კუჭი არ ასტკივდესო. ვინღა მოგიმზადებთ საპირისგემო კერძებს, — მოთქვამდა დედაბერი და აშკარად ჩანდა, იგი კმაყოფილი იყო იმით, რომ მის შვილებს უდედოდ გაუჭირდებოდათ.

— მაშინ ჩვენ კარ-მიდამოს სამზარეულოში ვჭამთ...

სტუმარმაც კვერი დაუკრა ძმებს:

— რა თქმა უნდა, კარ-მიდამოს სამზარეულოში დაგაპურებენ და ცხოვრებითაც ისევ აქ იცხოვრებთო.

დედაბერმა ავი თვალი მიაპყრო სტუმარს:

— იუჰანესსა და ვიქტორს უჩემოდ გაუჭირდებათ. მათ იმას არ მისცემენ, რასაც სამოცი წელია შეეჩვიენ. იუჰანესს მჟაუნას წვენი მოაკლდება და ვიქტორს მსუქანი ღორის ხორცი. ეგ კარგად ვიცი!

ძმებმა და სტუმარმა სცადეს სხვა თემაზე გადაეტანათ საუბარი, მაგრამ დედა თავისას არ იშლიდა.

— აი ნახავთ, — თქვა მან მუქარით, — თვითონ დარწმუნდებით. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა.

გაზაფხულზე დედა ჩაწვა, და ვინემ ის ლოგინს ლესავდა, შვილები ვითომც სასხვათაშორისოდ, ნამდვილად კი დედის გასაგონად, სულ წუწუნებდნენ, ეს რა კერძებს გვაძლევენ სამზარეულოშიო. იუჰანესი ამბობდა, მჟაუნას წვენის გემო დამავიწყდაო, ხოლო ვიქტორი ოცნებობდა, ერთი მსუქანი ღორის ხორცი გამაშინჯაო. ორივეს ეგონა, რომ ეს ლაპარაკი გულს უფონავდა დედას.

კუბოში ჩასვენებული მიცვალებული ერთი კვირა იწვა ლუდსახდელში და საგაზაფხულო ფოთლით აღჭურვილი წაბლის ხეები უკაკუნებდნენ ფლიგელის ფანჯრებს. მერე ცხოვრება თავისი კალაპოტით წარედინა. ძმებს ხელი არ უხლიათ მაღალი, შეპოლიკებული საწოლისათვის—ეს იყო დედის სახსოვარი. მათი გამოკვება კარ-მიდამოს სამზარეულომ იკისრა.

ერთ საღამოს, მაშინ დედა ახალი მკვდარი იყო, ძმები წესისაებრ უსხდნენ სუფრას. იუჰანესმა, რომელიც ძმაზე დაბალი იყო და უფროსი, თქვა:

— როცა დავბერდებით, ალბათ აქედან გაგვაგდებენო.

ვიქტორი ფიქრობდა, ჩემმა ძმამ ამ თემაზე ლაპარაკს მოუხშირაო, და შეეპასუხა:

— ბევრ ნაშრომ-ნაჯაფ ადამიანს არავინ გააგდებს, ჩვენ ხომ აქ დავიბადენით.

იუჰანესმა შენიშნა:

— კარგი კი იქნებოდა... სიკვდილამდე რამდენიმე წელი მშვიდად გვეცხოვრა. იქნებ კიდევაც მოგვცენ აქ დარჩენის ნება, როცა მუშაობა აღარ შეგვეძლება.

ვიქტორმა უპასუხა:

— იქნებ მოგვცენ ნება.

იუჰანესმა ინატრა:

— ვიცლით ჩვენთვის და სხვათა მუშაობას ვუყურებთ. კაცმა რომ თქვას, ჩვენთვის უპრიანია დასვენების უფლება. ჩვენ ხომ ყველაფერი ვიცით.

ვიქტორს მოსწყინდა ძმის ყურის გდება, მეტისმეტს ფიქრობს ძმა სიბერეზე.

— დრო მოვა და ვნახავთ, რაც მოხდება, — შეაწყვეტინა ძმას, — მე ვფიქრობ, აქ დარჩენას არ დაგვიშლიან. რა თქმა უნდა, არ გვაწყენდა რამდენიმე კრონის დაზოგვა.

ამ წელსაც და მის მომდევნო წლებშიც ძმებს თავისი წილი სიამე არ მოშლიათ. ძველებურად სხვა მოჯამაგირეები უცდიდნენ მათ მოსვლას საჯინიბოსთან, რათა მუშაობა დაეწყოთ. როცა ძმები სამზარეულოში გამოჩნდებოდნენ, მზარეულსა და მოახლეს ტკბილი სიტყვა წამოსცდებოდათ ხოლმე; ძველებურად სასიამოვნო იყო საღამოობით შინ დაბრუნება და იმის ფიქრი, როგორც იქნა, თავისუფლები ვართო. ყვირაობით ისინი საუქმეო ტანისამოსს იცვამდნენ და ახლომახლო მიდიოდნენ სასეირნოდ. ზოგჯერ შორსაც გასწევდნენ, კინშე გლეხს ესტუმრებოდნენ. გზაში ნაცნობებს ესალმებოდნენ. მოგონებებს სიძველე შეეპარა. მაგრამ ამან ძმებს ოითქოს სიმდიდრე შესძინა.

ძმებმა სამოც წელს გადააბიჯეს. მაგრამ ისინი ძველებურად ჭარმაგნი იყვნენ. სულ უფრო ხშირად ჩამოავდებდნენ სიტყვას იმ დროზე, როდესაც სულ დაბერდებიან და იმდენი ფული დაუგროვდებათ, რომ შეეძლებათ ცხოვრებას ის აართვან, რისაგანაც აქამდე თავს იკავებდნენ. გულში ფარული იმედი ჰქონდათ: იქნებ აქ დაგვტოვონ და სამზარეულოში გვაჭამონ-გვასვანონ. მუშაობა აღარ შეგვეძლება, მაგრამ ამდენი ჯაფის შემდეგ გვეკუთვნის დასვენებაო.

III

ეს დღეც დადგა და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვარაუდობდნენ ძმები. ისინი საცხოვრებლად ქვის ფლიგელში დატოვეს და კარ-მიდამოს სამზარეულოს დაევალა მათი გამოკვება. უკვე მუშაობა აღარ შეეძლოთ და ნება მისცეს არ ემუშავათ. ძმები გაკვირვებას იყვნენ. ასეთი კარგი ბინა როგორ შეგვინარჩუნეს, როცა უკვე აღარაფრის მაქნისები ვართო. ისინი ვერ ხედავდნენ იმას, რასაც ხედავდნენ სხვები: ძმებს ორი პარასკევი სიცოცხლეღა დარჩენოდათ.

ლილაობით ადგომას არ ჩქარობდნენ. ახლა მათთვის საჭმელი მაშინაც კი მოჰქონდათ. როდესაც ამას არც კი თხოულობდნენ და თავად აპირებდნენ სამზარეულოში წასვლას.

— როგორ. ფიქრობ, რატომ არ უნდათ ჩვენი მისვლა სამზარეულოში?

უმცროსი ვიქტორი პასუხობდა:

— ჩვენი შეწუხება არ უნდათ.

ძმები ვერ გრძნობდნენ. რომ მათ ცუდი სუნი ასდიოდათ— ჯერ თავს ვეღარ უვლიდნენ და ამიტომაც სხვებს არ უნდოდათ მათ გვერდით ჯდომა.

ისინი ეზოში დაეხეტებოდნენ და ეუურებდნენ, როგორ მუშაობდნენ ახალგაზრდები. როცა მინდორში გავიდოდნენ, ატყობდნენ, რომ არავის არ უხაროდა მათი დანახვა. თავს ეხოლოდ მაშინ გრძნობდნენ კარგად, როდესაც თავის ფლიგელში ისხდნენ. მალე ეზოში სიარული და სხვათა თვალთვალიც შეწყვიტეს. გაწყდა ცხოვრებასთან დამაკავშირებელი უკანასკნელი ძაფი.

ერთხელ, როდესაც სამრეცხაოში სარეცხს რეცხავდნენ, ფსაქმოდ მოხეტიალე ძმებმა თავისი დახმარება შესთავაზეს იქ მომუშავეებს. წინათ ყოველთვის შველოდნენ სამრეცხაოს ქალებს. მაგრამ ახლა ქალებმა სასწრაფოდ მოიშორეს ძმები.

— არა, სჯობს თქვენსა წახვიდეთ! აქ ისედაც სივიწროვეა,— თქვეს მათ ხუმრობით. მაგრამ ამ ხუმრობაში ფარული აზრი იყო.

— გვინდოდა მოგშველებოდით. წყალს მოგიტანდით, ან იქნებ სხვა რამე გაგვეკეთებინა.

— თქვენი არაფერი გვინდა. — უპასუხეს ქალებმა ღონიერი თეძოების ქნევით და შეუმჩნევლად მოიშორეს ბებრები. — წადით შინ, ფეხებში ნუ გვედებით..

ძმები ფლიგელში წაჩანჩალდნენ.

საღამოს წესისაებრ სუფრას მიუსხდნენ. წყნარად, გაუნძრევლად ისხდნენ, თითქოს ვინმე უთვალთვალებსო. ბოლოს იუპანესმა წარმოთქვა:

—ნეტავი დედამიწა გაგვისკდებოდეს და თან ჩაგვიტანდეს, ყველას ფეხებში ვებლანდებით.

ვიქტორმა, რომელსაც სამრეცხაოს ამბავმა ლაპარაკის ხ.-ლისი წაართვა, მოკლედ ჰკითხა ძმას:

— შენც მაგას ფიქრობ?

— ეს ერთი წელია, სულ ეს მიტრიალებს თავში, თუმცა არაფერს ვამბობდი, — თქვა იუჰანესმა. ძმები ისხდნენ და დაბნევით მისჩერებოდნენ ღუმელის ორივე მხარეს მიმაგრებულ ორ კაუჭს. ამ კაუჭებს შორის წინათ გაბმული იყო სქელი თოკი, რომელზედაც დედა მათ ფეხსამოსსა და სამუშაო ტანსაცმელს აშრობდა.

მერე ძმებმა თვალი სხვა ადგილას გადაიტანეს, შეხედეს დედის აპოლიკებულ ქვეშაგებელს. ვიქტორმა თქვა:

— დედა რომ ცოცხალი გვყავდა, ზრუნავდა ჩვენზე, თვალი ეჭირა, რომ არაფერი დაგვკლებოდა. ჩვენ აღარავინ გვყავს:

ძმებს არასოდეს არ ულაპარაკიათ ამდენი და ისიც ასეთ ჰნიშვნელოვან თემაზე.

როცა კარ-მიდამო საღამოს ბინდმა მოიცვა, ძმები დას ძინებლად დაწვნენ.

შფოთიანი იყო მათი ძილი. ხშირად იღვიძებდნენ. ორივენი ტკივილს უჩიოდნენ და ერთმანეთს უთვალთვალებდნენ. განთიადის წინ, როდესაც დილის მორბედმა ნიავმა შეათრთოლა წაბლის ხეები და მათი ტოტები ფანჯრის მინებს შეეხო, ძმები ადგნენ და ჩაიცვეს. უნდოდათ ერთმანეთს გამოლაპარაკებოდნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა და ამიტომ ხელი ჩაიქნიეს. მაგიდას მიუსხდნენ, მაგრამ უმალვე ადგნენ. სულ იმაზე ეჭირათ ყური, ეზოში რა ხდებაო.

ერთი საათიც და, მოჯამაგირეები სამუშაოდ გამოვლენ. ისინი ხმამაღლა მიესალმებიან ერთმანეთს. ეზოში ცხოვრება ახმაურდება. საჯინიბოსთან ხალხი და პირუტყვი შეიყრება. ბზე დააცხუნებს და ცხენები თავს გაიქნევ-გამოიქნევენ.

ძმები ადგნენ და ფრთხილად, მიპარვით, ისე რომ არავის გაუგია, კედელთან მივიდნენ.

როცა საუზმე მიუტანეს, დაინახეს, რომ ორივენი თეთრეულის გასაშრობ კაუჭზე ეკიდნენ. იუჰანესი დიდი, ფართო ღუმელის მარჯვენა მხარეს, ვიქტორი კი მარცხენა მხარეს.

გუნჰილდ ტეგენი

ღირსეული ოჯახი

ზაფხულის მიწურული იყო. აგვისტო ილეოდა, ცას მუქი ცისფერი ედო, ზედ ფუნჩულა ღრუბლები მოჩანდა. დიდი ვილა, როგორც ზღაპრული სასახლე, თავს დასდგომოდა მუქმწვანე, კოხტად შეკრეჭილ გაზონს. დიდ ყვავილნარში წითლად ღვიოდნენ ვარდები, ქვიშით მოკირწყლულ ბილიკს აქეთ-იქით მიჰყვებოდა წითელ-ყვითელი დევისპირა. ფართო კიბის ორივე მხარეს ყელყელაობდნენ გეორგინები. ამ კიბეს დინჯად მიუყვებოდა ახალგაზრდა ქალი.

ქალი მუხის დიდ, ლამაზ კართან შეჩერდა, მაგრამ მაშინვე არ დაურეკავს. ჯერ მიმოიხედა და იგრძნო, თითქოს აქედან გაქცევა სურდა. რა გრძელი გზაა აქედან ქუჩამდე. რა გრძელია ის ბილიკი, რომელსაც ეს დევიპირა ამკობს. არა, მხნეობა უნდა მოიკრიბოს. და დიდ სასახლეში ზარის წყვეტილი ხმა გაისმა, ამას ძაღლის ყეფა მოჰყვა და მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ქალმა დაიცადა.

დაბოლოს კარი გაიღო. თეთრ კიტელიანმა ლაქიამ შეკითხვის თვალი მიაპყრო მოსულს. ქალი რიგიანად იყო ჩაცმული. ვინ გაიგებს, მაინც რამ მოიყვანა აქ.

— მგონი, ამ სახლში სჭირდებათ გუვერნანტი ჭალი, — სწრაფად ჩაილაპარაკა მან, — დღეს დილით იყო განცხადება.

— ჰო, რა თქმა უნდა, და მთელი დღე გვირეკავენ. შემოდით, ბატონებს მოვახსენებ.

მსახურმა უმალვე მიიღო თავაზიანი და მასთან მფარველური ტონი. ქალი შეცბა.

იგი მარტო დარჩა ამ უზარმაზარ, შესანიშნავ ვესტიბიულში. იატაკზე ეფინა ჩინებული სპარსული ხალიჩები — რა თქმა უნდა, სპარსული ხალიჩები: რომანებში ხომ ყოველთვის ასე წერენ. შავი ხის დიდი, ინკუსტრირებული კარადა, უზარმაზარი ორი სარკე, ფარდები, ჭერზე საკვირველი მეტალური ჭაღი — სხვა რამის დათვალიერება ქალმა ვერ მოასწრო, კიბელიანი მსახური დაბრუნდა.

— თქვენ. ფრეკენ, ცოტა უნდა მოითმინოთ. დაჯექით, გეთაყვა.

მან თავაზიანად გაიღიმა და რენესანსის სტილის ტყავგადაკრულ ხავარძელზე მიუთითა ქალს.

— გმადლობთ! — თქვა ქალმა, მაგრამ არ დაჯდა. მსახური გავიდა.

ასე იდგა იგი და ავეჯს ათვალიერებდა. ფანჯარასთან ბათქაშიან კედელს სურო შემოხვეოდა. „ეს სურო ლამაზია. ყველაფერს სჯობს. რაც კი რამ არის ამ ვესტიბიულში", — გაიფიქრა მან. ხასხასა სურო! მაგრამ თეთრი ქათქათა კედელიც კარგი იყო და სხვა დანარჩენიც არ ჩამოუვარდებოდა მას. ეს ყველაფერი ლამაზია, მაგრამ ძვირია. მარტო სუროა ქალის საშყაროს კუთვნილება, უფრო სწორად, შეიძლება ყოფილიყო. ქალსაც შეეძლო სურო დაერგო თავის ეზოში, ვინ იცის, იქნებ როდესმე თეთრი კედელიც ექნეს. ახლა ქალის მთავარი საზრუნავია: ადგილის შოვნა და სწავლის გაგრძელება.

ქალი შეკრთა — კიბეზე ჩამოდიოდა უზარმაზარი ძაღლი. მოსულს ძაღლისა ეშინოდა და ახლა გული გადაუტრიალდა. ნუთუ არავინ არ მოვა და არავინ ხმას არ გასცემს მას? ქალმა თავის ჩანთას დაავლო ხელი და სკამს მიეკრო. ძაღლმა დასუნა იგი, გარს შემოუარა და იქვე მის ფერხთით მოიკალათა. ქალმა შვებით ამოისუნთქა და გაიფიქრა: „მგონი ამას მოვეწონე. მსახურიცა და ძაღლიც კარგად შემხვდნენ. ეს კარგის ნიშანია".

ქალი დაიღალა ფეხზე დგომით და სკამის კიდეზე ჩამოჯდა. თვალი ლამაზ ნივთებზე მიმოატარა. უეცრივ მისი ყურადღება მიიქცია ჭერმა. ცისფერ ფონზე დახატული იყო ვარსკვლავე-

ბი, მზე, მთვარე და სხვა პლანეტები — ვარსკვლავეთის ფანტასტიკური რუკა. ქალი მონდომებით ეძებდა მისთვის ცნობილ თანავარსკვლავედს, მაგრამ ვერაფერი იპოვა. ეს ხომ ნამდვილი რუკა არ იყო. არამედ მხოლოდ მოხატული ჭერი. ვინ იცის, რა ძვირი დაჯდა. იქნებ ჭერის მოხატვა იმდენი დაჯდა, რასაც მთელი წლის სწავლის ფული მოუნდება...

ზევით კარმა გაიჭრიალა: ვიღაც სწრაფად ჩამოდიოდა ძირს. ქალი კრძალვით წამოდგა. მუხის გაკრიალებულ კიბეზე. როშელზედაც ცისფერი ფიანდაზი ეფინა. ჩამოდიოდა პატარა, თეთროსანი ქალი. ჩიტივით სანეზე მოუსვენარი ღიმილი დასთამაშებდა.

— გამარჯობათ, ფრეკენ!

— მე ედიტ ელდვიგი გახლავართ. — თქვა სტუმარმა. — წავიკითხე თქვენი განცხადება გაზეთში...

— მესმის. მესმის. ატესტატი გაქვთ? გამოცდები ჩაგიბარებიათ? მოდით, გეთაყვა, აქ.

პატარა ქალმა ღია კარზე მიუთითა სტუმარს და იქითკენ გაუძღვა. „დაბრძანდით". — მიიპატიჟა დიასახლისმა ედიტი და ისიც მსუბუქ სავარძელში ჩაჯდა.

— ჩვენ უკვე ბევრმა დაგვირეკა... მაგრამ მე მინდოდა მენახა ის, ვინც... იმეცადინებს პატარა გოგონასთან. ჩემი შვილი ერთობ სუსტია საიმისოდ, რომ სკოლაში იაროს. თქვენ იცით, როგორ უნდა მოეპყრათ ბავშვებს?

— დედ-მამას ჩემზე უმცროსი ოთხი ჰყავს. ინებეთ ჩემი ატესტატი, — მიუგო ედიტმა და დიასახლისს გაუწოდა სიმწიფის ატესტატი და სკანდინავიური ენების ჩათვლის მოწმობა. — მე კიდევ განვაგრძობ სწავლას. — დასძინა მან წყნარად, — მინდა უნივერსიტეტში ჩავაბარო გამოცდები. მაგრამ საიმისო სახსარი არა მაქვს. რომ სტოკჰოლმში ოთახი დავიქირავო. ერთი ეს მიბრძანეთ. თუკი თქვენთან მიმიღებთ. შეშეძლება თუ არა, კვირაში სამჯერ ლექციაზე ვიარო? მე. რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა. ჩემს მოვალეობას შევასრულებ. სასურველია ეს ახლავე გამოვარკვიოთ. რომ მერე...

პატარა ქალს სახე მოეღრუბლა. ეტყობა. ეს თხოვნა მაინცადამაინც არ ესიამოვნა.

— ქმარს დავეკითხები, — წაიბუტბუტა მან, — მშვენიერი ატესტატი გაქვთ... ვინ არის თქვენი მამა, ფრეკენ?

— იგი შორეული მოგზაურობის კაპიტანი იყო. მე ექსტერნად ჩავაბარე გამოცდები სიმწიფის ატესტატზე.

— ვნახოთ, ფრეკენ, მოვიფიქრებ. შეიძლება დაგირეკოთ?

— რა თქმა უნდა, რვა საათის შემდეგ... მე კიდევ რამდენიმე სახლში ვარ მისასვლელი.

— ეს რა მესმის? ფრეკენს უნდა სხვებს მიმართოს, ვინემ ჩვენ არ გადაგვიწყვეტია საკითხი.

ქალის სახეზე თითქმის შეურაცხყოფილი ადამიანის გამოშეტყველება აღიბეჭდა. წარბები მაღლა აზიდა და პირი მოკუმა. ედიტს შეეშინდა, გაიფიქრა, ყველაფერი წყალში ჩავყარეო, მაგრამ მაინც რაც შეეძლო დინჯად უპასუხა:

— მე ხომ უნდა ვიცოდე, კიდევ რას შემომთავაზებენ... ვაითუ ჩვენ ვერ მოვრიგდეთ.

მაგრამ პატარა არისტოკრატ ქალს ეტყობოდა მოეწონა ედიტი, ანდა იფიქრა, სხვა კანდიდატებთან ლაპარაკით თავის შეწუხება არა ღირსო. იგი წამოდგა და თქვა:

— შეგიძლიათ იფიქროთ, რომ საკითხი გადაწყვეტილია. თქვენ, ფრეკენ, სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენთ. როდის შეგიძლია მეცადინეობის დაწყება.

— ხვალ, — უპასუხა გაკვირვებულმა ედიტმა და არავითარი სიხარული არ უგრძვნია. ყველაფერი ერთობ ადვილად მოგვარდა, იქნებ დიასახლისმა კიდევ გადაიფიქროს? — გოგონა სადღაა? — ფრთხილად იკითხა მან.

— თქვენ მას ხვალ ნახავთ, ფრეკენ ელდვიგ. ასე, ცხრა საათისათვის გელით. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

— თქვენი პირობები როგორიღაა? — გაუბედავად იკითხა ედიტმა, — მე უნდა ვიცოდე...

— თქვენ მზამზარეულზე იქნებით და გარდა ამისა თვეში ორმოცდაათი კრონი, თანაც გექნებათ უნივერსიტეტში სწავლის ნება. განა ეს პირობები ხელს არ გაძლევთ?

ქალი ადგა და ცივად შეხედა ედიტს. ამით ანიშნა, საუბარი დასრულებულიაო. შემოვიდა უზარმაზარი ძაღლი და ფრთხილად გაეხახუნა სტუმრის კაბას. ედიტი გაწითლდა და თქვა:

— დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ მე არ შემიძლია ასეთი სამუშაო ვიკისრო, თუკი ჩემი გასამრჯელო ას კრონზე ნაკლები იქნება... მე ხომ ლექციებს თავისუფალ დროს დავესწრები. მეცადინეობა მუშაობაში ხელს არ შემიშლის. ამის პირობას გაძლევთ.

— მაშინ სამოცდათხუთმეტი იყოს...

ედიტი გაფითრდა, მაგრამ მაინც დათანხმდა. მართალია, ძალიან სჭირდება ფული, მაგრამ ოცდახუთ კრონზე ვაჭრობა აღარ დაიწყო. პატარა ქალის მაგივრადაც შერცხვა. მაგრამ ედიტმა უკვე სამი განმცხადებლის ოჯახს მიაკითხა და თანაც მთელი შარშანდელი წელიწადი ხომ მაღაზიაში მუშაობდა. აქ ის მაინცაა, რომ სულ სარბენად არ ექნება საქმე და თანაც ძაღლი კარგი თვალით უყურებს. აი ერთი თავისი მომავალი მოწაფისათვის რომ შეახედა!

— ხვალ მობრძანდით, ფრეკენ ელდვიგ! — თქვა ქალმა ისე თავაზიანად, თითქოს ფულზე სულაც არ ყოფილიყო ლაპარაკი.

ედიტი თავშეკავებულად გამოესალმა და ისევ ლამაზ ვესტიბიულში გამოვიდა. მუხის კარი დაიხურა და იგი კვლავ ქვის კიბეზე აღმოჩნდა გეორგინებს შუა. ქალმა პარკს გადახედა. რა დაჯდებოდა ეს ნარგავები? ათასი კრონი! და მათ არ უნდათ ასი კრონი გადაუხადონ შვილის აღმზრდელ მასწავლებელს. გულში ზიზღი დაებადა, მერე ყელში მოაწვა, აღრჩობდა. „ეგ არაფერი, ტირილს არ მოვყვები", — უთხრა თავის თავს ედიტმა. ქალი უკანმოუხედავად გაჰყვა ბილიკს და ქუჩაში გამოვიდა. ტრამვაის გაჩერებამდე შორი არ იყო. დროზე მიუსწრო. სირბილით დაიღალა და დაქანცული სკამზე ჩამოჯდა.

თავისი მოწაფე ედიტმა მეორე სართულის პატარა საკლასო ოთახში ნახა. გოგონა სუსტია და ფერმკრთალი. მას ისევე ჩიტის სახე აქვს, როგორც დედამისს, მაგრამ დედის თავაზიანობისა არაფერი სცხია. ედიტს უნდოდა მისალმებოდა, მაგრამ იგი ზურგზე ხელებდაწყობილი ხმაამოუღებლივ იდგა.

— რაკი არ გინდა, ნუ მომესალმები, — უთხრა ედიტმა თავაზიანად, — მე შენ გასწავლი კითხვას. ძალიან სასიამოვნოა. როცა თვითონ კითხულობ ზღაპრებს.

ბავშვმა ეპვის თვალი არ მოაშორა:

— მე მყავდა ფრეკენი, იმან ვერაფერი მასწავლა, შენც ვერაფერს მასწავლი.

— რა თქმა უნდა, ვერაფერს გასწავლი, თუკი შენ არ მოინდომე. სწავლით თვითონ უნდა ისწავლო. სხვებს შეუძლიათ მხოლოდ დახმარება გაგიწიონ. სწორედ ეს არის ჩემი მოვალეობა. ანბანი იცი?

გოგონას ხმა-კრინტი არ დაუძრავს. ფანჯარასთან მივიდა და პარკში გაიხედა. აშკარა იყო, არაფრად აგდებდა ედიტს.

— რა გქვია სახელი? — წყნარად ჰკითხა ედიტმა.

რადგან პასუხს არ მოელოდა. სცადა გონების თვალით თავისი მდგომარეობა აეწონ-დაეწონა. მაშ ასე, სამოცდათხუთმეტი კრონი იმის გასამრჯელოდ. რომ იკისრო ასეთი მაკვარაანცხი ბავშვის აღზრდა. ვაითუ ვერაფერს მიაღწიოს? ხომ არა სჯობს ახლავე უარი თქვას. დღესვე შეუძლია იშოვოს სხვა სამუშაო. რომელიც ასეთი ძნელი არ იქნება.

— ყური მიგდე, — ისევ მიუბრუნდა იგი ჯიუტ გოგონას.— თუ შენ ჩემთან ლაპარაკი არ გინდა, მე აქ არ დავრჩები. ახლავე წავალ დედაშენთან და ვეტყვი, რომ ასეთი სამუშაოსათვის არ ვარგივარ. იქნებ მოგიძებნონ შენი მოსაწონი ფრეკენი.

ამის თქმაზე. ედიტი კარისაკენ გაემართა.

— მშვიდობით. — თქვა მან, როდესაც კარის სახელურს მოჰკიდა ხელი.

გოგონა მისკენ გამოქანდა და ცრემლები წასკდა.

— შენ უფრო მომწონხარ, ვიდრე ის მეორე. მე მინდა. რომ შენ დარჩე. ნუ მიდიხარ დედასთან! ნუ მიდიხარ დედასთან!

ედიტი ამ მოულოდნელმა წარმატებამ განაცვიფრა. გოგონას თავზე ფრთხილად გადაუსვა ხელი და მისი დამშვიდება სცადა.

— დაწყნარდი. დაწყნარდი. — ჩურჩულით უთხრა ედიტმა, — თუ გინდა. მე დავრჩები!

შემდეგ ტახტზე ჩამოსხდნენ და მანამ საუბრობდნენ. ვინემ არ გაისმა საუზმის ზარი. ერთად ჩავიდნენ სასადილოში. გოგონა კვლავ თავის ნაჭუჭში მოექცა და ძლივს პასუხობდა დედას. როცა იგი რასმე ეკითხებოდა.

— აბა. მარი. რაიმე ისწავლე დღეს? — მაგრამ ჩანდა. დედა პასუხს არ მოელოდა, — გეთაყვა. ფრეკენ, აი თქვენი ადგილი.

სუფრას მიუსხდნენ. კიტელოსანს შემოაქვს საუზმე. ერთობ საზეიმო გარემოა, თუმცა სულ სამნი არიან — დიასახლისი, მარი და ედიტი.

— ჩემი ქმარი არასოდეს არ საუზმობს ჩვენთან, — სხვათა შორის თქვა დიასახლისმა.

მარი პირს ძლივს აკარებს საჭმელს, ედიტს შია, მაგრამ ჭამა ვერ გაუბედნია. ყველანი თითქოს იმიტომ სხედან, რომ საჭმელის ცქერით დასტკბენ, ისე ცოტა გადმოაქვთ თეფშებზე. ედიტი კიდევ სჭამდა, მაგრამ ვერ გაბედა, საკლასო ოთახში ეჩქარება.

სადილობისას ოჯახის უფროსი გამოჩნდა. ესაა ზორბა, წითელლოყება კაცი. ამ კაცთან ედიტს ჭამა არ ერიდება. მარის მამა ცდილობს იოხუნჯოს, რათა თავი მოაწონოს ედიტს, მაგრამ ცოლმა ციცი ღიმილი დაახვედრა მის ოხუნჯობას. ედიტმა დაასკვნა, ცოლი მხოლოდ იმიტომ იტანს ქმარს, რომ ის ფულს შოულობსო. თანაც ეს კაცი მეტისმეტად უბრალო ჩანს ამ განებივრებული ქალისათვის, რომელსაც ჩიტის სახე აქვს.

როცა ყავა შემოიტანეს, ბატონმა ედიტს კარგი პაპიროსი შესთავაზა. ქალი გაწითლდა და აიღო იგი. მერე ნაზმა ქალმა გადაჭრით თქვა:

— თქვენთვის, ფრეკენ, აუცილებელი არ არის სადილს შემდეგ დარჩეთ ყავაზე. მე მგონია გეჩქარებათ, მეცადინეობას დაუბრუნდეთ.

ედიტს ხელში პაპიროსი უჭირავს, არ იცის რა ქნას, წავიდეს თუ დარჩეს.

— დიახ, გმადლობთ, — გაუბედავად წამოიწყო მან, — წავალ, როგორც კი პაპიროსს დავასრულებ.

ღაეღაჟა კაცი გულში თავს სწყევლის. მარი ფანჯარასთან დგას და ედიტს უყურებს. როცა ედიტი ადგება და წასასვლელად მოემზადება, მარიც მიჰყვება.

— შეიძლება მეც გამოგყვე, — ჩურჩულით ეკითხება იგი კიბეზე. ედიტი მიხვდა, რომ ამ კითხვის უკან რაღაც არაჩვეულებრივი იმალება. თავის დაქნევით დასტურს აძლევს. ედიტის ოთახში ისინი ტახტზე ჩამოსხდებიან.

— მითხარი, ედიტ, შენი დედ-მამა ყოველთვის კარგადა ერთმანეთთან? — მოულოდნელად კითხულობს ბავშვი.

ედიტი გაწითლდა.

— არა, — გულახდილად ამბობს იგი, — ყოველთვის არა...

— მე არასოდეს არ გავთხოვდები, — ამბობს მარი, — შენ გათხოვდები?

„ისევ მოახვედრა მიზანს“, — ფიქრობს ედიტი და პასუხობს:

— მეც ასე მგონია, უკეთესია ქალი არ გათხოვდეს.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდება, მარი თვალს არ აშორებს ედიტს.

— მეცოდება მამა, — ამბობს გოგონა ბოლოს, — მამა კარგი კაცია!

— შენც შეგიძლია კარგ კაცზე გათხოვდე, — ცდილობს შეპასუხებას ედიტი.

გოგონა უარის ნიშნად თავს აქნევს.

— მე არავის არ მოვეწონები. დედა მარწმუნებს, ულამაზო და ცუდი ხარო. ყველას ეშინია ჩემი. მზარეული მეუბნება, შესაზარავი ურჩხული იზრდებიო.

— მე კი მომწონხარ, მარი, — თქვა ედიტმა, — ჩვენ მეგობრები ვიქნებით.

— მარი, მარი, — გაისმის ქვემოდან სუსტი ხმა.

მარი არ გაინძრა.

— რატომ არ მიდიხარ? — ეკითხება ედიტი. მარი პირს მოკუმავს და თავს აქნევს. კიბეზე ისმის ნაბიჯის ხმა. მარი კედლის კარადაში მიძვრება. ისმის კაკუნი.

— მარი აქ არის?

— აქ იყო, მაგრამ წავიდა, — პასუხობს ედიტი და შიშით კანკალებს. ღმერთო, ეს რა ბავშვია!

დედა მიდის. ისმის როგორ ჩადის კიბეზე „მარი, მარის“ ძახილით. ეს აუტანელია. მარიმ კარადიდან თავი გამოჰყო. პირველად ხედავს ედიტი, რომ ბავშვს შეუძლია სიცილი. მაგრამ თვითონ მასწავლებელი სიცილის გუნებაზე ვერ არის.

— უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენე! — გაჯავრებით ამბობს იგი.

— შენ ხომ გამოხვედი მაგ უხერხულ მდგომარეობიდან, — ამბობს გოგონა. ჩანს, მოსწონს ედიტის საქციელი.

ედიტი ფიქრობს, იქნებ სჯობს სხვა ადგილის მოძებნა. გოგონა თითქოს მიუხვდა მასწავლებელს და ასე უთხრა:

— შენ არ უნდა მიმატოვო, მე ასე აღარ მოვიქცევი.—

მარი ამას ნამდვილად ამბობს. თვითონ გადაწყვიტა ეთქვა ეს. წინათ ეს არ მოსვლია. გაფითრებული და დაშინებული დგას კარადასთან. ამის დანახვაზე ედიტი მოლბა.

— მოდი აქ, — ეუბნება გოგონას და ხელს უწვდის, — ჩვენ დავმეგობრდებით და სისულელეს აღარ ჩაიდენთ.

ორივეს ეცინება და მათ ბედნიერებას თითქოს აღარაფერი უკლია.

მარიმ კითხვა ისწავლა და განსაცვიფრებელ წარმატებას ძიალწია. მისი ჯიუტობა გაქრა. სწავლის წადილი მჩქეფარე ნაკადულს მიუგავს. სუსტი, ჩიტის სახიანი დედა სულ უფრო იშვიათად აკითხავს მათ. სამაგიეროდ ასპარეზზე გამოდის ლოყებლაჟღაჟა მამა. ორჯერ, როდესაც დიასახლისი სტუმრად იყო, მან მარი და ედიტი სასეირნოდ წაიყვანა. მესამედ მარტო ედიტი დაპპატიჟა. ქალი ეძებდა მარის, მაგრამ ბავშვი სადღაც მიიმალა. რა უნდა ექნა? განა ღირდა უარის თქმა, ედიტი ხომ მოზრდილი ადამიანია. და აი, იგი მიჰყვება სახლის უფროსს.

— თქვენ სასწაულმოქმედი ყოფილხართ, — ამბობს მამა,— მარის გამო დიდი მადლობელი ვარ თქვენი. ნება მიბოძეთ ვახშამზე დაგპატიჟოთ.

ედიტი ხვდება, რომ ამ დაპატიჟების მიზეზია მადლიერების გრძნობა, და ქალი თავაზით თანხმდება. მარის მამა მანქანას ფეშენებლური რესტორნის წინ აჩერებს და ქალს შიგ ეპატიჟება. მათ მაგიდა წყნარ კუთხეში მიუჩინეს. კაცი ძვირფას და ვემრიელ კერძებს უკვეთავს. ედიტი გამოტყდება, რომ არასოდეს არ ყოფილა რესტორანში. კაცი ნაზად უყურებს ქალს.

— თქვენ თვითონ არ იცით, როგორი სანდომიანი ბრძანდებით, — ამბობს კაცი და მთლად წამოჭარხლდება.

რამდენიმე ჭიქის შემდეგ ოჯახის უფროსმა ცოტა არ იყოს თავი აიშვა. ედიტი შეშფოთდება. არა. მას ამ კაცის არ ეშინია, გული იმაზე სწყდება, რომ მარის მიტოვება მოუხდება. პატარა მარი! რა იქნებოდა, უფრო ჭკუადამზნილი მამა გყოლოდა.

თუმცა ედიტი მდგომარეობის ბატონ-პატრონი დარჩა და ბინ დროზე მივიდნენ, მას შემდეგ, რაც მარის მამამ მოასწრო

ეთქვა, რა უბედურია (ამ დროს მათი მანქანა კინაღამ ტრამ-ვაის დაეჯახა). ედიტს უსიამოვნება მაინც არ აცდა. მეორე დღეს დიასახლისთან დაიბარეს.

— გუშინ თქვენ, ფრეკენ, ჩემს ქმართან ერთად გადით სახ-ლიდან, — ირონიულად უთხრა მან.

— დიახ, თქვენმა ქმარმა ვახშამზე დამპატიჟა, — უპასუხ: ედიტმა მშვიდად.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს რიგიანი საქციელია?

— მე არ ვიცოდი, რომ თქვენს ქმართან ვახშმობა ურიგო საქციელად ჩამეთვლებოდა.

პატარა ქალი ბრაზისაგან გაფითრდა.

— თქვენ შეგიძლიათ ახლავე წახვიდეთ. თქვენნაირი გუ-ვერნანტი ქალი მე არა მჭირდება. ერთი ამ სტუდენტს დამიხე-დეთ! ბევრია თქვენისთანები...

ამას საშინელი ანჩხლი ხმით ამბობს. ედიტი მარიზე ფიქ-რობს. რა დაემართება მარის? თითქმის ერთი თვე ამეცადინა საბრალო ბავშვი და დარწმუნებული იყო, რომ წარმატებას მიაღწევდა. რა უნდა ქნას, თუკი ამ ისტერიულ ქალს თავის: თავის მეტი არაფერი აჯავრებს. განა ედარდება შვილი? არც მისი ქმარია დიდი ღვთის წყალობა, რაღა გუშინ მოინ-დომა ვახშმად დაპატიჟება. მასაც სრულებით არ აინტერესებს შვილი. როცა შეზარხოშდა, თავის უბედურებაზე მოკყვა წუ-წუნს. არც დედა და არც მამა არ ხედავენ, რა უბედურია ბავ-შვი.

— მაშინ მე გთხოვდით. ჯამაგირი მოგეცათ. — ამბობს დაღ-ლილი ხმით ედიტი, — შეიძლება მარის გამოვეთხოვო?

პასუხი არ არის.

ნახევარი საათი მოანდომა ედიტმა მარის ძებნას, მაგრამ ვერ იპოვა. ახლა იგი ჭიშკართან დგას და ხელში ჩანთა უჭი-რავს, შიგ სამოცდათხუთმეტი კრონია.

უეცრივ გარაჟის მხრიდან პატარა ჩრდილი გამოცოცდება და ატირებული გოგონა მაგრა ეკვრის ედიტის კაბას.

— მარი, ჩემო პატარა, — ჩასჩურჩულებს ედიტი.

ერთად გადადიან ქუჩას.

— რა იქნება, რომ მეც შენთან წამოვიდე? — კითხულობს მარი, მაგრამ მან თვითონ იცის, რომ ეს შეუძლებელია. გო-

ჯონამ იცის, რომ მას კვლავ მარტოობა ელის, რომელიც ახლა უფრო სამძიმოა, რაკი უკვე იგემა მეგობრობის სიტკბო.

—ყური მიგდე, მარი, — ეუბნება ედიტი ბავშვს გულ-ჩხურვალედ. — ითხოვე სკოლაში სიარულის ნება მოგცენ. ეგ გირჩევნია. ახლა შენ კითხვა იცი, შეგიძლია მეორე კლასში დაჯდე. ბევრ რასმე გაიგებ და ნახავ, რა საინტერესო იქნება ეს...

მარის თვალში ამ ნუგეშს დიდი ფასი არა აქვს.

— აი ჩემი მისამართი. შენ წერა იცი. მალე მთლად გაიკვეთ ხელს. როგორც კი გავიგებ, სად ვიცხოვრებ, ტელეფონის ნომერს შეგატყობინებ. ნუ ჯავრობ, ჩემო გოგონა, ჩემო პატარა მარი!

მასწავლებელი გოგონას ეხვევა და კოცნის. წინათ ამას ვერ ბედავდა. მარი კისერზე ხელებს მოხვევს და მაგრად ჩაეკვრება გულში.

— მე ყოველდღე დაგირეკავ, როდესაც დედა შინ არ იქნება.

ისინი ტრამვაის უახლოვდებიან. ედიტი ვაგონში ადის და თავისუფალ აღგილზე ჯდება. ქუჩაში დგას ცხვირაწითლებული და ნამტირალევი მარი. ედიტი ხელს უქნევს. მარი ნაღვლიანად უყურებს მას და ხელის დაქნევა ავიწყდება. ედიტს ეგონდება, როგორ იქცეოდა მარი პირველ დღეს. ახლა გოგონა ისევ ჩაიკეტება თავის ნაჭუჭში.

მარის უკან, ხეთა გაყვითლებულ კენწეროებს შუა ამართულა კრამიტის სახურავი. ესაა ღირსეული ოჯახის ვილა.

იქ იზრდება დევისპირა. საცაა ჭკნობა შეეპარება. ედიტი ვეღარასოდეს ვერ იხილავს მას. ქალი ფანჯარასთან ჯდება. ნეტავი მარის არ ჰქონებოდა ასეთი უბედური სახე. მის წინ მოჩვენებასავით აღიმართება ვესტიბიული. მნათობებით შემკული ჭერი და სპარსული ნოხებით მოფენილი იატაკი. დიდი ძაღლი, პატარა ისტერიული ქალი, მისი ზორზოხა, ლოყებღაჟღაჟა მეუღლე — ყველაფერს დავიწყების ბინდი ეფინება. ღირსეული ოჯახი უმტკივნეულოდ ამოვარდება მისი მეხსიერებიდან. ედიტი ცხოვრებაში შევა, სარგებლობას მოუტანს ბალხს. იკითხავს, ისწავლის, რაღაცას მიაღწევს...

მაგრამ პატარა უბედური ბავშვის ხსოვნა დიდხანს რჩება

მის გულში. მარიმ მას თავისი ბავშვობა მოაგონა. იგი უბრალო ოჯახის შვილი იყო და სადღაც შორს, ნორლანდში იზრდებოდა. მას არა ჰყავდა არც ძაღლი, არც მსახური, არ ჰქონდა სპარსული ნოხები და მისი ცხოვრებაც მძიმე იყო... ისიც თითქმის არ გრძნობდა, ვინმეს ვუყვარვარო. რატომ არ ძალუძს სიყვარულს მოვიდეს და გაათბოს უბედურთა გული.

ედიტი მოჯაჯგურე ტრამვაიში ზის და ერთ წადილს აუსია მისი გული პირთამდე — მთელ სიცოცხლეს შესწირავს უბედურ ბავშვებს. დაეხმარება პატარებს, რომლებიც ცხოვრების გზაზე შემოხვდებიან.

აი, იგი უკვე მოვიდა. ედიტი დგება და ტრამვაიდან ჩამოდის.

„პატარა მარი!“ — ჩურჩულებს იგი. მარის ხსოვნა ერთადერთია, რაც მას ღირსეულმა ოჯახმა დაუტოვა.

იან ფრიდეგორდი

გატონიანთ მეეტლე

ყოველ დილით ბარონის მოურავი სამუშაოს უნაწილებდა მოჯამაგირეებსა და უმიწაწყლო გლეხებს. ყოველ დილით ერთი და იმავე თანმიმდევრობით აცხადებდა მათ გვარებს. თანდათან ამ ნუსხას თავისებური რიტმი შეეძინა და გლეხებიც სამუშაოზე ნუსხისაებრ გამოცხადებას მიეჩვიენ. ვინ ცხენით მოდიოდა, ვინ ფეხით.

— დღეს სახნავში მიდიან: ანდერსონი და ოლსონი, კარლსონი და იონსონი, ჰოკანსონი და იოჰანსონი, ლილბერგი და ვალსტრემი. ფარცხვა ევალებათ ავგუსტ ნილსონსა და მის თანაშემწე ლანდს. სასუქის მოყრა დაეკისრება იოჰან იოჰანსონს. სასუქს მინდორში გაიტანს ნიუტორპელი ბიჭი.

აპრილის ერთ მზიან, მაგრამ ქარიან დღეს ჩვეულებრივი გამოცხადების შემდეგ მოურავმა დასძინა:

— საწყობში მოიტანეთ ცარიელი ტომრები, ნასადილევს წისქვილში ხორბალი უნდა წავიღოთ.

მოჯამაგირეები საჯინიბოში წავიდნენ ცხენების შესაკაზმავად. და ბატონიანთ ბებერ მეეტლესაც გააგებინეს, დღეს წისქვილში წავა საზიდარიო.

მზე იმ დღეს, როდესაც მოჯამაგირეებს უბრძანეს, ცარიელი ტომრები მოიტანეთო, თითქოს უფრო მეტად აცხუნებდა. რამდენიმე დღეში მოჯამაგირეთა ქოხმახების წინ გაჩნდა ფქვილით დატვირთული დიდი საზიდარი. ფქვილისაგან გათეთ-

რებული მესაზიდრე პატარა ფიცარზე მფლობელის გვარს წაიკითხავდა და მერე სხვენზე აიტანდა ტომარას.

ბავშვები მოუთმენლად ელიან ამ დღეს, როდესაც დედას შეეძლება ღვეზელის დაცხობა და ნასადილევს ყავაზე თეთრი ფუნთუშების გამოტანა. რა ნეტარებაში იქნებიან მთელი ერთი თვე! მაგრამ მერე კი, იცოცხლეთ, ქამრის მოჭერა მოუხდებათ. როგორმე უნდა გაიტანონ თავი, ვინემ ხელახლა არ ჩამოფქვავენ ხორბალს.

როცა ბებერი მეეტლე ტომრებისათვის სხვენზე ავიდა, შეეცადა გაეხსენებინა, ეს მერამდენედ ავდივარო ამ კიბეზე. ოცდაათი წელია, რაც წელიწადში ოთხ-ოთხჯერ ადის, დათვლა არ უნდა, სათვალავი აერევა კაცს...

მოხუცმა დაკეცილი ტომრები გაშალა და შეამოწმა, ხომ რიგზეა პატარა ფიცრებიო. ამ ფიცრებს ერთ მხარეზე აწერია გვარი და სახელი, მეორე მხარეს ფქვილის ხარისხი და რაოდენობა: სამოცდათხუთმეტი კილოგრამი პურის ფქვილი, ასი ქერი და ასიც ღერღილი. პატარა ტომარა იმისათვის იყო, რომ შიგ ქატო ჩაეყარათ. კარგი იყო ცოტაოდენი მუხუდოც მიეღო. წინათ ეგრე იცოდნენ, როდესაც საღვეზელე ცომს ამზადებდნენ, საფუარს მუხუდოს ფქვილსაც შეურევდნენ. მართალია. ახლა გული მსუყე საუმელისაკენ აღარ მიუწევს. იმიტომ კი არა, რომ დაბერდა... არა, რა იმისთანა სიბერეა სამოცდაშვიდი წელი. ახლა უკვე აღარ შეუძლია მძიმე სამუშაოს შესრულება. ჯერ ზამთარში იყო, ეს რომ იგრძნო. გაიფიქრა, მოურავს უნდა ვთხოვო ვინმე დამახმაროსო. ერთი კვირა გავიდა, რაც ძლივ-ძლივობით მიდის საჯინიბომდე. მართალია, უმალვე შეამჩნია, რომ ეს მაინცდამაინც არ მოეწონებოდათ კეთილშობილ ბატონებს, მაგრამ რას იზამს. ხომ ყველამ იცის, აგერ ოცდაათი წელი იქნება, რაც აქ მეეტლედ მუშაობს და თავისი ღონე ამ საქმეს შეალია.

ბერიკაცმა ტომრები დაახვია და თოკით შეკრა. მერე მიუახლოვდა სხვენის სარკმელს, რომელსაც თავს ატეხდნენ ბუზები და გამოაღო. ბუზები უმალვე გარეთ გაცვივდნენ და თითქოს ჰაერის ცისფერ ოკეანეში გადნენ. რაფაზე მაღლა ფეხაშვერილი ბუზები ეყარა. ჰო, ასეთია ჩვენი ცხოვრება... ამომავალ წელს იქნებ ბებერმა მეეტლემაც გაფიჩხოს ფეხი...

თავისი ერთგული და მრავალი წლის შრომისათვის მეეტლე ორი „მედლით“ იყო დაჯილდოებული: პირველი „მედალი“ მან მიიღო ოცი წლის წინ, როდესაც მას ფრეიამ წიხლი ჩაარტყა და ზედა ტუჩი გაუხეთქა. ცხადია, ამან მთელი წინა კბილები შეიწირა. ბაგე არასწორად შეუხორცდა და როდესაც საავადმყოფოდან გამოვიდა, კურდღლის ტუჩი უმშვენებდა სახეს. ულვაში მეტისმეტად მეჩხერი ჰქონდა საიმისოდ, რომ ცხვირქვეშა წითელი ნაიარევი დაეფარა.

მეორე „მედალი“ სწორედ იქ აჩნდა, სადაც საერთოდ იკეთებენ მედლებს. — გულ-მკერდზე, ნეკნებს შუა აჩნდა ჭრილობის კვალი. ეს ჭრილობა თივის მოსაპარავად მოსული ყმაწვილის ნახელავი იყო. მის შემდეგ ბერიკაცს მკერდი სტკიოდა. ამბობდა, „შიგ ნიკრისის ქარმა მოიკალათაო“.

დანარჩენი მესაზიდრეები ყოველთვის ალმაცერად უყურებდნენ მოხუც მეეტლეს. ეშვი ჰქონდათ, როდესაც ბატონი შიჰყავს ეტლით, გვაბეზღებსო. საერთოდ ბატონიანთ მეეტლეებს ყოველთვის ედებათ ეს ბრალი. მართლაც, მეეტლემ ჩაწვეთა ბატონს, ერთი ახალგაზრდა მოჯამაგირე კავშირის ჩამოყალიბებას აპირებსო. მოჯამაგირეს დაემუქრნენ, როცა შეშოდგომაზე დაქირავების ვადა გაგივა, აქედან გაგაგდებთო. ჯერჯერობით უბრძანეს, ცალკე იმუშავე — ბატონებს ეშინიათ, სხვა მუშებიც არ გაგვირყვნასო. მას დაავალეს ბუჩქნარის გაკაფვა და ფიჩხის დაწვა. ამიტომაც იმ მოჯამაგირის ადგილსამყოფელს მხოლოდ ჰაერში ასული ბოლი ანიშნებდა დანარჩენებს.

ერთხელ ის მოჯამაგირე საჯინიბოში მოვიდა და ყველამ ვაიფიქრა, ტყუილად არ მოსულაო. მართლაც იგი ბებერ მეეტლეს ეცა და იმ გეჯაში ჩააგდო, საიდანაც არწყულებენ ცხენებს. რა გუნებაზე დადგა ბერიკაცი, როდესაც შინ ამოლუმპულს მოუხდა წასვლა და თან ისიც გაიგონა, როგორ დასცინოდნენ სხვა მოჯამაგირეები! ეტყობა ენას კბილი უნდა დაეჭირო, თუ გინდა ყველასთან კარგად იყო.

ბებერი მეეტლე ბეღლისაკენ წალასლასდა. მზე ანათებდა და თბილი ნიავი ქროდა. შორეულ მინდვრებს ცაზე ახლად გაჭოჩენილი ღრუბლის ჩრდილმა გადაუარა. ღრუბელი მალე მო-

ახლოვდა და თან სიგრილე მოიტანა. ბოსლის კრამიტის სახურავი მალე ჩამუქდა. ერთი წუთიც და ღრუბელმა ჩაიარა. ჰორიზონტიდან დიდი ღრუბელი წამოვიდა. ოღონდ წვიმა არ მოვიდეს, თესვა ეს-ეს არის დაიწყეს.

ბეღელში მარცვლეულის ტევა არ იყო. როხროხობდა ხელის წისქვილი. ჰულმანი მასში მარცვალს ყრიდა, წვერი გასთეთრებოდა ფქვილისაგან. გვერდით ედგა მოურავი და ხორბალს სწონიდა.

როცა მან ბებერი მეეტლე დაინახა, რომელსაც ხელში ტომრები ეჭირა, ცოტა შეიშმუშნა.

— ყური მიგდე, მოხუცო ლინდ, — დაიყვირა მან, რომ როგორმე წისქვილის ხმაური დაეფარა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს რაღაცას იგონებსო, — ახლა ბარონი ფიქრობს, რომ თქვენ ფქვილის მიღების უფლება აღარ გაქვთ. თქვენ, ასე ვთქვათ, ძველი თანამდებობა აღარ გიჭირავთ. მაგრამ თქვენ, რა თქმა უნდა, არაფერი გაგიჭირდებათ, ვინემ... — და მოურავი ისევ სასწორს მიუბრუნდა. მან ყველაფერი თქვა, რაც უნდა ეთქვა და ძალიან კმაყოფილი იყო. ბერიკაცი კი კარგა ხანს იდგა მის გვერდით, ვინემ თქმულს არ ჩახედა. იგი ისე დაიბნა, რომ თავისი ტომრები სხვა მუშების ტომრებს დაუდო გვერდით.

— ვითომ რად გინდათ, აქ რომ დადეთ თქვენი ტომრები?— შენიშნა მოურავმა, მაგრამ თავი არ აუღია, ვინემ არ გაიგონა, როგორ გავიდა კარში ბერიკაცი.

ცას ღრუბლები გადაეფარა და როდესაც მეეტლე შუა გზაში იყო, მთლად მოიღრუბლა. ბერიკაცი შეიშმუშნა, ტომრები მარცხენა ხელში გადაიტანა და პიჯაკი შეიკრა. გარშემო ბუნებას ნაცრისფერი დაედო. ბერიკაცის ფეხსაცმელს შარშანდელ ფოთოლზე გაჰქონდა ხრაშუნი.

ბერიკაცმა ტომრები დერეფანში დააწყო და სიზმარეულივით წაიკითხა წარწერა: „ასი კილოგრამი ქერი“. კარგა ხანი თავს იმტვრევდა იმის ფიქრით, რატომ დააკლეს კუთვნილი ულუფა ხორბლეულისა. ჩანს, აღსასრული დაუდგა.

შინ რომ მივიდა, წესისაებრ მაგიდას არ მისჯდომია. სკამზე წამოწვა.

— უკან მოიტანე ტომრები? — ჰკითხა ცოლმა. ქალი ხედავდა, როგორ მოდიოდა იგი შინ.

ბერიკაცს ხმა არ ამოუღია. კედლისაკენ ქნა პირი. ცოლმა შეშფოთდა და შაქრის ნატეხზე დაუწვეთა წამალი და მისცა. მეეტლემ შაქარი პირში ჩაიდო და მალე მეზობლებმაც კი, რომლებიც მათ კარებს ჩაუვლიდნენ, მძაფრი სუნი იგრძნეს.

ასე იწვა ბებერი მეეტლე და არ იცოდა, რა მოელოდა. სამაგიეროდ უჩვეულო სინათლით წარმოუდგა თვალწინ ის ამბები, რაც აქ გადახდა ოცდაათი წლის განმავლობაში. შარაგზა, რომელსაც მიუყვებოდა ხოლმე ხან ეტლით, ხან საზიდრით. ზაფხულობით ყვითელი ეტლი დაჰყავდა, ზამთრობით ხან დაწნული, ხანაც რუსული მარხილი, რომელსაც ძირზე ცგლის ტყავი აქვს გამოკრული. ვინემ რკინიგზას გამოიგონებდნენ, ცხენით დაჰყავდა ბატონები. უკანასკნელად ეს იყო 1897 წელს. მაშინ ისინი გამოფენაზე იყვნენ. მერე ბატონები სადგურამდე მიჰყავდა, მაგრამ იქამდისაც კაი ერთი მილი გზა იყო. იმას ვინ დათვლის, რამდენჯერ წაუყვანია ბატონები სტუმრად.

— ამდგარიყავი, გეჭამა რამე, — ფრთხილად შესთავაზა ცოლმა, მაგრამ ბერიკაცმა არ უპასუხა. მას არაფერი არ უნდოდა. ცოლმა მეზობლის ბიჭი გაგზავნა მეეტლის თანაშემწესთან, ქმარი ავად გამიხდაო. ბერიკაცმა კი გაიფიქრა, ალბათ ძალიან გაუხარდება, სულ იმის მოლოდინშია, როდის განთავისუფლდება მეეტლის ადგილიო.

ბებერი მეეტლე მოგონებებმა წაიღეს. უეცრივ თვალწინ დაუდგა გაზაფხულის დღე, როდესაც მოჯამაგირეები შორ ძინდვრებს მოედვნენ და ცარიელ საჯინიბოში სიჩუმე გამეფდა. თივის სუნი იდგა. იატაკზე ყვითელი თივა ბზინავდა, ხოლო კედლებსა და ფანჯრებს ბუზები ეხვეოდნენ. სიცხით გაბაწამები კატები ფარდულთა შორის დაეხეტებოდნენ, ან გახურებულ ქვიშაზე გორაობდნენ. ეტლიდან მოდიოდა ტყავისა და კანაფის ზეთის სუნი, სასახლეში, რომელიც შუა პარკში იდგა, თითქოს ყველაფერი ჩამკვდარიყო. მაშ, შეიძლება ცოტა ხნით ცოლთან წასვლა, ყლუპი ყავის დალევა. უკვე ბინდი ჩამოწვა და ბერიკაცი ისევ ფიქრობს და ფიქრობს.

„მგონი ყოველთვის სამართლიანი არ ვიყავი“. ახსოვს როგორ წაეჩხუბა ერთ მეჯინიბეს და მერე როგორ სულ აკლებდა ცხენის საკვებს. იმ მეჯინიბის ცხენები გაქეციანდნენ, დაჯანდაგდნენ. რატომ აკეთებდა ამას? იმიტომ, რომ მოურავს გაეჯორა ის მეჯინიბე, ცხენებს ცუდად რად უვლიო. მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ იყო, მაშინ იგი ახალგაზრდა გახლდათ. ახლა იგი ამას არასგზით არ ჩაიდენდა. რომ ეს ერთადერთი შემთხვევა არ იყოს, მაშინ იგი თამამად იტყვის, ცხენებს ძალიან ნამუსიანად ვუვლიდიო.

როცა განთიადმა თავისი დროშა გამოაფინა და როცა გასარჩევი შეიქნა ყავისფერი ზოლი სკამის საზურგეზე, მაშინ ბერიკაცმა გადაწყვიტა, რაკი ფქვილზე უარი მითხრეს, ჩემი აღსასრული მოვიდაო. ოთახში ხან სინათლე შემოდიოდა, ხანაც სიბნელე. ეს იმაზე იყო დამოკიდებული მზე ანათებდა ცაზე, თუ ღრუბელი ეფინა მას.

საღამოს სასახლიდან მოსამსახურე მოვიდა და ბარონის ძეუღლისაგან ფხვნილი მოიტანა, მაგრამ ბერიკაცმა ახლო არ გაიკარა წამალი. იგი ძალზე გაჯავრებული იყო იმათზე, ვისაც ვულმართლად და ერთგულად ემსახურა მთელი სიცოცხლე.

უკვე მეოთხე დღე იყო, რაც ბერიკაცი ლოგინიდან არ ამდგარა. ამ დღეს სახლს მიუახლოვდა ფქვილიანი ტომრებით დატვირთული საზიდარი. ჭიხვინებდნენ ცხენები, რახრახებდნენ თვლები. ერთი ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ჰაერში გაისმა მეზობლის ბავშვების ხალისიანი ჭყლოპინი. ბავშვებმა საზიდარს ალყა შემოარტყეს, გაისმა მესაზიდრის მძიმე ნაბიჯის ხმა, როცა მან ფქვილი ჩამოურიგა მეზობლებს. ბებერი მეეტლის ცარიელი ტომრები კი დერეფანში ეგდო შეშის ეუთის ქვეშ.

არავინ იცის, გაიგონა თუ არა ბებერმა მეეტლემ საზიდრის ხმა, მაგრამ მისი ცოლი კი ამ დროს ფანჯარასთან იდგა და კოპებშეკრული უყურებდა, როგორ არიგებდნენ ჯილს. გადაშლილი ფსალმუნი ედო წინ. მაშვრალთა ოჯახეში მას კითხულობდნენ მხოლოდ დიდი ქარიშხლის დროს, ანდა მაშინ, როდესაც ცხოვრება განსაკუთრებით უმძიმთ.

დრო მიდიოდა, ბებერი მეეტლე ვერ გამომჯობინდა და

მოურავმა გადაწყვიტა, საავადმყოფოში გაეგზავნა იგი. ბერიკაცს ესმოდა, რასაც ნიშნავდა ეს: ბევრი ჯაფისაგან ქანცგაცლილი ადამიანი წასულა საავადმყოფოში, მაგრამ იქიდან მობრუნებული ცოტა თუ უნახავთ.

— თვითონ თუ მიაღწევს საზიდრამდე? იგი მოსახევევთან იქნება.

— მგონი რომ მიაღწევს, — იყო ცოლის პასუხი.

— ძალიან კარგი. თანაც სადგურზე უნდა წავიღოთ ბატონიანთ ნივთები.

მეეტლის ცოლმა შაქარზე დააწვეთა წამალი და ქმარს მისცა წასვლის წინ. წამლის სუნი დიდი ხანი შერჩა დერეფანს და იქ მეტოქეობას უწევდა ნამცხვრის სუნს, რომელიც მეზობლის ბინიდან მოდიოდა.

როდესაც ბერიკაცი კიბეზე ჩამოვიდა, სახეში სამაისო სითბო ეცა. გორაკთა ფერდობებზე და ბალახებში ყვითლად მოჩანდა ფერისფერა. მაშ ვინემ მეეტლე ლოგინში იწვა, ზაფხულიც მოსულა.

ბერიკაცს დაცდა მოუხდა, სანამ საზიდარი მოვიდა. იგი მობრუნდა და საჯინიბოსაკენ დაიწყო ცქერა. იქ ცხენები არ ება, კარი ყურთამდე გაეღოთ. კატა მზეს შეფიცხებოდა და პირს იბანდა. მხოლოდ ახლა მიხვდა ბებერი მეეტლე, რომ ვერასოდეს ვერ დაინახავს იმას, რაც მთელ მის ცხოვრებას შეადგენდა. ჯერ კიდევ ავადმყოფობამდე ხშირად უფიქრია, აქ მუდამ იქნებიან ცხენები, მუდამ ახრამუნებდნენ იქნება თივას, თუნდაც ცოცხალი აღარ ვიყოო. მის შემცვლელს მიელაქუცებიან კატები, როგორც მას ელაქუცებოდნენ. ეკიპაჟიც იქვე იქნება. ცხენის აკაზმულობაც იქვე ეკიდება კედელზე და ახალი მეეტლე გაიკეთებს მის წინსაფარს, ბარონის ღერბით დამშვენებულ წინსაფარს და ბატონს წაიყვანს ეტლით.

მოხუცი ისე დაღონდა, რომ თვალთ დაუბნელდა და ძალებული იყო ხეს მიყრდნობოდა, სანამ სისუსტემ არ გაუარა.

როცა საზიდარი მოახლოვდა, ბერიკაცმა იქაურობას მოავლო თვალი. „თითქოს ყველაფერს ემშვიდობებაო“, — გაიფიქრა ცოლმა. ბერიკაცმა დაათვალიერა შენობები, მწვანე

ხეები, მდელოზე მობალახე ხარები. უკანასკნელად შეავლო თვალი იქვე მდგომი ცოლის უძრავ, ულიმღამო ფიგურას. საღამ საზიდარში ჩაჯდებოდა, მან უხერხულად დაუქნია ცოლს ხელი გამოსამშვიდობებლად და როცა ცხენები დაიძრნენ, თვალში ცრემლი ჩაუდგა, ალბათ დიდი ნჯღრევისაგან. მალე იქაურობა მთლად ამოეფარა ტყიან გორაკს.

ერთხელ, როდესაც მოსაზიდრეებმა ცხენები გამოხსნეს და ის იყო, შინ წასასვლელად ემზადებოდნენ, ამბავი მოვიდა, ბებერი მეეტლე მოკვდაო. აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა: ერთნი ამბობდნენ, ბერიკაცს რომ კუთვნილი ულუფა ფქვილი მიეღო, ახლაც ცოცხალი იქნებოდა და კიდევ დიდხანს გასტანდაო. სხვები ამტკიცებდნენ, თუკი ადამიანს ძალა გამოეცლება, იმის საშველი აღარ არისო.

— აი, რა მადლობას მიიღებ ბატონთაგან, როდესაც მთელ ჯან-ღონეს მათ საქმეს შეალევ, — ამბობდნენ მოჯამაგირეები. ახლა ეგონათ, რომ განსვენებული მეეტლე ცუდი ამხანაგი არ იყო და თანაც რა წესია მკვდარზე ცუდის თქმა. ოთხი მოჯამაგირე ქვრივთან მივიდა და შესთავაზა, კუბოს ჩვენ წამოვიღებთ, რომ გზაში არ ენჯღრიოსო. ადამიანებმა ერთიმეორეს ხელი უნდა გაუმართონო, ამბობდნენ ისინი და თან ცდილობდნენ თვალი აერიდებინათ გაქვავებული სახისათვის, რომელიც ფსალმუნზე დახრილიყო. დღეს ერთის კარზე დაიჩოქა სიკვდილმა, ხვალ სხვას მიადგებაო.

იმ დღეს, როდესაც ბებერი მეეტლე თავის უკანასკნელ გზას ადგა, ხელები თავისუფალი ჰქონდა. ზაფხულის ცხელი დღე იყო და სამგლოვიარო პროცესიას მთელი გზა თან ახლდა ყვავილთა სურნელი. რა თქმა უნდა მღვდელმა სწირა ერთგული მსახურისათვის.

ივლისის ერთ დღეს, როდესაც მოურავმა ჩვეულებრივად ჩამოკენჭა მოჯამაგირეთა სახელები, დაურთო:

— დღეს საწყობში მოიტანთ ცარიელ ტომრებს. ნასადილევს წისქვილში მივდივართ.

ახალი მეეტლე სხვენზე გავიდა, რათა ცარიელი ტომრები მოეტანა. ეს ტომრები აუქციონზე იყიდა მოხუცი მეეტლის სიკვდილის შემდეგ.

— ეგ კაი საქმეა, — წამოიძახა მან და ტომრები გახს-

ნა, — აქ ყველაფერი წერია, რაც საჭიროა: სამოცდათხუთმეტი კილოგრამი ხორბალი, ასი ქერი და ასი ღერღილი. მხოლოდ ფიცარზე ძველი პატრონის გვარი უნდა წავშალო და ჩემი დავწერო.

სხვენის სარკმელზე დაცოცავდნენ ბუზები, თუნუქის რაფაზე ეყარა მკვდარი ბუზები. მაგრამ ეს მეეტლე ახალგაზრდა ვახლდათ და სევდიან აზრებს არ ეჩაგვრინებოდა.

მაი ჰირდმანი

გეთჰოვენის მეხუთე სიმფონია

პიურეტი ახალი მუსიკალური ყუთის მფლობელ მოხუცთან მივიდა. არა, ის მაინცადამაინც ბებერი არ არის. მხოლოდ ეჩვენებათ ასე. წვერი ისეთი აქვს, როგორიც ძველ პორტრეტებზეა გამოსახული. პიურეტს უყვარს ბერიკაციისათვის თმის აწეწვა, მერე ისევ დავარცხნა და პატარა აბრეშუმის ლენტით შეკვრა. რა მშვენიერია მაშინ პაპა დიურერი. თვითონ ბერიკაცმა შეირქვა ეს სახელი, რადგანაც ძალიან ჰგავს მხატვარ დიურერს. ეს მხატვარი რა ხანია მოკვდა.

ზამთრის საღამოა. ყინულავს. ჯერ მხოლოდ და მხოლოდ ორი საათია და უკვე ლამპიონები ანათებენ ალვის ქუჩას. ლამპიონების ანთებას რაღაც საიდუმლო ელფერი ჰქონდა, მაგრამ ამას სხვა დროს გიამბობთ. რომელიღაც თვალი იდუმალი წარმართავს მთელ ცხოველმყოფელ შუქს და თვალყურს ადევნებს. თვალი იგი გასცქერის უზარმაზარ სტოკჰოლმ-ქალაქს. არა. მთელ ქალაქს კი არა, მხოლოდ ილუმინაციას. სტოკჰოლმის მთელი ლამპიონები ამ თვალის განკარგულებას ემორჩილებიან და მხოლოდ მაშინ აინთებიან, როცა ამას თვალი მოისურვებს. როცა სინათლეა, ისინი არ ენთებიან. ეს ხომ ბედოვლათობა იქნებოდა. მაგრამ ზამთრობით დღისითაც და ღამითაც ბნელა და ნისლია, მაშინ თვალი აანთებს ლამპიონებს და ადამიანებს გზას .გაუნათებს, როცა ისინი შინიდან გამოვლენ და თავის საქმეზე გასწევენ.

— პაპა დიურერ, თვალმა უკვე აანთო ლამპიონები, — თქვა პიურეტმა. გოგონამ უკვე ზეპირად იცოდა ეს ისტორია. — რაკი ლამპიონები აენთო, მაშ, დაღამებულა. შეიძლება თუ არა აქ დავრჩე და მუსიკალურ ყუთს დავუგდო ყური? — ასე მიესალმა გოგონა ბერიკაცს ამ წვიმიან და მოქუფრულ დღეს.

პაპა დიურერს გაუხარდა გოგონას მოსვლა. არავინ ჰყავდა პაპა დიურერს. სულ მარტოდმარტო იყო მთელ სახლში. ისინი, რომლებიც ოდესღაც უყვარდა ბერიკაცს, შეიძლება ნახოთ ფოტოსურათებზე. ეს ფოტოები კედლებზე ეკიდა. იქ გამოსახული იყო მთელი ოჯახი. პაპა დიურერის მახლობლები ომის დროს ესპანური სახადით დაიხოცნენ. ისინი ისეთი კარგები ჩანდნენ, მაგრამ ცოცხლები აღარ იყვნენ. ცაში, შორზე შორს დაუმკვიდრებიათ ბინა. პიურეტს ხშირად უკითხავს მოხუცისათვის მათი ამბავი. პაპას უამბნია მისთვის და ამიტომაც გოგონამ ყველაფერი იცოდა.

ახლა კი პაპას მუსიკალური ყუთი აქვს, ნამდვილი რადიოგრამაფონი. ესაა ლამაზი ყუთი, ძალიან ძვირფასი და თან მზეზე ისე ბრწყინავს, თითქოს ახალი ფეხსაცმელი იყოს. მასზე ყველა ფირფიტის დაკვრა შეიძლება. პიურეტს მღელვარებისაგან აკანკალებდა, როდესაც თვალს ადევნებდა ფირფიტაზე ნემსის მოძრაობას, ერთს რომ აიღებდა, მეორე ფირფიტა ძორჩილად დაიკავებდა პირველის ადგილს და ყუთი ისევ უკრავდა. ნამდვილი საკვირველებაა! პაპა დიურერი უმალვე დასდებდა ხოლმე სიცილის ფირფიტას, რადგან იცოდა, ეს ყველაზე მეტად უყვარდა პიურეტს. მერე სხვა ფირფიტებს დასდებდნენ, მასლაათობდნენ და ორივენი თავს კარგად გრძნობდნენ. გოგონას ხელით ტაქტი გამოჰყავდა. წინ კიდევ წიგნი უნდა დაიდო, ეს გოგონამ კინოში ნახა. და მან ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიის პარტიტურას დაავლო ხელი. ეს ძალიან კარგი მუსიკაა. პაპა დიურერს გაეცინა, როდესაც გოგონას ხელში ეს პარტიტურა დაინახა. მას გაახსენდა, რომ დიდი ხნის წინათ ამ სიმფონიას დირიჟორობდა გამოსაშვებ გამოცდებზე, ოდესაც ანტვერპენში მუსიკალურ სასწავლებელს ამთავრებდა.

მან ამ დიდებული სიმფონიის ფირფიტა გამოიღო, ყველა

ფირფიტის ზემოთ დადო, გოგონას ფრთხილად გამოართვა პარტიტურა და უთხრა:

— აი ახლა მე და შენ, პიურეტ, ძალიან საინტერესო თამაშობას მოვაწყობთ. მე შენთვის შესანიშნავ კონცერტს შევასრულებ, შენ იქნები საზოგადოება, რომელსაც უზარმაზარი დარბაზი უკავია. უხმოდ დამიგდებ ყურს. აი, ხომ გესმის? ამას მშვენიერი პატარა ფლეიტები უკრავენ. გესმის მათი ჩურჩული? ეს ბუკი ბუზღუნებს, ახლა კი ვიოლინოს ხმა აღწევს ჩვენამდე. — სულ ხმადაბლა ჩურჩულებდა დიურერი, მერე ჩურჩულითვე უამბო გოგონას იმ შესანიშნავი ინსტრუმენტების ამბავი, რომლებიც ამ საუკეთესო მუსიკას ჰქმნიან. დიურერი თავს აქნევდა. პატარა ვარდისფერი ლენტით შეკრული მისი წვერი ტაქტს აყოლილი ქანაობდა. პაპას მთლად დაავიწყდა, რომ ეს იყო თამაში და იგი ისე დირიჟორობდა უხილავ ორკესტრს, როგორც ნამდვილი ვირტუოზი. ხან ხელებს მაღლა სწევდა და ფლეიტებს უბრძანებდა ჩუმად დაუკარითო. ხანაც ხელებს გაშლიდა და ერთ ნაკადად აქცევდა ვიოლინოების მოზღვავებულ ხმებს. ზოგჯერ პირქუშად დაიხრებოდა წინ, ყურს უგდებდა, როგორ აკაკუნებდა კარზე ბედისწერა. დიახ, მისმა უხილავმა ორკესტრმა ბედისწერის სიმფონია დაუკრა. პიურეტს სავარძელში ეძინა. გოგონას გულის ძილით ეძინა და თავს ეღვრებოდა ორკესტრის ღვთაებრივ ხმათა ნიჟღვარი.

— შენ ხედავ მათ, პიურეტ? — ჩასჩურჩულა დიურერმა. თვითონ კი ხედავდა მათ. ხედავდა ყველას, ვინც მას უსმენდა. ხედავდა მისი ხელების შესანიშნავი მოძრაობით მოჯადოებულ მაყურებლებს. დიურერმა გვერდი გადაფურცლა, ისევ აიქნია ხელები და თან მთელი ტანით ატოკდა.

პიურეტს ისევ ეძინა.

სიმფონია მძლავრი გუგუნით დაგვირგვინდა: ყოველთვის ისე ბოლოვდება ნამდვილი მუსიკა. დიურერს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. მან მოკრძალებით დაუკრა თავი უხმო. მოჯადოებულ საზოგადოებას და დაიცადა, ვინემ დარბაზი აპლოდისმენტებისაგან შეზანზარდებოდა. მან გაკვირებით გადახედა დარბაზს და მხოლოდ ტკბილად მძინარი გოგონა

შეამჩნია. ფრთხილად დადო ნოტები, საზოგადოებას თვალი ნაუკრა, შეგიძლიათ წახვიდეთ, ოღონდ ნელა, უხმოდ.

— პიურეტი არ გამიღვიძოთ.

და ოცნების მაყურებელნი ჯგროდ შეგროვდნენ პაპა დიუ-ერის ოთახში და ისევე უხმოდ გავიდნენ, როგორც უხმოდ შემოვიდნენ. მაგრამ არა, ერთი იმათგანი შეჩერდა და დი-რიჟორს ჩასჩურჩულა:

— მერედა შენ რატომ ვერ გახდი დიდი დირიჟორი, პაპა დიურერ? მაინც რატომ ვერ გახდი?

ოცნებით მოსული კაცი გაჩერდა და თითი დაუქნია. განა ადვილი ასახსნელია, რატომ არაფერი არ გამოვიდა შენგან. რატომ ხარ ყოვლად ჩვეულებრივი ადამიანი? კაცმა რომ თქვას. შენგან ჩვეულებრივი ადამიანიც არ გამოვიდა.

მაყურებელი მთლად ახლო მივიდა პაპასთან და ყურში ჩასჩურჩულა:

— რატომ გაზეთები არ აქვეყნებენ შენს პორტრეტებს? რატომ არ აღნიშნავენ შენი დაბადების დღეს?

აქ კი გაჯავრდა პაპა დიურერი. მან აბეზარ მაყურებელს ყურში ჩაავლო ხელი და კარში გააგდო.

— ძალიან არ მეჭირვება ეგეთ სულელურ კითხვებზე პასუ-ხის გაცემა?! — წაიბუტბუტა მან.

ამ დროს პიურეტმა გაიღვიძა. გოგონა იღიმებოდა და გან-საკუთრებით ვარდისფერი ჩანდა ამ ნაღვლიანსა და წვიმიან დღეს. გოგონამ შინ წასვლა მოითხოვა. პაპა დიურერმა იგი ხელში აიყვანა და ქუჩაში გაიყვანა. ახლა უკვე ნამდვილად დაღამდა, მაგრამ ბერიკაციისათვის პიურეტის ტიტინი კაშკაშა ზესა ჰგავდა.

— შენ ისე მშვენივრად უკრავდი, მე ძილში ყველაფერი ვესმოდა, ხვალ ისევ მოვალ და კარზე დაგიკაკუნებ.

— პატარა პიურეტს ნება აქვს, როცა უნდა მაშინ მოვიდეს ჩემთან, — მიუგო დიურერმა და წვერში დამაგრებული ვარ-დისფერი ლენტი ამოიღო, რათა ხალხს სიცილი არ დაეყარა ვისთვის.

მაგრამ ხალხი მაინც იცინოდა.

იოზეფ ჩეიგრენი

ალიასკის ოქროს ძვიშა

ჩვეულებრივი სახე აქვს, დადის ცოტა გაუბედავად — ასეთ ადამიანებს ხშირად შეხვდებით. გაჭაღარავდა, დაბერდა, გაღარიბდა. ახლა ქუჩა-ქუჩა დაწანწალებს და ერთი ჭიქა ლუდის ანდა ერთი ჭიქა ყავის ფულს თხოვს გამვლელ-გამომვლელს. ერთი სიტყვით, ფეხი მოუსხლტა, დაადგა ცხოვრების თავდაღმართს. მისი შავი, აცრემლებული თვალების დაღლილი გამოხედვა თითქოს ამბობს: „ახლა ჰეიკი დაჩაჩანაკდა, აღარაფრის თავი აღარ აქვს, მაგრამ ერთი აბა წინათ გენახათ, რა ვაჟკაცი იყო“.

მართლაც ჰეიკი მთლად დაჩაჩანაკდა. ტანისამოსი შემოეფლითა და ტოძარასავით ბოშად ადგია ტანზე. სახე და ხელები ჭუჭყიანი აქვს, მეტისმეტად ჭუჭყიანი. თმა ბღუჯა-ბღუჯად ჩამოშლია ავადმყოფურად დაღარულ დაბალ შუბლზე. თვალები ჩაქრობია, გამოხედვა უსაგნო და უაზრო აქვს. ასე გგონიათ, მთლად გამოუდარებელი ადამიანური სიღატაკის განხორციელებაა.

მაგრამ ოცი წლის წინათ მან დიდი ქონების მონაგრება შეძლო ერთი მაქინაციის მეშვეობით, რომელიც მაშინ თავისი უბრალოების გამო გენიალურად დასაჯეს. ჰეიკს მოუხერხდა დროზე დამალულიყო და ამით გადაურჩა მართლმსაჯულებას. ყველგან რომ მისწვდება ადამიანს. იგი ნამყოფი იყო ნიუიორკისა და ჩიკაგოს ყველა ჯურღმულში. მაშინ მათი კარი

მთელი დღე-ღამის განმავლობაში ღია გახლდათ იმათთვის, ვისაც კი „ჰკლავდა წყურვილი". სპირტი და პოკერი იყო ის მარტუუჟი, რომელიც ჰეიკის კისრის გარშემო შეიკვანძა. მერე ლიმოხივით გაბოწურულმა კვლავ კონტინენტს მოაშურა. მაგრამ შინ, ფინლანდიაში დაბრუნება უკვე ვეღარ გაბედა.

— პოლიცია დამდევს დასაჭერად,—ეუბნებოდა იგი ყველა შემხვედრს წყნარი და ნდობით აღსავსე ხმით. ხმა ჩახლეჩილი ჰქონდა გამოუნელებელი ლოთობის გამო.

ჭკუათამყოფები ეკითხებოდნენ:

— კი მაგრამ რას გერჩიან?

ჰეიკი ეშმაკურად ჩაუკრავდა შავ თვალს:

— შენ მართლა არ იცი ეგ ამბავი?

და ვისაც მისი ამბის მოსმენა უნდოდა, შეეძლო დამშვიდებული სიხდისით ეთქვა:

— ყველაფერი ხომ არ ეცოდინება კაცს, რაც ამქვეყნად ხდება.

ასეთ მოხერხებულ შემთხვევას როგორ გაუშვებდა ხელიდან ბერიკაცი ჰეიკი.

— თუ სირჩა არაყს გადამაკვრევინებ, გიამბობ, როგორ ძოვატყუე ტუომი' — ეგ გასიებული ღორი.

ჰ. ა. იერვინენი, ოცდაათამდე წლის ახალგაზრდა კაცი, მას შემდეგ, რაც ალიასკის ოქროს საბადოებზე თავისი ბედი სცადა, ბშობლიური მხარის უღიმღამო ქოხმახებს დაუბრუნდა. შინ თავი ისე ეჭირა, თითქოსდა ოქროსმაძიებელი იყო, რომელსაც ბედმა გაუღიმა. მალე მდინარე ლიუტის ნაპირებს მოეფინა მისი ამბავი.

იქ, ატლასტიკის ოკეანის გადაღმა, ამ ღარიბმა, ტურტლიანმა და ცხვირმოუხოცავმა ყმაწვილმა მდიდარი ადამიანების ადათ-წესები აითვისა და ახლა სამშობლოში ისე ეჭირა თავი, როგორც ბატონს შეეფერება. შარვალი მუდამ საგანგებოდ გაუთოვებული ეცვა, სადაგ დღესაც საყელოსა და მანჟეტებს ატარებდა. მისი ოქროს კბილები თვალისმომჭრელად ელავდა, როდესაც იერვინენი განგებ დიდზე აღებდა პირს და ხმამაღლა იცინოდა. სიცილი ემარჯვებოდა და ისე ჩანდა, თითქოს სამხიარულოდაც ჰქონდა საქმე. ვინც კი იერვინენის ოქროს კბი-

ლებს დაინახავდა, მისი პატივისმცემელი ხდებოდა. ვისაც პაპ-ში ოქრო უდევს, ალბათ ფული ჩეჩქივით აქვს.

იერვინენი თვითონაც არ უარყოფდა, რომ ფული ჰქონდა. იმ სახლში, სადაც იგი ცხოვრობდა, იდგა ორი-გატენილი ტყავის ჩემოდანი. მართალია არავინ იცოდა რა იყო ამ ჩემოდანში, მაგრამ დიასახლისი და მოჯამაგირე, რომელმაც ჩემოდანი სადგურიდან მოიტანა საზიდრით, ირწმუნებოდნენ, ძალიან მძიმე იყოო. თვითეული მათგანის ოთახში ამოტანას ორი კაცი დასჭირდა. ჩემოდნებს საკეტი იცავდა ცნობისმოყვარე თვალთაგან. დიასახლისი დიდი სიამოვნებით დასთმობდა თავისი უკვდავი სულის ნაწილს, რათა ერთი თვალი გადაევლო ამ ჩემოდნების შიდა მხარისათვის. მაგრამ დიასახლისმა მთლიანად შეინარჩუნა თავისი სული, ხოლო ჩემოდნებმა — თავისი საიდუმლო. მაინც ადგილობრივი მცხოვრებლები იმდენად სულელები არ იყვნენ, რომ დაეჯერებინათ, ჩვენს დროში მდიდარი ადამიანები ასეთი მარტივი წესით ინახავენ თავის საუნჯესო. ალიასკიდან დაბრუნებულ ახალგაზრდა კაცს შეიძლება საფულეში ერთი ოთხად გაკეცილი ქაღალდი ჰქონდეს, მაგრამ ისეთი ფასისა, რასაც მთელი ცხოვრება ჭაპანწყვეტით ვერ იშოვი. ერთმა მდიდარმა გლეხმა სცადა იერვინენისათვის ზოგი რამ დაეცინცლა. თამბაქოს ღეჭვით შორიდან დაიწყო და ნელინელ მიუახლოვდა მთავარ საკითხს.

— ამბობენ, ალიასკაზე ცივი ზამთარი იცისო.

იერვინენმა თავისი ოქროს კბილები გამოაჩინა და ასეთი პასუხი გასცა:

— რა თქმა უნდა! იქ ზოგჯერ ძალიან დიდი ხანი იცის ხოლმე საშინელი ყინვა.

გლეხი მოიარების გზას გაჰყვა:

— რაკი ეგრე ყოფილა, მაშ მიწის დამუშავებას არ მისდევენ...

— ჰმ... ჰმ.

— ჰო, რა თქმა უნდა, იქ ხალხს სარჩოს მიწისმოქმედება არ აძლევს. მათ ცხოვრების სხვა სახსარი აქვთ?

— ეგაც შეიძლება.

— იმასაც ამბობენ, ზოგმა იქ შეიძლება მთელი ქონება აღმოაჩინოს, თუკი თხრა არ ეზარებაო.

იერვინენმა კვლავ გამოაჩინა თავისი ოქროს კბილები, გულღია სიცილი აიტეხა და მხოლოდ ეს უპასუხა გლეხს:

— ეგრეც ხდება ხანდახან.

მაშინ გლეხკაცი უფრო მაგარ შეტევაზე გადავიდა:

— შენც, ცხადია, ალიასკაში კოდალას არ უსტვენდი. აქ ხალხი შენი ამბის მოყოლით არ იღლება.

მაგრამ იერვინენი ასე ადვილად არ წამოეგება ანკესს.

— ხალხის ენას არ უნდა აყვე. მაგას სჯობს თავისი საქმე აკეთონ. მაშინ ცხოვრება უკეთ გაუმართლებთ. მე ჯერ კიდევ ალიასკაზე ჩავხვდი მაგ ჭეშმარიტებას.

დაქანცული გლეხი ამოიოხრებდა:

— ზოგ-ზოგსაც არ აწყენდა ჭკუის სწავლა, შენი არ იყოს, ხალგაზრდობაშივე უნდა ჩაუყარო კაცმა საფუძველი ცხოვრებას, მაშინ მთელი სიცოცხლე ჭაპანწყვეტა არ დაგჭირდება.

ახლა იერვინენი გადავიდა შეტევაზე:

— ღმერთო ჩემო, აი თქვენ სულ ასე ლაპარაკობთ ამ ბებერ ქვეყანაში. არავინ არ იცის, სად გაუღიმებს ბედი. ისიც უნდა გითხრათ, ძიაკაცო, რომ ოქროს სამშობლო არ ჰქვს. იგი მოიპოვება ამერიკაში, მოიპოვება რუსეთში, მოიპოვება ყველგან. მე რომ მკითხოს კაცმა, გახვრეტილ ფარას არ მივცემდი ისეთ ტუტუცს, ვისაც ცხვირწინ საუნჯე უდევს და ის კი მთელი ცხოვრება სიმდიდრის საძებნელად დაეხეტება, იმდენი ვერ ძოუფიქრებია, რომ დაიხაროს და საუნჯე აიღოს.

გლეხმა უნდობლად გაიღიმა და სითამამისათვის ერთი ყლუპი არაყი მოსვა.

— შენ, ყმაწვილო, მაგას იმიტომ ამბობ, რომ ბედმა გაგიღიმა. ყველას ხომ არ შეუძლია კარტოფილივით ამოიღოს მიწიდან ოქროს ზოდები.

იერვინენმა ისევ სიცილი აიტეხა. მთელი მისი ძალუმი ტანი სიცილისაგან თრთოდა. ამ ბებერი ქვეყნის მოხუცები არც ისე სულელები არიან. როცა სიცილით გული იჯერა, იერვინენი სერიოზული გახდა. ბინდით მოცულ ოთახში მისი სახე ბრინჯაოსფერი ჩანდა.

— არაფერი მეთქმის. მართალი ხარ, ძიაკაცო, ოქროს პოვნა კარტოფილის ამოთხრაზე ძნელია. ეს საქმიანობა მთლად

წაიღებს ხოლმე ადამიანს. მაგრამ ისიც უნდა გითხრა, რომ საჭაგიეროს მოზღვაც იცის.

გლეხმა მაგიდაზე თავისი შავი, ბებერი ხელები აათამაშა და განაგრძო:

— შრომისა ვის ეშინია, მაგრამ ის კი უნდა იცოდე, რომ საღდ ადგილზე დგახარ. ჩვენს საყოველდღეო შრომაზე ძნელი რა უნდა იყოს.

— იქნებ უფრო ძნელი არც იყოს, მაგრამ ზოგჯერ ტყუილ-უბრალო შრომა უხდება კაცს. ეგების კვირაობით და თვეობით უნდა ჩიჩქნო მიწა. და ერთი გრამი ოქროც ვერ იპოვო. მაგრამ ისიც შეიძლება მოხდეს, რომ ერთბაშად მთელი განძი იპოვო. ვის სად გაუღიმებს ბედი.

გლეხმა სცადა სიტყვის ჩართვა:

— როგორც ამბობ, ლატარიასავით გამოდის. მოგება-წაგება შენს ხელთ არ არის.

იერვინენმა ისევ გაიცინა, სიბნელეში გაიელვა მისმა ოქროს კბილებმა

— ვაი. რომ ეგ მართალი ვერ გამოგივიდათ. ლატარია ერთია, ოქროს პოვნა სხვა. თქვენ აქ იცით, რომ ადრე იქნება თუ გვიან, უსათუოდ მოიგებთ. ცხადია. თუ ჭკუას მიატანთ საქმეს.

გლეხმა კიდევ ერთი სირჩა გამოცალა. დინჯად, აღელვებლად დალია. ღვთის მადლით, ახალი დაწყებული არ ჰქონდა არყის სმა.

— ყური მიგდე, ყმაწვილო, შენ თვითონ არა სთქვი: „ვის როგორ გაუღიმებს ბედიო?“

მაგრამ იერვინენი იმათ რიცხვს არ ეკუთვნის, ვისი ჩიხში მომწყვდევაც ასე ადვილია. ტყუილად არ ჩაუვლია ალიასკაში გატარებულ წლებს.

— მე იმას ვამბობ, დიდი ხანი უნდა იშრომო, სანამ იპოვი იმას, რასაც დაეძებ-მეთქი. ზოგჯერ საკმარისია ერთი-ორჯერ დაარტყა ბარი, ხოლო ხანდახან კი რამდენიმე კვირა და თვე დაგჭირდება. თქვენ ფიქრობთ, ძიაკაცო, რომ იქ თხრიან. სადაც მოეპრიანებათ? გამოცდილი კაცი უმალვე შეამჩნევს, არის აქ ოქრო თუ არა.

— დახე. რა ყოფილა. როგორ უნდა შეამჩნიოს?

— შეამჩნევს. ეგ რომ არ იყოს, მთელ ამერიკას გადა-

თხრიდნენ და ერთ მისხალ ოქროს ვერ იპოვნიდნენ. ბევრ რასმე აქვს მნიშვნელობა — გარშემო მდებარე მთებს, მდინარეთა კალაპოტს. ვისაც თვალი გავარჯიშებული აქვს, ყველა ამ ნიშნის მიხედვით გაიგებს, არის თუ არა გარშემო ოქრო.

გლეხი მაინც ეჭვობდა:

— საკვირველია სწორედ!

მაგრამ იერვინენი თავდაჯერებული ახალგაზრდა კაცია. თავის თანამოსაუბრესთან შედარებით უპირატესობას გრძნობს და ამიტომ თამამად ამბობს:

— სულაც არ არის საკვირველი. თქვენ, ძიაკაცო, განა დღეს ვერ იტყვით, როგორი ამინდი იქნება ხვალ? ამას მეექვსე გრძნობას ეძახიან.

დადის სოფელში იერვინენი და მისი მონათხრობი ყველას ოქროსა და სიმდიდრის წყურვილს უღვიძებს. ერთი კაცი რა არის, ერთი კაციც კი არ დარჩა გულგრილი. შეხედეთ თვითონ იერვინენს! და თქვენთვის ნათელი გახდება, რას ნიშნავს დაჭოუკიდებლობა. და განა ბევრს არ ახსოვს პატარა ბიჭი ჰეიკი არვე, როცა იგი უნტო ტუომის მწყემსი იყო. თვით იერვინენიც ჯიბეში ხელჩაწყობილი უსაქმოდ რომ დაეხეტება სოფელში, იგიც იგონებს იმ დროს, მაშინ ხელები თავისთავად ემუშტება და სიბრაზის ფერი მიეცემა სახეზე. აგონდება ყველა შეურაცხყოფა და წყენა, სილის გაწვნა და ცემა. საწყალი ჩამოფლეთილი მწყემსი ხშირად წოლილა აქ, ამ მიწაზე და უჩუმრად უტირია. მას ახსოვს, რომ ასჯერ დაიფიცა, სამაგიეროს გადავუხდი იმ კაცს, ვინაც ბავშვობა გამიმწარაო.

მთელი დღეობით იერვინენი იმ ადგილებში დაეხეტებოდა, სადაც მან თავისი ბავშვობის წლები გაატარა. ხან ერთი გახსენდებოდა, ხან მეორე — თვალწინ დაუდგებოდა პატარა უმნიშვნელო ეპიზოდები. ყველაფერს, რაც თითქოს წარიშალა მრავალი წლის ხეტიალით, ახლა დავიწყების მტვერი გადაეცალა. ხანდახან გლეხებს შეუვლის, მათთან ერთად დაჯდება სამზარეულოში და დიდი ხნობით ელაპარაკება. გლეხებს ყველაფერი აინტერესებთ, რაც ფულსა და მატერიალურ კეთილდღეობას ეხება. მათ სურთ იცოდნენ, რა ჯდება საჭმელ-

სასმელი და ბინა სხვა ქვეყნებში და რა გასამრჯელოს აძლევენ კარგ მუშას. მათ კითხვებზე იერვინენი მოფიქრებულად და საბუთიანად პასუხობს. დინჯი და ზრდილი კაცი დამდგარა. რაღაც-რაღაცეებისათვის ყური მოუკრავს და ტყუილში ადვილად ვერ დაიჭერ. მარტო ერთი რამაა, რაც გლეხებს ვერ გაეგიათ. ასე უდარდელად როგორ დასცინის იმას, რაც მათ დაუძლეველ წინააღმდეგობად მიაჩნიათ. თუმცა ეგების სწორედ სიცილია ის, რაც ცხოვრების გზაზე შეხვედრილ ყველა წინააღმდეგობასა და დაბრკოლებას დაარღვევს.

და აი უეცრივ იერვინენმა უსაქმურობას თავი გაანება. მან ნემოდნიდან ამოიღო უხეში ჩექმები და ჭუჭყიანი შარვალი.

— ეს ტანისამოსი მეცვა, როდესაც ერთხელ ბედმა გამიღიმა. მაგას არასოდეს არ გადავაგდებ, — უთხრა მან დიასახლისს ღიმილით. მერე ინსტრუმენტების ასხმულა ამოიღო, ეს ბარიო, ეს ქვაბიო და დიასახლისს სთხოვა, ზურგჩანთაში ერთი კვირის საგზალი ჩამიდეო. შემდეგ მდინარე ლიუტის მარჯვენა პირს გაუყვა და გაქრა. არავინ არ იცოდა სად წავიდა იერვინენი. იქაურებს მისი ამბის გარდა სხვა სალაპარაკო არ ექონდათ რა. დაბრუნებულმა იერვინენმა თავის მოგზაურობაზე ხმა-კრინტი არ დაძრა. მალე ისევ გაემგზავრა სალაშქროდ და ისევ ის ტანისამოსი ჩაიცვა. „ვინ იცის, რამდენ სიმდიდრეს ინახავენ გულში აქაური მთები“, — უთხრა მან დიასახლისს. ქალმა ეს ნათქვამი უმალვე მეზობლებს მოჰფინა და ყველამ ერთხმად დაასკვნა: ჰეიკი ერვიმ რაღაც წამოიწყოო. არავინ იცის რა აქვს უზურში ყმაწვილს, მაგრამ ტყუილად ხომ არ ჩაბობარგდა ალიასკიდან.

მთელი ზაფხული თავის საიდუმლო საქმიანობაში იყო ჩაბმული იერვინენი. ხალხი თითქოს მიხვდაო რაშიც იყო საქმე, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ დაედგინათ. ხმა დაირხა. იერვინენმა სადღაც, ლიუტის გორაკის წვერზე ოქრო იპოვაო. ამ ლაყბობის მოსმენაზე სკეპტიკოსი და დიდი მიწების მქონებელი გლეხები მხოლოდ მხრებს იჩეჩავდნენ: „ფინეთში რომ ოქრო ყოფილიყო, ეს ამბავი დიდი ხანია ეცოდინებოდა აქაურ მცხოვრებლებს“. ზოგიერთი ამ საბუთს არ ეპუებოდა: ისეთი კაცი არ არის ჰეიკი ერვი, რომ ტყუილუბრალოდ დრო დაკარგოსო, მაგის გაგებას დიდი ლარი და ხაზი არ სჭირდებაო.

თვითონ იერვინენი ხმას არ იღებდა. როცა შეიტყო, რომ სოფლის ახალგაზრდობიდან ზოგი ცდილობს მისი ასავალ-დასავალი გაიგოს, მათ თვალწინ გაქრა და ამან დიდი სიამოვნება მიანიჭა. ვერავინ გახსნა საიდუმლო, ვერავინ გაიგო, სად ამუშავებდა იერვინენი თავის ბარსა და წერაქვს. თუმცა გულით ეწადათ ამის გაგება, ვერაფერს მიაღწიეს. მათ ხომ არ შეეძლოთ მთელი დღე და ღამე მის სახლთან ედარაჯათ. ერთხელ ღამით იერვინენი ისევ წავიდა გაურკვეველი მიმართულებით. ბამდვილად მას აქ ისეთი საქმეები აქვს, რომელთა გზა-კვალს ძე-ხორციელი ვერ გაიგებს.

ერთხელ, მაშინ ზაფხულის მიწურული იყო, საოცარი რამ მოხდა. იერვინენი უნტო ტუომისთან მოვიდა და სთხოვა, თქვენი ყველაზე მიგდებული მიწის ნაკვეთი მომყიდეთო. ტუომინი შეძლებულ კაცად ითვლებოდა, ბანკშიც ფული ჰქონდა. იერვინენის წინადადება ჭკუაში დაუჯდა. მაგრამ მან თავი ვერ შეიკავა და თავის ყოფილ მწყემსს ის შეკითხვა მისცა, რაიც აინტერესებდა არა მარტო მას, არამედ მთელ სოფელს.

— კი მაგრამ იქ რა ხეირს ნახავ? იმ მოტიტვლებულ მაღლობზე ცარიელი ქვაა!

იერვინენმა ერთ ხანს იცინა, მერე სახეზე რაღაც დაძაბული გამომეტყველება გამოესახა. ბოლოს ძლიერი და ფართო მხრები შეარხია და დაბეჯითებით თქვა:

— კეთილი, არაფერს დაგიმალავთ. ყველა ნიშნის მიხედვით ენარეს მახლობლად ოქრო უნდა იყოს.

ტუომიმ სკეპტიკურად შეარხია ბერიკაცული, მოხრილი მხრები.

— ოქროო?

იერვინენი თავის სიტყვას არ გადავიდა. მაგას გზიდან ე'შმაკი ვერ ააცდენს.

— ჰო, სწორედ ოქრო.

ტუომიმ განგებ ეშვით უთხრა:

— ეგ ალიასკიდან ჩამოტანილი ოცნებაა.

იერვინენს სახე თანდათან ჩაუმუქდა.

— ეგ თქვენ აღარ გეხებათ. მე საქმეზე მოსალაპარაკებლად ძოვედი. ოცნებას აყოლილი კაცი ვარ თუ არა, ეს ჩემი საქმეა. თქვენ ხომ ფულს არა გთხოვთ.

— ეს მიწა ჩემი საკუთრებაა.

— ეგ ხომ ეგრეა, მაგრამ თქვენ მადნის დამუშავების უფლება არა გაქვთ. მე უკვე გავაგზავნე თხოვნა ოქროს მადნის დამუშავების ნებართვისა.

— მაშინ რა მოხდება, თუკი მე წინააღმდეგი ვიქნები. მიწა ხომ ჩემია.

— ეგ არაფერს ნიშნავს. არც ერთ მიწათმფლობელს არა აქვს ნება სახელმწიფოსაგან ოქრო დამალოს. მე თქვენ რამდენიმე თვით დაგასწარით. დაზვერვა მე დავიწყე. თხოვნაც მე გავგზავნე და საცდელ სამუშაოებსაც მე ჩავატარებ ჩემს ხარჯზე.

ტუომის შავი თვალები ეშმაკურად აუელვარდა. მან სტუარს ჰკითხა:

— ეგ ყველა კარგი და პატიოსანი, მაგრამ თუკი ასეა, შენ რაღად ცდილობ, რომ ჩემვან მიწა იყიდო?

იერვინენმა თავის ყოფილ მეპატრონეს თვალი თვალში გაუყარა და ასე უთხრა:

— მე მინდა თქვენ პატიოსნურად მოგეპყროთ. მე ჩემდა თავად დარწმუნებული ვარ, რომ საქმე წარმატებით დაგვირგვინდება. მაგრამ მიწა მაინც თქვენია და მე მინდა, რომ თქვენ კარგი ფული მიიღოთ. რვა ათას მარკას სხვა არ შეეთავაზებთ.

— მაშ შენ დარწმუნებული ხარ, რომ იქ არის ოქრო?

იერვინენმა დაცინვით გაიღიმა:

— მე უკვე გავრეცხე ქვიშა და იქ ოქრო ვიპოვე. ზაფხულის შრომამ ტყუილად არ ჩამიარა.

ეს ბებერი, მდიდარი ტუომი ამ ლაპარაკმა მთლად გამოიყვანა წონასწორობიდან.

— თუკი შენ ეგრე დარწმუნებული ხარ, მე გზაზე არ გადაგეღობები. მაგრამ რად გინდა მიწის შესყიდვა, მე ხომ შეძლია შენი კომპანიონი გავხდე.

იერვინენმა ისევ გაიცინა. ისევ გამოაჩინა ოქროს კბილები.

— არა, მე ეგეთი სულელი როდი ვარ, რომ რვა ათასი მაგეთის გულისათვის ავიყვანო კომპანიონი იმ საქმეში, რო-

მელსაც ამდენი შრომა დავახარჯე. მიწა გაცილებით მეტი ღირს. მაგრამ მარტო ძე ვიცი, სად არის ოქრო.

ტუომიმ ძლივს შეიკავა თავი, რომ ადგილიდან არ წამომხტარიყო. ეტყობა ამ ყმაწვილმა იცის, რასაც ლაპარაკობს.

— ყოველ შემთხვევაში, მიწა ჩემია და საცა სამართალია. მე შემიძლია შენი მოწილადე გავხდე.

იერვინენმა სერიოზული და გადამწყვეტი გამომეტყველება მიიღო. სხვისა რა მოგახსენოთ და მას ეხერხება საქმეზე ლაპარაკი

— რა თქმა უნდა, ეგ სამართლიანი იქნება. მაგრამ მე ხომ წინასწარ ვიშრომე, რომ ახლა შესაძლებელი ყოფილიყო დამუშავების დაწყება. ამიტომ ყველაფერზე უფრო გონიერი იქნებოდა სააქციო საზოგადოება ჩამოგვეყალიბებინა. ის, ვინც გარკვეულ თანხას შემოიტანს, სამუშაოთა დასრულების შემდეგ მიიღებს მოგებათა გარკვეულ პროცენტს. აქაც ხომ იმიტომაა საჭირო ფული, რომ იგი გავაბევროთ.

უეცრივ უნტო ტუომენს გონება გაუნათლდა. ეს ბერიკაცი მაინც დიდი მელაკუდაა.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, — ფრთხილად წამოიწყო ძან. — ძაინც სადა გაქვს საბუთი, რომ იქ მართლაც არის ოქრო.

იერვინენმა მშვიდად უპასუხა:

— ძე ხომ თქვენთვის გახვრეტილი ფარაც არ მითხოვია შემოსატანად, მაგრამ თუკი თქვენ გინდათ მოწილადედ გამიხდეთ და სასწრაფოდ დაიწყოთ დამუშავება, მაშინ ჩემთან ერთად ხვალ ან ზეგ ადგილზე წამობრძანდით. ამაზე უკეთესს ვერაფერს მოვინდომებთ. ვიმედოვნებ, რომ ჩემ მიერ ჩატარებული გამორკვევების მეშვეობით ძალიან ადვილად წარმოვადგენ საბუთებს. და თქვენ თვითონ გაუგზავნეთ ოქრო გამოსარკვევად ჰელსინკის რომელსაც გნებავთ ექსპერტს.

და აი, ოცი წლის შემდეგ ჰეიკი ერვი იერვინენი ზის თქვენ პირდაპირ დუქანში, ჭუჭყიან მაგიდას უზის, მკაცრ გამომეტყველებით ისხამს ღვინოს და გულგრილად ჰყვება:

— იქ, მდინარე ლიუტის სიახლოვეზე არავითარი ოქრო არ იყო. გესმის, მე ალიასკიდან ერთი პატარა ტომარა ოქროს

ქვიშა ჩამოვიტანე, აი. ის მიმოვაბნიე მდინარის ნაპირზე, მერე ისევ შევკრიბე და მივეცი სულელ ბერიკაცს, იმან კი ანალიზისათვის გაგზავნა. ხომ გესმის, ისინი მთლად ჭკუიდან შეიშალნენ, როდესაც ექსპერტის დასკვნა გაიგეს. მე ჩამოვაყალიბე ოქროს საბადოების ექსპლოატაციის საზოგადოება. და უნდა ვთქვა, რომ ოქროს წვიმა თავს დაესხურა ჩვენს სალაროს. ვისაც საამისო საშუალება ჰქონდა, ყველას უნდოდა ამ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღება. ტუომის დაახლოებით სამოცდათხუთმეტი ათასი მარკა ავაცანცლე. ამდენივე შემოიტანეს სხვა კულაკებმაც. მერე ჩვენ საზოგადოებაში ჩაწერა მოინდომეს ტორპარებმა* და დღიურმა მუშებმა. მაშინ მე ვთქვი: „აბა, ციც, თქვენს მიწაზე დარჩით და ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენი“.

მსხვილ-მსხვილი საქმოსნები, ცხადია, იცინოდნენ და მეუბნებოდნენ, სწორად იქცევიო. ხოლო ტორპარები დანასისხლალ ოყვნენ ჩემთან. სულ მიბღვერდნენ, როცა სოფელში ვბრუნდებოდი. მაგრამ მე იმათთან ანგარიში არა მქონდა გასასწორებელი და არც მათი დანაზოგი მჭირდებოდა. მდიდრებს იმდენის შემოტანა შეეძლოთ, რამდენსაც მოისურვებდნენ. მერე ერთ მშვენიერ დღეს გუდა-ნაბადი ავიკარი.

ჰეიკი ჩუმდება, რაღაცას თვალს გაუშტერებს და მერე სინანულით ამბობს:

— ბებერ ტუომის ალბათ თავის მეურნეობაზე ხელის აღება მოუხდა, როდესაც მისი ფული გავიტაცე. მაგრამ რატომ მეპყრობოდა ასე სასტიკად და უნდობლად, როცა პატარა ვიყავი. მე დავიფიცე. სამაგიეროს გადავუხდი-მეთქი და თუკი ჰეიკი ფიცს დასდებს, შეასრულებს კიდეც.

თუკი ბერიკაცს უნდა, კიდევ ერთ სირჩა არაყს მოატანინებს. არც ისე ბევრი სიხარული დარჩა ცხოვრებაში დაჩაჩანაკებულ ოქროსმაძიებელს.

— ჰეიკ, მაშ შენ პოლიცია გეძებს?

— ჰო, პოლიცია დამეძებს. მხოლოდ ის დამრჩენია საამყო, რომ არც ერთი ტორპარი და არც ერთი დღიური მუშა არ

---

* ტორპარები—უმიწაწყლო გლეხები, რომლებიც იჯარით იღებენ მიწას.

შეაფურთხებს ჩემს ცხედარს და არ იტყვის, რომ თუნდაც ერთი პენი დავცინცლე მოტყუებით.

უხმოდ სვამენ თავიანთ ღვინოს. მერე ჰეიკი დგება და არცთუ მტკიცე ნაბიჯით მიდის კარისაკენ: ეს არის ბებერი. ჰუჭყიანი, გაუბედურებული ჰ. ა. იერვინენი, რომელიც ოდესღაც ალიასკიდან დაბრუნდა და თვის მოყვასთა შორის ოქროს ოცნება დათესა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ისლანდიელი მწერლები

ლაქსნესი ჰალდორ (დაიბადა 1902 წელს) — მშვიდობის საერთაშორისო პრემიისა და ნობელის პრემიის ლაურეატი. ითვლება თანამედროვე ისლანდიური ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენლად. მრავალმხრივია ჰალდორ ლაქსნესის შემოქმედება. იგი ცნობილია, როგორც დიდი ტილოების ოსტატი, შესანიშნავი ნოველისტი და დრამატურგი.

საბჭოთა მკითხველი კარგად იცნობს ჰალდორ ლაქსნესს. რუსულ ენაზე თარგმნილია: „დამოუკიდებელი ადამიანები", „ატომის სადგური", პიესა „გაყიდული იაენანა". საბჭოთა მკითხველი იცნობს აგრეთვე მწერლის მოთხრობებსა და ცალკეულ ლიტერატურულ სტატიებს.

სიგურდსონი ოლაფურ იოჰან (დაიბადა 1900 წელს) — პირველი რომანი „კარ-მიდამოს ჩრდილი" ჩვიდმეტი წლისამ დაწერა. შემდეგ მან გამოაქვეყნა რომანები: „იქით მიდის გზა?" (1940 წელი), „მთა და ოცნებანი" (1944 წელი), „ფერთა თამაში" (1947 წელი). ამას გარდა სიგურდსონი ბრწყინვალე ნოველისტია. იგი ავტორია მოთხრობათა რამდენიმე კრებულისა: „სარკეები და პეპლები" (1947 წელი), „კამათელი" (1945 წელი). მისი საწარმოების გმირები ღარიბი გლეხები და სამეშოს მაძებარი მუშები არიან. ისინი უკეთესი ცხოვრებისაკენ მიისწრაფიან, მაგრამ მკაცრი, ულმობელი სინამდვილე სპობს ამ ოცნებას.

დანიელი მწერლები

ობელი კელ (დაიბადა 1901 წელს)—დანიის დიდი დრამატურგი, რომელიც ცნობილია თავისი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც. პროგრესიულობა გამოირჩევა მისი პიესები: „დაკარგული მელოდია" (1935 წელი), „ანა სოფი ჰედვიგი" (1939 წელი), „სილკებორგი" (1946 წელი), და სხვე-

ბი. 1955 წელს ანდერსენის დაბადების ას ორმოცდაათი წლის თავთან დაკავშირებით აბელმა დასწერა და დადგა პიესა დიდი მეზღაპრის შესახებ „ანდერსენი ანუ მისი ცხოვრების ზღაპარი". აბელის პიესების სოციალურ შინაარსსა და საბრძოლო განწყობილებას დიდად ენებს მწერლისათვის დამახასიათებელი სიმბოლიკისა და სიურრეალიზმის მანერა.

ვულფი ჰილმარ (დაიბადა 1908 წელს) — დანიელი მუშებისა და მეგადურების ცხოვრების აღწერას ეძღვნება მისი რომანები. „აპრილის ამინდივით" (1941 წელი), „ასეთი რამ ნამდვილად ხდება" (1943 წელი), „შრომის სიმღერა" (1945 წელი). მწერალს სახელი გაუთქვა იმ რომანებმა, რომლებიც მან დაწერა ძველად დანიაში გადმოსახლებული პოლონელი გლეხების შესახებ. ეს რომანებია: „ცხოვრების გზა" (1947 წელი) და „ღუმა პური" (1948 წელი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობის შემდეგ ვულფმა დაწერა ორი რომანი, რომელთა თემაა ახალი ცხოვრების მშენებლობა ჩინეთში. ვულფის კალამს ეკუთვნის რამდენიმე მოთხრობა.

ნექსე მარტინ ანდერსენ (1869—1954) — დანიური პროლეტარული ლიტერატურის ფუძემდებელი. ნექსეს ნაწარმოებები საქვეყნოდაა ცნობილი. ისინი რუსულადაც თარგმნილი არიან და საბჭოთა მკითხველის სიყვარულს იმსახურებენ. ნექსემ პირველად დანიურ ლიტერატურაში თავისი ნაწარმოებების გმირებად გაიხადა უბრალო მუშები და უმიწაწყლო გლეხები. ნოველისტიკას ნექსეს მდიდარ შემოქმედებაში საკმაო ადგილი უჭირავს. მისი მოთხრობები, ისევე როგორც რომანები, ღრმად ჰუმანიურია და დანიის მაშრალთ ეძღვნება.

პალესენი ოგე (1892—1956) — ღარიბი ოჯახის შვილი. მუშაობდა შიკრიკად, დურგლად, შავ მუშად. სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა ოციან წლებში. მისი რომანები „საწყალი კაცის ბედი", „ტყვეის საწვიმარი", „პატარა მდელოები" ასახავენ უბრალო ადამიანების ცხოვრებას, მათ ბრძოლას თავისი უფლებებისათვის. მუშათა კლასის სოლიდარობას, დანიის ოკუპაციის დროს პალესენი წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური წევრი იყო.

ნოტრვეგიელი მწერლები

ბოლსტადი ეივინ (დაიბადა 1905 წელს) — მრავალრიცხოვანი ნოველების ავტორი. 1955 წელს გამოსცა იუმორისტული მოთხრობების კრებული. ბოლსტადი შესანიშნავი მწერალი ჰუმანისტია. ნოველათა გარდა მას ეკუთვნის რამდენიმე რომანი, მათ შორის გამოირჩევა: „წითელი ბვგონია" (1947 წელი) და „სპეკულანტი" (1947 წელი).

ბორგენი ო

1925 წელს გამოვიდა მისი მოთხრობების პირველი კრებული. მას მალე მოჰყვა რომანები და პიესები.

ხანდემოსე აქსელ (დაიბადა 1899 წელს დანიაში) — თავისი პირველი წიგნი „მოთხრობები ლაბრადორიდან", გამოაქვეყნა 1923 წელს. მწერლის ნაწარმოებებს საფუძვლად დაედო მისი მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება.

1929 წელს მწერალი ნორვეგიაში გადავიდა და ამჟამადაც იქ ცხოვრობს. წერს ნორვეგიულ ენაზე. სანდემოსე მრავალი რომანის, მოთხრობისა და ესეს ავტორია. მისი უკანასკნელი ნაწარმოები „მოგზაურობა ჩიორტელეიგში" ავტობიოგრაფული ხასიათისაა.

ფალკბერგეტი იოჰან (დაიბადა 1879 წელს) — ნორვეგიის უხუცესი მწერალი. დიდი ხანი მუშაობდა შახტებში. სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა 1907 წელს. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ისტორიული რომანი ნორვეგიელი მუშების ცხოვრებიდან.

ჰაუგანი სულვეი (1901 — 1953) — ცნობილი ნორვეგიელი ჟურნალისტი ქალი, რომელიც ნორვეგიის კომპარტიის გაზეთში თანამშრომლობდა. წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის 1942 წელს დააპატიმრეს და მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკში იყო. ჰაუგანი მრავალრიცხოვანი მოთხრობებისა და რადიოპიესების ავტორია. მისი ერთადერთი დიდი ნაწარმოები „მიწისაგან წარმოდექ" დაწერილია 1952 წელს და მიეძღვნება ტრენელაგის პროვინციაში მუშათა მოძრაობის ჩასახვას.

შვედი მწერლები

ბერგმანი ბუ (დაიბადა 1869 წელს) — ლირიკოსი და ნოველისტი. მრავალრიცხოვანი ლექსებისა და ნოველების ავტორი. მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილია „ოცნება" (1904 წელი), „გემი" (1915 წელი), „ჩემი მეგობარი ბარონი" (1926 წელი). ბერგმანი უკიდურესი პესიმიზმით გამოხატავს პროტესტს კაპიტალისტური საზოგადოების მიმართ.

ბოიე კარინ (1900 — 1941) — ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი შვედი მწერლების იმ თაობისა, რომელსაც მოღვაწეობა მოუხდა ორ მსოფლიო ომს შუა. მის კალამს ეკუთვნის რომანები, ნოველათა და ლექსთა კრებულები. მისი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოებია რომანი „კალოკაინი", ამ რომანში აღწერილია ადამიანის ცხოვრება ტოტალურ სახელმწიფოში, რომელიც ინდივიდუალობის ყოველგვარ გამოვლენას სდევნის. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ბოიემ თავი მოიკლა. მას არ სჯეროდა დემოკრატიის ძალების გამარჯვება ფაშიზმზე.

ლუ-იოჰანსონი ივარ (დაიბადა 1901 წელს) — ღატაკი გლეხის შვილი. სალიტერატურო მოღვაწეობა დაიწყო 1927 წელს. პირველი მისი ჩანაწერები სამოგზაურო ჩანაწერები გახლდათ. 1933 წელს გამოიცა მისი

პირველი დიდი რომანი სოფლის ლატაკთა ცხოვრებიდან. ამ რომანს ერქვა „ღამე ნებისა. მიწავ“. ბოლო წლებში გამოაქვეყნა მთელი რიგი მოთხრობებისა და რომანებისა, რომლებმაც საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი. ამჟამად ლუ-იოჰანსენი შვედეთის ერთი უდიდესი მწერალია.

ტეგნი გუნპილდ (დაიბადა 1889 წელს) — ავტორი მრავალრიცხოვანი ფსიქოლოგიური და სოციალური რომანებისა, მოთხრობებისა და ლექსებისა. რომანებში „შენ ვერასოდეს ვერ გათხოვდები“ და „ვიწრო წრე“ მწერალი ქალი ილაშქრებს მეშჩანობისა და ბურჟუაზიული საზოგადოების შეზღუდულობის წინააღმდეგ.

ყველაზე უფრო ცნობილი ნაწარმოებია „იაკობის ჩრდილი“. ეს რომანი 1953 წელს გამოქვეყნდა. მისი მოქმედება ვითარდება ნაწილობრივ შვედეთში, ნაწილობრივ გერმანიაში. რომანში გამოხატულია ომისა და ფაშიზმის საწინააღმდეგო პროტესტი.

ფრიდეგორდი იან (დაიბადა 1897 წელს) — მისი მრავალრიცხოვანი რომანები ძირითადად მიძღვნილია შვედი ლატაკების ცხოვრებისადმი. სახელი გაუთქვა თითქმის ავტობიოგრაფიულმა რომანმა „მე ლარს ჰორდი ვარ“.

ფრიდეგორდის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ლექსები და ნოველები. მწერალი მეტისმეტად გატაცებულია ნატურალიზმით, მისტიკით და სპირიტიზმით, რაც არასასიამოვნო დაღს ასვამს მის შემოქმედებას.

ჰირდმანი მაი (დაიბადა 1888 წელს) — ავტორი მოთხრობებისა და რომანებისა, რომლებშიაც აღწერილია მუშათა ბრძოლა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. მისი უკანასკნელი რომანი („ამხანაგები უდროშოდ“) აღწერს მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის მემაღაროელების ბრძოლას სოციალური მტრის წინააღმდეგ.

ჩელგრენი იოზეფ (1907 — 1946) — მეზღვაური, არაკითარი სასწავლებელი არ დაუმთავრებია. წერის სურვილი დაებადა, როდესაც წაიკითხა გორკის ერთ-ერთი რომანი. მისი მოთხრობების თემაა შვედი მუშებისა და მეზღვაურების ცხოვრება.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობის მაგიერ (თინათინ ყოპლატაძისა) 3

ისლანდიური მოთხრობები

ჰალდორ ლაქსნესი

ნაპოლეონ ბონაპარტე 9
ლილია 29

ოლაფურ იოჰან სიგურდსონი

საიდუმლო საქმე 40
ბოქლომი 53

დანიური მოთხრობები

კელ აბელი

ქოლგათა ამბოხი 75

ჰილმარ ვულფი

სანამ წიგნი მოსულა ნორლანში 84

მარტინ ანდერსენ ნექსე

სეიბართა შეხვედრა 91

ოგე ჰალესენი

იუბილე 108

ნორვეგიული მოთხრობები

ეივინ გოლსტადი

ეშმაკეული ნავი 124

იოჰან გორგენი

ბედნიერება 138

აძსელ სანდემოსე

ვირთაგვა 147

იოჰან ფალკბერგეტი

როგორი მეთხილამურენი იყვნენ ჩვენი წინაპრები 158

სულვეი-ჰაუგანი

უცხო ჯარისკაცი 171

შვედური მოთხრობები

გუ გერგმანი

პასტორი ვიკი 181

ძარინ გოლიე

დიდი შესაძლებლობის ადამიანი 190

ივარ ლუ-იოჰანსონი

ორი ძმა 196

გუნჰილდ ტეგენი

ღირსეული ოჯახი 203

იან ფრიდეგოლდი

ბატონიანთ ზეეტლე 215

ზაი ჰირდმანი

ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონია 224

იოზეფ ჩელგრენი

ალიასკის ოქროს ქვიშა 228

შენიშვნები 241